


K  $\frac{200}{3}$  326

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნ. ხავესიძე

ქვეყნისათვის  
სურვილია და  
ხვედრისათვის  
ყრუობა  
საქართველოს  
ქალღმერთი



„მეცნიერება“



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია **ქართული**  
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
 ენციკლოპედიის ინსტიტუტი

ნ. ა ბ ე ს ა ძ ე

# ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში

(XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისი)

(ისტორიულ — ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

გამომცემლობა „მეცნიერება“

თ ბ ი ლ ი ს ი

1986

1) ხელნაწილი საქართველო



63.5(25)  
2159

2) საქართველოს ტექნიკური

3) საქართველოს ისტორიის 3-19 ს.

4) საქართველოს ისტორიის 3-20 ს.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ქალაქებში ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგის ხალხური ხერხები. განხილულია ხელოსნური წარმოების განვითარების დონე, მასშტაბები, ნაწარმის რეალიზაციის საკითხები, გასაღების ცენტრები, სადღეობო ბაზრობანი, როგორც ხელოსნური ნაწარმით ვაჭრობის ძირითადი პუნქტები; ქალაქის, დაბისა და სოფლის ხელოსნობის ურთიერთმიმართება.

ნაშრომში მოცემულია ცდა საქართველოში ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის, წარმოშობის დათარიღებისა. წყაროთა მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილია ხელოსნობა და მისი წარმოების ფორმები ისტორიულ ჭრილში. არქეოლოგიური მასალის გაანალიზების შედეგად განხილულია ხელოსნური წარმოების ტრადიციულობის საკითხი საქართველოს ქალაქებში.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ხელოსანთა ყოფის ჩვენებას. საგანგებოდაა შესწავლილი ამქრის ბუნება და სტრუქტურა, მისი ჩვეულებითი სამართალი. სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ქარგლის შუალედური საფეხურის არსებობის შესახებ ამქარში.

რედაქტორი — ისტ. მეცნ. დოქტ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი  
რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ლ. მ თ ლ დ ი ნ ი  
გ. კ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი

0508000000 178-85  
M 607 [06] - 86

© გამოცემლობა „მეცნიერება“, 1986

სკპგ-2000  
შეერთებულია

აქ. სსრ კ. მარკსის  
სახ. სახ. რისპობ.  
ბიბლიოთეკა

200.326

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქალაქის ეთნოგრაფიულ შესწავლას დღეს უდიდესი ყურადღება ეთმობა; თანამედროვე ქალაქის მოსახლეობის კვლევა ეთნოგრაფთა უმთავრესი ამოცანაა.<sup>1</sup> საყოველთაო ურბანიზაცია, ქალაქის მოსახლეობის სულ უფრო მზარდი უპირატესობა განსაზღვრავს მისი ეთნოგრაფიული შესწავლის არსებით მნიშვნელობას. აუცილებელია არამარტო ქალაქის თანამედროვე ყოფის, არამედ მისი წარსულის კვლევაც, მისი განხილვა ისტორიული განვითარების მიხედვით; ქალაქის მოსახლეობამ სოფლის მცხოვრებლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ხალხის ეთნიკური ტრადიციების ჩამოყალიბებაში საერთოდ. ამდენად, ტრადიციული ხალხური კულტურის შესწავლა ქალაქისა და მისი მოსახლეობის გარეშე არ იქნება სრული. ქალაქის ეთნოგრაფიის აქამდე განხორციელებული შესწავლა დღეს მაინც არ არის საკმარისი. თუ რუსული ეთნოგრაფიის მამამთავრები თავიანთ შრომებში (განსაკუთრებით 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ) იყენებდნენ როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობის მასალებს, XIX ს. 60-70 - იანი წლებიდან ნაციონალური ტრადიციების მატარებლად აღიარებულ იქნა მხოლოდ გლეხობა. ამიტომ მკვლევართა მთავარი ყურადღება ეთმობოდა ძირითადად სოფლის შესწავლას. რუსეთში მას განაპირობებდა ნაროდნიკული ეკონომიკური რომანტიზმის გავლენა<sup>2</sup>. მეცნიერები ქალაქურ კულტურას თვლიდნენ ცივილიზაციის ელემენტად, რომელიც თითქოს სპობდა ხალხური კულტურის ტრადიციულ თავისებურებებს, და არ მიაჩნდათ ქალაქური თვით ამ ხალხური კულტურის აუცილებელ ელემენტად.

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან, როდესაც ურბანიზაციამ მოიცვა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები, ცალკეულმა ეთნოგრაფებმა შეიგნეს რა ქალაქის მოსახლეობის შესწავლის აუცილებლობა, დაიწყეს ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა: მაგრამ მაშინ, როგორც 50-იან წლებში, ქალაქის ეთნოგრაფიული კვლევა უკავშირდებოდა მხოლოდ

<sup>1</sup> Бромлей Ю. В., Этнос и этнография, М., 1973, с.246.

<sup>2</sup> Рабинович М. Г., Очерки этнографии русского феодального города, М., 1978, с.3; Юхнева Н. В., Изучение города, как этнографическая проблема, Этнографическое исследование Северо-Запада СССР, Ленинград, 1977.

მუშათა ყოფის შესწავლას. ისწავლებოდა მუშათა კლასის ფორმირების, შემადგენლობის, მდგომარეობისა და ყოფის საკითხები.

მუშათა ყოფის შესწავლის ახალი აღმავლობა იწყება ამოცანებისა და კვლევების, როდესაც აღნიშნული საკითხების კვლევით დაინტერესდნენ საზღვარგარეთაც (გვრ, ვდრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი). ამ დროიდან ეთნოგრაფთა კვლევის სფეროში შედის არამარტო მუშათა ფორმირების, ზრდის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება, არამედ ისეთი საკითხებიც, როგორც არის მუშათა ტიპის, მისი სუბიექტური თავისებურებების, შეგნების, პოლიტიკური მომწიფების, კულტურული განვითარების, ფსიქიკური წყობის, მორალურ-ზნეობრივი საკითხების კვლევა. ამავე დროს ფეხს იკიდებს მუშათა კლასის შესწავლის სოციოლოგიური ასპექტიც.<sup>3</sup>

ქალაქი აქამდე უფრო მეტად ისწავლებოდა გეოგრაფების, ეკონომისტების, არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და არქიტექტორების მიერ. კვლევის ამ დარგში ყველა სპეციალისტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუშათა კლასის გარდა საჭიროა ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენების შესწავლაც. ამიტომ გასაკებია ის გარემოება, რომ ქალაქის ეთნოგრაფიული შესწავლის თემატიკას მიეძღვნა სპეციალური სიმპოზიუმი ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მეცნიერების VII მსოფლიო კონგრესზე, ხოლო აღნიშნულ კონგრესამდე ჟურნალის „Советская этнография“ 1964 წ. № 4-ში დაიბეჭდა ვ. კრუბიანსკაიასა და მ. რაბინოვიჩის მეთოდური ხასიათის ნაშრომი ქალაქის ეთნოგრაფიული შესწავლის შესახებ შემდეგი სათაურით — „Этнография города и промышленного поселка“. საბჭოური ეთნოგრაფიული სკოლა ამ სიმპოზიუმზე ამ ნაშრომით იყო წარმოდგენილი.

სიმპოზიუმზე მრავალი მოხსენება იქნა წაკითხული, რის შედეგადაც მეტ-ნაკლებად გამოვლინდა ქალაქის შესწავლის მეთოდოლოგიური გზები ჩვენში და საზღვარგარეთ. როგორც ნიუველისა (იაპონია) და ს. დანის (აშშ) გამოსვლებიდან ცნობილი გახდა, საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მაგ., ამერიკასა და იაპონიაში, ქალაქის შესწავლა მიმდინარეობს სოციოლოგიური მეთოდით, რომლის დროსაც ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური ანალიზი და ანკეტური დაკითხვები.<sup>4</sup> ამავე დროს საზღვარგარეთ, როგორც ეს ჩეხი და ინგლისელი მეცნიერების გამოსვლებიდან ჩანდა, ქალაქ-

<sup>3</sup> Ю х н е в а Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 16.

<sup>4</sup> Боги́на Ш. А., Кру́пянская В. Ю., К вопросу об этнографическом изучении города и промышленного поселка (по материалам симпозиума VII международного конгресса антропологических и этнографических наук), С.Э., 1965, № 3, с.112.



ბის თანამედროვე შესწავლისას გარკვეულ მნიშვნელობას უშუალო, ცოცხალ დაკვირვებას.<sup>5</sup>

აღნიშნულ სიმპოზიუმზე საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის მუშაობის მეთოდი, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილი იყო ვ. კრუპიანსკაიასა და მ. რაბინოვიჩის მოხსენებაში. მათ წამოაყენეს ქალაქის შესწავლის მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, როგორცაა ისტორიზმი, ქალაქის გენეზისის, ეთნიკური წრისა და მისი შემდგომი წყაროების, ქალაქისა და მისი გარეუბნის ურთიერთმიმართების, ქალაქის ტოპოგრაფიის, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის — მრეწველობისა და ვაჭრობის, მისი ყოფითი ასპექტების, ცალკეული ხელოსნობისა და სარეწების ორგანიზაციის სოციალური სტრუქტურის,<sup>6</sup> ქალაქის კულტურული კავშირების, საყოფაცხოვრებო პირობების, ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის ყოფითი და კულტურული სხვაობის მოსაზრების გზების, ქალაქის ყოფის ეროვნული თავისებურებების დადგენის საკითხი და სხვ.<sup>7</sup>

მაშასადამე, ქალაქი, როგორც ეთნოგრაფიული შესწავლის ობიექტი, მკვლევართათვის წარმოდგენს დიდ ინტერესს და დიდ სიძნელესაც.<sup>8</sup>

ისმის საკითხი — რა არის ქალაქი? რა უნდა გავიგოთ „ქალაქის“ სტატუსის ქვეშ?

ამ საკითხის დასმა ეკუთვნის ცნობილ ურბანისტს მ. რაბინოვიჩს. მას თავის სტატიაში ქალაქის რაობის განსაზღვრის შესახებ<sup>9</sup> მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერთა აზრი, რომლის მიხედვით, კრიტერიუმი ქალაქის დადგენისა სხვადასხვაა. ავტორთა ერთი ჯგუფი ქალაქის განმსაზღვრავ კრიტერიუმად მიიჩნევს ადამიანთა გარკვეულ ოდენობას, სხვებისათვის ამოსავალია ისეთი დასახლება, სადაც მოსახლეობის ძირითადი ბირთვი დაკავებულია მრეწველობასა (რომლის პირველი ფორმაა ხელოსნობა) და ვაჭრობაში.<sup>10</sup> კრიტერიუმად ასევე მიღებულია ვაჭრობისა და წარმოების საკმაოდ მაღალი დონე. მაგრამ ეთნოგრაფიისათვის ყველაზე მისაღებად რაბინოვიჩს მიაჩნია პ. რინდ-ზიუნსკის მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი აზრი, რომ ქალაქის გაგება არ ემთხვევა დიდ დასახლებას, არც მრეწველთა და ვაჭართა დასახლებას, რომ ქალაქს უნდა ახასიათებდეს ქალაქ-

<sup>5</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>6</sup> Крупянская В.Ю., Рабинович М.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>7</sup> Шмелева М.А., Некоторые проблемы этнографического изучения современного русского города, С.Э.; 1964, № 5, с.12.

<sup>8</sup> Крупянская В.Ю., Рабинович М.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 123.

<sup>9</sup> Рабинович М.Г., К определению понятия «город» (в целях этнографического изучения), С.Э., 1983 № 3, с.19.

<sup>10</sup> იქვე.

ურთ ყოფის სპეციფიკური ნიშნები, ქალაქური ცხოვრების ნიშნი.



რაბინოვიჩის აზრით, ეს განმარტება ყველაზე მართებულია იდან ქალაქს უნდა განსაზღვრავდეს თავისი ყოფა, ცხოვრების წესი.<sup>11</sup> მაგრამ ეს უკანასკნელი ქალაქის წარმოშობის მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგი. ყველაზე მთავარი კრიტერიუმიც, მისი აზრით, არის ქალაქის სტატუსის წარმოშობის შედეგი,<sup>12</sup> მიზეზი კი არის შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ქალაქისათვის აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები, რომელიც უკავშირდება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. მ. რაბინოვიჩი ვეთავაზობს ქალაქის რაობის ასეთ გაგებას: ქალაქი არის ადგილობრივი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, შედარებით მსხვილი დასახლება მოსახლეობის უფრო რთული სოციალური და ეთნიკური შემადგენლობით (ვიდრე სოფლური), რომელთა დიდი ნაწილი აწარმოებს გაცვლისათვის და ჩაბმულია გაცვლაში, რომელიც ქმნის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებათა ერთობლიობას, რაც განსაზღვრავს ქალაქური ცხოვრების ნიშნს.<sup>13</sup>

მ. რაბინოვიჩის ეკუთვნის რუსული ფეოდალური ქალაქის შესახებ მონოგრაფია, რომელიც 1978 წ. გამოქვეყნდა.<sup>14</sup> აქ ავტორმა კვლავ დღის წესრიგში დააყენა ქალაქური ყოფის შესწავლის მნიშვნელობა. 1980 წ. ჟურნალში «Знание — сила» (№5) მან დაბეჭდა წერილი „ქალაქი რუსული ხალხური კულტურის ისტორიაში“<sup>15</sup>, სადაც დაასაბუთა ქალაქის როლი სოფელთან ერთად ტრადიციული კულტურის შექმნაში. მრავალი მაგალითის განხილვის საფუძველზე ავტორმა დაასკვნა, რომ ხალხური კულტურისათვის ქალაქი არ წარმოადგენს რაღაც სხვა, უცხო მოვლენას. ქალაქური კულტურა, როგორც სოფლური, შეადგენს ტრადიციული ხალხური კულტურის განუყოფელ ნაწილს, მისი განვითარების აქტიურ ელემენტს და ამდენად უმართებულოა „ხალხურისა“ და „ქალაქურის“ ურთიერთდაპირისპირება.<sup>16</sup>

<sup>11</sup> Рабинович М. Г., დასახ.ნაშრ., გვ.20; იმეფებს მის ნაშრომს, იხ. Рындзюнский П. Г., Основные факторы горообразования в России второй половины XVIII в., Русский город, 1976.

<sup>12</sup> იქვე.  
<sup>13</sup> იქვე, გვ.24.

<sup>14</sup> Рабинович М. Г., Очерки этнографии русского феодального города, М., 1978.

<sup>15</sup> Рабинович М. Г., Город в истории русской народной культуры, «Знание — сила», 1980, № 5.

ლენინგრადის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას ეძღვნება პუბლიკაციების «Исследование Северо-Запада ССР» ორი ნაკვეთი. პირველი ნაკვეთის საგანგებო განყოფილება «Этнография Ленинграда» (Ленинград, 1977 г.) მთლიანად ეთმობა ძველი პეტერბურგის ეთნოგრაფიულ შესწავლას, ხოლო მეორე ნაკვეთში «Старый Петербург» (историко-этнографическое исследование, Л., 1982 г.) დაბეჭდილია სტატიები პეტერბურგის, მრავალეროვანი ქალაქის ყოფისა და კულტურის შესახებ, განხილულია ზოგი ეთნიკური ჯგუფი (ესტონელები, ფინელები), მათი კულტურულ-ყოფითი ისტორია. დიდი ყურადღება ეთმობა წყაროთმცოდნეობის პრობლემებს. თუმცა აქ ეთნოგრაფიული მასალა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ რედაქტორი მ. შმელიოვა გვპირდება, რომ შემდეგი პუბლიკაციები მიეძღვნება ლენინგრადის ძველ მოქალაქეებთან მკვლევართა მუშაობის შედეგებს<sup>17</sup>.

ქალაქის შესწავლის პრობლემატიკას, როგორც აღინიშნა, სათანადო ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთაც. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მოსკოვში 1982 წ. გამოცემული წიგნი «Нравы и обычаи египтян в первой половине XIX в.» რომელიც ცნობილ ინგლისელ არაბისტს ე. ლეინს ეკუთვნის. მან XIX ს. 20-30-იან წლებში იმოგზაურა და რამდენიმე წელი იცხოვრა ქაიროში. ფაქტიურად აქაურ მცხოვრებთა მაგალითზე შეისწავლა ეგვიპტელთა, ყოფა და წესჩვეულებები. კერძოდ, მოქალაქეთა მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა, მიწათმოქმედება, მატერიალური კულტურა (ნაგებობანი, აბანოები), საოჯახო ყოფა, სულიერი კულტურა (ენა, მუსიკა, ლიტერატურა, რელიგიური წეს-ჩვეულებანი, ხალხური დღესასწაულები, გლოვისა და დატირების წესები და სხვ).

ქალაქის კულტურულ-ყოფითი პროცესების შესწავლისას განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ქალაქის მცხოვრებთა საქმიანობის კვლევა, უმთავრესად ყოფითი მხარეების ჩვენება. ამ ასპექტში ქალაქის ხელოსანთა ყოფის შესწავლას, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ხელოსნები მუშებთან ერთად შეადგენენ ქალაქის მოსახლეობის ძირითად მწარმოებელ მასას. მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს ქალაქის შესწავლის ეს ასპექტი.

ქალაქური ხელოსნობა თავისი სოციალური ბუნებით (ცალკეული ხელოსნური ორგანიზაციის სოციალური სტრუქტურა) და ხელოსანთა ყოფა საერთოდ საქართველოში ჯეროვნად არ არის შესწავლილი. თუ ბოლო წლების მანძილზე ისტორიკოსები ინტენსიურად იკვლევენ საქართველოს ქალაქების ხელოსნური წარმოების სხვადასხვა საკით-

<sup>17</sup> Старый Петербург, Л., 1982, с.4.



ხებს<sup>18</sup>, ამას ვერ ვიტყვით ეთნოგრაფთა შესახებ, ვინაიდან, როგორც აღნიშნა, ქალაქი ჩვენში არ განეკუთვნებოდა ეთნოგრაფიულ ცენტრების ობიექტს. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა ქალაქის ელოსნობის მონოგრაფიული შესწავლისა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველ ეთნოგრაფებს ამ მხრივ გარკვეული სამუშაო აქვთ შესრულებული. მათ შორის პირველ რიგში მოსახსენიებელია ლ. ბოჭორიშვილი, რომელსაც კახეთის ქალაქების (თელავი, სიღნაღი) ოქრომჭედლობა აქვს შესწავლილი<sup>19</sup>. იგი მოკლედ მიმოიხილავს აგრეთვე ოქრომჭედელთა ამქრის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მის მიერ მოზოგებული მასალა ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია, რის შესახებაც ნაშრომში არა ერთხელაა აღნიშნული.

ახალციხის ოქრომჭედლობას ეხება ლ. სოსელია ნაშრომში „ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში“, სადაც მოკლედ მიმოიხილავს ამქრის სტრუქტურასაც<sup>20</sup>.

საქართველოს დაბახანები შესწავლილია ი. ნანობაშვილის მიერ<sup>21</sup>. მასვე ეკუთვნის შრომა ტყავის დამუშავების შესახებ საქართველოში<sup>22</sup>, მისივე დამსახურებაა თელავში ხელოსანთა ე. წ. „სალხინო“ ბადების მიკვლევა<sup>23</sup>.

<sup>18</sup> ე. ბ. ო. შ. ტ. ა. რ. ი. ა., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966, წ. I; ნ. როდონაია, XIX ს. საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968; მ. ს. ი. ვ. ე., თბილისის მრეწველობა XIX ს. მეორე ნახევარში (რეფორმის შემდეგდროინდელი ხანა), თბ., 1961; პ. გ. უ. უ. შ. ვ. ი. ლ. ი., კაპიტალის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941; ა. კ. ი. კ. ი. მ. ე., საქართველოს ისტორია, XIX ს. თბ., 1954 წ.; Бакрадзе Г. К., Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в; Тб., 1958; დ. გ. ო. ლ. ა. მ. ე., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959; მ. ს. ა. მ. ს. ო. ნ. ა. მ. ე., თბილისის სამრეწველო განვითარება XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968; მ. ს. ი. ვ. ე., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980; Антелава И. Г., Орджоникидзе Э. А., Хоштария Э. В., К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967; ლ. ე. ძ. გ. ვ. ე. რ. ა. მ. ე., ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია (თბილისის ხელოსნური წარმოება), თბ., 1978.

<sup>19</sup> ლ. ბ. ო. შ. ვ. ი. ლ. ი., მასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლების შესახებ, მსე, VIII, 1956.

<sup>20</sup> ლ. ს. ო. ე. ლ. ი. ა., ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, „მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

<sup>21</sup> ი. ნ. ა. ნ. ო. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., თბილისის დაბახანები, მსე, ტ. X, 1959 წ.

<sup>22</sup> მ. ს. ი. ვ. ე., ტყავის დამუშავების ხალხური ხერხები საქართველოში, თბ., 1975.

<sup>23</sup> მ. ო. ს. ი. ვ. ე., საამქრო ნაგებობანი თელავში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 31, № 2, 1963.

თელავისა და დუშეთის ქვისმთელთა ამქრის სტრუქტურას გაკვრით ეხებიან ვ. ბარდაველიძე<sup>24</sup> და ს. ბელუკაძე<sup>25</sup> თავიანთ ნაშრომებში ისინი მიუთითებენ ამქარში ქარგლის არსებობას, რაც მტკვლის სეულაია.

თბილისის ამქრების დროშების კატალოგი<sup>26</sup>, რომელიც ლ. მოლოდინსა და გ. ჯალაბაძეს ეუთვნის, შეიცავს უმდიდრეს მასალას ხელოსანთა სხვადასხვა დარგის წარმოსაჩენად. ავტორები იძლევიან ამქრის დროშების შესახებ საყურადღებო დასკვნას, რომ დროშა თავის წარმოშობით უფრო ძველია, ვიდრე თვით ამქარი<sup>27</sup>; ეხებიან აგრეთვე დროშის ფირსა და მასზე არსებულ გადმოცემებს. მჭედლების ამქრის მფარველი „ოფელ-თოფელი“ შ. მესხიამ ახსნა, როგორც იგივე თუბალი, „მჭედელი რკინისა და რვალისა“<sup>28</sup>.

მსოფლიოში ცნობილი საუკეთესო ფოლადის ხმლების თბილისელი ოსტატის ელიზარაშვილის საოჯახო საიდუმლოებას ეხება კ. ჩოლოყაშვილი შრომაში „ბუღატის“ თბილისელი ოსტატი“<sup>29</sup>. ავტორმა შეისწავლა ქართული ფოლადის დამზადების ეს საიდუმლოება და მისი რეცეპტი მიაწოდა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, მეტალურგ კ. ლეჟავას, რომლის მითითებით დამზადდა ფოლადის ნიმუში. იგი თავისი სტრუქტურით პარალელს პოულობს უძველეს ქართულ ფოლადთან.

სპილენძის ზოდის ფირფიტებად გამოჭედვისა და მისგან სხვადასხვა სახის ჭურჭლის დამზადების შესახებ მასალა აქვს ჩაწერილი გ. კვიციანიას თბილისში, ახალქალაქსა და ახალციხეში<sup>30</sup>. ნ. ჯიქიას განმარტებით, სპილენძის ქვაბებს იძენდნენ თბილისსა, ქუთაისსა და თელავში<sup>31</sup>.

<sup>24</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე , ი ვ რ ი ს ფ შ ა ვ ე ლ ე ბ შ ი , ე ნ ი მ კ ი ს მ ო ა მ ბ ე , ტ . X , თ ბ . , 1941 , გვ . 153 .

<sup>25</sup> ს . ბ ე ლ უ კ ა ძ ე , სა მ ე ბ ი ს ა მ ქ ა რ ი , თ ბ . , 1942 ( ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ) ; მ ი ს ი ვ ე , 1947-48 წ წ . ქ ა რ თ ლ ი ს ე ქ ს პ ე დ ი ც ი ი ს მ ა ს ა ლ ე ბ ი ( ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა ) , ი ნ ა ხ ე ბ ა ის ტ ო რ ი ი ს , არ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს ა და ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ი ს ინ ს ტ ი ტ უ ტ ი ს კ ა ვ კ ა ს ი ა ს და სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ი ს ს ე ქ - ტ ო რ ი ს არ ქ ი ვ შ ი . მ ი ს ი ვ ე , ქ . დ უ შ ე თ ი ს ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა , თ ბ . , 1947 ( ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ) .

<sup>26</sup> ლ . მ ო ლ ო დ ი ნ ი , გ . ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე , სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ უ ხ ე უ მ ი ს დ რ ო შ ე ბ ი ს კ ა ტ ა ლ ო გ ი , თ ბ . , 1969 .

<sup>27</sup> ი ქ ე ე , გვ . 7 .

<sup>28</sup> М е с х и ა Ш . А . , Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.) , Тбилиси , 1959 . , с . 357 .

<sup>29</sup> და ბ ე ჯ დ ი ლ ი ა უ რ ნ . „მ ე ც ნ ი ე რ ბ ა და ტ ე ქ ნ ი კ ა“ , № 5 , 1956 , გვ . 15-17 .

<sup>30</sup> გ . კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა , ი რ ა ნ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ის ტ ო რ ი დ ა ნ , თ ბ . , 1968 . , გვ . 19 , 23 , 24 .

<sup>31</sup> ნ . ჯ ი ქ ი ა , სა ჭ მ ლ ი ს მ ო ს ა ხ ა რ ა შ ა ვ ი ს ს პ ი ლ ე ნ ძ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ქ ვ ა ბ ე ბ ი ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ი ს გა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ლ ი თ ო ნ ი ს ფ ო ნ დ ი ს მი ხ ე დ ვ ი თ , სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ უ ხ ე უ მ ი ს მ ო ა მ ბ ე , ტ . XXIX-B , თ ბ . , 1972 , გვ . 160 .

ქალაქური ხელოსნობის სხვადასხვა დარგებისა და შესაბამისი ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის შესახებ მდიდარი მონაცემები დაცული ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935-1937 წწ. შეკრებილ „მასალებში საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის“. აღნიშნული „მასალები“ ინახებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის მაშინდელი განყოფილების არქივში, რომლის უკანასკნელი არქივარიუსი მეც გახლდით 1974 წლამდე, როდესაც ეს „მასალები“ სათანადო ბრძანების საფუძველზე გადაეცა გამოსაცემად სარედაქციო-საგამომცემლო კომისიასთან არსებულ საპრობლემო ჯგუფს. სადღეისოდ დაბეჭდილია ამ „მასალების“ სამი ტომი ოთხ წიგნად<sup>32</sup>; სულ ნავარაუდევია მისი ხუთ ტომად გამოცემა. დანარჩენი მასალა ინახება სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის არქივში. ჩვენ ამ მასალას ვიცნობდით ჯერ კიდევ ხელნაწერში, ამჟამად გამოქვეყნებული ტომების ნაწილებს ვიმოწმებთ სათანადო ადგილას, ზოგჯერ მივუთითებთ ხელნაწერის — დედნის იმ ადგილს, ოც გამოცემულ წიგნებში არ შესულა. ხოლო ის მასალა, რაც საერთოდ გამოუცემელია, მითითებულია ხელნაწერის მიხედვით. „შინამრეწველობის მასალები“ მოიცავს საქართველოს ყველა კუთხეს. მაგრამ, როგორც თვით „მასალებში“ არაერთხელაა აღნიშნული, ხელსაქმისა და ხელოსნობის (დაბადობის, დერციკობის, ოქრომჭედლობის, ხარაზობის და სხვ.) ცენტრებს მაინც ქალაქები (თბილისი, სიღნაღი, თელავი, გორი) შეჰადგენდნენ. ასევე უთითებს აკ. სოხაძე, რომ მამაკაცის ეროვნული კოსტუმის მნიშვნელოვანი ელემენტი — ჩოხა ძირითადად იკერებოდა ქალაქებში (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ქუთაისი, ხონი, კულაში, საჩხერე, ზუგდიდი, სოხუმი)<sup>33</sup>. ქალაქებშივე (თბილისი, ქუთაისი, თელავი, გორი, ღუშეთი, ცხინვალი, ბათუმი, ზუგდიდი, სოხუმი, ცაგერი, ონი, მესტია) მზადდებოდა ქართული ეროვნული ტანსაცმლის ერთ-ერთი საინტერესო ელემენტი — ვერცხლის გობაკებიანი და აბზინდიანი ქამრები<sup>34</sup>. ასევე სოფელთან ერთად ქალაქი იყო ნაქსოვი ქამრის (ხვანჯრის) დამ-

<sup>32</sup> ტ. I — აღშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976; ტომი II, ნაწ. I — მეჭურჭლეობა, თბ., 1979; ნაწ. II — ქსოვა, ღებვა, ქარგვა; თბ., 1982; ტომი III, ნაწ. I — ტანისამოსი, თბ., 1983.

<sup>33</sup> Сохадзе А.К., Типы грузинской верхней одежды — чохы, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXX-B, თბ., 1974., გვ. 67.

<sup>34</sup> ლ. ბ. დუკიძე, ლ. ს. ს. ელია, მ. ჩართოლანი, სარტყლის კატალოგი, თბ., 1967, გვ. 7.



ზადების ადგილი<sup>35</sup>. ნ ვვათუა ქალის ეროვნული კოსტუმის აღწერის დროს იყენებს თბილისში, გორსა და თელავში ჩაწერილ მასალებს<sup>36</sup>. ქართული ეროვნული კოსტუმის კატალოგის მიხედვით, მისი კატალოგი (თბილისი, მცხეთა, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, თიანეთი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.) წარმოადგენდნენ ხელოსნობის სხვადასხვა ტრადიციული დარგების ცენტრებს, სადაც შემუშავდა აგრეთვე ქალაქის ბურჟუაზიული ფენებისათვის დამახასიათებელი კოსტუმი „მოქალაქისა“ და ხელოსნისა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ეს კოსტუმი ნაკლებად იყო გავრცელებული<sup>37</sup>.

„შინამრეწველობის მასალები“ შეკრებილია 30-იან, ხოლო ჩვენი 60 — 80-იან წლებში. მიუხედავად დროის ამ დიდი სხვაობისა, მაინც შესაძლებელი ხდება ბევრი საერთოს დადგენა ქალაქური ხელოსნობის გარკვეულ დარგებში, რაც ტექსტში შესაძლებლობის ფარგლებში ყველგანაა მითითებული.

„შინამრეწველობის მასალებშია“ დაცული თბილისელი ხელოსნების (ხარაზების, ხარატების, ოქრომჭედლების, დერციკების) შესახებ ი. გრიშაშვილის მიერ შეგროვილი მონაცემები, რის საფუძველზედაც დაწერილია პოეტის ორივე შრომა: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და „საიათნოვა“<sup>38</sup>.

ქალაქის ეთნოგრაფიული შესწავლის ხაზით განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემასთან დაკავშირებით 1981 — 1982 წწ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიისა და საქართველოს ეთნოგრაფიის სექტორის მიერ ჩატარებული სამუშაო, რაც მოიცავდა თბილისის ეთნოგრაფიის ძირითადი საკითხების — მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის — კვლევას. მიღებული შედეგები აისახა ჩვენს მიერ დაწერილ განმარტებულ ნაშრომში თბილისის მოსახლეობის XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისის ყოფა და კულტურა“ (ეს ნაშრომი განკუთვნილია თბილისის ისტორიის მრავალტომეულის II ტომისათვის).

<sup>35</sup> Караулашвили Ц. Г., Из истории грузинской материальной культуры (народные способы вязания и плетения в Кахетии), автореферат кандидатской диссертации, Тб., 1973, с.31 — 32.

<sup>36</sup> ნ ვ ვ ა თ უ ა , ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა (XIX-XX სს.), თბ., 1967., გვ. 108.

<sup>37</sup> ლ. მ თ ლ დ ი ნ ი , გ. ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული კოსტუმის კატალოგი, I ხეკსურული, თბ., 1964, გვ. 10.

<sup>38</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი , თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1967. ეს მასალაც შევიდა „შინამრეწველობის მასალების“ შესამე ტომში, სადაც ის ცალკეა გამოყოფილი „თბილისურის“ სახელწოდებით, გვ. 188.

ქალაქის ხელოსნობის შესწავლა ჩვენ დავიწყეთ 1966 წლიდან. კვლევის პირველ ობიექტად შერჩეულ იქნა სიღნაღი (ხელმოწერა ვიმუშავეთ 1976 წ.) შემდეგ გორი (1967 წ.)<sup>39</sup>, ახალციხე (1968 წ.)<sup>40</sup>, ქუთაისი (1969 წ.), ზუგდიდი (1970 წ.)<sup>41</sup>, თელავი (1971 წ.) უფრო ადრე აქ ვიმუშავეთ 1964 – 65 წწ; როდესაც თელავის მშრომელთა ყოფისა და კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით ამ ქალაქის რევოლუციამდელი პერიოდის წარმოსახენად წარმოდგენილი იყო ხელოსნური ამქრის საქმიანობაც. ბოლოს თელავში ვიმუშავეთ (1975 წ.)<sup>42</sup>, თბილისში (1960-61 წწ., 1981-1982 წწ.)<sup>43</sup>; ყველაზე ადრე ჩვენ შევისწავლეთ თბილისის ყაზახთა ამქარი (1960-61 წწ.). თბილისელი ფიქრების ყოფის ჩვენება ვარაუდობდა მეაბრეშუმეობის შესწავლას ქალაქში და იმ სპეციფიკის დადგენას, რაც სოფლად და ქალაქად ამ დარგის კვლევით ვლინდება; გაირკვა, რომ ქალაქში იგი ხელოსნობის დამოუკიდებელი, ხოლო სოფლად – შინამრეწველური დარგია. 1960 წ. თბილისის ყაზახთა ამქრის შესწავლა ძირითადად მაინც დედაქალაქის 1500 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. ფაქტიურად კი ამით საფუძველი ჩაეყარა ჩვენს მიერ ქალაქის ხელოსნობის შესწავლას, ხოლო 1981-82 წწ. თბილისის ხელოსნობის გამოკვლევა, როგორც აღინიშნა, დაიგეგმა თბილისის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემასთან დაკავშირებით.

ქალაქური ხელოსნობის უწყვეტი კულტურული ტრადიციების დამოწმების მიზნით ვიმუშავეთ თელავში (1971 წ.), რუსთავსა და უჯარმაში (1972 წ.)<sup>44</sup>, მცხეთაში (1977-78 წწ.)<sup>45</sup>. ამრიგად, ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოს ყველა ძირითადი ქალაქის ხელოსნური წარმოება. მასალა იკრიბებოდა გ. ჩიტაიას მიერ დამუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის მომარჯვებით.

<sup>39</sup> ნ. აბესაძე, ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, მსე, ტ. XVII-XVIII, თბ., 1972, გვ. 50.

<sup>40</sup> მ. ისიკვე, ქ. ახალციხის ხელოსანთა ამქარი, „ძიებანი კავკასიისა და საქართველოს ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 401.

<sup>41</sup> მ. ისიკვე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1978, № 1, გვ. 165.

<sup>42</sup> ნ. აბესაძე, ლ. ბერიძე, თელავის მშრომელთა ყოფისა და კულტურის ზოგიერთი საკითხი, „საქართველოს მუშათა ახალი ყოფა და კულტურა“, თბ., 1965, გვ. 7; ნ. აბესაძე, ქ. თელავის ხელოსნური ამქარი, მსე, ტ. XX, 1979, გვ. 45.

<sup>43</sup> მ. ისიკვე, თბილისელი ფიქრები (ყაზახთა ამქარი), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1964, № 5, გვ. 135.

<sup>44</sup> ნ. აბესაძე, კახეთის ქალაქების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, მსე, ტ. XVIII, 1975, გვ. 3.

<sup>45</sup> მ. ისიკვე, ქ. მცხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, მსე, XXI, 1981, გვ.



პრავალი წლის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ქალაქებში კარგად იყო წარმოდგენილი ხელოსნობის განვითარებული დარგები, რომ ხარაზობა, ქალაქური ხელოსნობის წამყვანი დარგია მთელ საქართველოში. დანარჩენ დარგთაგან დაბადობა, დერცოკობა, კერამიკული ჭურჭლის წარმოება, მჭედლობა — ოქრომჭედლობა, ნალბანდობა, დურგლობა, ხარატობა და სხვ. წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ქალაქებში — თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი; იარაღის, სპილენძის ჭურჭლის, ვერცხლის აქურული საგნების დამზადებით განთქმული იყო ახალციხე, ხოლო „ტიპიური აზიური ხელობით“ (მეუნავიროება, თერძობა, წუღა-მესტის, აზიურის ანუ „აზიაცკის“ დამზადებით) კი დასავლეთი საქართველო.



ხ ე ლ ო ს ნ უ რ ი    წ ა რ მ ო ე ბ ი ს    ხ ა ლ ხ უ რ ი    ხ ე რ ხ ე ბ ი

**დაბადი.** დაბადობა, როგორც აღინიშნა, დაწინაურებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში (თბილისი, გორი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე).

დაბადები ყასბებისაგან ყიდულობდნენ ტყავს. **ს ა ძ ი რ ე დ** კამეჩის და ხარის, **ს ა ძ ი რ ე დ** ხბოს, ცხვრისა და თხის ტყავი გამოიყენებოდა. ცხვრის ტყავს — მეშია, თხის ტყავს — სამოგვე, ერთი წლის ხბოს ტყავს ქოსალა ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი, მთხრობელთა ცნობით, უმაგრესი ტყავია ხარაზობაში.

ტყავის დამუშავება, როგორც ცნობილია, **და ბ ა ხ ა ნ ა შ ი** წარმოებდა. თბილისში დაბახანა მტკვარზე, „დაბახანის ხევზე“, იყო გამართული, გორში კი ქალაქგარეთ — „დამბარეულში“, ეწყობოდა, სადაც მრავალი წყარო მოედინებოდა.

78 წ. დაბად ილია დავითის ძე წაქაძის (გორი, 1967 წ.) ცნობით, **ს ა ძ ი რ ე დ** და **ს ა ძ ი რ ე** თითო-თითო თვე შზადებოდა, მეშის დამზადებაზე ნაკლები დრო იხარჯებოდა.

თითო თადარში კამეჩის ხუთ ტყავს ათავსებდნენ. დაბახანაში ასეთი თადარი 100 მაინც იქნებოდა. ხუთ ტყავს ორი სათლი ქატო, ამდენივე სიმინდის ფქვილი და 10 სათლი წყალი სჭირდებოდა. სიმინდის ფქვილი და ქატო თბილ წყალში იხსნებოდა<sup>1</sup>. სამი დღე ტყავი აუზში უნდა დამბალიყო შემხმარი სისხლის მოსაშორებლად. დამბალ ტყავს ლემისაგან **დ ე მ უ რ ი თ** (საფხეკი დანაა) წმენდდნენ, ერთი დღე ცივ წყალში ათავსებდნენ, შემდეგ ქატოსა და სიმინდის ფქვილის ხსნარში ჩადებდნენ, რაშიც ტყავი „**მ ქ ა ვ დ ე ბ ო დ ა**“, „ბალანი სცვიოდა“. ორი კვირის განმავლობაში ტყავი ორჯერ უნდა დამუშავებულიყო ქატოსა და ფქვილის ხსნარში. მას ყოველ დღე ესაჭიროებოდა „დახელება“ — გადატრიალება-გადმოტრიალება. შემდეგ ხდებოდა მისი თადარიდან<sup>2</sup> ამოლაგება და **ვ ა რ ა ჩ ო ხ ე** ბეწვის

<sup>1</sup> შდრ. ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, ტყავის დამუშავების ისტორიიდან, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1957, № 10; „მინამრეწველობის მასალები“, ტ. III, ნაწ. I, „ტანისამოსი“ გვ. 20.

<sup>2</sup> თბ. ლისში თადარს **კ ო ს რ ე ბ ს** უწოდებდნენ (76 წ. სურენ გვერტის ძე ოვაკიძე, 1981 წ.); ახალციხეში სიმინდის ფქვილისა და ქატოს ნაცვლად იმბარებოდა ქერის ფქვილის ნახავი (78 წ. ალექსი მარტიროსის ძე ძანუჯიანი, 1968 წ.).


გაცლა. ამას მთხრობელები თუქლამის უწოდებდნენ. შემდეგ ტყავს ქარხნის (სახელოსნო) იატაკზე დაალაგებდნენ დასაწურად. როცა კარგად დაიწურებოდა, მშრალს მარილს მოაყრდნენ. ერთ თაღარს 1 სათლი მარილი უნდოდა. მარილში ტყავი სამი დღე იქნებოდა. ამ პროცესს „ნამაქოი // ნამაქუ“ ეწოდებოდა. მთხრობელთა ცნობით, მარილს, სიმინდის ფქვილსა და ქატოს ტყავიდან წვენი გამოჰყავდა. მარილში ტყავის გადაბრუნებას შორი ერქვა.

ი. ნანობაშვილის მიერ თბილისში ჩაწერილი მასალების მიხედვით „ნამაქუს“ შემდეგ ტყავს მჭრელი დანით გაწიკბავდნენ, რასაც არ უწოდებოდა. ნამაქუ და არუ ერთად შორს წარმოადგენდა<sup>3</sup>.

გორში 1967 წ. ჩაწერილი მასალებით, შორის შემდეგ ხდებოდა ტყავის თაღარიდან ამოყრა, ქარხნის იატაკზე დალაგება, ბალნის ფხეკა ვარაჩოხე. ეს ოპერაცია დაბღებში ჰარი სახელწოდებითაა ცნობილი. მას მოსდევდა ტყავების დამუშავება თრიმლით. ხუთ ტყავს ორი სათლი თრიმლი და 10 სათლი წყალი სჭირდებოდა. ეს იყო პირველი შორი — ორ-სამსაათიანი იყო. ამის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, დაბახანის იატაკზე დაალაგებდნენ დასაწურად. დაწურულს ვარაჩოხე ჩამოვიდებდნენ და დემურით ფხეკდნენ. პირველ შორს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე შორი მოჰყვებოდა. ამავე დროს ყოველი შორის განმეორებისას ხდებოდა თრიმლის რაოდენობის (1 სათლით) მატება და მასში ტყავის დატოვების გახანგრძლივება ერთი დღით. ყოველი ოპერაციის შემდეგ ტყავს იღებდნენ თაღარიდან, იატაკზე წურავდნენ და ვარაჩოხე ფხეკდნენ. ბოლო-მეხუთე შორი ერთ-ორსაათიანი იყო, ამის შემდეგ ტყავს ლატანებზე ფენდნენ გასაშრობად. მხეზე გაფენას ერიდებოდნენ, რომ ტყავი არ დამსკდარიყო. თანდათანობით გამშრალ ტყავს ჭილობით წმენდდნენ. „წყალი არ უნდა შეჰყვეს ტყავს, თორემ დაობდება“ — გადმოგვცემენ მთხრობელები.

საკირე ამგვარადვე მზადდება, მაგრამ ის ჯერ კირით უნდა დამუშავდეს. ამ პროცესს მთხრობელები ავდანას უწოდებენ. თაღარში თხის ან ცხვრის 100 ტყავს ერთად ამუშავებენ 20 სათლი კირითა და 50 სათლი წყლით. კირით ტყავის დამუშავება ორი კვირის მანძილზე ხდება; მას მოსდევს ბალნის გაცლა მიზანით, ამას — ტყავის დამუშავება ისევ კირით, შემდეგ — ქატოთი (50 თხის ტყავს 5 სათლი ქატო და 30 სათლი წყალი უნდა). მთხრობელთა გადმოცემით, ქატო კირს აღნობს და გამოჰყავს. ამ პროცესს თხის თილოვი ეწოდება. ამის შემდეგ ტყავს თრიმლით ამუშავებენ. პირველად 50 ტყავს სამი სათლი თრიმლი და 10 სათლი წყალი სჭირდება.

<sup>3</sup> ი. ნანობაშვილი, თბილისის დაბახანები, მსკ, ტ. X, 1959, გვ. 182.



აქაც ოთხჯერ ხდება დამუშავება თრიმლის რაოდენობის მიმატებით, წყლის ოდენობა უცვლელია. თრიმლს მარილში დამუშავების მოსდევს. შემდეგ ტყავს ათავსებენ ძველი თრიმლის წყალში ათით, მერე კი ფენენ გასასრობად. მშრალს ფხეკენ ჭილობით, მას უფროს კეთება ეწოდება<sup>4</sup>. საპირეს თხის ან ძროხის ქონით აპრიალებენ (ერთ ტყავს 2 გირვანქა ქონი სჭირდება) ფიშალის (ცხვრის გამხმარი ტყავი) შემწეობით. ქონი იმდენი უნდა წაესვას, რომ ტყავი გაძღეს, მაგრამ არ უნდა გაიყინოს მასზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყავს კვლავ ცივ წყალში ალბობენ და შემდეგ შემთბარ ძველი თრიმლის წვენში საბჯერ ამუშავებენ. ასე დამზადებულ ტყავს დებავენ რუსულ ძაღაში ან ლეკისაში (მიწაა). ტყავს სათითაოდ დებავენ ფიშალით, მერე ცივ წყალში ავლებენ და თოკზე ჩრდილში გაფენენ; მზე არ უნდა მოხვდეს, თორემ კარგად არ შეიღებება.

ერთნაირ ხუთ ტყავს, ერთად შეკრულს, დასტა ეწოდება. თითო ტყავი დაბადის ხელში 18-ჯერ მაინც უნდა მოქცეულიყო. კეტით იწურებოდა ტყავი თრიმლიდან. თუ უკვე მუშტარი ჰყავდათ, ტყავს ლატანზე გადაკიდებდნენ გასასრობად, თუ არა — დაბოხჩავებდნენ შემკვეთის მოსვლამდე (ქ. თელავი, 1971 წ.).

თრიმლს შირაქში ჭრიდნენ, ახმობდნენ და წისქვილში ფქვავდნენ. „ტყავი თრიმლში კეთდება, გამოდის“ (63 წ. დაბალი საქულა ალექსანდრეს ძე აირაპეტოვი, სიღნაღი, 1966 წ.).

**მექალამნეები** ცალკე ამქარს ქმნიდნენ გორში, მაგრამ შეგირდის დალოცვას ისინი ხარახებთან აწარმოებდნენ სამღვთოზე, ვინაიდან მათ საკუთარი ბაირაღი არ ჰქონდათ. 73 წ. მექალამნე შაქრო გიორგის ძე ყურელის (გორი, 1967 წ.) ცნობით, გორში მექალამნეებს 30 „დუქანი“ ჰქონდათ. დაბლებისაგან განსხვავებით მექალამნეები თვითონ ამუშავებდნენ ტყავს ხის კასრებში. თითო ასეთ კასრში ხარის ან კამენის 5-6 ტყავი ჩალავდებოდა (თუ დიდი ტყავი იყო — 3-4, თუ პატარა — 8-9). კირი ერთი-ორი სათლი მოუნდებოდა. ტყავს ყოველ დღე სჭირდებოდა გადაბრუნება. შემდეგ ამოიღებდნენ, ჩამოკიდებდნენ და ბალანს გააცლიდნენ, წყალში გაავლებდნენ, ჭილობზე გაშლიდნენ და შაბმარილს მოაყრიდნენ იმ ვარაუდით, რომ ერთ წილ შაბზე ორი წილი მარილი მოსულიყო (მაგ., 5 გირვანქა შაბზე 10 გირვანქა მარილი). მარილიანს ჩამოკიდებდნენ, დაჭიმავდნენ და მზეზე გაახმობდნენ.

<sup>4</sup> თბილისელი დაბლები ტყავს დაზვაზე ჭიმავდნენ და „ყულაბით\დულაბით“ (მუხის ხისა) ლესავდნენ (50 წ. მარო ვასილის ასულ კობალეიშვილი-მირზიაშვილის ცნობა, 1981 წ. ქ.თბილისი).

გამხმარ ტყავს შოლტებად დაჭრიდნენ საქალამნედ. ტყავის თხელ ნაწილს — ვერდსა და მუცელს — თასმად გრეხდნენ და იმით კერავდნენ ქალამანს. საქალამნე კ ა ლ ა პ ო ტ ი ხარაზულისაგან განსხვავებული იყო (მისი ნაწილებია — ხ ვ ა ლ ი, ფ ე ს ვ ი ს ს ო ლ ი, კ ა ლ ა პ ო ტ - შ ი ჩ ა ს ა დ ე ბ ი). ხ ვ ე დ ა იხმარებოდა ქალამნის სადგისით გახვრეტისას, ტყავის გასასწორებლად. მთხრობელთა ცნობით, ნეკერჩხლის ხის სარტყამი ხვედა სხვა იყო, რცხილის ხის გასასწორებელი ხვედა — სხვა. მექალამნის სადგისი და დაზვა ხარაზულისაგან განსხვავებული, უფრო პატარა იყო. თითბრის მუშტას ტყავის გასასწორებლად ხმარობდნენ, ჯ ე ვ ი ჩ ს ბალნის მოსაშორებელ დანად, ტყავის გასაჭრელი დანა სხვა იყო.

იკერებოდა უფრო ე. წ. ქ ა რ თ უ ლ ი ქ ა ლ ა მ ა ნ ი<sup>5</sup>. შაქრო ყურელის ცნობით, ქართული ქალამნის კალაპოტი მამაკაცისაა. ქალამნის მორგება ფეხზე ხდებოდა; არსებობდა დიდი და პატარა კალაპოტი. მექალამნე თვითონ მოარგებდა მას შემკვეთს. ქალის ქალამანი, შაქრო ყურელის ცნობით, იშვიათად იკერებოდა, მას უფრო ოსის ქალები ხმარობდნენ მთაში. შედარებით ძნელი იყო კ ა ხ უ რ ი — ე. წ. ჩუსტური ქალამნის დამზადება, მას ერთი-ორი თუ კერავდა გორში. კახურ ქალამანს ტყავიც მეტი ესაჭიროებოდა. მაგ., თუ ჩვეულებრივი, გარკვეული რაოდენობის ტყავისაგან წყვილი კახური ქალამანი იჭრებოდა, ქართული სამი ცალი გამოვიდოდა. შაქრო ყურელის ცნობით, ხშირად ქალამანი ჩექმის ყელისაგანაც იკერებოდა.

მექალამნეები გორში კათოლიკეების („ფრანგების“) ეკლესიასთან იხსდნენ. შეკრებილი მასალის მიხედვით, თითო ოსტატს ორი-სამი შევირდი და ამდენივე ქარგალი ჰყავდა.

დაბად ილო დავითის ძე წაქაძის ცნობით, გორში ერთ ოსტატს ერთი ქარგალი და ორი შევირდი ჰყავდა. თბილისის დაბახანები კი შევირდ-ქარგალთა სიმრავლით გამოირჩეოდა. 50 წ. მარო ვასილის ასულ კობალეიშვილ-მირზიაშვილის ცნობით, ერთ „ხაზინთან“ 50—100 კაცი მაინც მუშაობდა.

**ხარაზი.** ხარაზობა, როგორც აღინიშნა, ქალაქური ხელოსნობის წამყვანი დარგია, ამდენად ის საქართველოს ყველა ქალაქში იყო წარმოდგენილი. სიღნაღში ხარაზთა ამქარი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. ფაქტიურად ის ორ ამქარს — ახალგაზრდებისას და მოხუცებისას (ანუ „ზემო“ და „ქვემო“ ამქარს) აერთიანებდა. სიღნაღის ხარაზთა ამქარში შედიოდნენ აგრეთვე ახლო მდებარე სოფლების — ანავისა და ნუკრიანის ხარაზები.

<sup>5</sup> შდრ. შ.ძ., ტანისამოსი, გვ. 53; შდრ. ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

ხარაზები ორშაბათობით დაბდებისაგან ნისიად ან ნაღდად იძენ-  
დნენ ნედლეულს. კვირაობით დღეობებზე დადიოდნენ ორშაბათობით კი არ მუშაობდნენ, მხოლოდ ნედლეულს  
დაბდებისაგან, ამიტომ ისინი ორშაბათს „პატარა კვირას“ უწო-  
დებდნენ.

მოხრობელთა გადმოცემით, მაშინ მხოლოდ „ვარშავის“ ტყავის  
ფეხსაცმელი იყო, რომელიც მეტად ძვირად ფასობდა, ამიტომ ხარა-  
ზების შეკერილ წულებს დიდი გასაჯალი ჰქონდა ხალხში. 80 წ.  
ივანე სერგოს ძე ხატიევის (სიღნაღი, 1966 წ.) თქმით, ის „ისეთ  
ხარისხიან“ წულას კერავდა, რომ წელიწადში თურმე გლეხს მხოლოდ  
ორი წყვილი სჭირდებოდა.

79 წ. არტო გიორგის ძე გოგვიტაშვილის ცნობით, თელავში (1971 წ.  
მასალებით) იკერებოდა ყ უ რ ი ა ნ ი და კ ი ლ ი ტ ე ბ ი ა ნ ი, მ ა -  
ღ ა ლ პ ი რ ი ა ნ ი წ უ ლ ე ბ ი. ამასთანავე მამაკაცის მაღალპირიანი  
წულა იჭრებოდა თარგით და იკერებოდა კალაპოტში, ხოლო გორში  
(1967 წ. მასალებით) მოწონებაში იყო გ ა მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი, ე.წ.  
ა დ ე ლ ხ ა ნ ო ვ ი ს ჩ უ ს ტ ი.

ქუთაისში იკერებოდა მ ო ხ დ ი ლ ი, გ უ რ უ ლ ი, ყ უ რ ი ა ნ ი,  
თ ა ს მ ე ბ ი ა ნ ი, ქ ა ლ ი ს ა და ბ ა ვ შ ვ ი ს წ უ ლ ე ბ ი, უ ძ ი რ თ  
და ს ა ც ვ ე თ ი. ქალის წულა მოხდილი იყო, წინ გაჭრილი, ბავ-  
შვისადასეთივე, ოღონდ ყელიანი. მოხრობელთა გადმოცემით, გურულ  
წულას ერთი კალაპოტი ჰქონდა, ხოლო ყურიანის მარჯვენა და მარცხე-  
ნა ფეხის კალაპოტები ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო, ტერფის  
გარკვეული ზომის შესაბამისი. ასე მაგ., მამაკაცის კალაპოტის ზომები  
იყო 26-31, ქალის 24-28, ბავშვისა — 15-20<sup>6</sup>.

კალაპოტს მისი მოხელე — მ ე გ ა ლ ა პ ო ტ ე, ამზადებდა. ქუთაის-  
ში მეკალაპოტეების 7-8 სახელოსნო იქნებოდა.

ხარაზის ძირითადი სამუშაო მაგიდა ხის დაზგა იყო. მომარაგე-  
ბული უნდა ჰქონოდა მას აგრეთვე კალაპოტში ჩასადები ხის (რცხი-  
ლის ან თხილის, 100 წყვილი მაინც) ხ ა ბ ს ვ ლ ე ბ ი და ს ო ლ ი.  
დაზგასაც და ხაბსვალსაც ხელოსანი აკეთებდა. ამ მხრივ განთქმული  
იყო ოქრუა ოსტატი. დაზგისა და იარაღებისათვის საჭირო ხის მასალა  
(კაკალი) გლეხებს მოჰქონდათ სოფლიდან. დაზგა ორი-სამი უნდა  
ჰქონოდა ხარაზს, ასევე ექნებოდა თ ი თ ბ რ ი ს მ უ შ ტ ა — ტყავის  
გასასწორებელი, ჯ ე ვ ი ჩ ი — ტყავის საჭრელი დანა, კ ა რ ა ნ ი ჩ ი —  
ტყავის ჩამოსაჭრელი, მ ა ხ ა თ ი. ოსტატი — „ხაზეინი“ წულას თვითონ  
გამოჭრიდა, ქარგალი მას ძირს, სარჩულს უკეთებდა.

<sup>6</sup> 77 წ. ხარაზ ტარასი ივანეს ძე ჯანაშიას ცნობით (ქ. ზუგდიდი, 1970 წ.) წულის  
ზომები იყო მამაკაცისა (№ 26-32), ქალისა (25-27), ბავშვისა (18-20). დიდი ზომის  
კალაპოტს უ ლ ო რ თ ა, ხოლო საშუალოს — უ შ გ ა რ ა ეწოდებოდა. შდრ. შ.მ., გვ. 251.



ხარაზები კერავდნენ ბამბის ძაფით. დართულ ძაფს ყიდულობდნენ თვითონ თ ხ უ ს ა ვ დ ნ ე ნ, სანთლავდნენ წმინდა სანთლავ კერავდნენ. საბაზრო ჩუსტებს კერავდნენ წმინდა ძაფით, შეკვეთებს — მსხვილი ძაფით. ხარაზი კერავდა აგრეთვე ფლოსტებს — ტ კ ა ც უ ნ ე ბ ს.

მთხრობელთა ერთი ნაწილის გადმოცემით, ხარაზი ჩექმასაც კერავდა, ოღონდ ქ ა რ თ უ ლ ჩ ე ქ მ ა ს, რომელსაც ცხვირი მოკაუჭებული ჰქონდა. ჩექმა იყო ორნაირი: თ ა ვ ა დ უ რ ი და ს ი რ ა ჯ უ ლ ი. თავადური უფრო ფაქიზად იკერებოდა, კვირისთავთან ფუნჯი ჰქონდა ჩამოკიდებული. ჩექმის შუა ნაწილი — ყ ა ვ ა დ ი ბუზმენტით იკერებოდა, დილები ყაითნის უკეთდებოდა. სირაჯისას არც ფუნჯი ჰქონდა, არც ბუზმენტი და არც ყაითანი<sup>7</sup>. მთელი ქუსლი იკერებოდა ძაფით. შემდეგ შემოვიდა მჭედლის მიერ მოჭრილი თავიანი ლურსმანი. ქუსლი ბ ი ს ი თ იხვრიტებოდა და ყოველი ნაჭერი ცალ-ცალკე კეთდებოდა. თავადურის ქუსლი წვრილი იყო და უზანთუნიაანს აკრავდნენ ნალად. სირაჯულს ხუთკბილიანი ნალი ეკრა, ორი ჩექმის წვერზე და სამი ქუსლზე. ქუსლის ნალის კბილების სიგრძე — 3,5 სმ, ხოლო წვერისა — 2,5 სმ იყო.

როგორც აღინიშნა, ხარაზები წულებსაც კერავდნენ, რომელსაც კალაპოტიდან ამოდებადეს ს ა ლ ე ს ი ჯ ო ხ ი თ (შინდის) აპრიალბდნენ. მთხრობელთა ცნობით, ჯოხი აუთოებდა, პეწს აძლევდა წულებს. ს ა ც ვ ე თ ი ანუ ტ ყ ა ვ ი ს პ ა ი ჭ ი ჩექმის ყელივით იყო, გვერდზე შესაკრავად ოთხი დილი ჰქონდა.

დასავლეთ საქართველოს ხელოსნური წარმოებისათვის ტიპიურია „აზიური დარგის ხელობა“, რაზედაც პირდაპირ მიგვითითებენ მთხრობლები. აზიური ხელობა მოიცავდა უნაგირის, წულა-მესტის, „აზიაცკის“, სარტყელ-ქამრის დამზადებას. ყველა ეს ტყავის ნედლეულს ეფუძნებოდა და მის გარშემო იყო კონცენტრირებული ხელობის სხვა დარგები. მაგ., ოქრომჭედლები ამზადებდნენ უნაგირისა და ქამრის ლითონის ნაწილებს. მთხრობელთა გადმოცემით, ვერცხლის მოსართავს მხოლოდ თავმოძწონე თავადი თუ ატარებდა. ჩვეულებრივ, უნაგირისა და სარტყლის ლითონის ნაწილები მზადდებოდა მდარე ხარისხის ვერცხლისაგან — „ვარშავისგან“, რაზედაც, მათი გადმოცემით, მხოლოდ ლეკები მუშაობდნენ. ამ ხელობაში განსწავლული ყოფილა იდრისი ჯანმირზავეი. (ხუგდიდი, 1970 წ.).

მთხრობელთა გადმოცემით, უნაგირი თავისი მოწყობილობით 200 ნაჭრისაგან შედგებოდა. მისი ნაწილებია: ს ა ძ უ (საძუე), ს ა მ კ ე დ ე, გვერდზე მოსაჭერი — ბ უ დ ნ ე ბ ი, მის ქვემოთ ტყავის ს უ ა, ა ბ ყ ა ნ დ ი, უ ხ ა ნ გ ი (რკინის). ქუთაისში (1969 წ.) მოპოვებული

<sup>7</sup> შ.პ., ტანხამობი, გვ. 192, 194.

მასალით უნაგირის ნაწილებია: ა ბ ჟ ა ნ დ ი ს დ ვ ე დ ი, ა დ ვ ი რ ი, ს ა ძ უ ე, ს ა მ კ ე რ დ უ ლ ი // ს ა მ კ ე დ ი. უხანგს და ლაგვან ვერცხლის სევადა უკეთდებოდა. ზუგდიდში ამ ხელობით ცნობილი ყოფილა მეთო ხურცილავა.

უნაგირისათვის საჭირო ხის ნაწილს კეხს (იგი წიფლის ხისაგან მზადდებოდა) შონიები ამზადებდნენ სოფ. ფახულანში (ზუგდიდის რ-ნი). ამ ხელობით განთქმული ყოფილა სიკო შონია. თვით უნაგირის ტყავი ფაბრიკული იყო და ის, მთხრობელთა ცნობით, თბილისიდან, ბათუმიდან და უცხოეთიდან შემოდებოდა. ეს იყო ე.წ. „შიგრინის ტყავი“. მოსართავის დვედს კი მეუნაგირე თვითონ ამზადებდა ხარის ტყავისაგან, თუმცა მისი მკეთებელი ხელოსანიც ცალკე არსებობდა.

დვედი კეთდებოდა გრძელი და მოკლე; ერთი ხარის ტყავი ეყოფოდა ხუთი უნაგირის მოსართავს. ხარის ტყავს ოთხად ჭრიდნენ, რეცხავდნენ დელეში, მერე სახელოსნოში („დარაბა“) სპეციალურ ხელსაწყოში ბ ა ჭ ა ჭ ყ შ ი დაჭიმავდნენ. შემდეგ იგი საჭიროებდა სათანადო დამუშავებას — დაზელვას პროხის ქონით. ტყავის ზელება წარმოებდა მისთვის განკუთვნილ სპეციალურ მანქანაში. შემდეგ ტყავს თბილ წყალში გარეცხავდნენ, გააშრობდნენ და კვლავ „ბაჭაჭყში“ ჩადებდნენ გასასწორებლად. ასე დამზადებული ტყავის საუკეთესო ნაწილს მოსართავად ხმარობდნენ, სხვა ნაწილებს კი — ლაგამისა და ბუნებისათვის.

მეუნაგირე ამზადებდა წულა-მესტსაც. წულა უძირო იყო, მას ფეხზე მოირგებდნენ, რამდენიმე დღეს ასე ატარებდნენ, ხოლო შემდეგ ძირს („პერედას“) გამოაკერებდნენ. უძირო წულა, რომელსაც გურულიც ეწოდებოდა, „შიგრინიდან“ იკერებოდა და ფართო მოხმარებით ხასიათდებოდა. 77 წ. ხარაზ ტარასი ივანეს ძე ჯანაშიას ცნობით, მას ისეთი კალაპოტი ჰქონდა, რომ ორივე ფეხს მოადგებოდა (მამაკაცის ზომებია 35-დან 40-მდე). მთხრობელთა გადმოცემით, „პერედას“ უძირო ქალიშვილებისათვისაც იკერებოდა (მისი ზომებია 27-30).

წულა-მესტზე იცოდნენ ტყავის ლ ე კ ვ ე რ თ ხ ი ს შემოჭერაც, საამისო ტყავს მეუნაგირე თვითონ ამზადებდა. ლეკვერთხი ლითონის ა ბ ზ ი ნ დ ი თ (ე ნ ა და მ ა ნ ი კ ი) მთავრდებოდა, რომელსაც ლეკები ამზადებდნენ. ლეკვერთხი მანქანაზე იყო ნაკერი (სიგრძით 40-45 სმ). მას თავადიშვილები და თავმომწონე ახალგაზრდები ატარებდნენ. მოცეკვავე უფრო განიერ ლეკვერთხს იკეთებდა, სიგანე მისი 1,5 სმ შეადგენდა, სიგრძე ნებისმიერი იყო.

მეუნაგირე<sup>8</sup> მათრახსაც კერავდა. თასმას, რითაც მათრახი იკრებოდა, შიგ ტყავს დაატანდა, რომ იგი მრგვალი გამოსულიყო. თასმა თხის ტყავისა იყო, ტარი — ხისა; მათრახს გარედან ტყავს გადააკერებდნენ. სატარე მასალა ხელოსანთან გლუხებს მოჰქონდათ<sup>9</sup>.

მეუნაგირე ამზადებდა აგრეთვე ნაბდისათვის განკუთვნილი ტყავის თასმას — შ ი ბ ი ლ ს ა ნ უ ბ ე ჭ ი ლ ს, რომელიც ნაბდის ყელს გარს უვლიდა. თუმცა ნაბდის კერვა ძირითადად თერძის საქმიანობას შეადგენდა, მაინც ბოლო ხანებში მეუნაგირეებსაც მიუწვდებოდათ მასზე ხელი.

72 წ. გრიგოლ როსტომის ძე შელიას თქმით, კაცი უცხენოდ არ ვარგოდა ძველ დროში. ცხენი, უნაგირი და ნაბადი გამოხატავდა ვაჟკაცის ღირსებას. აზიურ წაღას (ჩექმას) ანუ აზიაცკს ცალკე მოხელე „შიგრინიდან“ კერავდა. ის იყო ორი სახის: ყურიანი — გადაკერებული და მთლიანი. ყურიანს, თხელძირიანს, ატარებდნენ ცხენოსნები. მეტი იყო მოთხოვნა წულა-მესტზე, თავმომწონე ხალხი კი, მთხრობელთა ცნობით, აზიურ წაღას (ხარაზულ ჩექმას), უფრო „ყურიანს“, იცვამდა. ყველას თავისი კალაპოტი ჰქონდა. აზიურ წაღას იცვამდნენ პირდაპირ ტიტველ ფეხზე, რაზედაც საპონს წინასწარ კარგად წაისვამდნენ. აზიური წაღის შეკერვა 12-15 მან. ღირდა, წულა-მესტისა კი 7 მან. აზიაცკის ზომები ჩექმისაგან განსხვავებული იყო (№ 31-29-28).

დასავლეთ საქართველოს ხარაზები ტყავს უფრო მეტად თბილისში ყიდულობდნენ. საპირე და სტობით მოჰქონდათ. ერთ დასტაში, მათი ცნობით, 30 წყვილი საპირე გამოვიდოდა. ნახევარი ტყავიდან 20-25, ზოგჯერ 30 წყვილიც კი გამოიჭრებოდა. 73 წ. აკაკი პეტრეს ძე ნადარაიას ცნობით, ზუგდიდში 40 დუქანი იყო ხარაზებისა, მეუნაგირეებს კი 20 დუქანი ჰქონიათ, გადმოგვცემს 74 წ. იონა მარკოზის ძე სიჭინავა.

როგორც აღინიშნა, ხარაზი მხოლოდ აზიურ და ქართულ ჩექმას კერავდა, ცალკე იყო მეწაღე (მეჩექმე), რომელიც „ნამდვილ“ (ევროპულ) ჩექმას ამზადებდა, მაგრამ ყარაჩოღელების საყვარელ ე.წ. დაკეცილ ანუ გარმონ წაღას მხოლოდ ხარაზები კერავდნენ. 80 წ. ხარაზის გიორგი სოლომონის ძე მაისურაძის ცნობით, „ჩექმას ჩვენ არა ვკერავდით, დავაკეცინებდით ხარაზს, 5 მან. ღირდა დაკეცვა. გამოყვანილში. ცხელ წყალს ჩავასხამდით, სამ დღეს დავტოვებდით,

<sup>8</sup> სიღნაღსა და თელავში მეუნაგირეს სარაჯი ეწოდებოდა. იგი აკეთებს უნაგირს, ცხენის მოსართავს, ქართულ ქაშრებს თითბრისა და ვერცხლის შესაკრავით, თალათინურ ქალამანს, ურმის შოლტებს.

<sup>9</sup> დაჭრელებული ხის ტარი ბორჯომის მხრიდან შემოდისოდა.



ამოვიღებდით და უკვე დაკეცილი იყო“. მეწადე კერავდა ფეხსაცმელსაც და ცარსკებსაც, რაც სამხედრო პირებს ეცვათ, ანტიფუნგუალური მდაბიო ხალხიც ატარებდა. თავადებს ჩექმები ეცვათ, წვეტიანი თებდნენ მესტებს.

პირველ წელს ოსტატი შევირდს ასწავლიდა ლანჩის დადებას: ოსტატი ლანჩას გადაჭიმავდა, შევირდი გაასწორებდა, გვერდებს დაუჭიმავდა, ლურსმნებს დააჭედებდა, ხანდახან შეაკეთებდა. მერე ოსტატი მას „რანტის“ შეკერვას და ქუსლის დარტყმას ასწავლოდა.

67 წ. ანტონ ლახარეს ძე ოქროპირიძის გადმოცემით, გორში ხარაზთა 145 დუქანი იყო და თითოეული ხარაზი კვირაში 160 წყვილ წუღას კერავდა. ხარაზთა სახელოსნოში, მთხრობელთა ცნობით, ხუთი კაცი მუშაობდა — ორი ამხანაგი თავისი ქარგლებითა და ერთი შევირდით. სამზე ნაკლები საერთოდ ერთ სახელოსნოში არ იქნებოდა; ზოგჯერ ჰყავდათ სამი შევირდი და ოთხი მუშა (ქარგალი), მაგრამ ისეთი სახელოსნოებიც იყო, სადაც ერთ ოსტატთან 14-15-20 ქარგალი მუშაობდა.

ქალის ფეხსაცმელი იკერებოდა ქუსლიანი; უკეთდებოდა ტყავის დაბალი და მაღალი ქუსლი, ცხვირი გრძელი ჰქონდა, იყო უცხვიროც. მეწადე მუშაობდა ფაბრიკულ ტყავზე. ეს იყო ის „ვარშავის“ ტყავი, რომელიც ლოძიდან მოჰქონდათ დიდვაჭრებს თბილისში, შემდეგ სხვა ვაჭრები ყიდულობდნენ მას და გაჰქონდათ საქართველოს ქალაქებში.

66 წ. სიღნაღელი მეწადის ვანო ყაითმაზოვის ცნობით, ჩექმას მეწადე სამ დღეში შეკერავდა (იგი 12-15 მან. ღირდა), ფეხსაცმელს (8 მან.) კი ორ დღეში, ზოგჯერ ჩექმას კვირაში სამ წყვილს დაამზადებდა. მზა პროდუქციას მყიდველი ადგილობრივ, მეწადის სახელოსნოში, ყიდულობდა; ხელოსანს თავისი ნაწარმი ბაზარზე არ გაჰქონდა, რაც ძირითადად დამკვეთის რაოდენობითა და გემოვნებით იყო შეპირობებული.

**ჭონი** თვითონ ამუშავებდა ტყავს ქატოთი იმ ვარაუდით, რომ ტყავს ბეწვი შერჩენოდა. ქატოდაყრილ ტყავს ერთ კვირას აჩერებდა, მერე გაფენდა, კვლავ ქატოს დააყრიდა, შემდეგ რამდენჯერმე კარგად გარეცხავდა გამდინარე წყალში (სიღნაღი, 1966 წ.).

თელავში (1971 წ.) ჭონები ტყავს აუზში რეცხავდნენ საპნით, ჭ უ ჭ ყ ს ამორებდნენ და შემდეგ ჯ ა ფ ი თ ფხეკავდნენ ლემის მხრიდან; ტყავს ამუშავებდნენ შაბსა და მარილში, მზეზე ამრობდნენ, დანამავდნენ ტყავის ნაჭრით, შემდეგ დ ო ღ ა ნ ა ე შ ი (მოკაუჭებული ხე, რომელსაც იღლიაში დანა აქვს გაკეთებული) დასეკლავდნენ ერთი საათის განმავლობაში, გაამრობდნენ და კვლავ ფხეკავდნენ მას.

თბილისში ბატენის ტყავს ჯერ ამარილებდნენ. მერე ს ი ღ ა ქ შ ი (ქატო, მარილი, პურის ფქვილი ერთად არეული) კამოწყავდათ ორი



კვირის განმავლობაში, რომ ტყავს სიღბო მისცემოდა<sup>10</sup>. სამი დღის შემდეგ ტყავი მუშავდებოდა დოდანაკში. მასზე ქნიდნენ და წრიოებდნენ ტყავს, რასაც შემდეგ დადებდნენ ფიცარზე და ცელის ფეკავდნენ, ბერტყავდნენ ფარდახტიო. პირში წყალს იგუბებდნენ, აშხეფებდნენ ტყავს და თან ხელის წასმით ბერტყავდნენ. ფარდახტი ტყავის ბალნიან პირს ახუჭუჭებდა<sup>11</sup>.

ჭონები კერავდნენ ქართულ ქურქებს — ტყავებს და ბეწვის ქუდებს. ტყავს ბეწვი შიგნიდან ჰქონდა, ქუდს — გარედან. სახმარად ყველაზე მოხერხებული, მთხრობელთა ცნობით, ბატკნისა და ცხვრის ტყავი იყო. ტყავები იკერებოდა მოკლე და გრძელი, სახელოებიანი და უსახელო. მას სარჩულად გამოაკერებდნენ მაუდს ან ლეკურ შალს. თელავში ტყავს ქულაჯახსაც უწოდებდნენ. იკერებოდა თუში ქალის საბატარძლო ყურთმაჯიანი ტყავიც. მისი სახელო გაუკერავი იყო. უკან, წელთან ნაოჭიანი კალთები მიკერებული ჰქონდა ფერადი, დაგრეხილი აბრეშუმის ძაფით, წელთან, კალთების გადაკერების ადგილზე, აკერებდნენ მრგვალ აბაზიანის ოდენ ტყავის ნაჭრებს.

ქურქი, თბილისელი ჭონების გადმოცემით, ჩერკესკას მსგავსია, ოთხი ჩაქი აქვს, ნაწიბურებზე მემი ედება. ბებრებს ნაოჭიანს უკეთებდნენ, ახალგაზრდებს — უნაოჭოს. ქურქი ზოგი პირდია იყო, ზოგი ღუგმებით იკვრებოდა<sup>12</sup>.

75 წ. ანა გიორგის ასული ბაგინოვას (თბილისი, 1981 წ.) ცნობით, ჭონხანა „მეიდანში“ იყო.

ჭონი კერავდა გალიბანდის ჩაკეცილ ქუდს კრაველისაგან, ფორმით მრგვალს. მისი ზედა ნაწილი ქსოვილისა (მაუდისა) იყო. იკერებოდა აგრეთვე წოწოლა ქუდი მეცხვარისა (იგივე ჩობნის ქუდი) // წიწაკა ქუდი, რომელიც ბებერი ცხვრის დაუმუშავებელი ტყავისაგან კეთდებოდა და ზედ ბეწვები ეკიდა. მთხრობელთა ერთი ნაწილის გადმოცემით, წიწაკა ქუდი ძირითადად თათრებს ეხურათ; 75 წ. ნინა ბერიაშვილის თქმით, ბოხოხი იმერლებისა იყო, ჩვენ გალიბანდის ქუდი ვიცოდით. ი. გრიშაშვილის ცნობით, ჭონი კერავდა გალიბანდის, ბუხრისა და კალმუხის ქუდებს.<sup>13</sup>

**ღერციკი // თერძი**<sup>14</sup>. ღერციკი კერავდა აზიურ ტანსაცმელს. დასავლეთ საქართველოში ამ დარგის მოხელეს თერძი ეწოდებოდა. ხარაზებთან ერთად ღერციკები ქალაქელი ხელოსნების უმრავლესობას შეადგენდნენ.

<sup>10</sup> შ.მ., ტანისამოსი, გვ. 191.  
<sup>11</sup> იქვე  
<sup>12</sup> იქვე, გვ. 192.  
<sup>13</sup> იქვე, გვ. 191.  
<sup>14</sup> იქვე, გვ. 34.

დერციკი კერავდა ჩოხა-ახალუხს, ხონჯრიან შარ-  
ვალს, ქულაჯას, ნაბადს, ყაბალახს, ფაფანას და  
სხვ.

ტანსაცმელს სხვადასხვა მოსართავით გააწყობდნენ. მოსართავად  
იხმარებოდა ჩაფარიშ-ყაითანი; კარვად ფასობდა და დიდი  
მოწონებით სარგებლობდა ე.წ. „ფაზარი“ (ნუხის) ყაითანი. ჩაფა-  
რიშ-ყაითანი ადგილობრივ იქსოვებოდა თითქმის ყველა ქალაქში,  
მაგრამ თბილისიდან მოჰქონდათ ცნობილი ვანციანის ჩაფა-  
რიშო.

ჩოხა იკერებოდა ძირითადად ადგილობრივი, შინამრეწველური წე-  
სით დამზადებული შალისაგან. ცნობილი იყო ლეკური (ბოგოზის, ქო-  
ბაჩის, ხუნძახის, კარტის), იმერული // ხონის, თუშური და რაჭული  
შალები. ხმარებაში იყო აგრეთვე ფაბრიკული ქსოვილებიც („ტონ-  
ტორი“ // „ტორონტო“, „დობრიანციკი“, „ლასტიკი“ და სხვ.).

იკერებოდა ჩერქეზული ოთხჩაქიანი და ჩვეულებრივი ქართული  
ჩაქიანი ჩოხა. კარგი საჩოხე, მთხრობელთა გადმოცემით, იყიდებოდა  
თბილისში ხითაროვის ქარვასლაში, ბაყალ-ხანის მახლობლად, მეტე-  
ხის ციხის ქვემოთ.

77 წ. მიხეილ ივანეს ძე ოსეფაშვილის (თელავი, 1971 წ.) ცნობით,  
ჩოხა წელში გადაჭრილი იყო და მიკერებული ჰქონდა ჩაქებიანი  
კალთები. ჩოხას წინ გული ამოდებული და აბრეშუმის ყაითნით  
ჰქონდა დამშვენებული. ჩერქეზულს გულის ორივე მხარეს „სამას-  
რე“ უკეთდებოდა, ჩაქიან ჩოხას კი — უფრო ვიწრო საკვესი. ნაკერ-  
ზე ქვემოდან ტარდებოდა ჩაფარიში (საკვესის ჩაფარიში), რომელიც  
ორივე მხარეს ამოხვეული იყო ზეით (წითელი, ყვითელი, ლურჯი ძაფი).  
იქ, სადაც წელი კვერებოდა კალთებს, ედებოდა განიერი ჩაფარიში  
კლაპიტონისა (იგივე წელის ჩაფარიში). ჩოხას გარშემო, კალთე-  
ბის ბოლოს, შიგნიდან ევლებოდა ჩაფარიში, გვერდებში ჩაჭრილი  
ჰქონდა ყაითნით მორთული ჯიბე, რომლის მეშვეობით ხდებოდა ხელის  
ჩაყოფა ახალუხის ჯიბეში. საკვესში ინახებოდა კვესი და აბედი.

მასრა ხისა იყო, თეთრი, თავი კი ძვლისა უკეთდებოდა. ის ქუთა-  
ისიდან შემოჰქონდათ თელავში, ადგილობრივ ამ დარგის ხელოსანი  
არ იყო. ჩერქეზული ჩოხის დილ-კილოს თვითონ დერციკები ამზადებ-  
დნენ, ქართულს — დილ-კილოები არ ჰქონდა. მთხრობელთა ცნობით,  
ჩოხა იჭრებოდა სახელოსნოში, აკერინებდნენ კი ოჯახებში. 77 წ.  
მარიამ ალექსანდრეს ასულ ჯანჯალაშვილის (თბილისი, 1982 წ.)  
ცნობით, „დერციკებს ფურგონით მოჰქონდათ გამოჭრილი საცვლები,  
კაბები და არიგებდნენ ხალხში. დედაჩემი იყო პოდრიადნიკი, არიგებდა  
მეზობლებში, მერე შეკერილს ჩააბარებდა და მეზობლებს ფულს დაური-  
გებდა“. 76 წ. ნინო ბერიაშვილის ცნობით, მისი დიდედა კერავდა

ახალუხს, ჩოხას, ყარაჩოდელის განიერ შარვალს. 85 წ. ჰაიკანუმ ინაშვილის გადმოცემით, ეს შარვალი ისეთი განიერი იყო, რომ მისი თითო „ტოტიდან“ შეიძლებოდა ქალის ქვედატანის შეკვრა.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისი, ზუგდიდი) ჩოხა ასე იჭრებოდა — ზომაზე ჩოხის ზურგი, ორი წინა და ორი უკანა კალთა. კალთა ქვევით შვიდნაჭრიანი იყო, ზევით — ორი. ახალუხიც ასე იჭრებოდა. ჩოხის სახელო განიერი და გრძელი იყო, თითებს ფარავდა, ამიტომ უნდა გადაკეცილიყო. სარჩული არ უკეთდებოდა. ახალუხის სახელო კი ხელზე მოყვანილი იყო, მაჯა ყაითნით ჰქონდა გაწყობილი. ჩოხას ჯიბე არ ჰქონდა, ახალუხს კი იგი საქილეების ადგილას უკეთდებოდა.

ჩოხას ზოგი დაქანებულ ქილებს უკეთებდა, ზოგი — სწორს. უკან ჩოხას წელზე ორი ყური ჰქონდა, რომ ქამარი დამაგრებელიყო. ჩოხის უკანა კალთა პატარა იყო, უფრო წვრილი ნაჭრების, სიგრძით ერთნაირი.

მკერდის კალთა ორ-ორი იყო. ახალუხს უფრო პატარა კალთები უნდოდა. ჩოხას საყელო არა აქვს, ახალუხს დამდგარი ან დაკეცილი საყელო უკეთდებოდა.

ჩოხა წინ კაკებით იკვრებოდა (ზუგდიდი, 1970 წ.). მათი რაოდენობა წელის სიგრძეზე იყო დამოკიდებული. ჩვეულებრივ, წინა კალთაზე 5-7 კაკი ეკვრებოდა. კაკი — დილი აბრეშუმის გრეხილისაგან ან ყაითნისაგან კეთდებოდა.

სირმას ძირითადად ყაბალახზე აკერებდნენ, ზოგჯერ კი მას სამასრეებზეც მოაყოლებდნენ.

შავი ჩოხა-ახალუხი საგარეო ჩასაცმელად ითვლებოდა. იგი იკვრებოდა ფერად წითელი, ყავისფერი, ლურჯი, ძწვანე. ჩოხაზე ირტყამდნენ აბრეშუმის ფოჩიან ჭრელ სარტყელს, ან ვერცხლის გობაკებიან ქამარს.

საყოველღეიურად, სამუშაო ჩოხას, 72 წ. ჯოტო სტეფანეს ძე ხულორდავას (ზუგდიდი, 1970 წ.) ცნობით, ჯიბეებს უკეთებდნენ. ასეთი ჩოხით, მისივე თქმით, თავმომწონე კაცი გარეთ არ გავიდოდა, სირცხვილი იყო. ზოგს ერთი ახალუხი ჰქონდა, მაგრამ თვალის მოსატყუებლად ახალუხის სანაცვლოდ სხვადასხვა ქსოვილისაგან შეკერილი სახელოები და გულისპირი ექნებოდა თადარიგში საჭიროების შემთხვევაში გასაკეთებლად.

მარტო ახალუხით სტუმართან გამოჩენა არ შეიძლებოდა. მასთან მასპინძელი აუცილებლად ჩოხა-ახალუხით და ქამარ-ხანჯლით დამშვენებული წარსდგებოდა.

მთხრობელთა ცნობით, იკვრებოდა ე.წ. დოშღიანი ახალუხი, რომლის წინაგული მთლიანი იყო, მხარზე გადმოდიოდა და იქ



იკვრებოდა (დოშითათრული სიტყვაა და მკერდს ეწოდება). მას 200 ლილ-კილო უკეთდებოდა; ლილ-კილო რაც მეტი იყო, ახალუხს იმდენი შნო და ლაზათი ჰქონდა, გადმოვცემენ მთხრობელები.

სწორგულიანი ახალუხი 8-12 ჩაქიანი იყო, ხელოსანი იკვრავდა გამოყვანილს, ვაჭარი — სწორგულიანს. სწორგულიანი ახალუხი შუაში იკვრებოდა 20 დედალ-მამალი დუგმით. ასეთ ახალუხს დუგმიანიც ეწოდებოდა. მას რვა ჩაქი ჰქონდა და უნაოჭო იყო. დომლულიან ახალუხს შემოვლებული ჰქონდა ნუხის ლურჯი ყათიანი, ხოლო დუგმიანს — თქრომკედის „სნორაკი“ (ქ.თბილისი, 1937 წ.). საზაფხულო ახალუხისათვის სატინა იყო კარგი; „ატამანი“ უმაღლესი ხარისხის საახალუხე, აბრეშუმის იყო, „დიმიკიტინისა“ ზამთარში იხმარებოდა, „დრაფის“ ახალუხს ვაჭრები იცვამდნენ — მას ძვლის პრიალა დილები ჰქონდა.

ქართული „ხვანჯრიანი შარვალი“ შესაბრუნებელი იკვრებოდა. ოთხ ერთნაირ ნაჭრად იჭრებოდა, შარვალს ჯიბე ჰქონდა; შარვალს სათავე სატინისა უკეთდებოდა და მასში ხვანჯარი // კურთაღარი (ზუგდიდი). ეყრებოდა. ჯიბის პირი შარვლის ქსოვილისა იყო, თვითონ ჯიბე კი უბრალო ქსოვილისა კეთდებოდა.

ქულაჯა სახამთრო ტანსაცმელი იყო, იკვრებოდა ლეკური შალისა და ფაბრიკული ქსოვილისაგან. იგი გრძელი იყო ჩოხაზე და ბატკნის ბეწვს უდებდნენ წელამდე. ვისაც შეძლება ჰქონდა, კრაველის ბეწვსაც გაუკეთებდა. ქულაჯას დამდგარი საყელო ჰქონდა, სახელო სრული; წელში გამოყვანილი იყო, გადაჭრილი, ოთხჩაქიანი (ორი დიდი და ორი პატარა), გვერდზე მაღალი, შუაზე პატარა ჩაქი ჰქონდა ჩადგმული. ქულაჯას სამასრეს არ უკეთებდნენ.

დასავლეთ საქართველოში ქულაჯას შუბას ეწოდებდნენ. მისი თარგი ჩოხის თარგის მსგავსი იყო; სარჩული უკეთდებოდა, საყელო მრგვალი და გრძელი ბეწვით — კრაველით გაიწყობოდა, ქამრის ყურთანაც ბეწვი ევლებოდა.

თერძი კვრავდა ნაბადსაც. მთხრობელთა გადმოცემით, საუკეთესო იყო ყაბარდოული<sup>15</sup> ნაბადი, რომელსაც ონურს ეწოდებდნენ იმის გამო, რომ ის ონის ბაზარზე იყიდებოდა. ყველაზე მდარე ხარისხის ნაბადს მთხრობელები ჯვარულს მოიხსენიებენ. ჯოტო ხულორდავას თქმით, ჯვარის ნაბადს მეურმე თუ გადაიხურავდა, სხვა კი არა, დასაცინი იყო.

ნაბადი ფერად თეთრიც იყო და შავიც. სანაბდე გამზადებული მოჰქონდათ, სიგრძე 2 არშინი ჰქონდა, დაბლა განიერი იყო, ზემოთ ვიწრო. ერთი ნაჭრიდან ერთი ნაბადი გამოიჭრებოდა. ნაბადს, რო-

<sup>15</sup> შდრ. შ.მ., ტანისამოსი, გვ. 38.



მელსაც წინ ჯიბეები ჩაჭრილი ჰქონდა, მხრები გამოკერილი, ხევი  
 ეწოდებოდა. ნაბადს ყელზე ბეჭილი ში ბ ი ლ ი ჰქონდა მხრეებზე  
 მისი დამზადებით განთქმული ყოფილა ალექსანდრე (1970 წ.). შიბილს გარშემო და ნაბადს წინ ყაითნის გრეხილი დაუყ-  
 ვებოდა. საყელს წინ ტყავის ორი მარყუეი ჰქონდა გაკეთებული,  
 რომელშიც ეყრებოდა ტყავის შესაკვრელი — ს ა ბ ა ნ ი. ნაბადს ნახე-  
 ვარზე აბრეშუმის ან სატინის სარჩული უკეთდებოდა. ჯოტო ხუ-  
 ლორდავას ცნობით, გრძელი ნაბადი ქუთაისში იკერებოდა და მას  
 ქ ა რ თ უ ლ ს უწოდებდნენ, ზუგდიდში კი პირიქით — მოკლე ნაბადი  
 იყო ხმარებაში.

თავზე მამაკაცი ყ ა ბ ა ლ ა ხ ს იხურავდა. იგი ყველა სახის ქსო-  
 ვილისაგან იკერებოდა. 67 წ. ივანე ალექსანდრეს ძე აფხაიძის ცნობით  
 (ქუთაისი, 1969 წ.), საზამთრო ყაბალახი („ბაშლიყი“) იკერებოდა  
 შალის, ხშირად აქლემის ყელის ბეწვის ქსოვილისა (თბილისი, 1981 წ.),  
 ხოლო საზაფხულო — აბრეშუმის („ჩესუნჩის“ და იშვიათად „დარა-  
 იასაგან“) <sup>16</sup> ქსოვილისაგან. საყაბალახე გრეხილს და ფუნჯს, მთხრო-  
 ბელთა გადმოცემით, „სომხები“ (ყაზახები) ამზადებდნენ თბილისში, ან  
 მას ქუთაისში ყიდულობდნენ ილარიონ ხაზარაძესთან.

ფ ა ფ ა ნ ა კ ს ა ც თერძი კერავდა ტყავისა და ქსოვილისაგან. მოთ-  
 ელილი ფაფანაკი ს ა მ ხ ე უ რ ი იყო. პერანგი და შარვალი დარაიისა-  
 გან იკერებოდა. ყველა ეს საგანი, მთხრობელთა ცნობით, საბაზროდ  
 მზადდებოდა. იყო შემთხვევები, რასაკვირველია, კერძო დაკვეთისაც.  
 პ ა ი ჭ ს ა ც თერძი კერავდა. პაიჭს ქვემოთ პაჭანიკი//ლეკვერთხი  
 ქსოვილისა იყო და სირმა და „ვანციანის“ ყაითანი ჰქონდა მოვ-  
 ლებული.

ადგილობრივი შალის ჩოხას, მთხრობელთა ცნობით, დარიბი  
 იკერავდა, ფაბრიკული უფრო ძვირად ფასობდა. ყ ა რ ა ბ ა ნ დ უ ლ ა ს  
 შარვალს კინტოები იცვამდნენ. საქუდე შალი შოლტებად შეკრული  
 მოჰქონდათ ლეკებს.

ღერციკი მუშაობდა ნახევარადლიანით, კერავდა ძირითადად შინა-  
 მრეწველური წესით დამზადებული ქსოვილისაგან. ევროპული ყაიდის  
 ტანსაცმლის მკერავი მუშაობდა ძირითადად ფაბრიკულ ქსოვილზე  
 სანტიმეტრით. საყურადღებო ჩანს ხალხში ჩაწერილი მასალა ნახევარ-  
 ადლიანის ზომების შესახებ: ვ ა შ ლ ხ ე — ნ ა ხ ე ვ ა რ ი ჩ ა რ ე ქ ა,  
 ნ ა ხ ე ვ ა რ ი ჩ ა რ ე ქ ი ბ ა პ რ ი, ს ა მ ი გ რ ე ძ ვ ლ ი ს პ ი რ ი-  
 დ ა ნ, ვ ა შ ლ ხ ე 5 გ რ ე, 6 გ რ ე, 6 გ რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი, 7  
 გ რ ე, 7 გ რ ე ბ ა პ რ ი, 7 ნ ა ხ ე ვ ა რ ი ვ ა შ ლ ხ ე. დასავლეთ  
 საქართველოში მას შეესაბამებოდა ანდაზა. ბაწარი, რომელსაც ბო-

<sup>16</sup> შდრ. შ.მ., ტანისამოსი, გვ. 248.

ლოში ტყვია ჰქონდა გამობმული, რომ ზომის ადებისას საზომის სისწორე დაცულიყო. ადებულ ზომას ქაღალდზე გადაიტანდნენ და არშინზე 5-6 სმ-ით იყო ნაკლები. „შინამრეწველობის მასალების მიხედვით გრე უდრის ვერშოკს, შესაბამისად ნახევარი გრე ნახევარ ვერშოკს.

თერძები თვითონ დებადნენ ქსოვილებსაც, მაგ. თბილისში ლილახანაში. შედეგად ქსოვილს, განსაკუთრებით შინამრეწველური წესით დამზადებულს, დაპრესვა ესაჭიროებოდა, ვინაიდან ბუსუსებიანი იყო. დაპრესვას სამღებროში აწარმოებდნენ, რისთვისაც იქ სპეციალური გრძელი მაგიდა იდგა.

მოსათელ ქსოვილს ქვევიდან მაგარ მუყაოს დაუდებდნენ, რაზედაც გადმოკეცავდნენ ქსოვილს, შემდეგ ზემოდან კვლავ მუყაოს დაადებდნენ, ზედ რკინის გახურებულ საგნებს ათავსებდნენ, შემდეგ — ისევ მუყაოს. როცა ქსოვილი გავარვარებული რკინის შემწეობით შეთბობოდა, „პრესს“ მოუჭერდნენ და ქსოვილიც ამგვარი წესით ითელებოდა. ქსოვილის მოთელვა ძვირი არ ღირდა; ერთი თოფის (9-10 არშინი) — ერთი საჩოხის — „დაპრესვა“, მთხრობელთა ცნობით, ათ შაურად ფასობდა.

**მჭედლობა**<sup>17</sup>. მჭედელთა ამქარში ერთიანდებოდნენ საკუთრივ მჭედლები, ნალბანდები, ოქრომჭედლები, მეთუნეუქეები, მექვაბეები და სხვ. შედარებით დიდ ქალაქებში (მაგალითად, თბილისში) ისინი სიმრავლის გამო ცალკე-ცალკე ამქრებსაც ქმნიდნენ, 70 წ. მჭედელ ბაგრატ მიხეილის ძე იასამანოვის (გორი, 1967 წ.) ცნობით, მჭედლებთან ამქარში შემოდოდნენ აგრეთვე მეფაიტონეები ანუ, როგორც მთხრობელები უწოდებენ, „კარეტნიკები“ და ხის ბორბლის მკეთებელნი — „კალესნიკები“. ერთ სახელოსნოში შრომის ფართო დანაწილებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ეტლს „ფაიტონს“ ბაგრატ იასამანოვის თქმით, ექვსი ოსტატი აკეთებდა. ჯერ დურგალი შეამზადებდა ეტლის ხის ნაწილებს, შემდეგ მჭედელი დააჭედებდა, მას მდებავი შეეღებდა, გადამკრელი ტყავს გადააკრავდა, დამვერცხლავი ლითონის ნაწილებს დაამუშავებდა. გარდა ამისა, აღნიშნულ ამქარში ფაიტონის „ფარნების“ გამკეთებელიც შემოდოდნენ.

რაც შეეხება მჭედელს, ის ამზადებდა ნამგალს, ცულს, ბარს, თოხს, სახნისს-საკვეთელს. კარგი ნამგალი, მჭედელთა ცნობით, კეთდება რკინა-ფოლადით, მარტო ფოლადი უფარვისია, „ყრუ არის“, გადმოგვცემს 87 წ. მჭედელი კოლა სოლომონის ძე მაზანაშვილი

<sup>17</sup> შდრ. მჭედლობა ზემო ქართლში, „შინამრეწველობის მასალები“, გვ. 1-29 (ხელნაწერი).

(ს. მეჯვრისხევი, 1967 წ.). მისივე ცნობით, კარგი იყო „ოსმალის“ ფოლადი, რომელსაც „ტალახი“ უნდა მიმატებოდა. კოლა მაზანაშვილის გადმოცემით, მეჯვრისხევსა და გორში მის მსგავს ნამგალს ვერავინ აკეთებდა. ნამგალს 100 გრ ფოლადი და 0,5 კგ რკინა უნდოდა. ქართულ ცუღს 0,5 კგ რკინა და 100-200 გრ ფოლადი, ნაჯახს 200 გრ ფოლადი და 1 კგ რკინა. ეს ნაჯახი დურგლისათვის მზადდებოდა. საკვეთელს „პირში“ უნდოდა ფოლადი, ის „პირით ჭრის“ მიწას, სახნისი კი აბრუნებს. სახნის — საკვეთელს ორივეს 16 გირვანქა რკინა ესაჭიროებოდა.

მჭედელი აკეთებს ურმის თვლების შემოსაჭედებელ რკინის ს ა ლ - ტ ე ბ ს ა ც, ჭრიდა ქ ა რ თ უ ლ და რ უ ს უ ლ ნ ა ლ ე ბ ს, ლ უ რ - ს მ ა ნ ს. თოხსაც პირზე უნდოდა ფოლადი, ბარი რკინისა იყო. ორი კაცი დღეში სამ ბარს გააკეთებდა, გადმოგვცემს კოლა მაზანაშვილი, მაგრამ არა სისტემატურად, ვინაიდან მეტად შრომატევადი სამუშაო იყო. სამჭედლოში სამი ხელოსანი მაინც უნდა ყოფილიყო. შევირდი ქურას უბერავდა, ოსტატი რკინის დუღილს თვალს ადევნებდა, ხოლო ქარგალი ან ამხანაგი ქურიდან გადმოდებულ გავარვარებულ ლითონს ჭედავდა. მ ა რ წ უ ხ ი რკინისაგან მზადდებოდა, დურგლის ხ ე ლ ე - ჩ ო — ფოლადისაგან, ხოლო ორივე ხელით სახმარი ხელეჩო — რკინისაგან, პირზე სჭირდებოდა მას მხოლოდ ფოლადი. მეჯვრისხევში კეთდებოდა ო რ ხ ე ლ ა (სახენელი), რომლის მომხმარებელი ოსები იყვნენ. ბაგრატ იასამანოვის ცნობით, ნამგალს, წალდს, ცუღს ერთი ფასი ჰქონდა, ბარი ნაკლები ღირდა.

თელაველი მჭედლები განთქმული ყოფილან ე. წ. კ ა კ ა ბ უ რ ი გ უ თ ნ ი ს დამზადებით. 77 წ. მჭედელი გიორგი გეორქას ძე არუთინოვის ცნობით (თელავი, 1971 წ.), მასში ექვსი უღელი ხარ-კამეჩი შეიბმოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ის მარტო თელავში მზადდებოდა და თელავის რაიონშივე იყიდებოდა.

მთხრობელთა ცნობით, ყველა იარაღის დამზადება წარმოებდა სეხოზურად. მაგ., 55 წ. მჭედელ გოგია ნიტრაფონის ძე თევდორაძის (ქუთაისი 1969 წ.) ცნობით, „ნაჯახი კეთდებოდა ნაშემოდევს, თოხი მარტსა და მაისში, წალდი — ნამარიომევს, ნამგალი — სიმინდობას, სასხლავი — ყოლობას აბრეშუმზე, სახნისი — თებერვლიდან“. მჭედლის უ რ ო ს ა და მ ა კ რ ა ტ ე ლ ს თვით მჭედელი ამზადებდა, რკინისა იყო და „აფოლადებდნენ“.

ჩარხზე იღესებოდა ნაჯახი და წალდი, ხოლო წრთობა ესაჭიროებოდა თოხს, ნაჯახსა და სასხლავს. გაღესვის შემდეგ აღნიშნულ საგნებს ქურაზე გაახურებდნენ და წყალში გააჩერებდნენ 2 წუთამდე. კვირაობით მჭედელი არ მუშაობდა, სავაჭროდ მიდიოდა დღეობებზე. სახნის-საკვეთელი ადგილობრივ იყიდებოდა, თვითონ დამკვეთი

მოვიდოდა სამჭედლოში, გუთანს მოიტანდა ურმით და სამჭედლოში  
მოარგებდა სახნისს.

**ნალბანდების**<sup>18</sup> საქმიანობას საქონლის დაჭედვა შეადგენდა და ლურსმანს ძირითადად მჭედელი ჭრიდა, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში თვით ნალბანდიც ამზადებდა მას. ქართული ნალი რკინის ფურცლისაგან იჭრებოდა ცივად — მაკრატლით, რუსული ნალი კი ქურაზე იჭრებოდა. იგი მუშა ცხენის დასაჭედად გამოიყენებოდა, ქართული კი საჯდომი ცხენისათვის. საერთოდ მოთხოვნა უფრო ქართულ ნალზე იყო, რუსული — „ფაიტონისა“ და სამხედრო ცხენისათვის იყო საჭირო. კამეჩის დასაჭედად ერთ-ორ ლურსმნიანი ნალი იყო გამიზნული, სამოთხ ლურსმნიანი — ხარისათვის, ცხენისათვის კი ექვსლურსმნიან ნალს ხმარობდნენ.

ნალბანდი ნედლეულს — რკინას — ძირითადად თბილისში ყიდულობდა. 73 წ. იოსებ დავითის ძე გიგაურის ცნობით (გორი, 1969 წ.), ნედლეულის საშოვნელად მამამისი ჭიათურას წასულა და იქიდან 100 ფუთი ძველი ნალი (ქვანახშირის დამტარებელი ცხენებისა), მოუტანია, რომელიც მას დაახლოებით 15 წლამდე ჰყოფნია. მისივე ცნობით, რკინის შემენა ახალციხეშიც შეიძლებოდა ცნობილი ვაჭრის გარბოიანცის მღაზიაში. საჭიროების შემთხვევაში ნალბანდს შეეძლო ბარათი გაეგზავნა მისთვის ნედლეულის გარკვეული ოდენობის მოთხოვნის აღნიშვნით. ვალს კი, მთხრობელთა ცნობით, ნალბანდები კალოობას რომ მორჩებოდნენ, შემდეგ ისტუმრებდნენ. რკინა იყიდებოდა თბილისშიც, რიყეში.

ყველაზე დიდი სამუშაო ნალბანდს სწორედ კალოობას ჰქონდა. „კარგი ქოროდლისავით ლურჯა ცხენზე აქეთ-იქით დავდიოდი“, — გადმოგვცემს იოსებ გიგაური. საქონელი ნალბანდთან დასაჭედად უფრო ვახაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში დაჰყავდათ, კალოობას თვითონ მიდიოდა შემკვეთთან. კალოობას ხდებოდა ანგარიშსწორებაც. კალოობიდან კალოობამდე ნალბანდი ნისიად მუშაობდა. მთხრობელთა ცნობით, უღელი ხარის დაჭედვა ფუთი ხორბალი ან ორი გირვანქა ერბო ღირდა, უღელი კამეჩისა — ფუთნახევარი ხორბალი; ცხენის დაჭედვა ხარის ფასი იყო. საქონელს წელიწადში 4-5-ჯერ ჭედავდნენ. გორელ ნალბანდებს თითოეულს ტირიფონის ველზე 7-8 სოფელი ჰქონდა აღებული, ერთმანეთს არ ეცილებოდნენ. მაგ., იოსებ გიგაურის საქმიანობის სფეროში შემოდიოდა შემდეგი სოფლები: ბერბუკი, სვენეთი, თორტიზა, ხელთუბანი, ახალსოფელი, უფლისციხე, გარეჯკარი, ნაწრეტი. ნალის მომჭრელი მჭედელი გასამრჯელოს



<sup>18</sup> შტ. ნალბანდობა ქართლში (მტკვრის სამხ-ით). „მინამრეწველობის მახალები“.



უღლობრივ იღებდა. უღელი ხარის მასალა — ნალი და ღურსმანი გამზადებული სამი აბაზი ან ათი შაური ღირდა.

შრომის დანაწილების მანიშნებელია ის ფაქტი, რომ ში ცალკე იყვნენ ნალბანდები, ცალკე ნალის მომჭრელი („ნალჯი“) და ცალკე ნალის ღურსმნის გამკეთებელი („მახჩი“). ახალციხელი ნალბანდის, 78 წ. ამბიაკ აკოფას ძე კირაკოსიანის ცნობით, „ნალბანდი საქონელს ჭედავს, ნალ-ღურსმანს გალესავს. დიდ ზინდაზე (გრდემლზე) იჭრება ქართული ნალი, იგი მრგვალია, სამხედრო ცხენისა — გრძელი. რუსულ ნალს ცალკე აკეთებდა მჭედელი“. „ღურსმანი ქურაზე იჭრება დანით. „უსტა“ თავში იდგა, გადმოღებულ ცხელ რკინას „ხალფა“ (ქარგალი) ჭრიდა, შეგირდი საბურველს ამოძრავებდა. დღეში იჭრება 16 კგ რკინა, აქედან გამოვა 500-600 ცალი ღურსმანი. (76 წ. მახჩი არშაკ ლევონის ძე ასლანიანი, ახალციხე, 1968 წ.).

თითბერზე მომუშავე ხელოსნებს ახალციხეში თოქმაჩები ეწოდებოდათ. თითბერს ადგილობრივ ყვითელ სპილენძს უწოდებენ წითლისაგან განსასხვავებლად. თოქმაჩები ამზადებდნენ ქვასანაყებს, სასანთლებებს, საეკლესიო ჯვრებსა და სხვ.

შრომის ვიწრო სპეციალიზაციის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ახალციხეში ცალ-ცალკე ამქარი ჰქონდათ მესპილენძეებს, მექვაბუებსა და მკალავებს. მესპილენძე სპილენძის ზოდებს აბრტყელებდა. დიდი ფურცელი 5 კაცს — მეთურებს, უნდა გამოეჭედა. მეუროეთა საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო — თითოეული ასწორებდა ფურცლის გარკვეულ მონაკვეთს — „ათ ვერშოკს ექვს პუნქტად“. ქურაზე სპილენძის გახურება-გაბრტყელება რვა დღეში ორჯერ ხდებოდა. მეუროეც ამ დროს იყო საჭირო (60 წლის მესპილენძის არამ ენოკის ძე ჩიფლიგინის ცნობა, ახალციხე, 1968 წ.). ერთ დღეში სამფუთიან ფურცელს ხუთი კაცი ჭედავდა (57 წ. მექვაბე-მკალავი კაჭაპეტ ტიგრანის ძე კირაკოსიანი). მექვაბე აკეთებდა ძირითადად წყლის ჭურჭელს — თუნგს, გუგუმს და იბრიყს (წყლის პატარა ჭურჭელი), აგრეთვე თასსა და სინს.

თელავში (1971 წ.) ჩაწერილი მასალებით კი, მექვაბე (იგივე მესპილენძე) ამზადებდა თანგიან (უყურო) და ყურიან ქვაბს, ქაფქირს, ხაპირს თხლეს ამოსადებად, ხელჩაფას (ქვევრიდან ღვინოს ამოსადები), არყის ქვაბს, თულუხს, თუნგს, ხელადას, ჩარექიანს, ნახევარჩარექიანს, „ტრიჩეტკას“, ნახევარტრიჩეტკას (ამით არაყს წყავდნენ), სპილენძის სინს, ყაბლამა ქვაბს (ხუფიან ქვაბს), რომელიც დღეისთვის და პატარაც. 86 წ. მიკიჩა არტემის ძე აფრიაშოვის ცნობით, არგი სინი, ქვაბი, ტაშტი და თუნგი უნდა გაეტანებინათ ქალისათვის



მზითვეში. სინს აჭრელებდნენ. ამზადებდნენ კიდევ ქვაბ-ქოთანს, ყურ-  
იანი იყო დაჭრელებული, ამით არიგებდნენ ხოლმე შილაფრანსს და  
ვთოზე.

ქვაბის ძირი გამზადებული იყიდებოდა (სისქით 6-22 ვერშოკამდე).  
როცა თბილისიდან მისი შემოტანა შეწყდა, მაშინ სპილენძის ზოდებს  
ყიდულობდნენ და თვითონ ხელოსნები აბრტყელებდნენ. ეს კი მეტად  
შრომატევადი სამუშაო იყო. ხუთი კაცი უნდოდა მის გაბრტყელებას.  
ერთი ქურას უბერავდა, მეორეს ზოდი ეჭირა, სამი ან ოთხი კიდევ კვერს  
ურტყამდა. ძირითადად ქარგლები ურტყამდნენ უროს (თითო ურო 7-8  
გირვანქიანი იყო). ერთი ხელოსანი ერთ დღეს აბრტყელებდა ზოდს,  
მეორე დღეს — მეორე ხელოსანი და ა.შ. ორ თვეში ერთხელ ხდებოდა  
ზოდის გაბრტყელება. 20 კგ-იანი ზოდიდან 6-8 ქვაბი გამოდიოდა.  
მიკინა აფრიამოვის ცნობით, თელავში იყიდებოდა ძირითადად ყურიანი  
ქვაბი, თბილისში კი — თ ა ნ გ ი რ ა.

ზ ი ნ დ ა ნ ზ ე მზადდებოდა ქვაბი, ს ა მ თ ა ვ ა ზ ე ქვაბს უკეთ-  
დებოდა ნაპირები, ს უ ლ რ ა ბ ე ლ ზ ე ხდებოდა ქვაბის ნაპირების  
გადმოხევა; სამთავაზე მზადდებოდა თუნგები, ნ ა ი ნ ზ ე — ხდებოდა  
სხვადასხვა ნაწილების შეერთება ჩაქუჩის მეშვეობით, მათი კბილები  
ჩადიოდა ერთმანეთში დ ა ს ა მ ე ხ ი ს (ჩაქუჩის) დარტყმით.

ქვაბის სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს უერთდება კ ა ვ შ ი რ ი ს  
საშუალებით. „კავშირი“ ასე მზადდებოდა: ერთ გირვანქა თითბერს,  
10 გრ თინგს, 200 გრ ბორას, 100 გრ. მარილს აურევდნენ ერთად;  
წყალს დაასხამდნენ შესაკავშირებელ ნაწილს, მერე დააყრიდნენ „კავ-  
შირს“, გაახურებდნენ ცეცხლზე და ნ ა მ ე კ ზ ე დაკვერავდნენ. ეს  
„კავშირი“, მთხრობელთა გადმოცემით, ეყოფოდა 15-20 ქვაბს.

მექვაბე მ კ ა ლ ა ვ ი ც იყო. მოკალვას ასე აწარმოებდნენ: ქვაბს  
შეათბობდნენ ცეცხლზე, დაასხამდნენ მარილმჟავას, რაც ამოიღებდა  
ჭურჭეს; გახეზავდნენ ქვაბს ქვიშით, შემდეგ წაუსვამდნენ მ ო ხ ა რ შ უ ლ  
მ ა რ ი ლ მ ჟ ა ვ ა ს — ჩ ა ყ რ ი ლ მ ჟ ა ვ ა ს. ცეცხლზე შედგამდნენ,  
ბამბით მოუსვამდნენ ნიშადურს, მერე კი ბამბით წაუსვამდნენ კალას.  
მოკალვა ესაჭიროებოდა ჭურჭელს ექვს-შვიდ თვეში ერთხელ.

მკალავები თბილისში, ისევე როგორც საქართველოს ყველა ქალაქ-  
ში, ლეკები<sup>19</sup> იყვნენ. ლეკი მკალავები ცხოვრობდნენ თბილისში,  
სუბგეორგის ეკლესიის უბანში. „მირხოვეის“ აბანოს ზემოთ იყო  
მკალავების დუქნები. „აბლულა დადიოდა, ჭურჭელს აგროვებდა, ქვა-  
ბები მოკალო — გაიძახოდა“, გადმოგვცემს პ. ინაშვილი. აბლულა აგ-  
როვებდა სპილენძის ჭურჭელს — ქვაბებს, ქაფქირებს, ბადიებს, კოვ-  
ხებს, ტაშტებს, წყლისთვის განკუთვნილ სპილენძის ტოლჩებს (ორ-სამ-

<sup>19</sup> ლეკები ოქრომჭედლობასაც მისდევდნენ.



თუნგიანებს), ლიტრიანებს, სინებს, ოთხნარეკიან ბადიებს, თუშუა-  
ლანგებს. მოკალვის შემდეგ ის ისევ უბრუნებდა პატრონს თავის ცურ-  
ჭელს. ნინა ქარამიანის გადმოცემით, ლეკები მოდიოდნენ საფხუ-  
ლობით, რომ აცვიდებოდა, უკან, სამშობლოში, ბრუნდებოდნენ.

**მეთუნუქეები**<sup>20</sup> ამუშავებდნენ როგორც შავი, ასევე თეთრი ფერის  
თუნუქის ფურცელს. მეთუნუქეობა ხელობის შედარებით ახალი დარგი  
იყო. შავი ფერის თუნუქის ფურცლიდან კეთდებოდა ღუმელი და სა-  
ხურავი, თეთრისაგან კი სხვადასხვა სახის სანათები, ჩაიდნები, ჭრა-  
ქები, სათლები, ვენახის გოგირდით შესაწამლები, საბერველები. მეთუ-  
ნუქე სახლსაც ხურავდა. დამკვეთი ყიდულობდა მასალას. ერთ ოთახს  
აივნით დასჭირდებოდა თუნუქის 80 ფურცელი. სამ დღეს მოუნდე-  
ბოდა ორი-სამი კაცი სახლის დახურვას. თვითონ პატრონი მიმწო-  
ლებელი იქნებოდა, მოეხმარებოდა ხელოსანს.

70 წ. ამბარცუმ ზურაბის ძე მჭედლიშვილის (გორი, 1967 წ.) ცნო-  
ბით, მეთუნუქე ექვს თვეს მუშაობდა და წელიწადს ჰყოფნიდა შემო-  
სავალი. თიბათვიდან იანვრამდე იყო მათი სამუშაო სეზონი. ერთი  
ფურცელი თუნუქისაგან კეთდებოდა სათლი და ორი ჩაიდანი. დღეში  
მეთუნუქეს შეეძლო 5 სათლის ან ოთხი ჩაიდნის დამზადება. თეთრი  
თუნუქის ერთი ფურცლიდან 10 ცალი ჭრაქი მზადდებოდა. ყველაზე  
დიდი მოთხოვნა ჩაიდნებსა, „სამოვრებსა“ და სანთლის „ლამპებსზე“  
იყო.

მეთუნუქეები ბაზარში მუშაობდნენ და იქვე ყიდდნენ თავიანთ  
ნაწარმს, მაგრამ დღეობებზედაც გაჰქონდათ თავიანთი შრომის პრო-  
დუქტები.

**ოქრომჭედელი.** ოქრომჭედელი, მთხრობელთა გადმოცემით, ძირი-  
თადად მუშაობდა ვერცხლზე, ისე კი თითბერს, სპილენძს და „ვარ-  
შავასაც“ ამუშავებდა. „ბრილიანტნიკი“ კი მხოლოდ ოქროზე მუშა-  
ობდა<sup>21</sup>. ამ გარემოების შესახებ სამართლიანად აქვს აღნიშნული  
ლ. ბოჭორიშვილს კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობის დახასიათე-  
ბისას, რომ ამ დარგის ხელოსანს ძველი სახელწოდებაა შერჩა,  
ძირითადი ნედლეული — ოქრო ხელიდან გამოეცალა და ახლებურად  
განსწავლულ ოქროს მჭედავ კახელ ოსტატს სახელიც უცხოური შერ-  
ქმევია („იუველირი“, „ბრილიანტნიკი“)<sup>22</sup>.

<sup>20</sup> შდრ. მჭედლობა ზემო ქართლში, „შინამრეწველობის მასალები“, გვ. 29-31.

<sup>21</sup> თბილისში ოქრომჭედლებს ცალკე ჰქონდათ ამქარი და „ბრილიანტნიკებს“ ცალკე,  
მათი დროშები (ოქრომჭედლების № 67-26\7, „ბრილიანტნიკების“ — № 67-20\22) და-  
ცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში,  
იხ. ლ. მ. ო. დ. ნ. ი., გ. ჯ. ა. ლ. ბ. ა. ძ. ე., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დრო-  
შების კატალოგი, თბილისი, 1969, გვ. 11, 19.

<sup>22</sup> ლ. ბ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., მასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობის შე-  
სახებ, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. VIII, თბ., 1956, გვ. 147.

ოქრომჭედელი ამზადებდა საოჯახო ნივთებს, აწარმოებდა საბრძოლო იარაღებისა და ცხენის აკაზმულობის, ტყავის ქამრის ვერცხლის ნაწილების შევერცხლა-მოსვევადებას, „ბრილიანტიკი“ კი ძირითადად სამკაულს ამზადებდა.

შეკრებილი მასალის (თბილისი, თელავი, ახალციხე, ქუთაისი) მიხედვით დასტურდება ლითონის დამუშავების ორგვარი წესი: ჩ ა მ ო ს ხ მ ა და ხ ე ლ ი თ დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა .

ხმლისა და ხანჯლის („ლექურის“) შევერცხლა ხელით ხდებოდა.

85 წ. კონსტანტინე ბეროს ძე წულეისკირის (ქუთაისი, 1969 წ.) ცნობით, ვერცხლზე მომუშავე ოსტატს ვერცხლიც სჭირდებოდა და ოქროც. ოქრო ძირითადად ვერცხლის მოსაოქროებლად იხმარებოდა.

როგორც აღინიშნა, ლექები საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მოსაქმეობდნენ და ოქრომჭედლობასაც მისდევდნენ. 70 წ. ალი ალიბის ძე კალანდაროვის (ქ.თელავი, 1971 წ.) ცნობით, ვერცხლის ქამრის ბალთებს ისინი ყალიბში ასხამდნენ, მერე დ ა ა ს ხ ა მ დ ნ ე ნ მასზე ცივად ყუნწებს, ცეცხლზე ათამაშებდნენ და ამგვარად ამაგრებდნენ მათ საგანზე. ბალთებს უკეთებდნენ თასმის ქამრებს, რომელიც ბრტყელი, ჩერქეზული, მზადდებოდა.

„ბ ი თ უ მ ი“ ქამარი მთლიანი ვერცხლისა იყო, ზოგი 9 გრ იწონიდა, 100 მისხლიანიც კეთდებოდა. უნაგირის მთლიან შეკაზმულობას („ნაბორს“) ლექები ამზადებდნენ. ალი კალანდაროვის ცნობით, ქამარხანჯალს ჩერკესკაზე იკეთებდნენ, ბითუმის ქამარს — ახალუხზე, ხოლო თასმის ქამარს, ვერცხლის ბალთებიანს, ჩოხაზე ირტყამდნენ. ბითუმი ქამარი მისხალი 25 კაპ. ღირდა, ის 30 მან. ჯდებოდა, თასმიანი კი — 15-20 მან. 87 წ. მარქარა აბელის ძე გურგენოვის (თელავი, 1971 წ.) ცნობით, ბითუმი ქამრის შექმნა ყველა ხელოსნის ოცნება იყო, არც ისე ადვილი იყო მისი ყიდვა. ამიტომ ხელოსნები მის შესაძენად ასეთ ხერხს მიმართავდნენ: ხელოსნები ყველიერს უქმობდნენ, „ორშაბათს ოქრომჭედელს დაიბარებდნენ, ქამრის შეკვეთას მისცემდნენ და ფულის გარკვეულ ოდენობას გადაიხდიდნენ (ბეს 1 თუმანს). თითო ქამარი, მარქარა გურგენოვის თქმით, 5-7 თუმანი ჯდებოდა. ამ დღიდან მარხვას შეინახავდნენ ხელოსნები, ღვინოს აღარ დალევდნენ, ფულს აგროვებდნენ. ღვინის დანაზოგით ვერცხლის ქამარი მოუვიდოდათ, დღეობისათვის იქნებოდა მზად. ეს იყო ხელოსნის სამკვდრო-დასამარხი. ერთი „ტყაბაჭანა“ ყოფილა მეფუნთოშე, — გადმოგვცემს მარქარა გურგენოვი, — როცა დღეობა იყო, ქამარს დააგირაუებდა და იმით ვაჭრობდა დღეობებში.

ლექებმა, მთხრობელთა ცნობით, იცოდნენ მხოლოდ ჩ უ ქ შ უ რ თ მ ის ა მ ო დ ე ბ ა , ნ ა ქ ს ო ვ ის ა კ ი — ა რ ა . „ოქრომჭედლები ყალბით ჩუქურთმასაც იღებდნენ და ნაქსოვ ძაფსაც აწყობდნენ შიგ,



ვერცხლის ძაფს გრეხილად“ (42 წ. ამბროსი ჯიქია)<sup>23</sup>. ნიკოლოზი  
 ყიდულობდნენ ძველ ვერცხლეულს — ღოქებს, ქამრებს, ხანჯლებს და  
 ადნობდნენ, გამოჰყავდათ ვერცხლის ძაფი და გრეხილი.

სევადა ასე მზადდებოდა: ერთი წილი სპილენძი, ერთი წილი  
 ტყვია, ერთი წილი გოგირდი და 3-4 მისხალი ვერცხლი ერთად აღუდ-  
 დებოდა და შემდეგ დაემატებოდა 400 გრ გოგირდი. ეს ყველაფერი  
 დუღდებოდა ცეცხლგამძლე ჭურჭელში, თიხის ბუთაში, 1 სა-  
 ათის განმავლობაში. მიღებულ მასას გადმოიდებდნენ ჯამზე და გა-  
 აცივებდნენ. შემდეგ დანაყავდნენ და გარეცხავდნენ წყალში, დარ-  
 ჩებოდა სუფთა ფხვნილი, შემდეგ მას ემატებოდა ბორის წყალი, რომე-  
 ლიც შემდეგნაირად მზადდებოდა: აიღებდნენ ორ წილ (400 გრ) პატაშს  
 („ნაცარტუტას“), 100 გრ თანუქარს — ბორას, 100 გრ მარილს, გადა-  
 აღუდებდნენ სპილენძის ჯამში — შ ა ბ თ ა შ ი. მასა დარბილდებოდა  
 ყველის მსგავსად. მოტეხავდნენ სასურველ ნაწილს და წყალში აღუდებ-  
 დნენ, შიგ გაადნობდნენ და სევადაზე დაასხამდნენ ამ წყალს.


როგორც აღვნიშნეთ, სევადა უკეთდებოდა ხანჯალს, ქამარს, ლე-  
 კურს (ხანჯალზე დიდია). კონსტანტინე წულეისკირის (ქ. ქუთაისი,  
 1969 წ.) ცნობით, „ლეკური ისეთი ღირსიანი იყო, რომ ნიკოლოზის  
 დროს მას ორი ყარაული ედგა, ის 10 თუმანი (ზოგჯერ 20 თუმანიც კი)  
 ღირდა“. სევადა ყანწზეც კეთდებოდა — ს ა და და ა მ ო ჭ რ ი ლ ი.

ვერცხლის ნაწილების დაკავშირება ხდებოდა ე. წ. „კავშირით“. ის  
 შემდეგნაირად მზადდებოდა: 2 მისხალი ვერცხლი და ერთი მისხალი  
 თითბერი პატარა ქოთანში უნდა მოხარშულიყო, შემდეგ მას გადმოი-  
 ებდნენ ცეცხლგამძლე თიხის ჭურჭელში. მიღებულ მასას „ვალცში“  
 გაატარებდნენ, მავთულად გაასწორებდნენ, დაჭიმავდნენ და შესაერ-  
 თებელ ნაწილზე დააწყობდნენ, მერე ბორას დააყრიდნენ, ცეცხლში გა-  
 ატარებდნენ და შეაერთებდნენ.

ამოჭრილი სევადა ასე მზადდებოდა: წინასწარ ყალმით ამოჭრილ  
 საგანს (ყანწს) სევადას დააყრიდნენ, ცეცხლში გაატარებდნენ. ცეცხლი  
 საგანს აშავებდა, ამიტომ მას ქლიბით წმენდდნენ, შემდეგ სამპირიანი  
 რ ა ნ დ ი თ გარანდავდნენ, სულ ბოლოს კი მრგვალთავიანი ფოლადის  
 საგნით — მ ა ს ხ ა ლ ი თ გააპრიალეებდნენ.

ვერცხლს ოქრომჭედელი ხშირად მდაზიაში ყიდულობდა. თბი-  
 ლისში არზუმიანცს მისწერდნენ (ქ. ქუთაისი, 1969 წ.) და ორი-სამი  
 გირვანქობით გამოიწერდნენ. მისხალი ვერცხლი 14 კაპ. ღირდა.

<sup>23</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ოქრომჭედელი“, გვ. 34-35. „შინამრეწველობის მასალე-  
 ბი“. ეს ნაწილი ჯერ არ დაბეჭდილა. შდრ. ა. ჯიქიას მიერ დაზღადებული ვერცხლის  
 ქამრები, იხ. ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ლ. ს ო ს ე ლ ი ა, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ხარტყლის კა-  
 ტალოგი, გვ. 7.



ვერცხლი ორი ხარისხის იყო: 84 სინჯის — კოვზებისათვის და უწმინდესი ვერცხლი — 96 სინჯის. უწმინდესი ვერცხლის ძაფს შუა ეწოდებოდა. მას პირველად ვერცხლის ვალცში გაატარებდნენ შემდეგ კი — ა დ ი დ ე ბ შ ი. აღიდი ქვის მრგვალი საგანია და შუაში თვალი აქვს. ის სხვადასხვა სიდიდისა (თვალის მიხედვით) იყო 1-დან 13 ნომრამდე. მასში გატარებულ ვერცხლის ძაფს შემდეგ ორად-სამად დაგრეხავდნენ და ყანწზე შემოავლებდნენ. მისი მიკავშირება ყანწზე რკალის შემწეობით ხდებოდა.

ოქრომჭედელი აწარმოებდა აგრეთვე ვერცხლის საგნების ჩამოსხმას ყალიბში. ასე მზადდებოდა ქამრისა და უნაგირის მოსართავის ვერცხლის ნაწილები — ა ბ ზ ი ნ დ ა, ს ა ქ ო ნ ე, „უ ზ ო ნ ი კ ი“, ს ა ქ ი ლ ე ე ბ ი. ყალიბს დ ა რ ე ჯ ა ეწოდებოდა, მასში მიწა ჩაიყრებოდა და „დაკალაპოტდებოდა“. ვერცხლი დადნებოდა და ამ კალაპოტში ჩაიდგებოდა.

ქილაც მზადდებოდა ყალიბში, მოიღუნებოდა და თავი გაუკეთდებოდა. ერთ ჩოხას ოცი ქილა დასჭირდებოდა, იყო თექვსმეტქილიანი ჩოხებიც. ქილები ერთ კვირაში კეთდებოდა.

ვერცხლის მთლიანი ქამარი ჩუქურთმიანიც კეთდებოდა და პატარა-პატარა ყვავილი დაგრეხილი ვერცხლის ძაფისაც უკეთდებოდა. ამ ყვავილებს რკინის ძაფით ამავრებდნენ ქამარზე და კავშირით შეაერთებდნენ.

ნაწილებიანი ქამარიც მზადდებოდა. მთხრობელთა ცნობით, ქამრის ამ ნაწილების (20) დამზადებას ათი დღე მაინც დასჭირდებოდა. მოოქროვილი (96 სინჯის ოქროსი) ასეთი ქამარი მისხალი 70 კაპ. ღირდა.

მოოქროვება საგნისა კი ასე ხდებოდა: ჩაიჭრებოდა ერთი მისხალი ოქრო 12 მისხლიან ვერცხლის წყალში, ბუთაში გადნებოდა ცეცხლზე. ხსნარს მორევა ესაჭიროებოდა. ვერცხლის წყალი ოქროს „შეჭამდა“, მერე ხსნარს წყლიან ჭიქაში გადმოასხამდნენ. ქამრის ნაწილებს ჯერ ვერცხლის წყალში გაატარებდნენ, ოქრო ჯამზე ჰქონდათ დასხმული და მას საგანგებო სპილენძის პატარა კოვზით ურევდნენ. ნივთს ცეცხლში გაატარებდნენ, ბამბით და პატარა ჯავრისით კარგად გაწმენდნენ და ოქროში გაავლებდნენ. ოქრო ნივთს „დააკვდებოდა“. მოოქროვილ საგანს ფურჩითა (თითბრის წვრილი ძაფია) და ძმრით (ან წყალნარევი ღვინით) წმენდდნენ. შემდეგ კვლავ ცეცხლში ატარებდნენ. აიდებდნენ ერთი სუფრის კოვზის ოდენ „ჯუშს“ (შაბის, გოგირდისა და მარილის ნარევი), ძმარში ჩაყრიდნენ. აადულებდნენ და მოოქროვილ ნივთს იმაში გაატარებდნენ, ამოიღებდნენ და კარგად გაწმენდნენ. ხსნარი საგანს ზედმეტ ელვარებას ანიჭებდა.

ხანჯალი თეთრიც იყო და მოოქროვილიც. ლეკური სვეადით იფარებოდა ისე, როგორც ქამარი. კავშირი 84 და 96 სინჯის ვერცხლისა

კეთდებოდა. წვრილმანის დაკავშირება 96 სინჯის ვერცხლით ხდებოდა.

ოქრომჭედელი აკეთებდა აგრეთვე ვერცხლის სანათლებს, მუხრანის ვილსა და ოქროს ჯვრებს, დიდტარიან აზარფეშას და სხვ. მუხრანის

„ბრილიანტიკი“ ამზადებდა ოქროს ბეჭდებს, სამკაულებს, საყურეებსა და სხვ. 84 წ. კონსტანტინე ზაქარიას ძე ცაგარეიშვილის ცნობით, ოქრო თბილისში იყიდებოდა ბუხბინდერთან. ოქროს ესაჭიროებოდა „ლეგატურა“, რაც ოქროში თითბრის ან სპილენძის დამატებას გულისხმობდა. ასე დამზადებული ოქრო 56 სინჯისა ხდებოდა, მისხალ „ბაჯალლო“ ოქროს ემატებოდა მისხალი თითბერი ან სპილენძი. ბაჯალლო ოქროდან კეთდებოდა რგოლის ბეჭედი, ლეგატურიდან-ბალთები, სამაჯურები, საყურეები; კონსტანტინე ცაგარეიშვილის ცნობით, მოგზაურებს („ვოიაჟორებს“) მოსკოვიდან, ვარშავიდან მოჰქონდათ თვლები — ლალი, ზურმუხტი, იაგუნდი, ფირუზი. ამათგან ნამდვილი თვალი იშვიათად იქნებოდა. ბრილიანტი მხოლოდ მილანში ითლებოდა. მისივე ცნობით, მოთხოვნა უფრო 56 სინჯიან ოქროს სამკაულზე იყო. „ბრილიანტიკიც“ საბაზროდ აწარმოებდა ოქროს ნივთებს: ამზადებდა აღნიშნულ საგნებს და მადახიას აბარებდა. ქუთაისში სახელოსნო ცნობილ ოქრომჭედლებს გვეტაძეს და ცაგარეიშვილს ეკუთვნოდათ. 9-10 მისხლიანი ბაჯალლო ოქროს ბეჭედი 8 მან. ღირდა. უფრო წვრილი მისხალნახევრიანი იყო. კონსტანტინე ცაგარეიშვილის ცნობით, ოქროს გასაღწობად თბილის ხის ნახშირს იყენებდნენ. მას ნახევრად გამდნარ ოქროში ჩადებდნენ და პირით უბერავდნენ. გაღვივებული ნახშირი ოქროს მთლიანად გააღწობდა, მას შემდეგ ვალცში ატარებდნენ. აკეთებდნენ აგრეთვე სანათლავ (1/4 მისხლიან) ჯვრებს. მისი დიდი ოსტატი კოწია დათეშიძე ყოფილა.

ახალციხეში 1968 წ. ჩაწერილი მასალით, საკუთრივ ოქრომჭედელი მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ ოქროზე. ის აკეთებდა ძირითადად სხვადასხვა თვლიან (ზურმუხტი, ფირუზი, ლალი) ბეჭდებს და სამაჯურს — ხ ა რ ხ ა ლ ს (67 წ. ვარიგინ ლეონის ძე ამბარცუმიანის ცნობა). ოქრომჭედელთაგან გამოიყოფოდნენ ე.წ. ყ ვ ი ნ ჩ ე ბ ი, რომლებიც გლეხებისათვის თეთრი ლითონისაგან (მეტად მდარე ხარისხის ვერცხლის, ან როგორც ადგილობრივ უწოდებდნენ „ვარშავისაგან“) და თითბრისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა სახის სამკაულს — ბეჭდებს, ბალთებს და სხვ. ყვინჩები რაბათში ცხოვრობდნენ. ამ ხელობას ძირითადად გიორგაძეები მისდევდნენ<sup>24</sup>: ვერცხლს ამუშავებდნენ ვერცხლის ფილიგრანული ნივთების, ე.წ. „იტალიური აჟურის“ (სომხურად „ჩიფთიში“) ოსტატები. ეს უკანასკნელნი იარაღის მკეთებელ ჩიფთი-

<sup>24</sup> შდრ. კ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, მესხეთი, „შინამრეწველობის მასალები“; ლ. ს. ო ს ე ლ ი ა, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, დაბეჭდ. კრებულში „მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1972, გვ. 103.

ლიაროვის გვართან ერთად ცნობილი იყვნენ მთელს კავკასიასა და საზღვარგარეთ<sup>25</sup>. ამ ხელობის წარმომადგენლებიც ვანიდან მოსული სომხები იყვნენ. ისინი ამზადებდნენ ყოველგვარ იარაღსაც (მაგ. შორის საომარსაც) (68 წ. ფაშიკ აკოფის ძე ჩივთილიაროვის ცნობა).

მთხრობელთა ცნობით, ვერცხლის ჭვირული (ფილიგრანული) ნივთების დამზადებით განთქმული ყოფილა სომხეთი, იტალია და ახალციხე. ეს ხელობა მეტად ნატიფი და შრომატევადი იყო, მაგრამ საკმაოდ მომგებიანიც. ახალციხეში ასეთი ნივთების 20 ღუქანი ყოფილა, თითოში 4-5 ოსტატი მუშაობდა ერთი-ორი შევირდითა და 5-6 ქარგლით. ისინი აწარმოებდნენ დაახლოებით 2-3 ფუთ ვერცხლს წელიწადში. აკეთებდნენ სამაჯურებს, ბალთებს, სამელნეებს, კალმებს, პეპლებს, პატარა სასმისებს და სხვადასხვა სახის სამკაულებს. ყველა აღნიშნული საგანი ვერცხლის სხვადასხვა სისქის მავთულისაგან მზადდებოდა.

ამ ხელობის წარმომადგენლის, ანუ როგორც სომხურად უწოდებენ, ჩ ი ფ თ ი შ 67 წ. არტაშ გრიგოლის ძე ადოიანის ცნობით, მთავარი იყო ვერცხლის წვრილი მავთულის დამზადება. ამ მიზნით რკინის ან თიხის პატარა ქვაბში ჩადებდნენ 200-300 გრ ვერცხლს და სპილენძს დაუმატებდნენ იმ ვარაუდით, რომ ორ წონა სუფთა ვერცხლზე ნახევარი წონა სპილენძი მოსულიყო. სპილენძი, მთხრობელთა ცნობით, ნაერთს სიმაგრეს ანიჭებდა. ორივე ლითონს ერთად წამოადულებდნენ და რკინის კალაპოტში ჩაასხამდნენ. მასში ლითონი ცივდებოდა. შემდეგ წარმოებდა ვერცხლის მავთულის გაწვრილება. ამ მიზნით იყენებდნენ გასაწვრილებელ ხელსაწყოს ვალცს, რომელსაც იარაღის მკეთებელი ხელოსანი ამზადებდა. მას გააჩნდა განსხვავებული ზომის დარები სხვადასხვა სისქის მავთულის მისადებად. „ვალცს“ ხელოსანი ატრიალებდა, რის შედეგადაც მავთული გრძელდებოდა და წვრილდებოდა. შემდეგ გადაიტანდნენ მავთულს ხელის ჩარხზე, რომლის შუა ათავსებდნენ ნაჩვრეტებიან ლითონის ფიცარს — ჰ ა ნ ე ხ ს. ჩარხზე ტრიალის მეშვეობით გამოდიოდა ძაფივით წვრილი ლითონის მავთული. მას შეძახავდნენ და კვლავ „ვალცში“ გაატარებდნენ გაბრტყელების მიზნით.

ასე გამზადებულ მავთულს მაკრატლით ჭრიდნენ, სპეციალური მამის შემწეობით აკეთებდნენ მავთულის წვრილ მარცვლებს (5-6 ცალს),

<sup>25</sup> И. Г о п а д з е, Заметки о состоянии промышленности в Ахалцихском уезде Тифлисской губернии, СМОМПК, в. I, Тифлис, 1881; В. И в а н о в, г. Ахалцих, Тифлисской губернии, СМОМПК, в УП, Тифлис, 1889; А. С. П и р а л о в, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, СПб., 1913; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; Л. З а г у р с к и й, Поездка в Ахалцихский уезд, ЗКОИРГО, кн. УШ, Тифлис, 1873.

რომლებსაც წინასწარ გამზადებულ ვერცხლის ჩარჩოში ათავსებდნენ. ამის შემდეგ ხდებოდა ჩარჩოსა და გამზადებული მასალის ერთობლივად დაკავშირება ბორას ხსნარით. მარილსა და თეთრ წყნარად ადუღებდნენ, მერე მიღებულ მასას გააშრობდნენ, წვრილად დანაყავდნენ; ფხვნილის ნახევარ წილსა და კალას ერთმანეთში აურევდნენ და დააყრიდნენ შესაკავშირებელ ნივთზე, კვლავ დაუმატებდნენ ნახშირს და გაახურებდნენ. ოსტატი ჭრაქს აანთებდა და ნახშირს საბურველით შეუბერავდა. ჭრაქის ალისა და გაღვივებული ნახშირის სიმზურვალით ბორა გადნებოდა, შემაკავშირებელი მავთულით შეკრავდნენ ამ ადგილს. ამ ოპერაციის შედეგად თვით ვერცხლის საგანი შავდებოდა. გათეთრების მიზნით აღნიშნულ საგანს სპილენძის თასში 100 გრ შაბიამანთან ერთად ადუღებდნენ 0,5 საათის განმავლობაში, შემდეგ ცივ წყალში გაცივებდნენ და კვლავ წაშობადულებდნენ. ამ პროცედურას ოთხჯერ, ხუთჯერ იმეორებდნენ, რის შედეგადაც ვერცხლის საგანი თავის სითეთრეს — ბზინვარებას აღიდგენდა<sup>26</sup>.

**დურგლობა — ხურობა.** აღნიშნული ხელობის ამქარში ერთიანდებოდნენ ხეზე მომუშავე ხელოსნები. დურგალი, როგორც ცნობილია, სახლს აშენებს, კარ-ფანჯარას, იატაკს, ჭერს გამართავს. ისინი აშენებდნენ ხიდებსაც (მაგ., არგვეთის, ბაღდადის, ყვირილის ხიდები). ხიდისათვის, მთხრობელთა ცნობით, ფიჭვის მასალაა კარგი, სახლისათვის — წაბლი, ცაცხვი და მუხა.

ხარატი — „სტალიარი“ „დარაბაში“ მუშაობდა, აკეთებდა ავეჯს (სკამს, მაგიდას, კარადას და სხვ.) ჩარჩოზე და უჩარხოდაც. მეკუბოეებიც დურგლებთან ერთიანდებოდნენ ამქარში, მაგრამ ისინი მხოლოდ კუბოს ამზადებდნენ (ქუთაისი, 1969 წ.).

დურგლის საქმე იყო ძირითადად „აღმშენებლობა“, ე. ი. სახლის გამართვა. დურგალი, მთხრობელთა ცნობით, ჯერ ჩარჩოს დაამზადებდა, რომ კალატოხს დაეწყო მუშაობა, შემდეგ კი კარ-ფანჯარას, მერე ლამფა-იატაკს. კარგი ხელოსანი დურგალი ხარატიც იყო. მეაკვანე ხარატი მარტო აკვანს ამზადებდა, ჩარჩოზე მუშაობდა. სახლის სახურავსაც დურგალი აკეთებდა, მერე კი კრამიტით ან თუნუქით ხურავდნენ. 67 წ. არჩილ ვასილის ძე ფირანიშვილის ცნობით, დურგალი უფრო მეტად სოფელში (შილდა, ყვარელი, ფშაველი, ნაფარეული, ახმეტა) მუშაობდა. სახლის მასალას თვით პატრონი იძენდა. დურგალი მოურიკდებოდა მას.

XIX ს. II ნახ. აშენებდნენ უმეტესად ერთ-ორ სართულიან სახლებს, თითო სართულზე ორ-ორი ოთახით. სახლის აშენება და მისი გაფორმე-

<sup>26</sup> შდრ. ს. შაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 81-82; ლ. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 107-109.



ბა იყო დურგლის საქმე. სახლს აშენებდა ორი ხელოსანი — ამხანაგი თავისი შეკირდით. ოთახს უკეთებოდა ორი ან ოთხი ფანჯარა. ჩუქურთმებიანი „შაბაქა“ აივანი. შაბაქის შაბლონს თვით დახაზავდა დახაზავდა, შემდეგ კი გამოხერხავდა. ის საკმაოდ რთულ სამუშაოს წარმოადგენდა. ხანდახან დურგალი ხეზე ერთი დეტალის გამოხატვას მთელი დღე მოუნდებოდა.

დურგალი ლადო დავითის ძე მდივნიშვილის ცნობით, ხის მასალით განთქმული ყოფილა ფშაველის მხარე — პანკისის ხეობა (თელავი, 1971 წ.). ხის მჭრელი ოსტატი ცალკე იყო. მორი კარგად გათლილი უნდა ყოფილიყო. ხის მასალა გამზადებული მოჰქონდათ ურმებით. ჩუქურთმიანი აივანი ცაცხვისა და თელისა კეთდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, კალატოხის საქმე შედარებით მარტივი იყო, ის ორ კვირას ააშენებდა ორთვალთან სახლს, დურგალი კი მის დამთავრებას ექვს თვეს მოანდომებდა. 81 წ. ნიკა ივანეს ძე მირიანაშვილის (სიღნაღი, 1966 წ.) თქმით, „თუ დურგალმა ხელი არ გაშალა, ისე კალატოხი მარტო რას გააკეთებდა“.

დურგლები ნარდად მუშაობდნენ და დღიურადაც. ოთხი-ხუთი ხელოსანი მოგროვდებოდა, სამუშაოს ნარდად აიღებდა, ან ერთ კვირაში მოათავებდნენ ამ სამუშაოს, ან ერთ თვეში, მორიგეობაზე იყო დამოკიდებული. დღიურად დურგალი 6 აბაზად ფასობდა. განსაკუთრებით ბევრი სამუშაო ჰქონდა დურგალს სახლის მშენებლობისას.

ჩვეულებრივ ოსტატი არ მუშაობდა, ის ქარგლებს უყურებდა, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი. მთავარი იყო, არ შეშლოდათ ხის მასალის გათლა, ზომა, სისქე. ოსტატი დაიქირავებდა ქარგალს. ხელშეკრულებას დადებდნენ, ფულის მიღების ვადას დათქვამდნენ, გადმოგვცემენ მთხრობელები. თუ რაიმე უკანონობას ექნებოდა ადგილი, პატრონი იჩივლებდა უსტაბაშთან, ის გაარჩევდა საქმეს.

მ ე ა ვ ე ჯ ე ე ბ თ ა ნ წყვილკარიანი კარადის გაკეთება 50-70 მან. ღირდა. ქარგალი „ნაჭრობით“ მუშაობდა. ნაჭრად ითვლებოდა თითო ნივთის გაკეთება. წყვილკარიანი კარადა სამ ნაჭრად იანგარიშებოდა და ორი თვე კეთდებოდა. მასალა პატრონისა იყო.

77 წ. ალექსი ესტატეს ძე ელიოზიშვილის (გორი, 1967 წ.) ცნობით, ნარდად მუშაობა ნაჭრობით იყო (კარის გაკეთება — 6 მან., ფანჯრის — 4 მან., იატაკი საყენი — 1-1,5 მან. ღირდა). დურგალი წაიყვანდა ქარხანაში შემკვეთს და საქონელს აყიდინებდა. ხის მასალას ამუშავებდნენ ხახუტაშვილები, არჩვაძეები, ჩიხლაძეები. მათ ბორჯომიდან, ცხინვალიდან, ატენიდან მოჰქონდათ მასალა ტივებით. ოცი ხე ერთი ტივი იყო (გორი, 1967 წ.).

დურგლები ამზადებდნენ აგრეთვე მარცვლეულის შესანახ სათავსოს — ბ ე დ ე ლ ს. 70 წ. ევგენი თომას ძე ოშხერელის (ზუგდიდი,

1970 წ.) ცნობით, ბელელი მუხისა კეთდებოდა და პატარა ფეხებზე (ბოკნეზე), ან ქვაზე იდგა. ბელელს ერთი კარი ჰქონდა, ფანჯარა არ უკეთდებოდა. გატიხრული იყო ოთხად — ლობიოს, მუხუდოს, სიმინდის (დაფშენილი) ან ნიგვზის შესანახად. ისე მჭიდროდ იყო ფიცრები ერთმანეთში ჩასმული, რომ შიგ თაგვი ვერ შევიდოდა. ბელლის აშენება 10 მან. ღირდა, ამიტომ მას, მთხრობელთა გადმოცემით, შეძლებული გლეხი თუ დაიდგამდა<sup>27</sup>.

სახელგანთქმული ყოფილა ზუგდიდში წითელი ხის ოსტატი თეიმურაზ მესხია. ჩვენ საშუალება გვქონდა გვემუშავა მის ვაჟთან — 65 წ. დავით თეიმურაზის ძე მესხიასთან. მისი გადმოცემით, მამამისს და ამბაკო მესხიას ობუჯში ერთად ჰქონდათ სახელოსნო. ამბაკო მესხიას საკუთრებას შეადგენდა სახერხი ქარხანა, თეიმურაზ მესხია კი ავეჯის სახელოსნოს ფლობდა. მერე ორივე გადმოსახლებულა ზუგდიდში და ერთ ეზოში დასახლებულა. ხის სახერხი ყოფილა სოფ. ლიასა და ჯვარში. თეიმურაზ მესხიას ქირით ჰქონია აღებული ორი სახელოსნო. ერთში ავეჯს აკეთებდნენ, მეორეში — კუბოს. ავეჯისათვის ხმარობდნენ ცაცხვსა და თელას, კუბოსათვის — წაბლსა, თხმელას და მუხას, რასაც უმთავრესად შეძლებული თუ დაუკვეთდა, დანარჩენი ხალხი კი ცაცხვის კუბოს იძენდა.

წითელი ხე, დავით თეიმურაზის ძე მესხიას ცნობით, მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან კონტრაბანდით. გასაწყობ შავ ხეს იწერდნენ უცხოეთიდან. წითელი ხე, მისი გადმოცემით, სვანეთშიც იზრდებოდა, მას საგულდაგულოდ გახმობა უნდოდა. ხეს ტყეში წააქცევდნენ და დაახლოებით 15 წელს უცდიდნენ მის გახმობას. წითელი ხისაგან მზადდებოდა კარადა, საწოლები. აკეთებდნენ ცაცხვის ორკარიან კარადას, რომელსაც უკანა მხარე ფიჭვისა უკეთდებოდა, მაგიდას (ცაცხვი, წაბლი), აკვანს (ცაცხვი, ბზა, წაბლი). ავეჯის გამკეთებელი მუშაობდა ხის დაზვაზე, რომელიც, ძირითადად რცხილისაგან კეთდებოდა.

მეაკვნი აკვანს წაბლის ხისაგან ამზადებდა. 70 წ. გიორგი ზაქარიას ძე დევიძის (თელავი, 1971 წ.) გადმოცემით, ხის მასალა გაითლებოდა, დამუშავდებოდა ჯერ შალაშინით, მერე ჩარხზე და აისხმებოდა ერთად. ხელით საბრუნ ჩარხზე იჩარხებოდა აკვნის „სიმოკლის“ და „სიგრძის ქსელები“. ქსელს შორის კოჭები გამწვრივდებოდა, მერე ჩაჯდებოდა ფესოში. აკვანს ქვემოდან საგოგავი უკეთდებოდა, მაღლა ფეხებზე ჩაესმებოდა რკალი, თავში — კამარა, რკალებს შორის შიგნით — შუბლები. აკვანი 45 ნაწილისაგან შედგებოდა. ნაწილები ცალკ-ცალკე მზადდებოდა და მერე ხდებოდა მათი ასხმა. საგოგავისა და რკალის გარდა ყველა ნაწილი

<sup>27</sup> ბელლის შესახებ დაწვრილებით იხ. ჯ. რუხაძე, ნ. აბესაძე, სამეურნეო ნაგებობანი საქართველოში, „მეცლის მეგობარი“, 1974, № 34, გვ. 9.

ხარხზე იწარხებოდა, საგოგავი და რკალი კი — შალაშინში „გამოდოდა“, ხიდიც შალაშინით მზადდებოდა. ფესოები დაიწარხებოდა და ისე ჩაისხმებოდა. მერე ასხმული აკვანი ხელახლა დაიშლებოდა, დურგლის წებოთი დანებდებოდა 3-ჯერ. აკვანი ერთი ზომისა მზადდებოდა.

თბილისში, წყაროსუბანში, ცნობილი ყოფილა ლევანა ხარატი, (გურგენიძე), რომელთანაც უმუშავია ი. გრიშაშვილს<sup>28</sup>.

82 წ. ლევან გურგენიძის ცნობით, ის აკვნის გარდა ამზადებდა შიბაქებს, სალამურებს, თითისტარებს, ბზრიალებს, ქლიბისა და ჩაქუჩის ტარებს, ცხენის ფეხზე შემოსაკრავ ფერად რგოლებს. იგი მწარხავიც ყოფილა და მხვრეტავიც. ამ ხელობას თურმე ცოტანი მისდევდნენ. ძველად მთელ თბილისში სულ ოციოდე ხარატი ყოფილა.

ხარატი მუშაობდა სპეციალური იარაღით — ქ ა მ ა ნ ა თ ი, რომელსაც თოკი ჰქონდა გამოძმული. ოსტატი დაზგას ამ თოკით შემოახვევდა გასაწარხავ მასალას და ასე ჩარხავდა. მ ა თ ხ ა ფ ი — გრძელი სახვრეტი რკინაა, ტარიანი. იგი ბევრი სახისა იყო: წვრილი, პირბრტყელი, ოთხკუთხედი, მოსქო, მოკლე, პირმრგვალი. ზურნის გასახვრეტად გრძელ მათხაფს ხმარობდნენ, ოთხკუთხედს, წვერი მსხვილი უნდა ჰქონოდა.

მუშაობის დროს ხელოსანს მათხაფი გვერდით ეჭირა, მაგრამ იგი სწორად, შეუცდომლად უნდა ეტრიალებინა მასალის შუაგულის გამოსაფხეკად, თორემ ხეს გვერდი გაეხვრიტებოდა და მასალა „გაოხრდებოდა“. ეს ოსტატის მარჯვენის სისწორეზე იყო დამოკიდებული. როცა ნამუშევარზე ხაზებს აკეთებდა ხარატი, ი ზ მ ი რ ი ქ ე შ ა დ ე ჯ ი რ ა ერთ ხელში, მეორეში — ქ ა მ ა ნ ა, ფეხით ჩარხს ატრიალებდა და ასე „მოაკვეული“ იყო დღენიადაგ<sup>29</sup>.

**მეკასრეები** აკეთებდნენ ერთიდან სამი სათლის ტევადობის პატარა და 10-80 სათლის ტევადობის დვინის, არყის და წყლის დიდ კასრებს. მეკასრეებთანაც „ნაჭრობით“ იყო მუშაობა. თითო კასრი თითო ნაჭრად ითვლებოდა და ცალკე ფასობდა. საჭირო ხე-ტყეს კახელები ყიდულობდნენ ჭიაურში, სადაც მას რაჭველები და იმერლები (მაგ. სირტყილაძეები ამზადებდნენ). სათლიანი კასრი ექვსი აბაზი, ხოლო 60 სათლიანი — 15 მან. ფასობდა. დიდი გასავალი ჰქონდა კასრებს შემოდგომაზე. მეკასრეები ადრე, ივნისის თვეშივე, დებულობდნენ შეკვეთებს და საამისო გარკვეულ თანხასაც როსტოველი ვაჭრებისაგან. თვეში მეკასრეს ექნებოდა შემოსავალი ექვსი თუმანი.

<sup>28</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ხარატი“, გვ. 17-22.

<sup>29</sup> იქვე.

**კალატოზები და „მხატვრები“** (მღებავები) ერთ ამქარს ქმნიდნენ. კალატოზის სამუშაო — კედლების ამოყვანა, სახლის აშენება სკვენი ზონური იყო. 80 წ. სანდრო ნიკოლოზის ძე ოქროპირიძის (გორი 1967 წ.) ცნობით, კალატოზი აპრილიდან გიორგობის თვემდე, ზამთრობითაც, მუშაობდა. ისინი ჩვეულებრივ, გორში ძველი ბაზრის ბოლოს, „ედემის ბაღთან“, იკრიბებოდნენ და მსურველს შეეძლო მათი დაქირავება. სამუშაო მორიგებაზე იყო — ნარდად ან დღიურად. დღიურად კალატოზი 1 მან., დურგალი ათი შაური ღირდა. კალატოზს მუშაობისას მუშა უნდა დახმარებოდა. ის კირს აურევდა, წყალს და აგურს მოიტანდა. კარგი მუშა დღიურად ექვსი შაური, ორი აბაზი ღირდა. სანდრო ოქროპირიძის ცნობით, ორსართულიანი სახლის აშენებას ორი ოთახით და მარნით კალატოზი 15 დღეს მონადრომებდა. მათ სამუშაო ძირითადად ქალაქში ჰქონდათ, მაგრამ სოფლებშიაც (სვენეთი, ხიდისთავი, კარალეთი, ქიტნისი) დადიოდნენ. მთხრობელთა ცნობით, კალატოზებისათვის ნარდად მუშაობა უფრო ხელსაყრელი იყო. როცა სურდათ, მაშინ გავიდოდნენ სამუშაოდ, პატრონი თავზე არ ადგათ.

„მხატვრების“ ოსტატი თბილისში იოსებ რევაზოვი იყო. 86 წ. არტემ მიხეილის ძე ჯირაშვილის ცნობით, მას რევაზოვთან სამი წელი უსწავლია ხელობა — „წერვა, დახატვა ვივესკების ყველა ენაზე — ქართული, რუსული, ფრანგული, თათრული“. ეს წარწერიანი აბრები კეთდებოდა მაღაზიის, დუქნების, სახელოსნოების თავზე. მისივე ცნობით, „მხატვრები“ აბრებზე კაცებს ხატავდნენ და უკეთებდნენ წარწერას: „მეხაშის დუქანი“, „ჭონხანა“, „ტყავების სახელოსნო“ და სხვ. ხელოსნები საღებავებს ყიდულობდნენ. მთხრობელთა ცნობით, თბილისში ზაზიაშვილისთანა „მხატვარი“ არ იყო. შევირდი მასთან სამი წელი სწავლობდა ხელობას, დუქანი „ვარანცოვზე“ ჰქონდა.

ს ა მ დ ე ბ რ ო შ ი იღებებოდა ძაფი და ქსოვილი. უფრო მეტად დებავდნენ მატყლის ძაფს — ბაწარს, რომელიც ხურჯინების მოსაქსოვად იხმარებოდა. საღებავად გამოყენებული იყო მცენარეული საღებავი. მაგ. თრიმლი დებავდა — შავად, თავყვითელა — წითლად, ენდრო — მუქ წითლად, ლილა (გოხა-ლილა, ლულა-ლილა) — ლურჯად. ასეთი სამუშაო უფრო მეტად შემოდგომა-ზამთარში იყო.

მღებრები ბევრნი იყვნენ სიღნაღში. სამღებროები იჯარით ჰქონდათ აღებული. 74 წ. ვანო ვასოს ძე გოჩიტაშვილის (სიღნაღი, 1966 წ.) ცნობით, სამღებრო — დუქანი ქირით იყო. ერთ-ერთი ეკუთვნოდა მიხა დაილურიშვილს. სამი კაცი შეამხანაგდებოდა და ერთად მუშაობდა. როცა „ფ უ ლ ი გ ა დ ა ტ რ ი ა ლ დ ე ბ ო დ ა“, მაშინ სამივე გაიყოფდა მონაგებს. მღებავს შემოსავალი ექნებოდა წელიწადში 5-10 თუმანი.

თელავში მღებავებს ქვემო ბაზარში ჰქონდათ სამღებროები. ღებავდნენ აქაც მიტკალს („ამერიკას“), ლეკურ შალს; შავად იღებდნენ ქალის ტანსაცმელი. საღებავს ძაღას უმატებდნენ, რომ იგი მღებრობის ილიყო და ქსოვილი არ გახუნებულყო. საფარდავე ბაწრები იღებებოდა წითლად და შავად; იგი მოჰქონდათ შესაღებად თუშებსა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ.

ბ ა ზ ა ზ ე ბ ი ჰყიდდნენ ლილას — გირვანქას 3 მანეთად, ძაღას — 5 კაპ., ღებავდნენ ყურიან სპილენძის ქვაბში, რომელშიც 5-6 სათლი ჩადიოდა. მასში იღებებოდა ერთად ხუთი საჩოხე. თითო საჩოხე ექვს არშინს შეადგენდა. (ერთი საჩოხის შეღებვა ღირდა 2-3 მან.) ქვაბს ზედადგარზე შედგამდნენ და ქვემოდან ცეცხლს შეუთებდნენ.

მღებავები უფრო ლილაში შეღებვას მისდევდნენ. თიხის ქვევრებში ლილაში იღებებოდა ძაფი და საჩოხე. 20-30 სათლი ჩადიოდა მასში. 92 წ. არშაკა ზაქარიას ძე არუთინოვის ცნობით, სამღებროში თავსდებოდა ორი, ზოგჯერ ოთხი ქვევრიც. ქვევრებს შორის ადგილს ტოვებდნენ ცეცხლის შესაკეთებლად. ქვევრში ჯობით ჩაკიდებდნენ შესაღებ მასალას, ორი-სამი საათით, ზოგჯერ ნახევარი დღით. ამოიღებდნენ, გაწურავდნენ და გააშრობდნენ; ლილაში შეღებილს გამოხარშვა არ ესაჭიროებოდა.

შეღების დროს ხსნარს ხის წიდას (ნაცრის მსგავსი ნივთიერება) უმატებდნენ, რომ ქსოვილი კარგად შეღებილიყო. წიდა მოჰქონდათ სოფლელებს, ფუთი 1 მან. ღირდა; მთხრობელთა ცნობით, ერთ ქვევრ ლილას 3 კგ წიდა ჰყოფნიდა. ლილას ხსნიდნენ თაღარში და უმატებდნენ წიდას. ზამთარში ლილა თბილ წყალში იხსნებოდა, ზაფხულში კი ცივში.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, იცოდნენ შეღებილი ქსოვილის სპეციალურ ხელსაწყოში („ბრესში“) გატარება მისი გასწორება-გაუთოების მიზნით. ამაში დამკვეთი ცალკე აძლევდა ფულს (15-20 კაპ.) მღებავს.

ოთხი „დუქანი“ — სახელოსნო ჰქონიათ მღებავებს თელავში „ქვემო ბაზარში“. შეგირდი ამათ ხელობაში ნაკლებად იცოდნენ, დაიჭირავებდნენ ბიჭებს მხოლოდ წყლის მოსატანად და აძლევდნენ მათ კვირაში 20-40 კაპ. წყალი მოჰქონდათ „ჯინუას ხევიდან“. უფრო მეტად იღებებოდა საჩოხე და „ამერიკა“. სეზონში ას არშინს მაინც შეღებავდნენ.

**ქვის მთლელებსაც** ცალკე ამქარი ჰქონდათ. 80 წ. გაბო ალექსანდრეს ძე ბანდალოვის (გორი, 1967 წ.) ცნობით, ქვისმთლელი ამზადებდა გ ე ლ ა ზ ი ს ქვებს. დიდი ქვა 90-100 ფუთიანი იყო, პატარა — 60-80 ფუთიანი. გელაზის ქვები ყარაბაღიდან მოჰქონდათ, „საქაჯავის“ ქვა — ატენიდან. ეს უკანასკნელი ოთხკუთხა იყო, ზომით 1 მ x 1 მ.



ქვისმთლელი ხელსაფკვავის, წყლის წისქვილის ქვებსაც ამზადებდა, მაგრამ მისი ძირითადი სამუშაო მაინც საფლავის ქვების კამრთლ<sup>30</sup> იყო<sup>30</sup>.

79 წ. კონსტანტინე გიორგის ძე მარგველაშვილის (ქუთაისი, 1969 წ.) ცნობით, ქვას ადვილზე დიდი უროთი მოჭრიდნენ. ჩ ა მ ო - ს ა ტ ე ხ ი ჩ ა ქ უ ჩ ი ცალწვერა იყო, ორწვერა წ ა ლ კ ა ტ ი თ ქვას თლიდნენ. გაითლებოდა ქვა, მერე დაიხატებოდა ფანქრით და ამოიკვეთებოდა თენგით, რასაც ჩაქუჩს ურტყამდნენ და ისე კვეთდნენ; ჩაქუჩი ოთხკუთხა იყო, მას მჭედელი აკეთებდა სპეციალური დაკვეთით. თენგი ბევრი ჰქონდა ქვისმთლელს: საწერი თენგი სხვა იყო, ჩუქურთმისა — სხვა. თენგი, მთხრობელთა ცნობით, იგივე ყალამია. ის ფოლადისა იყო და მჭედელი ამზადებდა. გასალესი ჩარხიც ჰქონდა ხელოსანს. წ ა ლ დ ი , ჩ ა ქ უ ჩ ი , დ ი შ ლ ა უ კ ბ ი ლ ო , ტ ა რ ა - დ ი , ჭ ო გ ო შ ა ნ ი — ეს ის იარაღებია, ურომლისოდაც ოსტატი ვერ იმუშავებდა.

ქუთაისელ ხელოსნებს ქვა კურსებიდან (ჭოგნარი) ურმებით მოჰქონდათ. ურემი ქირით 1 მან. ღირდა, ლოდი თუ დიდი იქნებოდა, მაშინ — მანეთნახევარი. კურსების ქვას ეკლარის ქვა სჯობდა საფლავის ძეგლისათვის. იგი თეთრიც იყო და ფერადიც.

ქვისმთლელი ძირითადად ამზადებდა საფლავის ქვებსა და ძეგლებს. მთხრობელთა ცნობით, სოფლად უფრო საფლავის ქვებს ამზადებდნენ, ქალაქში კი ძეგლებს. საფლავის ქვას უკეთებდნენ წარწერას, გამოსახავდნენ ანგელოზებს, ჯვარს, მტრედებს, ზოგჯერ ყვავილებსაც. მისი დაზზადება 15-20 მან. ღირდა. ებრაელები უკვეთავდნენ სადა საფლავის ქვებს, რასაც მხოლოდ წარწერა უკეთებოდა ებრაულ და ქართულ ენებზე. ისინი ახლაც ადგამენ საფლავზე ასეთ ქვებს, რომელთა სიგანე 0,5 არშინია, სიმაღლე — სამი ჩარეკი. ეს, მთხრობელთა ცნობით, დიდი ზომის საფლავის ქვა იყო, ბავშვისა — არშინნახევრიანი, ორარშინიანი იქნებოდა, საფლავის ქვის წონა 30-50 ფუთი იყო.

გორში 1967 წ. ჩაწერილი მასალით, საფლავის ქვაზე იხატებოდა თავდახურული ქალი; მამაკაცს უღვაშიანს, ჩოხიანს ხატავდნენ. მასრებს ჩოხაზე მხოლოდ ოსების საფლავის ქვაზე კვეთდნენ. ხშირად ხელოსანს თავისი ხელობის აღმნიშვნელ რაიმე საგანს გამოუსახ-

<sup>30</sup> შდრ. საფლავის ქვების ვათლა (ს. არახვეთი — მთიულეთი), „შინამრეწველობის მასალები“, გვ. 8-40; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე , ივრის ფშაველებში, ენიკის მოამბე, ტ. XI, თბილისი, 1941; ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი , ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან, საფლავის ძეგლები, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. VIII, 1956; ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე , ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-B, 1961.



ავდნენ. „დერცისკ“ — მ ა კ რ ა ტ ე ლ ს, ან ნ ა ხ ე ვ ა რ ა დ ლ ი ა ნ ს; ხ ა რ ა ზ ს — ს ა დ გ ი ს ს, ნ ე მ ს ს, ს ა თ ლ ე ლ ს, მ უ შ ტ ა ს კ მ უ შ ტ ე ლ ს — ჩ ა ქ უ ჩ ს; კ ა ლ ა ტ ო ხ ს — ქ ა ფ ჩ ა ს ა და ჩ ა ქ უ ჩ ს; დ ჯ ო გ ა ლ ს — ქ უ ს ტ ა რ ა ს (შალაშინს). ნახატი შემდეგ იღებებოდა. ასეთი საფლავის ქვა უფრო მაღალი იყო, რომ ნახატის გვერდზე წარწერა მოთავსებულიყო. ერთი კვირა უნდოდა მის მოხატვას, მეორე კვირა — წარწერის გაკეთებას. ბავშვის საფლავის ქვის გათლას ხელოსანი ორი-სამი დღე მოუნდებოდა. აკეთებდნენ დამღვარ ძეგლებს, სადა ბრტყელ ან კუბურ მაღალ ქვებს, სადა ქვას მაღალი ჯვარი და წარწერა უკეთდებოდა. კუბურ მაღალ ქვას შუაში სამი ზოლი შემოჰყვებოდა. წლის თავზე, როცა ოჯახში იმართებოდა „წლის წირვა“, იცოდნენ საფლავზე ქვის დადგმა (თელავი, 1971 წ.).

საფლავის ძეგლი ოთხი ნაჭრისაგან შედგებოდა, მეხუთე ჯვარი იყო, რომელიც ზემოდან ედგმებოდა მას. 50 მან-დან 150 მან-მდე ღირდა მისი დამზადება. ზოგ ძეგლს „კარნიზი“ ზემოდან ჰქონდა „დასხმული“, ზოგს — ამოკვეთილი. თუ საფლავის ქვის დამზადებას ოსტატი სამდღეს, ან ერთ კვირას ანდომებდა, ძეგლის დამზადებას ის ორი კვირა, ან ერთი თვე მოუნდებოდა.

მეოთხე ნაჭერში მარმარილოს ფირფიტას ჩადგამდნენ წარწერის გასაკეთებლად. ასოებს ბრინჯაოს ფხვნილით ამოავსებდნენ. აქვე თავსდებოდა ლექსიც. მთხრობელთა ცნობით, მარმარილოზე ასოს დახატვა შაური ღირდა.

შეგირდი სწავლების პროცესში ხელობას თანდათანობით ეუფლებოდა: პირველ წელს ქვის უბრალო გათლას, გაწმენდას სწავლობდა. მერე ოსტატი არშიას დაუხატავდა და მის მოჭრას ასწავლიდა, მერე „კარნიზის“ გაკეთებას. ქარგალი კი უკვე ნაჭრობით მუშაობდა.

სიღნაღში იყვნენ ქვის მმტვრეველები, რომლებიც შეეპილით (დამტვრეული ქვები) კირწყლავდნენ კახეთის გზებს.

**კერამიკული წარმოება.** მცხეთა, გორი, თელავი, ბოდბისხევი წარმოადგენდნენ კერამიკული წარმოების ცენტრებს<sup>31</sup>. 93 წ. მეჭურჭლე მიხა ლევანის ძე ნადირაძის (გორი, 1967 წ.) ცნობით, „გორში 93 მეჭურჭლე იყო, მებაგურე და მეკრამიტე ცალკე“.

მეჭურჭლე აკეთებდა ჯამებს, საღვინეს (დიდსა და პატარას), ქილას, ტოლჩას, საწველელს, ბადიას, ქვაბ-ქოთანს მოკალწულს, მურაბისა და

<sup>31</sup> შდრ. ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, თბ., 1957, გვ. 285; ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, კერამიკა, (წითელი თიხის ჭურჭელი), თბ., 1964 წ.; მისივე მოჭიქული კერამიკა, თბილისი, 1964; ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური კერამიკა (კატალოგი), თბ., 1964.



მწნილის ქოთნებს, საპურეს, ცომის ქილას. ხელოსანმა თუ ს რ უ ლ ი  
 ხ ე ლ ო ბ ა ი ცის, მაშინ ის აკეთებს კრამიტსა და თონესსა<sup>32</sup> ლ ი რ ო თ ე ლ ი  
 მთხრობელთა ცნობით, თიხა გორშივე ითხრებოდა. ჭურჭელი კეთ-  
 დებოდა წითელი და ჩინური. მეჭურჭლენი ხაბაზის თონესაც აკეთებ-  
 დნენ, იგი დიდი იყო, გამოწვამდე იჭრებოდა სამ ნაწილად. ჭურჭელს  
 ქურაში გამოწვავენ, ერთ ქურაში ჩავიდოდა 1000 ჯამი, 500 ქილა,  
 500 საღვინე, საწველელი, ტოლჩა. მის გაკეთებას მეჭურჭლე ერთი თვე  
 მოუნდებოდა.

85 წ. ნესტორ ისაკის ძე ტატუაშვილის ცნობით, „ჩავარდნილი  
 იყო მეჭურჭლის ხელობა და დაჰქონდათ სხვა სოფლებში ჭურჭელი  
 გასაყიდად, მისივე ცნობით, ერთ ქურაში ორი საპალნე ჭურჭელი  
 გამოიწვოდა. ერთი საპალნეა 25 კოკა, 8 ჯამი, 4 ლიტრა, 8 ჭიჭლა  
 (ლიტრა — 2 ლიტრიანი, ჩარეკა — ერთლიტრიანი, კოკურა — 6 ლიტ-  
 რიანი, კოკა და ქილა — 12-13 ლიტრიანი). ჩარეკიანი ლიტრაც კეთ-  
 დებოდა, ქვაბიც და ქოთანიც. ქოთანი ღია ცეცხლზე იხმარებოდა,  
 ქვაბი — ღუმელზე, თონეშიც ჩაიდგებოდა, ჭიჭლა ორ კვერცხზე იცვ-  
 ლებოდა, ჩარეკა შაური ღირდა, კოკურა — ორი შაური, კოკა — აბაზი,  
 თონე — 2 მან. და 50 კაბ. ხუთ მანეთში ორი მანეთი ურმის პატრონისა  
 იყო. ჭურჭელი პურზეც იცვლებოდა, რწყვაზე იყო.

მრავლად ყოფილან თელავში მეჭურჭლეები. კახეთის მეჭურჭლე-  
 ობაში თელავ-იყალთოს მიკრორაიონი წარმოადგენდა ამ დარგის წარ-  
 მოების ცენტრს, როგორც ეს დადგენილი აქვს ეთნოგრაფ ლ. ბოჭო-  
 რიშვილს<sup>32</sup>. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არქეოლო-  
 გიური თხრის შედეგად თიხის ჭურჭელი სწორედ ამ რაიონში იჩენს  
 თავს<sup>33</sup>. ამ დარგის ხელოსნები დღესაც აწარმოებენ ჭურჭელს თელავში,  
 რუისპირში, იყალთოში, კურდღელაურში. 78 წ. გიგლო ივანეს ძე  
 დევიძის (თელავი, 1971 წ.) ცნობით, თელავში წინათ 60 მეჭურ-  
 ჭლე ყოფილა. ახლა აქ კეთდება ძირითადად წვრილი ჭურჭელი — ჭიჭ-  
 ლა, ფიალები, ღვინის ჩარეკა, ღვინის ხელადა, კოკა (ერთსათლიანი),  
 სურა წყლისა ორ-სამ ხელადიანი, მწნილის ქილები (3 სათლიანი),  
 ს ა ხ ა შ ე ე ბ ი, ღ ვ ი ნ ი ს ჩ ა ფ უ ლ ა (2-3 ხელადიანი), ღვინის ჯა-  
 მები, ქვაბ-ქოთანა, საღუდარი, ჩარეკიანი ლიტრა, ორლიტრიანი, გოზ-  
 აური.

ე კახელ მეჭურჭლეებს მიწა იყალთოდან მოჰქონდათ ურმებით. მთხ-  
 რობელთა გადმოცემით, დიდმარხვა რომ დადგებოდა, მაშინ გამოიტან-  
 დნენ თიხას. იგი უნდა გაემროთ სიცხეში ერთ დღეს, „თუ არ გახმა

<sup>32</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული (კახური) კერამიკა, I, თბ., 1949.  
<sup>33</sup> ც. ჩიკოძე, ქ. თელავის ისტორიისათვის, „ფოლკლორული საქართველოს არქე-  
 ოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1969, გვ. 43.

თიხა, — გადმოგვცემს გიგლო დევიძე, — ისე მისგან არ გაკეთდება ჭურჭელი“. უფრო ხშირად რამდენიმე ამხანაგი ერთად მიდრეკილნი ხის მოსატანად. ზამთარში მეჭურჭლე არ მუშაობდა.

გიგლო დევიძის ცნობით, ძველად ხელოსანს უნდა ჰყოლოდა მოდგამი, ურემ-საქონლიანი კაცი. ის მოუტანდა შეშას, თიხას. სანამ ოსტატი ჭურჭელს დააგროვებდა, იმას უნდა უზრუნველყო მეჭურჭლე საკვებით. როცა ჭურჭელს გამოწვავდნენ, წაიღებდნენ სოფელში, სულაღზე გადაცვლიდნენ და გაინაწილებდნენ შემოსავალს თანაბრად. შემდეგ კი, გადმოგვცემს ის, „ხარჯს“ აღარ აძლევდნენ მოდგამები, მარტო შეშას და თიხას მოუტანდნენ. ერთხანს ხარჯის ფულში ნახევარ საუენ (5 მ<sup>3</sup>) შეშას აძლევდნენ, მერე ისიც გადააგდეს და აძლევდნენ 4 მან. ბოლოს ისიც მოსპეს.

ერთი კარგი ურემი თიხა, მთხრობელთა გადმოცემით, ერთ კარგ ქურას უნდოდა. ჯერ ერთ დახელება თიხას გააშრობდნენ, მერე — მეორეს, მერე — მესამეს. მერე ისევ დახელდნენ ფეხით, მერე ხელით, მერე ჩარხზე აკეთებდნენ ჭურჭელის. ასე დამზადებულ გასაშრობ ჭურჭელს კარგი მოვლა უნდოდა; იგი თავად მალე შრებოდა, მაგრამ სწრაფად არ აშრობდნენ. „ფიცხლად გაშრობა არ ვარგა, — გადმოგვცემს მეჭურჭლე გიგლო დევიძე, — აიჭრება, გაფუჭდება“. ჭურჭელი კარგად რომ გაშრებოდა, მერე გამოწვავდნენ.

კარგ დიდ ქურაში გამოიწვებოდა 100 კოკა, 100 სურა, 100 ლიტრა, 100 ხელადა, სულ 700 ნაჭერი — დიდი და პატარა, ფულზე 25-30 მან. ვარაუდით. გამოწვას დაჭირდებოდა ერთი დღე-ღამე. ძალიან ხმელი შეშა უნდოდა — წიფელი, მურყანი, ლაფანი.

იყალთოდან და ვარდისუბნიდან იყვნენ მეაგურეები და მეკრამიტეები. „ნახევარი იყალთო, მათი თქმით, — სულ მაგის ხელოსანი იყო“.

მთხრობელთა გადმოცემით, ყველაზე ძნელი გასაკეთებელი მწნილის ქილა იყო.

ჭურჭელზე არშია კეთდებოდა ხელფიცრითა და კალმით (ხის ჯოხი), რომელსაც მიბმული ჰქონდა ვირის ქეხო. არშია კეთდებოდა წერნაქით, რაც მოიპოვებოდა საგარეჯოს რაიონში (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, უჯარმა). წერნაქი ძნელი მოსათხრელი იყო. კლდეს რომ მოანგრევდნენ, „შიგ მარილივით იჯდა ყვითელი“. მოიტანდნენ, დაბეგვავდნენ ქვით ტომარაზე, წყალში გახსნიდნენ და ამით ქილას მოხატავდნენ. გამოწვის შემდეგ წერნაქი წითლდებოდა.

**მეპურეთა ამქარი.** მეკრებილი მასალის მიხედვით ქუთაისში ასამდე მეპურე იყო. ცალკე ამქარი ჰქონდათ მეკონდიტრებსაც (ეს უკანასკნელი ხელოსნობის ახალი დარგი იყო). საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეპურეებს ჰქონდათ შედგენილი საკუთარი „პირობის წიგნი“, რომელიც დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის



ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1949 წ. ეს დოკუმენტი, როგორც საქართველოში ამქართა საქმიანობის აღმნიშვნელი მეტად მნიშვნელოვანი წერილობითი წყარო, გამოსცა შ. მესხიამ<sup>34</sup>. ჯერჯერობით ეს წესდება თბილისელ მეწვრილმანეთა და მესანთლეთა მიერ შედგენილ პირობის წიგნთან ერთად ერთადერთი წერილობითი წყაროა ამქართა შესახებ ქართულ ენაზე.

აღნიშნული დოკუმენტის საშუალებით ბევრის აღდგენაა შესაძლებელი, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

68 წ. ვარლამ ანდროს ძე ჭოლაძის ცნობით (ქუთაისი, 1969 წ.), მეპურეები აცხობდნენ ლავაშს, მრგვალ პურს, შოთს და სხვადასხვა სახის ფუნთუშეულს.

თბილისში მეპურეები რაჭველები იყვნენ. მეპურეს რამდენიმე დამხმარე კაცი ჰყავდა: ცომის მომხელი, ცომის გამშლელი, ჩამკვრელი. ყველაზე ძნელი სამუშაო თონესთან იყო. შეგირდი ცომს გაშლიდა, დააგუნდავებდა და მიაწოდებდა თონეში ჩამკვრელს. დღეობებისა და სამღვთოს დროს ცხვებოდა „ჯვარის მამის ლავაშები“, რომლებსაც თოკზე გადაფენდნენ და ისე ყიდდნენ.

ხაში — საფუარი უფროს ქარგალს უნდა დაემზადებინა — დაეყენებინა. ხაში „ფშალას“ ყვავილისაგან კეთდებოდა. ფშალა ვახის მსგავსი მცენარეა, იზრდება წყალტუბოს რაიონში. კარგ არომატს აძლევს პურს. იყო ხაშის სახეობა „კოჭიკი“, რომელიც ზამთრობით იხმარებოდა.

100 გრ ფშალას 10 ლიტრიან კასრში წყალში გახსნიდნენ; სითხეს უნდა ეღუდა შიგ 0,5 საათს, გადმოგვცემენ მთხრობელები. საფუარის კასრი მუხისა იყო; შიგ 5 კგ ფქვილს ჩაყრიდნენ და ზედ ადრე გახსნილ საჭურავს გადაწურავდნენ. ფქვილი ჯოხით კარგად უნდა გაექნათ, რომ ცომის გვირისტი არ დარჩენილიყო. ასე შემზადებულ საფუარს შეაცივებდნენ. ამას უმატებდნენ ძველი მოხარშული „ხაშის დედას“. 5 კგ ხაშზე ლიტრა გაგრილებული ხაში — საფუარი უნდა დაესხათ. მას 3 საათს გააჩერებდნენ. ძველი საფუარი აადულებდა ხსნარს, ამოიყვანდა ახალს — 20 ლიტრამდე გახდიდა. ბევრი წყალი არ უნდა დაესხათ, სქელიც არ ივარგებდა. ის თხელი ფელამუშივით უნდა ყოფილიყო, გადმოგვცემს ვარლამ ჭოლაძე. 4-5 საათის შემდეგ საფუარი მზად იქნებოდა. 100 კგ ფქვილს გობზე დაყრიდნენ და 4 ლიტრ საფუარს დაასხამდნენ, შემდეგ მას ე. წ. „ამონს“ (სოდის მსგავსი იყო) დაუმატებდნენ. დიდი გობი — ვარცლი (სამმეტრიანი) ორი ჰქონდათ, ამაზე იზილებოდა ცომი მანამ, სანამ არ მომავრდებოდა. იგი 6 საათს უნდა გაჩერებულიყო სითბოში (40°), შემდეგ ფქვილს 100 ლიტრი წყალი

<sup>34</sup> შ. მ. მ. მ. მ. ი. ა., ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, კონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949.

დაემატებოდა, კვლავ აჩერებდნენ 6 საათს; შემდეგ ისევ დაუმატებდნენ წყალს და ისევ გააჩერებდნენ 6 საათს. უნდა „გადაბრუნებული“ ცომი, კიდევ ერთი ლიტრა წყალი დაემატებოდა, მერე კვლავ 4 საათს გაჩერდებოდა. „10 საათს გააჩერებ და შემდეგ დააყრი მარილს და თუ კი სხვა სახის ცომეულს ამზადებ, მაშინ შაქარი და სხვ. მისთანანი უნდა დაუმატო“, — გადმოგვცემს ვარლამ ჭოლაძე. გობში ცომი საბოლოოდ რომ ამოვიდოდა, მოიჭრებოდა გუნდა და ღუმელში — „ფურნეში“ ჩადებდნენ. მეცოძე ცაღკე იყო. თვიურად მას 15-25 მან. ეძლეოდა. ღუმელი კარგი გახურებული — „დამჯდარი“ უნდა ყოფილიყო, რაც მის ორსაათიან გახურებას და შემდეგ ორი საათით გაჩერებას ვარაუდობდა. ღუმელში, მთხრობელთა ცნობით, 20 თუნუქის ფირფიტა შედიოდა. თითო ფირფიტის სიგრძე 60 სმ, სიგანე — 40 სმ იყო. ოთხჯერ შეაწყობდნენ ამ ფირფიტებით პურს და გამოაცხობდნენ. ღუმელის ერთი გახურებით ოთხი ბრუნვა კეთდებოდა. დღეში ღუმელს 3-ჯერ ახურებდნენ.

ღუმელს ბერძენი ხელოსნები (ქუთაისში — „ფერმაში“ მცხოვრები ალექსი და ივანე ხოლიდები ამზადებდნენ); შეგირდებსაც ასწავლიდნენ ხელობას. ქვას თვითონ თლიდნენ. საღუმელედ კარგი იყო კურსების თეთრი ქვა. ხუთი თუმანი ღირდა მისი გაკეთება. საკონდიტრო „ფურნე“ დაბალი იყო, პურისა — მაღალი. მისი სიმაღლე იყო 80 სმ, სიგანე-2,5 მ, საკონდიტრო ღუმელის სიმაღლე — 2, სიგანე — 2,5. ქუთაისში ძმებს ჩილინგაროვებს ჰქონდათ საკონდიტრო. პურის ფქვილს ყიდულობდნენ კაკიტელაშვილსა და ელიგულაშვილთან, რომელთაც ფქვილი რუსეთიდან მოჰქონდათ, ხოლო ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმისათვის საჭირო ნედლეულს ჩილინგაროვები გერმანიიდან იწერდნენ.

**მექილეები.** ქუთაისში დაახლოებით 33 მექილე ყოფილა. ისინი ამქარში ხარატებთან ერთიანდებოდნენ. მექილეები ამზადებდნენ ძვლისა და რქის ქილებს, ვერცხლის ქილებს ოქრომჭედელი აკეთებდა. ხის ქილები მზადდებოდა ჩარხზე. მექილე აკეთებდა აგრეთვე ნარდის ქვებს (ბზის ხისაგან), კათხას (პატარა სასმოსს).<sup>1</sup>

**მეყანწეები.** შეკრებილი მასალის მიხედვით ქუთაისში 20-25 მეყანწე იქნებოდა. ყანწი კეთდებოდა ხარის, ჯიხვის, თხის რქისაგან. 65 წ. კოლა ნესტორის ძე თუთბერიძის ცნობით, სახელგანთქმული იყო ჯიხვის ყანწი. ჯიხვის რქა უპირატესად სვანეთიდან ჩამოჰქონდათ. წყვილი ჯიხვის რქა 3 მან. ღირდა, ხარის — 2 მან., თხის — 1 მან. თხის რქა სამეგრელოში იყიდებოდა.

რქას წყალში დააღობდნენ სამ დღე-ღამეს, მერე მოხარშავდნენ 2 ს. განმავლობაში. ხარშვას მაშინ მიმართავდნენ, როდესაც რქას გული ექნებოდა. ის საფხეკით გამოიწმინდებოდა, ხელეჩოთი გამოით-



ლებოდა, ქლიბით გაიქლიბებოდა; გაქლიბვას ორი სახის ქლიბით აწარმოებდნენ (მსხვილი, წვრილი, შემდეგ კი — დანით). ქლიბს სახეზე ქაღალდით გახეხავდნენ, ბოლოს ფხვნილით კარგად გააპირიანებდნენ. ყანწის ვერცხლის ნაწილებს ოქრომჭედელი ამზადებდა.

**მკუპრაჳი** აკეთებდა რუმბს ხარის ტყავისას, ტიკებს, ტიკტორებს თხისა და ციკნის ტყავისაგან შემკვეთის მასალით (თელავი, 1971 წ.). ახალ, ნედლ ტყავს დააყრიდნენ შაბსა და მარილს, რომ არ გახრწნილიყო; შეინახავდნენ ასე ერთი-ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ დაბერტყავდნენ.

ტიკს კუჭის ადგილზე გამოაკრავდნენ ხის მრგვალ „ხარატოლს“, მარცხენა წინა ფეხზე უკეთებდნენ „მასრას“, საიდანაც უნდა ჩამოსხმულიყო ღვინო. სამ დანარჩენ ფეხზე შიგნიდან გადაატყვრდნენ კანაფს. კისრის მხრიდან ტიკს ჰქონდა ღვინის ჩასასხმელი.

ტიკის დასამზადებლად სანჭირო კუპრს აღულებდნენ თუჯის ქვაბში. ცუდი გემოს გასანეიტრალებლად ხარშვის დროს შიგ ყრიდნენ მიხაკდარიჩინს, ილს, ყვითელ ყვავილს. ტიკს გადმოაბრუნებდნენ და წაუსვამდნენ ცხელ კუპრს. შემდეგ ისევ გადააბრუნებდნენ, გაბერავდნენ და ყელზე მოუჭერდნენ კანაფს. ასე ამოწმებდნენ მის სისადეს (თუ ნაჩრეტი ექნებოდა რუმბს, მაშინ არ გაიბერებოდა). გამშრალ ტიკს დასალბობად გარედან უსვამდნენ ცხვრის ღუმას<sup>35</sup>.

რუმბში ჩადიოდა 480 ლიტრი, ტიკში — 30-40 სათლი, ტიკტორაში- 8-10 ლიტრი.

**მენახშირეები** თელავში ცხოვრობდნენ „სამლულიან წყაროსთან“. ნახშირი იწვოდა ქისტაურის, ლაფანყურის, კისისხევის ტყეში. ხელოსნები თავადებისაგან ყიდულობდნენ ტყეს „დესატინობით“, თხრიდნენ ორმოს, რომელსაც ხურავდნენ თუნუქის სახურავით. ზემოდან აყრიდნენ მიწას. სახურავს შუაში უტოვებდნენ შეშის ჩასაყრელს, ხოლო გვერდებში, აქეთ-იქეთ, თითო „თვალს“ — ე.ი. ჩასახედს. ორმოს წინიდან დაბლა ჰქონდა კარები. აქედან ინთებოდა ცეცხლი, კარები იხურებოდა. შეშა იწვოდა, ბოლი ამოდიოდა ზემოთ. მუშები უთვალთვალებდნენ და როცა ჩაიწვებოდა, შეშის ჩასაყრელსაც და „თვალსაც“ დახურავდნენ. მესამე დღეს ნახშირი უკვე დამწვარი იყო, შეიძლებოდა მისი გამოღება.

სანახშირე ტომრებს ყიდულობდნენ ყარაჯალის თათრებში და მათგან ოჯახში უფრო მომცრო ზომის ტომრებს კერავდნენ. ჩაყრიდნენ ნახშირს, აპკიდებდნენ ჯორებს, რომელთაც ზარი ეკიდათ; ჩამო-

<sup>35</sup> შდრ. ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, გვ. 47.



ატარებდნენ ქალაქში დღის ორი-სამი საათისათვის. ზარის ხმაზე მსურველი გამოვიდოდა ნახშირის საყიდლად.

ყველა ზემოაღნიშნული დარგის ხელოსანთა გარდა მრავლად იყვნენ ქალაქებში სხვადასხვა ხელობისა და საქმიანობის წარმომადგენელიც, მაგ., თოკების მგრეხავები. ისინი აგროვებდნენ ღორის ჯაგარს, თხისა და კამეჩის ბალანს, ურევდნენ ცხენის ძუას, გაწკეპლავდნენ და დაგრებდნენ ჩარხზე (გორი, 1967 წ.); თუშური ქუდის მკერავები — პანკისელ ქისტებს მოჰქონდათ მოთელილი, დაშოლტილი საქუდე ნაბდები. თითო შოლტიდან გამოდიოდა 5-7 ქუდი. ნაბდის შოლტები იზომებოდა ნახევარადლიანით. შოლტი დაიკეცებოდა ნახევარი ადლის ზომაზე და მერე დაიჭრებოდა, თითო ნაჭერს დაადებდნენ ქუდის თარგს და ისე გამოჭრიდნენ. შეკერილ ქუდებს „დააკალაპოტებდნენ“ (თელავი, 1971 წ.); ყავრის გამხდელები; მუთღუეები — ჭაპნის მგრეხავები (ახალციხე, 1968 წ.); შეშის მჭრელები (ხუროები); მეთრიმლები; თიხის ჩიბუხები („ფუთურა“) მკეთებლები — ამზადებდნენ ახალციხეში, გაჰქონდათ იმერეთში. ასევე ამზადებდნენ „ნარგილას“, გადიოდა თურქეთში (ოპიუმის მსგავსი ნარკოტიკის მოსაწევი ჩიბუხი იყო); „მესტბაბუჩის“ (მესტისა და ქოშის) მკერავები (ახალციხე, 1968 წ.); მეფაიტონეები; მეფურგუნეები; მესათები, თულუხჩები და სხვანი; ჩამოთვლილ ხელოსანთაგან ზოგი ამქარში იყო გაერთიანებული, ზოგი კი სიმცირის გამო ცალკე მუშაობდა.

საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალების მიხედვით წვრილ წარმოებაში ჩაბმული იყვნენ არამარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. ისინი ბაზაზებისათვის, მეწვრილმანეებისათვის ლენაქს ბასმავდნენ და რეცხავდნენ, აბრეშუმის ძაფით თავსაკრავებს, პერანგის საყელო-გულისპირებს „კანვით“ ქარგავდნენ. ბამბის, შალის წინდებს, აბრეშუმისა და მატყლის ძაფის შალებს ქსოვდნენ (სიღნაღი, 1966 წ.).

მთხრობელთა ცნობით, ლენაქის გარეცხვა სამი შაური ღირდა, დაბასმვა კი უფრო ძვირი — ათი შაურამდე. ერთხელ დაბასმული ლენაქი იხმარებოდა ორი წელი. დაბასმვის ფასი ორნამენტის გამოყვანის სირთულეზე იყო დამოკიდებული. მაგ., ყურძნის ყვავილის გამოყვანა ლენაქზე ყველაზე ძვირი ღირდა. დღეში ხელოსანს შეეძლო ხუთი ლენაქის გარეცხვა, დაბასმვით კი მხოლოდ ორი ლენაქის დაბასმვას თუ შეძლებდა.

69 წ. საშა ზურაბის ასულ სიყმაშვილის (სიღნაღი, 1966 წ.) ცნობით, ლენაქს სამკუთხიან ქარგაში ჩააბამდნენ, წინასწარ მიტკალს მიაკერებდნენ ლენაქი კარგად რომ გაჭიმულიყო ქარგაში. ჭიქაში წებო ჰქონდათ გამოზადებული. მასში თავიან ქინძისთავს ამოავლებდნენ და

იმით ლენაქზე გამოჰყავდათ სახეები<sup>36</sup>. აბრეშუმის ძაფით ვარდებს ამოუქარგავდნენ საქორწინო ლენაქს, რომელსაც შემდეგ სახანტულოში ამოავლებდნენ.

გარდა ამისა, ქალები, 85 წ. ნუშო ივანეს ასული მდებრიშვილის (გორი, 1967 წ.) ცნობით, კავებსაც ამზადებდნენ, რაც ოთხ აბაზად ფასობდა. დალაქისაგან ყიდულობდნენ თმას. დალაქი გარდა იმისა, რომ თმას პარსავდა და თავს აბანიებდა მუშტარს, კბილის ამოღებასა და წურბლის დასმაშიც დიდად განსწავლულად ითვლებოდა. დალაქის გაკეთება 10 თუმანი ღირდა.

ძალიან იყო გავრცელებული როგორც ქალაქში, ასევე სოფლად ე.წ. ქალის „ოსტატობა“. 13-14 წ. გოგონები — „შეგირდები“ თავიანთ ოსტატებთან (მღვდლის ცოლებთან, ნასწავლ ქალებთან) წერა-კითხვასთან ერთად სწავლობდნენ ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვას, ლენაქის დაბასმვასა და სხვ. წვრილ ხელოსნურ საქმიანობას. ოსტატის შრომის ანაზღაურება ხდებოდა ძირითადად ქალის გათხოვებისას „მოსართავის“ (1 მან. ოდენობით, ნათლია იხდიდა) და „საოსტატოს“ (5-10 მან., მშობლები ან სასიძო იხდიდა) გადახდის სახით, თუმცა ზოგჯერ შეგირდის გასამრჯელო გარკვეული, დადგენილი თანხა იყო, მაგ წელიწადში 50 მან. ზოგჯერ შეგირდის მშობელი ოსტატს შვილის სწავლების საფასურად მთელი წლის მანძილზე უცხოობა პურს თონეში და სხვ.

თბილისსა (1960-61 წწ.) და ახალციხეში (1968 წ.) ჩაწერილი მასალებით ყ ა ზ ა ზ ი ამზადებდა აბრეშუმის საკერავ და ჩვეულებრივ სახმარ ძაფს, ქსელავდა ჩახსაკრავის, ჩაფარიშ-ბუზმენტის ქსელს და ქალებს ურიგებდა მოსაქსოვად<sup>37</sup>. ქალები ამქარში არ იყვნენ გაერთიანებულნი; ისინი, ჩვეულებრივ, მეორეხარისხოვან სამუშაოს ასრულებდნენ სახლში გარკვეული ანაზღაურებით. მაგ. თუ ადლი ჩახსაკრავის მოქსოვა ყაზახის მიერ 2 მან. ღირდა, ქალს ამ სამუშაოში 1 მან. უხდიდნენ<sup>38</sup>.

ეს მასალა, როგორც აღინიშნა, შეიკრიბა 1960-1961 წწ. თბილისში (ავლაბარში). 1981-82 წწ. კი ყაზახების ამ საქმიანობის შესახებ მასალის მოძიება ხალხში თითქმის შეუძლებელი გახდა. ზოგმა არც კი იცოდა მისი არსებობა. ამ მხრივ ხემოადინიშნული მასალა ძალიან ძვირფასია, თუნდაც იმის გამო, რომ არც „შინამრეწველობის მასალებში“ არ არის დაცული ჩაფარიშ-ბუზმენტების ქსოვის ყ ა ზ ა ზ -

<sup>36</sup> ლ. პოტორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, თბ., 1947 წ., გვ. 212; ნ. გვათუა, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

<sup>37</sup> ნ. აბესაძე, ყაზახთა ამქარი, გვ. 141.

<sup>38</sup> ნ. აბესაძე, თბილისელი ვეიქრები (ყაზახთა ამქარი), „მაცნე“, 1964, № 5,

ურ ი ტ ე ქ ნ ი კ ა. თუმცა 1960 წ. ჯერ კიდევ საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში დაცულ „შინამრეწველობის მინაბრუნების“ ინახებოდა ჩაფარიშების ნიმუშები (როგორც ნახატი, ისე მუხრანის მოქსოვილი). დღეს ეს ნიმუშები გამოქვეყნებულია „შინამრეწველობის მასალების“ მეორე ტომის მეორე ნაკვეთში (იხ. „მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის საქართველოში“, ტომი II, ნაწ. II, თბილისი, 1982 წ.). ეს არის ჩ ა ფ ა რ ი შ // ჰ ი ნ ა წ ი ს 26 ნიმუში. თითოეული ცალკე ბარათზე იყო დაკრული და აქვე იყო ახსნილი მათი ორნამენტი, დამზადების ადგილი და ხელოსნის ვინაობა.

ამ 26 ნიმუშიდან 24-ის დამზადების ადგილად დასახელებულია „ტფილისი“, ხელოსნად ვინმე მაია სააკოვი. დანარჩენი ორი ნიმუში ქუთაისიდანაა, ერთი ციციხოველეთის ერისთავის მიერ მოწოდებული, მეორე — თუმანიშვილის ოჯახიდან.

ეს ბარათები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ იძლევა შესანიშნავ მასალას ხელოსნობის გარკვეული დარგის — ქალაქური (ტფილისი, სიღნაღი, ქუთაისი) ხელსაქმისა და ქარგულობის შესახებ. აქვე იყო დაცული აგრეთვე ბაბთის, რომელიც აგრეთვე აბრეშუმის ვიწრო ჩაფარიშია<sup>39</sup>, სამი ნიმუში, სადებავებით შესრულებული. ხელოსნად დასახელებულია 63 წ. ვინმე კოლა არაქელაძე, ქალაქელი სომეხია, ყაზახი. 56 წ. ისაკიძის ძე ოქრუაშვილის ცნობით, ჩაფარიში იქსოვებოდა თბილისში, „მაგის ხელოსანს ყაზახი ერქვა“<sup>40</sup>. აქვე იყო აგრეთვე ჩახსაკრავის, ანუ როგორც „მასალებშია“ განმარტებული, „ვანციანის ჩარჩუბადის“ ნიმუში. ეს ჩახსაკრავი 3 მ და 39 სმ სიგრძისა, სიგანით 3 სმ ყოფილა. მოცემულია ამ ერთი ჩახსაკრავის ყოველი ორნამენტის ცალკეული ნიმუში, სულ შვიდი, და განმარტებულია თითოეულის რაობა, განმარტებლად დასახელებული არიან ვინმე მაია და აკოფა ალავერდოვები. აქვე მოცემულია ცალკეული ორნამენტის სახეები (მაგ., „ბულბული ვარდზე“, „ფარშავანგი“, „გვირილა“, „ფოთლიანი ვარდი“, „მურდახილის მანეების“ მაგვარი ნაკერი ჩრდილების სახეები; მთხრობელი მაიკო ბატუტაშვილი, კახეთი) და აღნიშნულია, რომ ეს ჩარჩუბადი მოქსოვილია 40 „ჩაფრით“. ჩაფრებით, როგორც ეს ხელსაქმის ტერმინოლოგიაშია<sup>41</sup> ახსნილი, იქსოვებოდა

<sup>39</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., სიტყვ. „ბაბთა“; „შეიდიშზე მოსაკერებელი აბრეშუმის ზონარი“ (იხ. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943 წ., სიტყვ. „ბაბთა“; შდრ. ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ზემოიპერული ლექსიკონი, ტფ., 1938 წ., სიტყვ. „ბაფთა“ — ერთგვარი არშიაა, იქსოვებოდა ფირფიტაზე. ივლებდნენ საცვლებზე).

<sup>40</sup> შ.მ., ტანისამოსი, გვ. 167.

<sup>41</sup> ხელსაქმის ტერმინოლოგია ეროვნის „შინამრეწველობის მასალებს“, ისიც ჯერ არ დაბეჭდილა.





რომ სიარულის დროს ჩაფარიში კაბის ქვეშიდან გამოჩნდის ხოლმე ფარჩის ნიფხავს, ჩაფარიშებით მორთულს, შეიდი მარჯვენა მხარეს სათალხოვლად საცვლებზე პატარძალს შავ ჩაფარიშს მოკლებდნენ თურმე, დიდ შავ ყაითანს<sup>53</sup>. მთხრობელთა განმარტებით, ახალუხსაც ჩაფარიშს ავლებდნენ, რომ „უფრო ჭრელი ყოფილიყო“<sup>54</sup>.

რაც შეეხება ჩაფარიშის ქსრვის ტექნიკას, მისი აღდგენა მხოლოდ „შინამრეწველობის მასალებით“ ძნელია. მართალია, მის ორივე ტომში (ტ. II, ნაწ. II — ქსრვა, დებვა, ქარგვა; ტ. III, ნაწ. 1 — ტანისამოსი) დაცულია უმდიდრესი მასალა ჩაფარიშ-ჩახსაკრავების ქსოვის შესახებ, მაგრამ ყაზახური ანუ ქალაქური ჩაფარიშის დამზადების ტექნიკა განსხვავებულია სოფლურისაგან; ქალაქური უფრო სრულყოფილია, პრინციპი კი მაინც ერთია.

ჩვენ გვქონდა ბედნიერი შემთხვევა გვემუშავა 1960-1961 წწ. 92 წ. აკოფა ისაკის ძე ალავერდოვთან თბილისში, სწორედ იმ ყაზახთან, რომლის მონათხრობი დაცულია ზემოხსენებულ „შინამრეწველობის მასალებში“.

საქართველოს ქალაქებში (თბილისი, თელავი, ახალციხე, სიღნაღი, ქუთაისი) ფეიქარ-ხელოსანს ანუ აბრეშუმის ხელობის მცოდნეს „ყაზაზი“ ეწოდებოდა. ყაზაზი სპარსული სიტყვაა და აბრეშუმით მოვაჭრეს ნიშნავს<sup>55</sup>.

ყაზაზის ძირითადი საქმიანობა აბრეშუმის ძაფის დამზადება იყო. სამუშაოსათვის საჭირო ნედლეულით — აბრეშუმით ყაზაზებს თავიანთი ოსტატი, სახელოსნოსა და მაღაზიის პატრონი („ხაზეინი“) ამარავებდა. მთხრობელთა ცნობით, „ხაზეინი იგივე ოსტატია, რომელსაც უყაირათნია, გამდიდრებულა და მაღაზია გაუხსნია. მას ქირაობდნენ, ქარვასლები იყო და იქ იღებდნენ იჯარით ბინას“. მაღაზია ბაზართან ახლოს უნდა ყოფილიყო. მაგ., სპირიდონოვის ქარვასლაში ერთი რიგი ყაზაზებს ეკუთვნოდა. ხოლო სახელოსნო, რომელსაც მთხრობელები „ქარხანასაც“ (ქარხანა, მათი განმარტებით, სამუშაო ადგილია) უწოდებდნენ, მაღაზიიდან მოშორებით იყო მოთავსებული. სახელოსნოს სარგებლობისათვის ოსტატი-„ხაზეინი“ 25 მან. იხდიდა თვეში.

<sup>53</sup> შ. მ., ტანისამოსი, გვ. 33.

<sup>54</sup> შ. მ., იქვე, გვ. 198.

<sup>55</sup> Гаффаров М. А., Полный персидско-русский словарь, М., 1914 г. სიტყვ. „ყაზაზ“. ყაზაზი, ი. გრიშაშვილის განმარტებით, ყაითან-ბუზმენტების ხელოსანია, იხ. მისი შრომა — „საიათნოვა“, თანდართული ლექსიკონი; შდრ. მისივე; „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ლექსიკონი, სიტყვ. „ყაზაზი“, თხულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1967.



საერთოდ ამ „ხაზეინს“ ეკუთვნოდა საქონელი, რომელსაც ამუშავებდნენ ყაზახები და რომელსაც ყიდდა ის თავის მდებარე აკოფა ალავერდოვის ცნობით, თბილისში ყაზახებს 5-6 „ნახეინი“ ჰყოლიათ, დანარჩენს კი შეგირდები და ქარგლები წარმოადგენდნენ. ამ „ხაზეინთაგან“ მან დაგვისახელა — ეუკიელი შაქარ ნურალოვი, ფაშა ფაშიევი, ალა დარიბოვი, სედრაქ სააქოვი, ნიკოლასა და ბოლოს ახალციხელი ვანციანი.

ხაზეინები ნელეულისათვის სპეციალურად ქუთაისს, სამტრედიას, სენაკსა და მუხრანს მიემგზავრებოდნენ და იქიდან ეზიდებოდნენ დიდი ტომრებით („ბაზანა“//„ბარდანებით“) შულოებად ამოხვეულ აბრეშუმს. თითო „ბარდანაში“, აკოფა ალავერდოვის ცნობით, 10-15 ფუთი აბრეშუმი ჩადიოდა. ჩვეულებრივ, მოჭქონდათ 3-4 „ბაზანა“ აბრეშუმი, დაუძახებდნენ ქარგლებსა და შეგირდებს, სადილს გაუმართავდნენ და მუშაობაში ჩააბამდნენ, გირვანქობით უწონიდნენ ამოსახვევ ძაფს — „წონით ამუშავებდნენ“. გირვანქის ამოხვევა ათი შაური, სამი აბაზი ზირდა.

პირველად შულოებიდან აბრეშუმის ძაფს ამოახვევდნენ. ცალკე ოსტატი იყო ძაფის დამხარისხებელი, ცალკე ძაფის ამომხვევი. ძაფს სამად დაახარისხებდნენ: „სხვილი“, „წმინდა“, „შუათანა“ ანუ „დაბალი“.

ხელოსნებს სპეციალური დაზგები ე. წ. „ვილა-ლარები“ ჰქონდათ ძაფის ამოსახვევად. ამ უკანასკნელს წყალში ჩადგამდნენ, ძაფი სველი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ დაიგრეხებოდა. „თუ სველი არ იყო, კარგი არ მოდიოდა“, — გადმოგვცემენ მთხრობელები.

ძაფის დაგრეხაზე სამი კაცი მუშაობდა: ერთი „შუა მომუშავე“ იყო, დღეში ოთხი აბაზი ეძლეოდა, ერთი თავში უნდა ყოფილიყო, ძაფები უნდა აეკრიფა, ოსტატი იყო, ის ერთ მანეთს იღებდა დღეში, მესამე შეგირდი ბოლოს იღვა, მისი ხელფასი ორ-სამ აბაზს შეადგენდა.

ძაფს ჯერ ცალ წვერად გრეხავდნენ და მერე იმავე ჩარხზე „დაორკეცებდნენ“ — ორს ერთად შეგრეხავდნენ. იცოდნენ მხოლოდ წმინდა ძაფის ჯერ დაორკეცება და მერე დაგრეხა. „შუათანა“ ანუ „დაბალი“ ძაფი დაგრეხილი, დახვეწილი, მაგრამ დაორკეცებული არ იყო.

ჩარხზე დაგრეხილ ძაფს ორკაპა ხეზე შულოებად ამოახვევდნენ და მერე სოლიან წყალში გამორხარშავდნენ დარბილების მიზნით.

ჩვეულებრივ, ძაფს ორი ხელოსანი ხარშავდა: დიდ ქვაბში 2-3 კ სოლას ჩაყრიდნენ, 10-12 შულოს, თითოეულს 3-4 გირვანქიანს, ჯოხებსზე გადებდნენ და ქვაბში ჩაკიდებდნენ, დროდადრო შულოებს რიგ-რიგობით აქეთ-იქიდან თოკებს უნაცვლებდნენ; ცდილობდნენ, რომ შულოები მთლიანად გამოხარშულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ

ერთ-ერთ შულოს ამოიღებდნენ, ჯოხს მიაჭერდნენ; თუ შულო გა-  
თეთრდებოდა, მაშინ ის გამოხარშული იყო და ამოიღებდნენ. ამის  
ძაფს კარგად რეცხავდნენ, რისთვისაც ის მდინარეზე მისწავნიან,  
უმთავრესად კრწანისის წყლებზე; ქვაზე ურტყამდნენ, რომ ძაფს ტუჭ-  
ყიანი წყალი გასცლოდა.

ამის შემდეგ ძაფს ღებავდნენ. იცოდნენ ძაფის ცხელ „შაბწყალში“  
გატარება წინასწარ, რაც საღებავს, მთხრობელთა ცნობით, მეტად  
დიდ მდგრადობას ანიჭებდა. ასე შეღებილი ძაფი შემდეგ აღარ ხუნ-  
დებოდაო — გადმოგვეცემენ მთხრობელები.

76 წ. გვეორქ იაგორის ძე ათოევის ცნობით (თბილისი, 1961 წ.),  
მტკვრის პირას სოკოსავით მცენარე იზრდებოდა, ე. წ. „როშანაკი“, მას  
გაახმობდნენ, იმის წყალს დააყენებდნენ და მასში გაავლებდნენ შესა-  
ღებ ძაფს, რაც მას „პეწს“ აძლევდა.

მთხრობელთა გადმოცემით, ადრე სცოდნიათ ძაფის მცენარეულ  
საღებავში შეღებვა, რისთვისაც იყენებდნენ ძეძვისა და ნახის (ერთ-  
გვარი მცენარეა) ნაყოფს (ყვითლად ღებავდა), ენდროს ძირებს (მუქ-  
წითელ ფერად) და სხვა. ღებავდნენ თვითონ ყაზაზები. მხოლოდ  
„ლილაში“ როცა სურდათ შეღებვა, მაშინ აძლევდნენ სამღებროში.  
როგორც მთხრობელთა ცნობიდან შეინიშნება, ბოლო დროს ძირი-  
თადად ფაბრიკული საღებავების გამოყენება დაუწყიათ.

თეთრი ფერის ძაფის მისაღებად კი ასე იქცეოდნენ: შულოებად  
გამოხარშულ ძაფს თონეში ჩაკიდებდნენ, პატარა ცეცხლს შეუნთებ-  
დნენ, კუთხეებში გოვირდს მოაყრიდნენ, თონეს ზემოდან საბანს გადა-  
ახურავდნენ და ტოვებდნენ ნახევარ დღეს — „თონეს უნდა ებოლნა“.  
მერე ძაფს ამოიღებდნენ, ჰაერზე გაფენდნენ. ძაფი თეთრი, „ქათქათა“,  
გამოდიოდა. „ეგეთი გამოდიოდა, როგორც ბროლი“, — გადმოგვეცემენ  
მთხრობელები.

ძაფი ან მუყაოზე დახვეული გაიყიდებოდა, ანდა შულოებად ამოხ-  
ვეული. მისხალი (4 გ) ძაფი 10 კაპ. ღირდა, გირვანქა — 6 მან., „უმუ-  
შევარი“ ძაფი (ახალი „გამოწეული“ — ამოხვეული პარკიდან) 3-4 მან.

ყაზაზები ამზადებდნენ შემდეგი სახის ძაფს: საკერავი — საოჯახო,  
ჩვეულებრივ, თეთრი და შავი ფერის „ცალწვერად“ დაგრეხილი და  
შემდეგ დაორკეცებული ძაფი, აგრეთვე, მსხვილი, წვრილი და შუათანა  
ძაფი.

ე. წ. კოჭის ძაფი იხმარებოდა ფეხსაცმლის, უმთავრესად ჩექ-  
მების შესაკერად. მას „ზაგატოკვის“ ძაფს უწოდებდნენ.

მსხვილი ძაფიდან იქსოვებოდა განიერი ქამრები, რომლებზედაც  
დიდი მოთხონილება განსაკუთრებით ქუთაისში შეინიშნებოდა. ამ  
ძაფიდან მზადდებოდა აგრეთვე ფუნჯები. ყაზაზთა ცნობით, ამგვარ  
ფუნჯებს ყაბალახს („ბაშლიყს“) უკეთებდნენ, რომელსაც დიდი გასა-  
ვალი ჰქონდა ოსმალეთში.

ამ სახის ძაფიდან იქსოვებოდა ჩახსაკრავიც. მის ქსელს თვითონ ყაზაზები ქსელავდნენ, რომლებსაც შემდეგ მოსაქსოვად ქალებს აძლევდნენ. ადლი ჩახსაკრავის მოქსოვა 2-3 მან. ღირდა. დღეში მამაკაცი ხელოსანი ორ ადლს მოქსოვდა. მაგრამ აღნიშნული სამუშაოთი მამაკაცები თავს არ იტვირთავდნენ, ამჯობინებდნენ მიეცათ იგი დედა-კაცებისათვის, რომელთა შრომაც, როგორც აღინიშნა, გაცილებით იაფად ფასობდა.

დაბალი — შუათანა ძაფიდან იქსოვებოდა, ჩვეულებრივ, ყაითანი. ხელოსნები 12 კოჭიან მანქანაზე ქსოვდნენ ყაითანს, დედაკაცები 8 კოჭიან გუდაზე, რის გამოც მას „ხელის ყაითანს“ უწოდებდნენ.

აბრეშუმის ძაფიდან მზადდებოდა ე.წ. „ზეიც“. სამი ფერის (ლურჯი//ყვითელი, წითელი, მწვანე) დაბალი ხარისხის აბრეშუმის ძაფს ერთად შეკრებავდნენ. ზეი იხმარებოდა ჩოხის ნაპირების მოსავლებად ჩაფარიშის გვერდით.

აბრეშუმის ძაფის ამოხვევით და დაგრეხით, საკერავი ძაფის დამზადებით ამოიწურებოდა „აბრეშუმის ხელობა“. მაგრამ ყაზაზთა ამქარში იყვნენ არამარტო „აბრეშუმის ხელობის“ მცოდნე ოსტატები, არამედ ე.წ. „ს რ უ ლ ი ხ ე ლ ო ბ ი ს“ მფლობელებიც, რაც „აბრეშუმის ხელობის“ გარდა, „ოქრომკედის ხელობის“ ცოდნასაც გულისხმობდა.

„ოქრომკედის ხელობა“ შედარებით რთულ საქმიანობად იყო აღიარებული და ყაზაზთა ამქარში მისი მცოდნე სულ რამდენიმე თუ იქნებოდა. აკოფა ალავერდოვის ცნობით, ყაზაზთა შორის მხოლოდ სამი ყოფილა „ოქრომკედის ხელობის“ ოსტატი. მათ შორის თვით ჩვენს მთხრობელი — აკოფა ალავერდოვიც. (თბილისი, 1960-61 წწ.).

„ოქრომკედის ხელობაში“ ძირითადად ოქრომკედის დამზადება და მისგან სხვადასხვა საგნების ქსოვა იგულისხმებოდა. ადრე ოქრომკედს, როგორც ყაზაზები გადმოგვცემენ, თვითონ ამზადებდნენ, მაგრამ შემდეგ, ძირითადად მოსკოვიდან შემოტანილი ოქრომკედით კმაყოფილდებოდნენ.

მთხრობელთა ცნობით, მოსკოვში ოქრომკედის წარმოებით განთქმული ყოფილან და დიდი „ფაბრიკები“ ჰქონდათ ივეინოვსა და იუდინს, რომლებსაც თბილისში თავიანთი ნოქარი (приказчик) უფთოვი ჰყოლიათ. იგი ვექსილით აძლევდა ოქრომკედს მადახის მუპატრონეებს. ერთი კგ. ოქრომკედი, აკოფა ალავერდოვის ცნობით, 10-15 თუმანი ღირდა. 200-300 თუმნის ვექსილებს აძლევდა უფთოვი თურმე „ხაზეინებს“. თუ ისინი სამ თვეს დაავგიანებდნენ და აღნიშნულ თანხას ვადაზე ვერ გადაიხდიდნენ, ვექსილი კრედიტში მიდიოდა; „მოვიდოდნენ, თავზე დაადგებოდნენ ხაზეინებს, რომლებსაც, თუ ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ მოთხოვნას, მადახიას დაუბუჭდავდნენ“.



ოქრომკედი ორი სახისა იყო — აბრეშუმისა და ბამბის ძაფიანი. პირველი უფრო გამძლე იყო და ამიტომ ძვირადაც ფასობდა. ვერცხლის, თითბრისა და სპილენძის ოქრომკედი.

ოქრომკედი ასე მზადდებოდა: ვერცხლს, სპილენძსა და თითბერს გათლიდნენ, ძაფის დახვევის დროს ლითონის ამ ანათალსაც მასზე დაახვევდნენ, შემდეგ ოქროს ვარაყში გაატარებდნენ და ოქრომკედს ამგვარად შეამზადებდნენ. ცნობილი იყო, აგრეთვე, 94 სინჯის ოქრომკედიც. იგი კოჭაზე დახვეული იყიდებოდა. მას გრეხდნენ და ახალუხის ნაპირებზე ივლებდნენ. „ხუთი ჯრშინი და ერთი ჩარეკი“ ჰყოფნიდა ერთ ახალუხს, გადმოგვცემენ მთხრობელები.

ოქრომკედისაგან ძირითადად ჩაფარიშს, ბაბთებს, ბუზმენტებს ქსოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ხელოსნები ზემოაღნიშნული საგნების მხოლოდ ქსელს (ე. წ. „ჰინაწს“ — სომხურად) ქსელავდნენ, რომლებსაც შემდეგ მოსაქსოვად ქალებს აძლევდნენ.

ჩაფარიშ-ბაბთებისა და ბუზმენტების ქსელის დაქსელვა სპეციალურ დაზგაზე — „მანქანაზე“ წარმოებდა, რომელსაც ჰქონდა ხის სავარცხელი. მის კბილებში ხდებოდა ქსელის თვლების ჩაყრა. ჩაფარიშს ძუის მსგავს ძაფს — „ლაშჩანის“//„ლაშონის“ (ესეც მოსკოვიდან შემოჰქონდათ) ატანდნენ. თუ სადა ჩაფარიშს ქსოვდნენ, მაშინ ქსელის ძაფს ერთ ლვილაზე („ლულაზე“) დაახვევდნენ. მაგრამ უფრო ხშირად სახიან ჩაფარიშს ქსოვდნენ. მაშინ ძაფები ორ ლვილაზე უნდა დაეხვიათ, რომ არ არეულიყო.

არსებობდა ჩაფარიშების ქსელის დაქსელების რამდენიმე სახე, მაგ., „ჩემმა ბუმბული“, „ჭიკჭიკა“, „ნახევარი ნში გული“, „მთელი ნში გული“ („ნში“ ქართულად ნუშს ნიშნავსო, გადმოგვცემენ მთხრობელები), „გარიგარია“, რომელთა შესაბამისად ხდებოდა სავარცხლის თითოეულ თვალში ქსელის ძაფის ჩაყრაც. მაგ., „ჩემმა ბუმბულიანი“ სახის ქსელის დაქსელებისას სავარცხლის თითო თვალში სამ ოქრომკედსა და ერთ ძაფს ჩაყრიდნენ. „ჭიკჭიკას“ სახის ქსელის დაქსელებისას სავარცხლის ყოველ კბილში ორ ძაფსა და ორ ოქრომკედს გაატარებდნენ. „ნახევარ ნში გულიანი“ ქსელის დამზადებისას სავარცხლის ყოველ კბილში სამი ძაფისა და ერთი ოქრომკედის გაყრა იგულისხმებოდა, „მთელ ნში გულიანიშიც“ ძაფები ასევე იყო განაწილებული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ოქრომკედი შუაში იყო მოთავსებული, მხოლოდ ძაფები გვერდ-გვერდით მიჰყვებოდა.

ხელოსნის მიერ დაქსელებილ ქსელს ქალები შემდეგ „ფირფიტებით“ ანუ „ჩაფრებით“ ქსოვდნენ. ფირფიტა ტყავისა, ან მაგარი ქაღალდის ოთხკუთხედის ფორმის მზადდებოდა, რომელსაც ოთხივე კუთხეში ნაჩრეტი უკეთდებოდა.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ყაზახები ფირფიტების დამზადების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, ჩაფრებს „კარტის“ — ბანქოს



იმ ნახევებიდან ამზადებდნენ, რომლებიც უდიდესი რაოდენობით იყო „ჩაიხანეში“.

„უწინ ჩაიხანეში კარტს თამაშობდნენ, რომ წააგებდნენ, გაბრაზებულები ხევდნენ კარტს, იმ ნახვიდან ჩაფრებს აკეთებდნენ, ხაზეინებს მოჰქონდათ და ყიდნენ ამ ჩაფრებს“ — გადმოგვცემს აკოფა ალავერდოვი (თბილისი, 1960 წ.).

ქსელის ძაფებს მქსოველი თავს გაუწყვეტდა, ამოიღებდა ძაფებს და თითოეულ მათგანს ფირფიტის თითო ნაჩვრეტში გაატარებდა. დაქსელილ ქსელს, წნულის სახით შემზადებულს, მქსოველი დაზგის თავებში დაამაგრებდა და ქსოვის დროს ნელნელა ჩამოარღვევდა.

საგარცხლის კბილების შესაბამისად ხდებოდა ფირფიტების გამოყენება ქსოვისას, რის შესახებაც ხელოსანი წინასწარ აცნობებდა მქსოველს — „ამდენ და ამდენ ჩაფრიანი ქსელიაო“. ფირფიტებზე ასხმულ ქსელს მქსოველი წინ მოიმარჯვებდა, ფირფიტებს გადაატრიალებდა, გაატარებდა საზედაო ძაფს და „დაშნით“ ჩაბეჭავდა. გარკვეული ნაწილის მოქსოვის შემდეგ, ფირფიტებს საწინააღმდეგო მხარეს დაატრიალებდა, რომ ქსოვის დროს დაგრეხილი ნაწილი გასწორებულიყო.

„შინამრეწველობის მასალებში“ ხელსაქმის ტერმინოლოგიის მიხედვითაც, როგორც აღინიშნა, ჩაფარიში ჩაფრებით იქსოვება. აქ დაცული მასალებით, ჩაფარი „კარტის“ ქალაღია გამოჭრილი ოთხკუთხედად, ოთხ ალაგას, ბოლოებზე შემფურეშთაა გახვრეტილი<sup>56</sup>. ჩაფარიში იქსოვება აბრეშუმის<sup>57</sup>, „ლაშჩანის“ ძაფით<sup>58</sup>. ჩაფარი არის მაღალი, დაბალი<sup>59</sup>, ვირისტყავის<sup>60</sup>. ჩაფრის ოთხივე ნახვრეტში ძაფის დაყენება ხდება<sup>61</sup>. ჩაფარში ხდება „ჰინაწის“ (//ქსელის) ძაფის აგება<sup>62</sup>, ჩაფრების ასხმა, დალაგება, ხელით დაწყობა. „ჩაფრების ერთხელ დატრიალების დროს ჰინაწის სახე ორთავ მხარეს ერთია. ჩაფრების მობრუნება ხდება თითო-თითოდ; ჩაფრების ორჯერ დატრიალებისას ჰინაწზე სახე კეთდება: ერთ მხარეს ერთ ფერად მოდის, მეორე მხარეს — მეორე ფერად. ასე მოქსოვილი მაგარი გამოდის — დ უ გ უ რ ო დ უ გ უ რ ო, ეს ჩარჩუბადის ნაქსოვია. ჰინაწის ქსოვაში იმას ჰქონდა

<sup>56</sup> შ.მ., ხელსაქმის ტერმინოლოგია, გვ. 257.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 226.

<sup>58</sup> იქვე, შდრ. აკოფა ალავერდოვის ცნობა ამ ძაფის შესახებ, ისიც „ლაშჩანის“ ძაფს უწოდებს მას.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 259.

მნიშვნელობა სახის გამოყვანისათვის, თუ რომელი ძაფი უნდა მეტრობ-  
დეს თითოეული ჩაფრის ნახვრეტებში<sup>63</sup>. „ჯერ შუის ჩაფრის ნახვრეტებში  
დებდით, მერე აქედან, მერე იქიდან და თითო-თითო გასწავლიყავით“

ქსოვის დამთავრებისას ძაფების დიდი ნაწილი ბოლოებში მოუქ-  
სოველი რჩებოდა. მას ამოჭრიდნენ და ხელოსანს უბრუნებდნენ.

მოქსოვილ ჩაფარიშს სპეციალურ წნეხში — ე. წ. „პრესში“ გაატა-  
რებდნენ, რომ მას „პეწი“ მისცემოდა, ელვარება დაეწყო.

ჩაფარიში იქსოვებოდა ვიწრო და განიერი; ქსოვის პრინციპი  
ერთი და იგივე იყო. განიერს ესაჭიროებოდა მხოლოდ ფირფიტების  
მეტი რაოდენობა. განიერ ჩაფარიშს ქალები ქამრად ხმარობდნენ.

თითო ჩაფარიში სიგრძით 52 ადლი იქნებოდა. სამი ჩაფარიში  
თავისი ძაფით, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, 1 კვ გამო-  
დიოდა.

ბუზმენტიც ჩაფარიშის მსგავსად იქსოვებოდა, მაგრამ მხოლოდ  
ოქრომკედის ძაფიდან, მას აბრეშუმის ძაფს ქსოვისას აღარ ურევდნენ.  
ბუზმენტიც იმავე დანიშნულებისათვის იხმარებოდა, უმთავრესად  
ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწილების დასამუშვენებლად.

რაც შეეხება ჩახსაკრავს, ის წვივზე პაიჭის შემოსაკრავი აბრეშუმის  
ზონარია, ჭრელია და ზოგჯერ მასზე ლექსია ამოქსოვილი<sup>65</sup>. ასეთ ჩახ-  
საკრავს „წერილის“ ჩახსაკრავი ეწოდება. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს  
სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდის  
აბრეშუმის ქსოვილების კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას  
ჩახსაკრავები იქცევს. უმრავლესობა მათგან საქართველოს სახელმ-  
წიფო მუზეუმის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოყენის ძველი ყოფის  
ამსახველ დარბაზშია წარმოდგენილი.

ჩახსაკრავის ლექსები და წარწერები შემდეგი შინაარსისაა: „ვარ  
ჩახსაკრავი ნაქსოვი, სასამსახუროთ ღომისა, გძირი ვეფხისა მბაძავი,  
თვალტანად დახატულისა, პირმოცინარემ მოვქსოვე, ხელი ვახმარე  
ბროლისა, ვინ სახელს იუწყებოდით, მისივ ფრინველი ვისი ვარ“ (სა-  
ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 19-40/6-7); „ჩახსაკრა-  
ვი მუხლს ვესურვი, ესე იგი მისართმევი ვარ ღომისა, ტანათ აღვისა,  
პირად მზისა. ეს ჩახსაკრავი მიერთვას ნათლიას ნათლისდედა მიტრო  
მენაბდიშვილისაგან“ (კოლ. № 10-34/23); „ეს ბალი საღვინოთ მოხ-  
მარდეს იესობ სიძეს ბატონს მირმანოვს“ (კოლ. № 16-27/76);

<sup>63</sup> შ.მ., გვ. 226.

<sup>64</sup> შ.მ., გვ. 259.

<sup>65</sup> სტ. შენ თე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიური ლექსიკონი, სიტყვ. „ჩახსაკრავი“ შდრ. გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, ტფ., 1938, სიტყვ. „წვივსაკრავი“//„წვივსაკრავი“ — „ლექსკუთხია“. ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ზემო იმერული ლექსიკონი, ტფ., 1938, სიტყვ. „წვივსაკრავი — ლექსკუთხები“.

„სალხინოთ მოხმარდეს აღექსი ზამუკაშვილს — მაისის 15“ (კოლ. № 45-24/2); „ჩახსაკრავი ვარ ნაქსოვი ტანად მზის, პირად ჰაერად, ტანად ალვა, პირად მზე ვარ, მისართმევი ვარ ლომისა, ვესურვი“<sup>66</sup>. ქსოვდნენ პატარძლები მაზლების, მამამთილებისა და სხვა ახლობლებისათვის.

„შინამრეწველობის მასალებში“ ჩახსაკრავების დანიშნულების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ჩვენი გლეხი ხალხის ჩასაცმელი წინდა, პაიჭი და ქალამანი იყო. წინდა პაიჭის ზემოდან უნდა ჩაეცვათ და სახვევით უნდა დეემზარებინათ, პაიჭში შალვრის ტოტი უნდა ჩაეტანებინათ და ჩახსაკრავი უნდა შემეერტყა“<sup>67</sup>. ამავე დროს ამავე მასალებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია წვივისაკრავი და ჩახსაკრავი. მაგ., ვკითხულობთ: „ხანდახან, განაგრძობს პ. ყაველაშვილი, პაიჭის მაგივრად, საცვეთებსაც ატარებდნენ, საცვეთი დაბლა ვიწრო იყო და მადლა განიერი, დაბლა, კოჭთან, ტოტზე შახსნილი იყო, დილებით თასმის კვანძები ეკერა და თასმითვე იკვროდა, საცვეთს მეში პქონდა მობმული, ფეხზე უნდა ამოდებულყო, რო საცვეთი მადლა არ აწეულიყო. საცვეთს ზემოდანაც ჩ ა ხ ს ა კ რ ა ვ ს იკრავდნენ, მაგრამ რაკი ეს ძვირი ჯდებოდა, წ ვ ი ვ ს ა კ რ ა ვ ე ბ ს შამაირტყავდნენ ხოლმე“<sup>68</sup>.

ქიზიყური მასალით ჩახსაკრავი და წვივისაკრავი გაიგივებულია. მაგ., „... მუხლს ქვემოთ პაჭიჭზე ჩ ა ხ ს ა კ რ ა ვ ს ან წ ვ ი ვ ს ა კ რ ა ვ ს (წვირსაკრავს) შემოირტყამენ ხოლმე“<sup>69</sup>.

ერწო-თიანეთის მასალებში საცვეთის შესაკრავად წ ვ ი ვ ს ა კ რ ა ვ ი ა დასახელებული<sup>70</sup>.

ქართლის მასალების მიხედვით ჩახსაკრავს მუხლსაკრავი ეწოდება: „წინდებს რომ ჩაიცმევდნენ, ზედ შემოირტყავდნენ იმასაც (მუხლსაკრავს, ნ. ა.), მოქსოვილი იყო, სარტყელს რომ წელზედ იკრავდნენ, მუხლსაკრავს ფეხზედ იკრავდნენ“<sup>71</sup>.

მეგრული მასალებით ზემოაღნიშნული ზონრის ფუნქციის მატარებლად წვივისაკრავი ჩანს, ხმარობდნენ ლ ე კ ვ ე რ თ ხ ს ა ც, მაგრამ იგი ღვედისაგან კეთდებოდა, რომელსაც „შ ა ლ ი კ ე ბ ი ა ნ ი ს ა რ ტ ყ ე ლ ი ვ ი თ ე ნ ა ქ ე ს, ახლანდელი შემოტანილია, თორემ ძველად არ

<sup>66</sup> სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სიტყვ. „ჩახსაკრავი“, შდრ. შ. მ., ტანისამოსი, გვ. 17; შ.მ., ტ. II, ნაწ. II, გვ. 37-38.

<sup>67</sup> შ.მ., ტანისამოსი, გვ. 52.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 18-19.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 179.



იცოდნენ<sup>72</sup>. ხოლო 60 წ. ნინო პავლეს ასულ კედიას ცნობით, ფეხზე  
ჯერ იცვამდნენ პაიჭს, მერე შ ა მ ხ ე ს. შამხეს დასამადგენად უფრო  
ლექვერთხი და წვივსაკრავი, რომელიც იქსოვებოდა ზონის მიხედვით  
სად<sup>73</sup>.

ლენხუმური მასალის მიხედვით — „პაიჭზე სამუხლესაც ჩაიცვამ-  
დნენ და ლექურთხს შემოიჭერენ“<sup>74</sup>. მაგრამ აქედან არ ჩანს, თუ  
„ლექურთხი“ რა მასალიდან მზადდებოდა.

აჭარული მასალით, წვივსაკრავი და „წელსაკრავი“ — „ბალი“ ერთი  
და იგივეა, იქსოვება ყდაზე. „შინამრეწველობის მასალების“ ხელნა-  
წერში დაცული იყო „ხონჯრების“ ანუ „თორის“ (როგორც ფოტოსუ-  
რათს ეწერა) ქსოვის პროცესის ამსახველი ფოტოსურათი. მასზე წარ-  
მოდგენილი საქსოვი ანალოგიურია ხონჯრების საქსოვი ყდისა, აქვე  
ნაჩვენებია მოქსოვილი „თორი“ ჩახსაკრავისა.

„ბალის“ შესახებ აჭარულ „მასალებში“ შემდეგს ვკითხულობთ:  
„სარტყელზე მევიხვ ბ ა ღ ს (ბალი — წვივსაკრავი, წელსაკრავი),  
ბალი ორი მეტრია. ბაღს კული აქვს; ბაღზე ფუსკულია (ფოჩი). ბალი  
ჭრელი უნდა იყოს“<sup>75</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღების ცენტრში დგება ერთი  
გარემოებაც. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთიანი  
ეთნოგრაფიული გამოფენის ძველი ყოფის ამსახველ დარბაზში წარ-  
მოდგენილი ჩახსაკრავების ქსოვის ტექნიკის ფირზე საქსოვ აპარატად  
ნაჩვენებია საქსოვ ფირფიტებთან ერთად „ხონჯრების“ საქსოვი ყდა.  
ასევეა იგი ასახული „შინამრეწველობის მასალების“ მეორე ტომის  
მეორე ნაკვეთში<sup>76</sup>. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხონჯრების საქსოვ  
ყდაზე ჩახსაკრავებსაც ქსოვდნენ. მათი ქსოვის პრინციპი ძირითადად  
ერთი და იგივეა — ქსელისა და საზღაო ძაფების ერთმანეთში გატარე-  
ბა ფირფიტების საშუალებით წარმოებს.

საბა არ განმარტავს ჩახსაკრავს. „საწვივე“ განმარტებულია რო-  
გორც პაიჭი და „მისთანა ჯაჭვსა“, ხოლო ლექვერთხი — წვივსაკ-  
რავად<sup>77</sup>.

დ. ჩუბინაშვილი წვივსაკრავსა და ლექვერთხს ერთნაირად განმარ-  
ტავს (წვივსაკრავი — подвязка; ლექვერთხი — подвязка)<sup>78</sup>.

<sup>72</sup> იქვე. გვ. 248.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> იქვე. გვ. 233.

<sup>75</sup> შ.პ., იქვე. გვ. 260; შდრ. შ.პ., ტ. II, ნ. II, გვ. 238-239.

<sup>76</sup> შდრ., შ.პ., ტ. II, ნ. II, გვ. 37.

<sup>77</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და  
ა. შანიძის რედ., ტფილისი, 1928 წ. სიტყვ. „საწვივე“, „ლექვერთხი“.

<sup>78</sup> დ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, საწკტაქტერ-  
ბურგი, 1840 წ. სიტყვ. „წვივსაკრავი“, „ლექვერთხი“.

საყურადღებოა ერთი საკითხიც. საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის ფონდში დაცული წვივსაკრავის აღწერილობაში ნათქვამია, რომ ის დამზადებულია ტყავისაგან (კოლ. № 1500, 52 a, b) — «Подвязка для поголенок из черного ремешка, шир.-2 см., длина-45 см. На одном конце прикреплена маленькая черная металлическая пряжка, на другом — прорезаны дырочки для стягивания на ноге, Тифл. губерния, Гори, Грузины».

რაც შეეხება აქ დაცულ ლეკვერთს, მის შესახებ აღნიშნულია, რომ ის აბრეშუმის ძაფით არის ნაქსოვი (კოლ. № 1500, 53 a, b) — «Подвязка для поголенок, тесьма домашнего тканья из красной и белой шелковой нити с грузинской надписью, перевод собирателя — «подвязка, торопись оказать услугу льву, он, герой, борющийся с барсом, всегда пылающий ревностью к бою». И. Пурцеладзе, шир. 2,3 см., длина — 12 см; на одном конце приклеплена маленькая медная пряжка и короткий, узкий ремешок с дырочкой на противоположном конце, охватывающий ногу; шелковая тесьма наворачивается сверху» (Тифл. губ., Гори)<sup>79</sup>.

მაშასადამე, წვივზე პაიჭის ზემოდან შემოსაკრავ აბრეშუმის ზონარს ეწოდება ჩახსაკრავი. მის პარალელურ ტერმინად იხმარება წვივსაკრავი, მუხლსაკრავი, ლეკვერთხი. შეიძლება წვივსაკრავი და ლეკვერთხი ტყავისა იყოს, მაგრამ ჩახსაკრავი ყოველთვის აბრეშუმისაა.

შინამრეწველობის მასალების მიხედვით ჩახსაკრავების დამზადების ტექნიკა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ჩახსაკრავიც ფირფიტების საშუალებით იქსოვება. ფირფიტა ირმის, ცხენის, ვირის ან კვიციის ტყავისაგან; რიცხვით 20-40-მდე, მზადდება ოთხკუთხა ფორმის, რომელსაც ოთხივე კუთხეში ნაჩვრეტი აქვს ქსელის ძაფის გასაყრელად. მთხრობელთა ცნობით, ჩახსაკრავს ქსელი ოთხ არშინამდე მაინც ესაჭიროება. თითო ფირფიტაში ძაფის ოთხი თავია გაყრილი და ორ-ორად განასკვული. იგი კავზე ან ჩანგალზე მაგრდება, რომელიც მქსოველს ქსოვისას ქამარში აქვს დატანებული.

ჩახსაკრავის ქსელი აბრეშუმისა უნდა იყოს, საზედაო ცალწვერი ყაჭის ძაფიდან მზადდება. ქსელი ორ პალოზე იქსელება, სანაპირედ შავ ძაფს ქსელავენ, თეთრი და წითელით კი წარწერას ამოიყვანენ — „დაწვერენ“.

ქსოვის პროცესი ფირფიტების ტრიალში მდგომარეობს. ფირფიტებს გაწვევენ წინ, გადააბრუნებენ, პირდაღებულ ძაფში დანას გაუყ-

<sup>79</sup> ჩახსაკრავების შესახებ აქ მოტანილი აღწერილობა გადმოგვცა ეთნოგრაფ. მოლოდინმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხსენებ.

რიან, ამოიღებენ ძაფს. ფირფიტებს ისევ გადაატრიალებენ, ძაფებში დანას გაუყრიან, შეამჭიდროვებენ გატარებულ ძაფს და ისევ უკან გამოუყრიან, ფირფიტებს ისევ გადააბრუნებენ, დანით გამოუყრიან ძაფს და ა.შ.

ჩახსაკრავს სამი ადამიანი ქსოვს. შუაში ოსტატი ზის, რომელიც ფირფიტის ნახვრეტში ძაფს უყრის, ფირფიტებს ამუშავებს, აბრუნებს, აქეთ-იქით მჯდომნი კი ფირფიტებში სახედაოს უყრიან და საბეჭი დანით (დაშნით) ბეჭავენ.

ჩახსაკრავი 18 წყვილი ფირფიტით იქსოვება; სამი წყვილი სანაპირო და 15 წყვილი კი გულის ფირფიტა ესაჭიროება. მთხრობელთა სიტყვებით, „ნაპირებმა სულ წინ უნდა იტრიალონ, გული კი 2-ჯერ წინ უნდა გადატრიალდეს, ორჯერ უკან“<sup>80</sup>.

ქსოვის დროს მხოლოდ ნაპირი იქსოვება, შუა ადგილას ქსოვისას ხელს ვეღარა ხმარობენ, ამიტომ აქ ძაფებს ამოჭრიან თითქმის ერთ „არ-შინამდე“. ამ ქსელიდან ორი ჩახსაკრავი ამოდიოდა: ერთი ერთი ნაპირიდან ამოიჭრებოდა, მეორე — მეორე ნაპირიდან<sup>81</sup>.

ჩახსაკრავი სიგანით ერთი გოჯი იქსოვებოდა. „ნათლიდედა“, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ჩახსაკრავზე „წიგნსაც დაწერდა“, „ნამდვილ ბეჭდური იწერებოდა“. ტექნიკურად წერილის დაწერა ფირფიტების თვლასა და ტრიალზე იყო დამოკიდებული. „ხან თეთრებს ამოჭყრიდნენ ზევით, ხან წითლებს,“ საერთოდ თუ სადა ჩახსაკრავს ქსოვდნენ, მაშინ ყველა ფირფიტას ერთნაირად ატრიალებდნენ, ხოლო თუ ფერებით, მაშინ საყვავილე ფირფიტებს ცალკე ამუშავებდნენ. „ყვავილების ჩაწყობის“ წინ ფირფიტებს გადაითვლიდნენ და ისე აბრუნებდნენ სახისდაგვარად. ასევე სათვალავზე იყო დამოკიდებული „ჭრელის“ გამოყვანა. რამდენი და როგორი ჭრელიც სურდათ, ისე უნდა დაეტრიალებინათ ფირფიტა. ჩახსაკრავს დაწყებისას „ჭიკჭიკასა“ და „ცხრილის გულს“ უკეთებდნენ.

მამაკაცის ჩახსაკრავს „ადგილი შავი ჰქონდა და ლურჯი და თეთრი ძაფით ყვავილი (ჩიგინი) უკეთდებოდა“, ასეთ ჩახსაკრავს „ჩიგინიანს“ უწოდებდნენ და „გილანის“ სახელწოდების ჩახსაკრავითაც მოიხსენიებდნენ.

ახალგაზრდის ჩახსაკრავს, მთხრობელთა ცნობით, „ადგილი თეთრი უნდა ჰქონოდა“ და ფერადი ძაფებით ან ყვავილები გაუკეთდებოდა, ან დაეწერებოდა.

<sup>80</sup> შ. შ., ს. სენაკი, სენაკის რ-ნი, 60 წ. ნინო პავლეს ასული კედია, გვ. 91-92.

<sup>81</sup> სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სიტყვ. „ჩახსაკრავის ფირფიტა“, შტრ. შ.მ., ტ. II, ნაწ. II, გვ. 36-37.



ჩახსაკრავისათვის „ჭრელების“ ნიმუშები წინასწარ ჰქონდათ ტილოზე გამოყვანილი, სათვალავების მიხედვით ნემსით ამოკერული „გადამეტებ-გადმომეტებით“ (თვლების რაოდენობის მიხედვით) შესრულებული. ქსოვის დროს მას წინ დაიდებდნენ და ამის მიხედვით გამოჰყავდათ სახეები ჩახსაკრავზე. ყველაზე გავრცელებულ სახეებს განეკუთვნებოდა: „ხრახნილი“, „ჭიკჭიკა“, „მარწყვის ფოთოლი“, „ფარშავანგი“, „ქათმის ბრჭყალები“, „ყურძიანი ვაზი“, „მტევნები“, „წაკიდებული ჩიტი“, „ხერხის პირი“, „ვარდზე ჩიტი ზის“, „გაჭრილი ვარდი“, „სამყურას ყვავილი“, „დოინჯი“<sup>82</sup> — დოინჯიმემოყრილი ადამიანის მსგავსი, „თავიანი გილანი“<sup>83</sup> — ზიგზაგად დალაგებული სახე ზოლებად ვასდევს ქსოვილს; „მთელი გილანი“<sup>84</sup> — სტილიზებული მცენარე მიხვეულ-მოხვეულად ერთ ზოლშია მოთავსებული და დასრულებულ მხატვრულ სახეს ქმნის; „ნახევარი გილანი“<sup>85</sup> შუაზე გადაჭრილი ნაწილია მიხვეულ-მოხვეული მცენარეული ორნამენტის, რომელიც ერთ ზოლად მისდევს<sup>86</sup>.

მოქსოვილ ჩახსაკრავს შემდეგ „გაგოზგრავდნენ“ — ჩახსაკრავის ფოჩებზე სირმას დაახვევდნენ, რომ არ დაშლილიყო, შეკრულიყო კონასავით და მხოლოდ ბოლო გაშლილიყო<sup>87</sup>.

აქ ინტერესს მოკლებული არ იქნება შევხვით ლემან-ჰაუპტის დაინტერესებას ზემოაღნიშნული ზონრების — ჩაფარიშ-ბუზმენტ-ჩახსაკრავების ქსოვის ტექნიკით მისი საქართველოში, კერძოდ, თბილისში მოგზაურობის დროს.

როგორც ცნობილია, ლემან-ჰაუპტი შრომაში „Armenien Einst und Jetzt“, I, Berl; 1910, საგანგებოდ იხილავს ჩახსაკრავ-ჩაფარიშების ქსოვასა და მის ტექნიკას, რასაც ის „ფირფიტებით ქსოვას“ („Die Brettchen weberei“) უწოდებს. ჯერ კიდევ მოგზაურობის დაწყებამდე

<sup>82</sup> სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ლექს., სიტყვ. „დოინჯი“.

<sup>83</sup> იქვე, სიტყვ. „თავიანი გილანი“.

<sup>84</sup> იქვე, სიტყვ. „მთელი გილანი“; „შინამრეწველობის მასალებს“ ქიზიყში კრეფდა სტ. მენტეშაშვილი და მის ქიზიყურ ლექსიკონში ის მთლიანად აისახა.

<sup>85</sup> სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ლექს., სიტყვ. „ნახევარი გილანი“. „გილანური ჭრელი“ — იგულისხმება ალბათ ქ. გილანი (შდრ. ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ლექსიკონი, სიტყვ. „გილანური ჭრელი“).

<sup>86</sup> ჩახსაკრავების დამზადების შესახებ მასალა ამოკრებილია „შინამრეწველობის მასალებიდან“, მთხრობელები: 60 წ. ნინო პავლეს ას. კედია (სენაკი, სენაკის რ-ნი); 68 წ. სოფიო თანდილას ას. გურგენაშვილი (ს. რუისპირი, თელავის რ-ნი); 70 წ. თებრო აბრამის ას. გელდიაშვილი (ს. ზემო ხოდაშენი, თელავის რ-ნი); 70 წ. ანა ჯამასპაშვილი (ზ. მაჩხაანი, ქიზიყი); 60 წ. სოფიო გაბრიელის ას. როჭიტაშვილი (ს. ხაშში, გარეკახეთი).

<sup>87</sup> სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ლექს., სიტყვ. „გაგოზგრვა“.

მას ეს საკითხი საგანგებოდ დაუშუშავებია. „ფირფიტებით ქსოვით მისი დაინტერესება ლემან-ფილსის გამოკვლევებით („Die Brettchenweberei, 1901) დაწვებულა. თვით ამ ავტორს გაუმახვილებია ყურადღება ამ სახის ქსოვის არსებობაზე ისლანდიაში და ყურადღება მიუქცევია პოეტური ედას ერთი სიმღერისათვის, სადაც იხსენიება ფირფიტებით მქსოველი ქალიშვილი.

ლემან-ფილსის გამოკვლევის მიხედვით, ამგვარი ქსოვის ტექნიკის არსებობა ჩრდილოეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში დასტურდება. ამავე დროს არქიტექტურისა და ორნამენტის ცნობილი მკვლევარის ედუარდ იაკობსტალის გამოკვლევებით მტკიცდება ანტიკურ არქიტექტურაში ჩახსაკრავის ორნამენტად გამოყენება, მაგ., ოლიმპიაში ნერონის სასახლისა და ნენიგის მოზაიკური იატაკის ორნამენტი (ტაბულა 1,1). თვით ლემან-ფილსს, რომლისთვისაც ჩახსაკრავებისა თუ ჩაფარიშების (ზონრების) დამზადების ტექნიკა მთლად ნათელი არ ყოფილა, ლემან-ჰაუპტისათვის უთხოვია, საგანგებო ყურადღება მიექცია ამისათვის მოგზაურობის დროს. როგორც დიდი აღმოჩნდა ლემან-ჰაუპტის გაკვირვება, როდესაც მან ფირფიტების ქსოვის ეს ტექნიკა საქართველოში, კერძოდ თბილისში, ცოცხალ სინამდვილეში დაადასტურა. ავტორს თბილისში. სწორედ ავლაბარში, კველა გალუსტოვთან უნახავს და ჩაუწერია ჩახსაკრავების დამზადების ტექნიკა. ნაშრომში მოცემული აქვს მისი ქსოვის ამსახველი ფოტოსურათიც (ტაბ. II, 2,3,4, ტაბ. III, 5). მოგვყავს ეს ტექსტი:

„ჩახსაკრავების ფირფიტები მზადდება ხისაგან და აგრეთვე მაგარი, მაგრამ თხელი ქაღალდისაგან. თითოეულ ფირფიტას ყოველ კუთხეში უკეთდება ნაჩვრეტი 1 სმ სიგანის. ეს ფირფიტები განკუთვნილნი არიან ქსელის გამყოფად. ამავე დროს მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული მოსაქსოვი საგნის სიგანე. ქსელის ძაფები ეყრება ფირფიტის ნაჩვრეტში, ორი ბოლო ერთდება, იკვანძება და მაგრდება. ქსელის ძაფების ზედა და ქვედა ფენას შორის მყოფი სივრცე დგიმის მოვალეობას ასრულებს. ამ დგიმის შემწეობით, რომელიც რაც შეიძლება მაგრად უნდა იყოს დაჭიმული, გაჰყავთ საზედაო ძაფები და ბეჭავენ მას საჩვენებელი თითით ან რაიმე იარაღით, შემდეგ 90°-ით ატრიალებენ თითოეულ ფირფიტას ხელის მოსაკიდით თავის სიბრტყეში. ამით ქსელისა და საზედაოს ძაფები ზონრად ეხვევა ერთმანეთში ისე, რომ ზევითა ძაფი ქვემოთ და ქვევითა ზევით შედის. შემდეგ საზედაო ძაფი ისევ უკან ეყრება და ა.შ.“<sup>88</sup>

ლემან-ჰაუპტის მიერ მოწოდებული მასალა ფირფიტებით ქსოვისათვის თითქმის სავსებით ემთხვევა ჩვენს მიერ ჩაწერილ მასალას და „შინა-

<sup>88</sup> Lehman-Haupt, დასახ. ნაშრ..., გვ. 74.

მრეწველობის მასალების“ ჩაფრებით ქსოვას. ორივე საქსოვი — ფირფიტა და ჩაფარი კვადრატული ფორმისაა („შინამრეწველობის მასალებში“ დაცულია ჩაფრის ნახატიც), ორივეს ოთხივე კუთხეში ნაჩვენებია აქვს გაკეთებული ძაფის გასაყრელად. ქსოვის პრინციპი ძირითადად ერთია: ფირფიტის ტრიალით ქსელისა და საზედაო ძაფების ერთმანეთში გადახლართვა ზონრის — არშიის მისაღებად.

ფირფიტებით ქსოვის ტექნიკის თვალსაჩინოებისათვის საინტერესოა ხონჯრების დამზადების ტექნიკის განხილვაც.

აღმოსავლეთ საქართველოში ხონჯარს<sup>89</sup> უწოდებენ მამაკაცის შარვალში გასაყრელ ზონარს. ხონჯარს (გურიაში — „ლარი“, სამეგრელოში — „კურთალარი“<sup>90</sup>, იმერეთში — „ბადურა“//„ხვანჯარი“, აჭარაში — „ბალი“//„თორი“) ქსოვენ პატარა ყდაზე (ყდას გურია — იმერეთში „ლარის ხეს“ უწოდებენ, სამეგრელოში — „ყადას“, ლეჩხუმში — „ხტაას“, აჭარაში — „ყდას“) „სარბანდი“<sup>91</sup>, „ფელა“<sup>92</sup> და ყაჭის<sup>93</sup> ძაფებიდან.

კახური მასალების მიხედვით ყდა ორი ვერტიკალური ფიცრისაგან შედგება (ტაბ.V, 1,2). ამ ორ ყდას პარალელურად ფიცრები აქვს გადებული, თითოეულ მათგანს „კოფო“ ეწოდება. ქსოვის დაწყებამდე ყდის შუა ადგილას ძაფს ამაგრებენ, რომელსაც „გიმს“ უწოდებენ. შემდეგ ყდაზე ძაფს ატარებენ ერთის გამოშვებით, „ზედას“ მართავენ. გიმი არჩევს „ზედას“, ფირფიტა ქსოვს. ფირფიტებად წიფლის ან მურყნის თხლად გათლილ პატარა ჩხირებს ხმარობენ.

ყდას აქვს რვა ნაჩვენებ სიგრძისათვის; იგულისხმება ხონჯრის სიგრძე. როცა ქსელი დაიქსელება, იმით აწვევენ კოფოს და ქსელი დაიჭიმება. ნაჩვენებში ეყრება ჩხირი ხონჯრის სიგრძის რეგულირებისათვის. ქსოვის დაწყებისას „გიმს“ ამორებენ. „გიმში“ (რაც იგივე დგომია) ძაფი ერთი ზევიდან და მეორე ქვევიდანაა გაყრილი. „გიმს“ გამოაცლიან და ფირფიტას გაუყრიან, რომ ზედა და ქვედა ძაფები ერთმანეთში არ აირიოს. შემდეგ ზედა ძაფებს ქვედაში ამოიღებენ,

<sup>89</sup> „ფოჩებანი ლარი განიერი შარვლის თავში გასაყრელი. ხონჯარი საზოგადოებაში არ ითქმის“, ნ. ი. ა ლ ე ქ ს ი - მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, „ივერია“, 1940, № 70; იხ. გ რ ო შ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., სიტყვ. „ხონჯარი“, „ბადურაი“ (ხვანჯარი) — შარვალში გასაყრელი წითელი ლარი“ (იხ. გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, ტფ., 1938 წ., სიტყვ. „ბადურაი“).

<sup>90</sup> ქ. ლენინგრადში სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის ფონდში დაცულია 1908 წ. თ. სახოიას მიერ შეგროვებული კოლექცია, რომელთა შორის იხსენიება კურთალარები აბრეშუმის (კოლ. № 1487-14, სიგრძე 142 სმ) და თხის მატყლის (კოლ. № 1487-15).

<sup>91</sup> პარკის ამოხვევის დროს პირველად ამოღებული ძაფი.

<sup>92</sup> ფელა (პუჭა — საინვილო) პარკის გარეთა გამჭვირვალე გარსი.

<sup>93</sup> აბრეშუმის ამოხვევის შედეგად დარჩენილი მასა და უვარგისი პარკებიდან გამოხარშული ნართი.

ამოდებულში ფირფიტას გაუყრიან — ჩაბეჭავენ. ასე მეორდება ძაფების — ზედასი და ქვედასი ამოკრეფა. წინა მხრის ქსელი ფირფიტებით ივსება. ავსებულ ქსელს უკან გადასწევენ და მეორე მხარეს ბრტყელ ფირფიტებს გამოაცლიან. უკან გადასული ფირფიტების გამო წინ ქსელი თავისუფლდება, აქ ისევ ხდება ძაფის ამოკრეფა და თავისუფალი ფირფიტების გაყრა. ხონჯრების ქსოვა ამ პროცესის თანმიმდევრულ გამეორებას გულისხმობდა<sup>94</sup>.

ხონჯარს ხამი აბრეშუმადანაც ქსოვდნენ და მას შემდეგ საპონწყალში გამოხარშავდნენ. ძირითადად ერთი ფერის, უფრო მუქი ტონების (მწვანე, ყავისფერი) ხონჯრებს ქსოვდნენ.

მამსალაძე, როგორც ხემომოტანილი მასალიდან ჩანს, ხონჯრის ქსოვის პრინციპიც ჩახსაკრავის დამზადებიდან არ განიხივია. აქაც საქმე გვაქვს საზედაო და ქსელის ძაფების ერთმანეთში გადახლართვასთან ფირფიტების საშუალებით. მაგრამ ვინაიდან ხონჯარი ჩახსაკრავზე განიერია (თუ ჩახსაკრავი ერთი გოჯი სიგანისაა, ხონჯარი სამი გოჯი სიგანისაა — 102 წ. ს. კიკაღიშვილი, ს. გორდი), ამიტომ მას ყდაზე ქსოვდნენ. ამავე დროს ყდაზე ქსოვას ის უპირატესობაც გააჩნდა, რომ ერთ ყდაზე შეიძლებოდა 20-მდე „ბადურის“ (ხონჯრის) მოქსოვა.

აჭარული მასალებით, ყდაზე იქსოვებოდა ქალის თორიც, რომელიც მამაკაცისაზე უფრო განიერი იყო<sup>95</sup>.

ხემომოტანილი მასალის განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხონჯრების, ჩახსაკრავების, ჩაფარიშ/ჭინაწების, ბაბთების ქსოვის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქსოვის ტექნიკის მეტად საინტერესო სახეობასთან. ამ ზონრების ქსოვის პრინციპი და საფიქრებელია საქსოვი აპარატიც (ყდა, ფირფიტები) ძირითადად ერთია. ყდაზე იქსოვება ხონჯარი და ბაღი (აჭარული მასალებით წელსაკრავი, წვივსაკრავი). ბაღი ეწოდება ჩახსაკრავსაც (შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 16-27/76-ის წარწერა — „ეს ბაღი საღხინოთ მოხმარდეს...“). ჩაფარიშიც იქსოვება ფირფიტებით (ჩაფრებით „შინამრეწველობის მასალების“ მიხედვით). ლემან-ჰაუპტს მოცემული აქვს თბილისში მოქსოვილი ჩაფარიშის ნიმუში (ტაბ. III, 6). ის მას „Goldband“-ს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამ სახის ზონარი იქსოვებოდა ვერცხლისა და ოქროს ძაფებით და ჩახსაკრავის ქსოვის-

<sup>94</sup> ნ. ა. ბ. ე. ს. ა. ძ. ე., მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1957, გვ. 48; შდრ. Караулишивили Ц. Г., Из истории грузинской материальной культуры (народные способы вязания и плетения в Кахети), автореферат кандидатской диссертации, Тб., 1973, с 31 — 32. მას აღნიშნული აქვს, რომ ხონჯრები მზადდებოდა როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში, სახელოსნოებში.

<sup>95</sup> შ.მ., ტანისამოსი, ს. ნამონასტრევი, ქედის რ-ნი, ჰაჯერა თურმანიძე, გვ. 88.

აგან განსხვავდებოდა მხოლოდ ფირფიტების საჭირო რაოდენობით<sup>96</sup>.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ლემან-ჰაუპტის აზრიც ჩახსაკრავების გავრცელების შესახებ. მას აღნიშნული აქვს, რომ ლემან-ფელდისა და ე. იაკობსტალის გამოკვლევებში დადგენილია ფირფიტებით ქსოვის გავრცელების არე ისლანდიიდან ვიდრე ჩინეთამდე და პერუმდე. თვით ლემან-ჰაუპტს მოსულში, ნინევიაში (ბაბილონი) დაუმოწმებია ქსოვის ეს ტექნიკა (ტაბ. IV, 7). არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება ეგვიპტეში ფირფიტებით ქსოვის ტექნიკის არსებობა (ტაბ. IV, 8). მაგ., ქრისტიანულ სასაფლაოზე ეუფემიას სამარხში, ანტინოეში, ნაპოვნია სპილოს ძვლის საქსოვი ფირფიტა და მოქსოვილი ჩახსაკრავი. ე. იაკობსტალმა ეგვიპტელთა ძველი და საშუალო სამეფოთა სურათებზე ამოიცნო ფირფიტებით ნაქსოვი ქამრები (ტაბ. IV, 9). ქსოვის ამ სახეობის არსებობა საბერძნეთშიაც დასტურდება, მაგ., არისტონის საფლავის ძველის გამოსახულების ქამარი ფერადი ზიგზაგებით.

ლემან-ჰაუპტის აზრით, ფირფიტებით ქსოვა უკვე უძველეს დროში ასირიიდან და მესოპოტამიიდან გავრცელდა სომხეთში, აქედან საქართველოში, შემდეგ კი ჩრდ-ით ალანებში. ოსების წინაპრებმა ქსოვის ეს ტექნიკა აითვისეს და შემდეგ ჰუნებს, როდესაც მათ ალანები 375 წ. დაიმორჩილეს, გადასცეს. პოეტურ ედაში მოხსენიებული ფირფიტებით მქსოველი ქალიშვილი არის ამ ხალხის წარმომადგენელი, ასე ფიქრობს ლემან-ჰაუპტი. ეს არის, მისი აზრით, ფირფიტებით ქსოვის გავრცელების არე აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთ ვეროპაში, ხოლო დასავლეთ შუა ვეროპისათვის და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიისათვის ამ საქმის გადამცემად რომაელები ჩანან. ფირფიტებით ქსოვის გავრცელების ეს ორი მიმართულება (რომაული და ჰუნური) ჩრდილოეთით გავრცელდა და ბოლოს ერთმანეთს შეერწყა<sup>97</sup>.

ლემან-ჰაუპტის ამ გამოკვლევაში საინტერესოა ძირითადად ის ფაქტი, რომ მან საქართველოში ცოცხალ სინამდვილეში დაადასტურა ჩახსაკრავების ქსოვა და მას პარალელები მოუნახა ურარტულ, ეგვიპტურ და ბაბილონურ მასალებში. რაც შეეხება ჩახსაკრავების გავრცელების მის მიერ დადგენილ გზას, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი. მას მოცემული აქვს კულტურის ამ ელემენტის მიგრაციის თეორია აღმოსავლეთიდან დასავლეთში. მაგრამ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ კულტურის ეს ელემენტი აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და განვითარდა. მთავარია ის საყურადღებო გარემოება, რომ კულტურის ამ ელემენტმა ასეთი გავრცელება მოიპოვა.

<sup>96</sup> ლემან-ჰაუპტი, დასახ. ნაშრ., გვ. 74; შდრ. „ოქროსთმა ანუ ოქრომკვდი და სირმა ბაბთების, ბუზმენტებისა და ჩაფარიშების საქსოვნელად იხმარებოდა“. (შ.პ., ზ. მაჩხაანი, ქიზიყი, 70 წ. ანა ჯამასპაშვილი, გვ. 406-407).

<sup>97</sup> ლემან-ჰაუპტი, დასახ. ნაშრ., გვ. 82-83.



1981-82 წ. ხარფუხში (თბილისი) მოძიებულმა მასალამ წარმოაჩინა ყაზახების საქმიანობის სრულიად სხვა სფერო, რომელიც ჩვენთვის მაშინ უცნობი დარჩა.

ყაზახები ხალხში არიგებდნენ ყაითანს და ოქრომკედის ძაფს განსაკუთრებული სახის არშის — „ფათუთის“ მოსაქსოვად

79 წ. ჰაიკანუმ ივანეს ასული ინაშვილის ცნობით, ყაზახი „ძველი სომეხი“ (ვაჭარი) იყო, ჰქონდა ყაითანი და ოქრომკედის ძაფი. რასაც აძლევდა ქალებს ფათუთის მოსაქსოვად. ჰ. ინაშვილის დედა, სოფო, „პოდრიადნიკი“ იყო და მოსაქსოვად არიგებდა ამ მასალას მეზობლებში, ახლობლებში, ერთი კოჭი ფათუთი იქსოვებოდა ერთ კვირაში და ოთხი აბაზი ღირდა.

თათრები ჩადრებზე ივლებდნენ ფათუთს. ჩადრს ხელის გასაყოფიც ჰქონდა და იმის მაჯასაც ევლებოდა ფათუთი. იყო ორ, ოთხ, ექვს, რვა და ათ ყაითნიანი ფათუთი. მისი სახეებია: ყვაილი, ჯვარი, ფურცელი, კვირტი და სხვ. (76 წ. ვარა მიხეილის ასული დოლიძე).

75 წ. ანა გიორგის ასულ ხუციშვილის ცნობით, „ყაითანი და ჩაფარიში — ეს ორივე ფათუთია“. ოქრომკედის ძაფი ფაბრიკული იყო. ყაითანიც მანქანაზე ნაქსოვი მოჰქონდათ და არა „ხელის-გულაზე“ ნაქსოვი. კოჭი იყო გირვანქიანი, ოქრომკედისა. დიდი კოჭი „გულუფა“ — ცალწვერი იყო, მას სამწვერად შეაერთებდნენ, ფირფიტაზე ამოახვევდნენ და მერე ქსოვდნენ.

81 წ. ევა ივანეს ასულ მარქაროვის გადმოცემით, ფათუთი იქსოვებოდა „კლაპიტონის“ ყაითნით. კლაპიტონი იყო ფერად ყვითელი ძაფი, იგი კლაპიტონის დიდი კოჭიდან სამწვერად ამოიღებოდა პატარა კოჭით, რაც ქალის ხელში თავსდებოდა და იქსოვებოდა „ფათუთი“. ქსოვის დროს მქსოველი მუხის კუნძს დაიდგამდა გვერდით, რომელსაც ორი ლურსმანი ჰქონდა ჩაჭედელი. კოჭში გაყრილი პატარა ჯოხით, ტარით, იქსოვებოდა ფათუთი და ამ კუნძზე ეხვეოდა.

70 წ. თამარ მიხეილის ასულ ნათაძის ცნობით, „ფათუთი უნდა იცოდნენ რამდენ წვერიანია. ორ ყაითნიანი წმინდაა, რვაყაითნიანი მსხვილია. განიერი იქსოვებოდა ჩოხაზე, ყაბალახზე, ნაბდებზე მოსავლებად. ყაითანს ვქსოვდით ბუზმენტით და ის იყო ფათუთი“.

მთხრობელთა გადმოცემით, ფათუთს ქსოვდა მთელი ხარფუხი და კლაბრის ქუნა — ხოჯევანქი. მის ქსოვაში განსაკუთრებით გამოირკოდნენ ახალგაზრდები. ადებული ფულით ისინი იმოსებოდნენ — „ღაბები ვიყავით, ობლები“, — გადმოგვცემს ჰ. ინაშვილი.

ყველაზე ძნელი ყოფილა ათყაითნიანი, განიერი ფათუთის მოქსოვა. მოქსოვილი ფათუთი მიჰქონდათ „დერციკანაში“. ეს ყოფილა „ძეგველოვის განთქმული ღუქანი თერძეულისა“.

ამრიგად, წვრილ წარმოებაში ქალების ჩაბმა დამახასიათებელია საქართველოს არამართო სოფლებისა და დაბებისათვის, არამედ ქალებისათვისაც. ეს საყოველთაო მოვლენაა. თბილისშიც მოწოდება ქალების მიერ ლენჩაქის დაბასმვისა და კავების დამზადების წესი, დერჯიკებისათვის ტანსაცმლის კერვისა და თვით ტყავის დამუშავების შემთხვევებიც. მაგ., დაბლებიც არიგებდნენ გამოსაყვან ტყავებს ქალებში. 50 წ. მარო მირზიაშვილის ცნობით, მამამისი ხშირად აძლევდა ტყავებს ანა ხუციშვილს: „მას რომ კვირაში 3-4 ტყავი გაეკეთებინა, ესეც კარგი იყო, ანეტა ბაბო ადრე დაქვრივდა და უჭირდა“.

საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალა კარგად წარმოგვიდგენს აგრეთვე ქალაქში ვაჭრული ამქრის არსებობას. კაპიტალიზმის განვითარება XIX ს. მეორე ნახევარში ხელს უწყობდა საქართველოს ქალაქებში ვაჭრული ელემენტების სწრაფ დაწინაურებას.

შეგროვებული მასალით დასტურდება სირაჯების, მიკიტნების, ალაფუბის, ბაზახების, ბაყლების, მეწვრილმანეების და სხვ. ამქარი.

#### § 1. ხელოსნური ნაწარმის გასაღების გაზრდა

საქართველოს ქალაქების ხელოსნური წარმოების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხელოსანს მზა ნაწარმი მეტწილად თვითონ მიჰქონდა რელიგიურ დღეობებზე გასაყიდად, სადაც ეწყობოდა ბაზრობა. დურგლების, მეავეჯეების, ნალბანდებისა და სხვათა გარდა, ყველას თითქმის ბაზარზე გაჰქონდა თავისი საქონელი. ამ შემთხვევაში გამორიცხული იყო ხელოსნის ის პროდუქტი, რომელიც უშუალოდ დამკვეთის გემოვნებისა და მოთხოვნილების მიხედვით მზადდებოდა (მაგ., მეწადის, ოქრომჭედლის და სხვ.). მაგრამ ეს გარემოება არ ცვლის საქმის ვითარებას. ხელოსნები ამზადებდნენ პროდუქტებს არა მართო დამკვეთისათვის, არამედ ბაზრისათვისაც. მაშასადამე, დასტურდება ხელოსნობიდან წვრილ წარმოებაზე გადასვლის საფეხურები.

შეკრებილი მასალით, ქიზიყის თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა თავისი დღეობა, რომელიც რიგ-რიგობით მოდიოდა და ამდენად ხელოსანს თითქმის მთელი წლის განმავლობაში საშუალება ჰქონდა თავისი ნაწარმის რეალიზაციისა.

ქიზიყში დამოწმებული ხალხურ დღეობათა კალენდარი იწყებოდა ვაზაფხულზე გიორგობის დღესასწაულით და მთავრდებოდა იანვარში ნინობით:

1. გიორგობა — 23 აპრილს — ანაგა, ზემო მანხაანი, კარდენახი
2. „ — 23 ნოემბერს — ნუკრიანი
3. ძელიცხოვლობა — 7 მაისს — ტიბაანი, ჯუგაანი, ნუკრიანი
4. გომარეთობა — მაისის დამლევს — ბაკურციხე



5. **დავით გარეჯობა** — მაისში — ბოდბე
6. **უსანეთობა** — გომარეთობის სწორზე — ზიარი, ფხოველი
7. **სამებობა** — აღდგომის მე-3 დღეს — მაშნაარი, ფანიანი, უბანი, ქვემო მაჩხაანი, მადარო, ბოდბე
8. **ყოველ წმინდობა** — აღდგომის მე-4 დღეს — სიღნაღი, ნუკრიანი
9. **კვირაცხოველობა** — აღდგომის სწორზე — ანაგა, ვაქირი, მირზაანი, გურჯაანი, ველისციხე.
10. **სადირაულობა** — აღდგომის მეორე კვირას — კარდენახი
11. **ქაშვეთობა** — აღდგომის მეორე კვირას — გურჯაანი, ჭოტორი
12. **ზღუდრობა** — აღდგომის მე-5 შაბათს — გურჯაანი
13. **მთავარანგელოზობა** — აღდგომის მე-5 შაბათს — ანაგა
14. **ამაღლება** — აღდგომის მე-5 კვირას — ანაგა, ვაქირი, ვეჯინი, არაშენდა
15. **კვირიკობა** — ივნისში — არბოშიკი
16. **ელიაობა** — 20 ივნისს — წითელწყარო, ბოდბე
17. **ნათლისმცემლობა** — 24 ივნისი/?/ — ვაქირი, ურიათუბანი, გურჯაანი
18. **კავთობა** — ივნისს — კაკაბეთი
19. **მარიამობა** — 15 აგვისტოს — ანაგა, ბოდბისხევი
20. **ალავერდობა** — 15 სექტემბერს — მირზაანი, ალავერდი
21. **მთავარანგელოზობა** — 8 ოქტომბერს — ანაგა, ბოდბისხევი, მადარო, ქვემო მაჩხაანი, ნუკრიანი, ტიბაანი
22. **წმ. სტეფნობა** — შობის მე-3 დღ. — ტიბაანი, სიღნაღი
23. **ნინაობა** — 14 იანვარს — ანაგა, ქელი, სიღნაღი, მირზაანი

ბაზრობაზე უამრავი საქონელს მიერეკებოდნენ ხოლმე ნუკრიანიდან, ბოდბე-მადაროდან. ყველითა და ერბოთი ეს სოფლები იყვნენ განთქმულნი; თიხის წვრილი წითელი ჭურჭელი ბოდბისხევიდან, კაკაბეთიდან, თელავიდან მოდიოდა; აგური და კრამიტი — ნუკრიანიდან; ყველი და მატყლი — თუშეთიდან, ალვანიდან; ფარდაგები და ნაბდები — დადესტნიდან, ქისტეთიდან. სავაჭროდ მოდიოდნენ სხვადასხვა კუთხიდან, ვის არ ნახავდით ბაზარზე, გადმოგვცემენ მთხრობელები. მოდიოდნენ: ლეკი, თუში, ბელაქნელი, ნუხელი და, რა თქმა უნდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

რაც შეეხება თელავს, იგი წარმოადგენდა არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრს, არამედ გასაღების ბაზარსაც. მთხრობელთა ცნობით, თელავის ზემო და ქვემო ბაზრები (ანუ ქუჩები), სადაც განლაგებული იყო სახელოსნოები, წარმოადგენდა საქონლის რეალიზაციის პუნქტებს. 87 წ. მიკიტან მარქარა აბელის ძე გურგენოვის თქმით, დღეობა თელავშიც იცოდა ამაღლებას, მაგრამ აქ მარტო ხმელი ხილი

თუ იყიდებოდა. მისივე ცნობით, საქონელი უფრო საღებოდა იმ დღეობებზე, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს.

ყველაზე დიდი დღეობა — ბაზრობა კახეთში, მთხრობელთა ცხელ მოცემით, ალავერდობას იცოდა, 14 სექტემბერს ძველით. მას უქმობდნენ „სამ სწორზე“. აქ ხდებოდა მთიელთა პროდუქტების გაცვლა ბარის ხელოსნურ ნაწარმზე. მოდიოდნენ პანკისიდან ქისტები, მოჰქონდათ მთელი თეთრი და „დაშოლტილი“ საქუდე ნაბდეებიც. ქისტებს მოჰყავდათ ცხენი, საქონელი. თუშებს მოჰქონდათ ყველი, ერბო, მოერეკებოდნენ საქონელს. ხევსურებს მოჰქონდათ ერბო, მოჰყავდათ ძროხები. ბაზრობაზე ალავერდობას მოდიოდა მთელი სიღნაღი და თბილისი. დაღესტნიდან მოდიოდა ხუნძური შალი, ზაქათალის ლეკებს მოჰქონდათ ხილი ლეკური ურმით, ახერბაიჯანიდან — ბრინჯი და კაკალი, თიანეთიდან და უჯარმიდან მოდიოდა ფიჩხული, ქუთაისიდან — იმერული შალი.

თელავიდან მეწაღეებს გაჰქონდათ წაღები, დერციკებს — ჩოხა-ახალუხი, სარაჯებს — თალათინური ქალამანი, მექვაბეებს — სპილენძის ქვაბები, მჭედლებს — მაშები, ცულები, თოხები; ნალბანდები დღეობებზე ჩადიოდნენ და იქ „ნალამდნენ“ საქონელს.

ალავერდობას წინ უსწრებდა დღეობა „უსანეთობა“ (თეთრი გიორგობა კოლოთოში. უფრო ადრე კი ივნისში უქმობდნენ კავთობას — კურდღელაურში. ენისელში იცოდა მარიამობა აგვისტოს 15-ს ძველი სტილით. აქ იმართებოდა ერთდღიანი ბაზრობა. მას მოსდევდა თეთრი გიორგობა — გრემში. ორივე ერთად გრემ-ქალაქობის სახელწოდებით იყო ცნობილი. ენისელში ლეკებს მოჰქონდათ ნაბდეები და მსხალი, მოჰყავდათ შავი ცხენები; თეთრი გიორგობა ეწყობოდა აწყურში (ახმეტის რ-ნი). მაგრამ ყველაზე დიდი დღეობა თავისი მასშტაბითა და ხანგრძლივობით მაინც ალავერდსა და კოლოთოში იცოდა.

გორი ძველთაგანვე წარმოადგენდა შიდა ქართლის ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრს. ამდენად გორში დამზადებული საქონელი გორშივე იყიდებოდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოდან ვაჭრები გორში მოდიოდნენ საქონლის შესაძენად. მაგ., 71 წ. გიორგი ნიკოლოზის ძე ბერიშვილის ცნობით, ხარაზული წულების შესაძენად ვაჭრები (მჭედლიძეები და ხმალაძეები) მოდიოდნენ ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ჩხარიდან, ჭიათურიდან და საჩხერიდან. შაქრო გიორგის ძე ყურელის ცნობით, ეს ვაჭრები ერთდროულად იძენდნენ 200 წყვილ ქალამანს. აღმოსავლეთ საქართველოდან — წაღვერი, ბორჯომი, დირბი, ცხინვალი და ჯავა მოდიოდა გორის ბაზრობაზე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში იყო საქონლის გატანა დღეობაზე. 80 წ. ხარაზ გიორგი სოლომონის ძე მაისურაძის ცნობით, დღეობაში მეტი საქონელი საღებოდა.



შეკრებილი მასალით დგინდება მრავალი დღეობის არსებობა ქართლში: გორიჯვრობა ატოცში 23 აპრილს, გიორგობა სარკვეში, ცხენჯვრობა დუშეთსა და ვანათში აპრილში, სამებობა კარბში ადგომის მე-3 დღეს, მარიამობა სვენეთში ადგომის შემდეგ, ამადლება სურამში, თორტიზაში; ცხრამუხობა ხაშურში გაზაფხულის პირას; ფერიცვალება რუისში აგვისტოში; კავთობა კავთისხევში 17 ივლისს; ესტატობა ერთაწმინდაში — 3 ოქტომბერს (აქ მოდიოდა კავთისხევი, თვალადი, წინარეხი, ახალციხე, ნოსტე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართლში არ მოწმდება დღეობათა ის სიმრავლე, რაც ქიზიყში, მაგრამ ქართლის სამი დღეობა — უსანეთობა მეჯვრისხევში (თიბათვის 10-ს), ზღუდრობა ცხინვალში (ამადლების მე-4 დღეს) და გერისთობა არბოში (აგვისტო) თავისი მასშტაბითა და ხანგრძლივობით (სამივე ეს დღეობა სამ სწორზე მეორდებოდა) ყველა სხვა დღეობას აღემატებოდა.

ს.მეჯვრისხევი განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი მთისა და ბარის შუა ტერიტორიულ ზოლში მდებარეობს. ცნობილია, რომ მთისა და ბარის ეს ზოლი, ზეგანი, ორი მეურნეობის დაახლოვების სარბიელია; ზეგანით ახერხებს ბარი მთიანეთზე გავლენას, ზეგანითვე ეზიარება მთა ბართან ურთიერთობას. „ზეგანი, — წერს აკად. ნ.ბერძენიშვილი — ბარისა და მთის შეხების ის ზოლია, რომელიც ბარმა თანდათან აითვისა და თავის სოციალურსა და კულტურულ ურთიერთობას აზიარა. კაკი და ბელაქანი, ლაგოდეხი და შილდა, თიანეთი და ჟინვალი, ახალგორი, მეჯვრისხევი, ცხინვალი, ონი და ლაილაში და სხვ. მთისა და ბარის ამ შეხების ცხოველი პუნქტებია“<sup>98</sup>.

ამასვე ადასტურებს ეთნოგრაფიული მასალებიც. სწორედ ამ სამ დიდ დღეობაზე ხდებოდა მთისა და ბარის ხელოვნური ნაწარმის ურთიერთგაცვლა. მთიდან (უპირატესად ოსეთიდან) მოდიოდა საქონელი — ცხვარი, თხა, ცხენი; აგრეთვე ერბო-კარაქი, მატყელი, ოსური და ლეკური შალი, ხის თაბახი, სადღვებელი. ბარი კი აღნიშნულ ბაზრობაზე ქალაქური ხელოსნობის პროდუქციას წარმოადგენდა ხოლმე<sup>99</sup>. მაგ., ხარაზი და მექალამნე 100-200 წყვილ წუდას, ქალამანს აჰკიდებდნენ სახედარს; დერციკი ყუთში ჩაალაგებდა ახალუხს, ჩოხას და სხვ. ტანსაცმელს და ისე წაიღებდა ფარდაგ გადაფარებული ჩარდახიანი ურმით; დედაკაცებს მიჰქონდათ ჩახსაკრავები, ყაითნები; მჭედლებს, თითოეულს, 50-60 ცალი ნამგალი, ცული.

<sup>98</sup> ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1966, გვ. 242.

<sup>99</sup> ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოების ზოგიერთი საკითხი საქართველოში (ხელოსნობა ქალაქსა და სოფელში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1975, ტ. 79, № 1, გვ. 225.

ხელოსნები საბაზრო თადარიგს წინასწარ აგვარებდნენ. რამდენიმე ხელოსანი (3-4) შეამხანაგდებოდა და ერთად დაიქირავებდა ცხენის ურემს, შიგ ჩააწყობდა საქონელს (მაგ., მჭედელი წაიღებდა 20-60 ნაჭერს: მაშებს, ზედადგრებს, ცულებსა და სხვ.). მჭედელ ვაჭარს არუთინოვის (თელავი, 1971 წ.) ცნობით, ცული სამ ლიტრა პურზე იცვლებოდა, ნაჯახი — ორზე, ბარი — ორზე, თოხი — სამ ლიტრა ღვინოზე, გუთანი — ორ-სამ კოდ პურზე, ნამგალი — ლიტრა პურზე და სხვ.

ხელოსნები თუ შორს მიდიოდნენ სავაჭროდ, მაშინ წინა დამით გავიღოდნენ შინიდან. კარვებს ეკლესიებთან გაშლიდნენ და საქონელს მის გარშემო გამოაფენდნენ. კარვები და მოწნული ქოხები ურმით მიჰქონდათ. ეკლესიებთანაც, გზისპირას, იყო გამართული ქოხები. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. 80 წ. ხარაზ გიორგი სოლომონის ძე მაისურაძის (გორი, 1967 წ.) ცნობით, ბაზრობაზე ერთი დღე ადგილი 50-60 კაპ., ხშირად 1 მან. ღირდა. 67 წ. ანტონ ლაზარეს ძე ოქრობირიძის ცნობით, ეს შემოსავალი ეკლესიას ეკუთვნოდა. ფულსაც სწირავდნენ ეკლესიას. მთხრობელთა გადმოცემით, ტომრებით იღვა ხოლმე დღეობებზე შეწირული ფული.

ხელოსნები სანთელს იყიდდნენ და წმინდანის სახელზე დაანთებდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, საქონელს დაკლავდა, მღვდელს ან მნათეს მისცემდა. საკლავის ტყავს ეკლესიას შესწირავდა. მღვდელს შეეძლო ეს ტყავი გაეყიდა, მოეხმარებინა. სხვა მხრივ ხელოსნები დღეობებში არ მონაწილეობდნენ. 85 წ. ნესტორ ისაკის ძე ტატულაშვილის გადმოცემით — „ვისა სცალოდა იქ (დღეობაზე) სალოცავად, ჩვენ ჭურჭელი უნდა გაგვეყიდნა“.

ხელოსნებს წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული, თუ ვინ სად რომელ დღეობაზე უნდა წასულიყო სავაჭროდ, რომ ერთმანეთისათვის კონკურენცია არ გაეწიათ. მიუხედავად ამისა, მაინც იყო შემთხვევები ერთ დღეობაზე ერთი დარგის ხელოსანთა შეყრისა. მაგ., იმავე ნესტორ ტატულაშვილის ცნობით, ერთხელ სურამში ამაღლებას 14 მეჭურჭლე შეჰხვედრია ერთმანეთს. ორღობესავით მოუწყვიათ მათ თავიანთი ურმები, 7 ურემი ერთ მხარეს გაჩერებულა, 7 — მეორე მხარეს<sup>100</sup>.

ქ. ახალციხე, მთხრობელთა ცნობით, იყო ხელოსნობისა და ვაჭრობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი. ამდენად აქ არ მოწმდებოდა დღეობათა ბაზრობის პრაქტიკა. ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ახალციხე წარმოადგენდა სასაზღვრო ქალაქს; ან მისი მოსახლეობის ეთნიკური სიტრელე არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას. 68 წ. ხარაზ იაკობ ივანეს ძე ზუბაშვილის ცნობით, ხარაზებს არსად არ გა-

<sup>100</sup> ნ. აბესაძე, ხელოსნური ნაწარმი სადღეობო ბაზრობაზე, „ძველის მეგობარი“, 1976, № 42, გვ. 27.

ჰქონდათ საქონელი გასაყიდად, ადგილობრივ იყიდებოდა. აღდგომას, მისივე ცნობით, სადღებოდა ყველაფერი, აღარაფერი რჩებოდა. ბათუმში მოხასაც იყო კარგი ვაჭრობა — 90 თათრული სოფელი ერთდროულად ციხეს გარშემო. 82 წ. მექალამნე გიორგი იაკობის ძე ბალიაშვილის ცნობით, არდაგანი, ახალქალაქი, ართვინი, ბათუმი, ადიგენი, აბასთუმანი, ვარხანი ახალციხეში მოდიოდა სავაჭროდ, აქ იძებნენ მჭედლების ნაწარმს.

ახალციხეში უფრო შეინიშნება ვაჭარ-შემსყიდველების როლი თითქმის ყველა დარგში; ვიდრე თვით ხელოსნისა და მყიდველის უშუალო კონტაქტი. ხარაზული წულების შესაძენად ვაჭრები მოდიოდნენ ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და მიჰქონდათ იგი ფოთში, სოხუმში. სომეხ ვაჭრებს ინდოეთიდან მოჰქონდათ ძვირფასი თვლები (ლალი, ფირუზი, ზურმუხტი), რომელზედაც დიდი მოთხოვნა იყო ადგილობრივ. სპილენძის ჭურჭლის შესაძენად, მთხრობელთა ცნობით, გლეხები მოდიოდნენ უდუ, ვალე, არალიიდან, ხოლო კალოობას თითონ ხელოსნები მიდიოდნენ მათთან. გირვანქა ახალი სპილენძი 3 აბაზი ღირდა. სპილენძის საფასურზე იცვლებოდა ხორბალი და ერბო. 72 წ. დაბად ალექსი მარტიროსის ძე მანუკიანის ცნობით, დაბდის ტყავის საყიდლად მოდიოდნენ გორიდან, ხაშურიდან, ახალქალაქიდან. ახალციხური ჩიბუხი — ფუთურა, როგორც აღინიშნა, დიდი რაოდენობით გადიოდა იმერეთში. ხოლო ქუთაისიდან ყაზახებს შემოჰქონდათ აბრეშუმის ნართი. დამზადებული ყაზახური ძაფი კი მიდიოდა ყარსში, არდაგანში, პიატიგორსკში, ნალჩიკში. ახალციხური საცერი (ამზადდებდნენ სომეხი ბოშები) გადიოდა ქუთაისს, ზესტაფონს, ბათუმს, ტყიბულს, ადიგენს, ვალეს, უდეს, არალს (76 წ. ოგანეზა კევენის ძე აკოფიანის ცნობა). ქუთაისიდან შემოდოდა ახალციხეში ქალამნის ტყავი.

რაც შეეხება ისეთი ხელობის წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ ნალბანდები, მკალავები და დურგლები, რომელთაც უშუალოდ ადგილზე უნდა ემუშავათ, ისინი თვით დადიოდნენ ახალციხის გარშემო მდებარე სოფლებში, მათ ერთმანეთში დანაწილებული ჰქონდათ ეს სოფლები. ახალციხელი ნალბანდი დადიოდა შემდეგ სოფლებში: ჭობარეთი, ზურზელი, ხეთი, ურაველი, გიორგიწმინდა, აგარა, მინაძე (79 წ. სტეფანე ხაჩატურის ძე ედიგარიანი), ხოლო 60 წ. კირაკოსიანი ემსახურებოდა კლდეს, ზედაუბანს, წნისს, გოგარეთს, შურდოს, ვერსას, ბოგას, სვირს, ტატანისს, ქიქინეთს, წახანს, წურდუთს, წირას. დურგალი დადიოდა აბასთუმანში, ადიგენში, ახალქალაქში, აწყურსა და ოშორაში; მკალავი — ტოლოშში, ქუნცაში, ასპინძაში, ნიალაში, ოინდარასა და ბუზმარეთში. (57 წ. კარაპეტ ტიგრანის ძე კირაკოსიანი).

ბაყლები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ ხილით. ხილით განთქმულ ახალციხეში ისინი მრავლად იყვნენ — მარტო რაბათში 30

ბაყალი იყო. ისინი გლეხებისაგან ყიდულობდნენ ხილს და ახალციხეში მიჰქონდათ სავაჭროდ. ვაშლითა და მსხლით განთქმულნი ჯიშად ვალე, უდე, არალი, ლელოვანი, კახარეთი; ადიგენის რაიონში — ბოლია, ჯური, ბენარა, ვარხანი. ასპინძის რაიონში — ასპინძა, იდუმალა, ორგორა, ხერთვისი, კლდე, წნისი, აწყური, აგარა; ბლით — აჭარა, თუთით — სხვილისი. ახალციხეში, მთხრობელთა ცნობით, 40 ბაყალი იქნებოდა. მათ თავიანთი ასნაფი და ბაირადიც ჰქონდათ, რომელზედაც სასწორი იყო გამოსახული.

თბილისი იყო არამარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის როგორც ხელოსნობის, ასევე ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა უამრავ დუქანსა და ბაზრებში (ზემო, შუა, ქვემო//„შაითან“ ბაზარი, რიყე — ცხენის, თევზისა და სხვ. ნაწარმის გასაყიდი ბაზარი; ერევნის მოედანი — შემის ბაზარი, „ოხერბალი“//„ბოსტანი“ ანუ „საზამთროს ბაზარი“, „იარმუკა“, „ვერეს“ ბაზარი და სხვ.). მთხრობელთა ცნობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „შუა ბაზარი“ (ლესელიძის ქუჩაზე). ეს იყო ვიწრო ქუჩა, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა ხელობის ხელოსანთა დუქნები და სავაჭროები.

76 წ. ანა გიორგის ასულ ბაგინოვის (თბილისი, 1981 წ.) ცნობით, აქლემების სადგომი ყოფილა აწინდელი ბალნეოლოგიური კურორტის წინ მდებარე ტერიტორია. ამ ადგილს, 76 წ. ნინა ალექსანდრეს ასული თუჯიანის ცნობით, „ბოსტანიც“ (იგივე „ოხერბალი“. მთხრობელთა განმარტებით, ეს სახელწოდება მიუღია მას იმის გამო, რომ პატრონი არ ჰყოლია) ეწოდებოდა, ვინაიდან აქ აქლემებით მოჰქონდათ უამრავი საზამთრო და ნესვი. 80 წ. ნატალია ვასილის ასულ ეგნატოვის თქმით, აქლემებით მოჰქონდათ აგრეთვე სპარსეთიდან ქიშიში, ბრინჯი და ზეთი; ხშირად მოდიოდა ბაქოდან ნავთი.

შეკრებილი მასალების მიხედვით ქუთაისი წარმოგვიდგება არამარტო იმერეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ხელოსნური წარმოებისა და მისი ნაწარმის გასაღების ბაზრად, ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად. ხელოსნური წარმოების ისეთი დარგიც კი, როგორცაა თერძობა, რომელიც ითვალისწინებდა შემკვეთის ინდივიდუალურ მოთხოვნებს, ძირითადად საბაზროდ აწარმოებდა. 80 წ. ილარიონ კუჭუხიძის ცნობით, მართალია, ადგილი ჰქონდა ინდივიდუალური შეკვეთის ფაქტებსაც, მაგრამ თერძები მასიურად კერავდნენ საბაზრო ტანსაცმელს. ასე იყო ეს ხარაზებთანაც. ზემოთ, სათანადო ადგილას ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ხარაზებს სპეციალური ხის კალაპოტები ჰქონდათ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სათანადო ნომრებისათვის, რაც ცალკე ინდივიდის მოთხოვნებს ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, ისინიც მასიურად კერავდნენ ფეხსამოსს ბაზრისათვის. ოქრო-





დურგლები ქუთაისიდან, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებიდან, თვითონ დადიოდნენ სოფლებში სამუშაოდ. მაგ., ქუთაისელი დურგალი მუშაობდა ტყიბულის რაიონის შემდეგ სოფლებში: კურსეტი, ნაბოსლევი, კოკა, ჭყევი, შუყერი, ლაფეთი, ციხია, ბობოთი, რგუნა და სხვ.

ზუგდიდში შეგროვებული მასალების შესწავლის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ აქ საქმე გვაქვს როგორც შემკვეთისათვის, ასევე საბაზროდ განკუთვნილ ხელოსნურ წარმოებასთან. მართალია თავისი ფორმით „აზიური ხელობის“ დარგები — მეუნაგირეობა, თერძობა, „აზიაცკის“ დამზადება უფრო შემკვეთისათვის წარმოებას გულისხმობდა, მაგრამ ბაზრისათვისაც აწარმოებდნენ პროდუქტს ხარაზები, თერძები. 84 წ. კოსტა ისაკის ძე ჟვანიას ცნობით, ზუგდიდში თერძებს 50 დუქანი ჰქონიათ, მაგრამ „კერვაზე“ ისეთი დიდი მოთხოვნა იყო, მისივე თქმით, რომ 100 დუქანიც რომ ყოფილიყო, ისიც არ ეყოფოდაო.

საქონელი ადგილობრივ იყიდებოდა სახელოსნოებში — „დარაბებში“, მაგრამ იცოდნენ ბაზრობაზე, „იარმუკობაზე“, ნაწარმის გატანა. ამას უმეტესად ჩაწოლილი საქონლის გასასაღებლად მიმართავდნენ. მთხრობელთა ცნობით, სექტემბერში დიდი ბაზრობა იმართებოდა ორი კვირის ხანგრძლივობით წალენჯიხაში. მას მოსდევდა ბაზრობა ამავე ხანგრძლივობით ჩხოროწყუში. აგვისტოში ბაზრობა იწყებოდა ძველ სენაკში. იცოდა ორ-სამ დღიანი ბაზრობა აგრეთვე ჯვარსა და ხობში. 73 წ. ხარაზ აკაკი პეტრეს ძე ნადარაიას ცნობით, ვინაიდან ხელოსნები ბაზრობაზე გარკვეული დროით იყვნენ წასულნი, ისინი იქ, ადგილობრივ, შეკვეთებსაც იღებდნენ და მუშაობდნენ კიდევც.

არქანჯელო ლამბერტი საინტერესოდ აგვიწერს ბაზრობას. მისი გადმოცემით, უმთავრესი ბაზრობა იმართებოდა სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან. მისი მთარგმნელის — ალ. ჭყონიას კომენტარით, სამეგრელოში ამ სახელით არ იცნობდნენ არც ადგილს და არც ეკლესიას. ლამბერტის რუკაზე იგი აღნიშნულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ნაბაკევსა და ზუგდიდს შუა, ჩრდილოეთით<sup>103</sup>. თ. ბერაძე იძლევა ამ ადგილის ლოკალიზაციას. მისი აზრით, წიფურია მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შეესაბამება დღეს ს. განაჯია-მუხურის ერთ უბანს — წიფურონს.<sup>104</sup>

არქანჯელო ლამბერტი აღწერს რა ამ ბაზრობას, აღნიშნავს, რომ აქ იკრიბებოდა დაახლოებით ოცი ათასამდე კაცი. ხალხი ცხოვრობს

<sup>103</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ილ. ჭყონიას თარგმანი, თბ., 1938, გვ. 157.  
<sup>104</sup> თ. ბერაძე, XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, „მეგლის მეგობარი“ თბ., 1970, ნაკვ. 21, გვ. 43.

კარვებში, იყიდება და იცვლება ერთმანეთში შალეული, თაფლი, ცხილი და მარილი, საქონელი, თიხის ჭურჭელი, მიწის დასამუშავებელი იარაღი და სხვ. საყურადღებოა მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ ბაზრობაზე იცვლება ყველაფერი ერთმანეთში ისე, რომ ფული არ ჩანს<sup>105</sup>.

ბაზრობა-იარაღები, იონა მეუნარგიას ცნობითაც, იმართებოდა სენაკში ფერიცვალების კვირაში, ცაგერში — ენკნისთვეში, ჯვარში — გიორგობისთვის 10-ს და ხობში — მარიამობის 15-ს<sup>106</sup>.

ასეთია ქალაქური ხელოსნობის ნაწარმის გასაღების ზოგადი სურათი საქართველოში.

## § 2. ხელოსნური წარმოების კონსტრუქციის

საქართველოს ქალაქებისათვის ტიპურია ხელოსნური წარმოება ერთი ოსტატით, ორი-სამი შეგირდით და ძირითადად ერთი ქარგლით. ხელოსანი აწარმოებს შემკვეთისათვის ან ბაზრისათვისაც და ნაწარმს ასაღებს როგორც ქალაქებში, ასევე მის მახლობლად მდებარე დაბებში და საეკლესიო დღეობებზე. შავ., ქიზიყისათვის სიღნაღი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ხელოსნური წარმოების ცენტრს, გასაღების ბაზრები იყო ქვემო მანხანსა და ბოლბისხევში, აგრეთვე დღეობებზე. ქართლისათვის გორი თავისი ადგილმდებარეობის გამო წარმოვიდგება როგორც წარმოების, ასევე გასაღების ცენტრად. ამავე დროს ქართლისათვის ცნობილი იყო სამი დიდი დღეობის — უსანეთობის (მეჯვრისხევი), გერისთობის (არბო) და ზღუდრობის (ცხინვალი) გამართვის პრაქტიკა. ისინი იყვნენ თავისთავად მთისა და ბარის ურთიერთშეხების, მათი ხელოსნური ნაწარმის ცხოველი ურთიერთგაცვლის პუნქტები.

ასეთ როლს თამაშობდა თელავი კახეთისათვის. თუმცა კახეთიც ცნობილი იყო დიდი მასშტაბის დღეობის — ალავერდობის გამართვის პრაქტიკით. თბილისი და ახალციხე წარმოადგენდნენ როგორც ხელოსნური წარმოების, ასევე მისი პროდუქციის რეალიზაციის მთავარ ცენტრებს. დასავლეთ საქართველოსათვის ასეთი ცენტრის როლს ქუთაისი ასრულებდა. თუმცა დასავლეთ საქართველოშიც ცნობილი იყო დიდი დღეობა-ბაზრობანი ცაგერში, წალენჯიხასა და ჩხოროწყუში. მაშასადამე, საქართველოს ქალაქებში დასტურდება ხელოსნების როგორც დაკვეთით, ასევე ბაზრისათვის წარმოება, ხელოსნების წვრილ წარმოებაზე გადასვლა.


<sup>105</sup> არქ. აღმგერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

<sup>106</sup> იონა მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939 წ., გვ. 148; სავაჭრო ადგილებად ასახელებს ის აგრეთვე სუჯუნას, ლაილაშს, ანაკლიას და ყულევს.

მაგრამ ტიპიური ხელოსნობის გვერდით გვხვდება ისეთი „ხელოს-  
ნური“ წარმოებაც, სადაც განსაკუთრებით მომრავლებული გირდები და ქარგლები. მაგ., სიღნაღის, გორის, ახალციხის, თელავის  
და განსაკუთრებით თბილისის დაბლების, ხარაზუმის, თერძების სახე-  
ლოსნოებში. 86 წ. არტემ ჯირაშვილის (თბილისი, 1981 წ.) ცნობით,  
ქარგალს დიდი ფასი ჰქონდა დაბლებში. მას, როგორც შავ მუშას,  
ტყავების დამღობოს, დღეში 2 მან. ეძლეოდა, თრიმლში ტყავის  
დამმუშავებელს — 2-3 მან., ხოლო ტყავიდან ლეუმის გამფხეკ ოსტატს,  
როგორც განსაკუთრებული ძნელი სამუშაოს შემსრულებელს — 6 მან.  
50 წ. მარო მირზიაშვილის ცნობით, თითო ოსტატ დაბადს ხშირად 15  
შეგირდი, ამდენივე ქარგალი, მუშა და შავი მუშაც კი ჰყავდა.  
მისივე თქმით, „ბევრი იყვნენ დაბლებში ოსტატ-„ხაზუენები, 50-100  
ოსტატი იქნებოდა“.

83 წ. ხარაზ პეტროს ბაღდასარის ძე ფალაგიანის (ახალციხე,  
1968 წ.) გადმოცემით, გრიგოლ ფახლაჯანს 40 ქარგალიც კი ჰყოლია.  
ქარგლების სიმრავლე მოწმდება აგრეთვე მელურსმნეებთან და თერძებ-  
თან (12 ქარგალი ერთ ოსტატთან), განსაკუთრებით კი ვერცხლის ფი-  
ლიგრანული ხელობის ოსტატებთან. ცნობილია, რომ ვერცხლის აჭუ-  
რულ ნაკეთობაზე დიდი იყო მოთხოვნა საზღვარგარეთ, განსაკუთრე-  
ბით საფრანგეთში. ამიტომ დაქირავებული შრომა ამ წარმოებებში ფარ-  
თოდ გამოიყენებოდა. ერთად ათი კაცი მაინც მუშაობდა ამ საქმეზე —  
გადმოგვცემს 67 წ. ოქრომჭედელი გარიგინ ლეონის ძე ამბარცუმიანი;  
ერთი გარსაჭერს აკეთებდა, მეორე მავთულს მიაჭედებდა, მესამე მიაერ-  
თებდა, მეოთხე ცალკე ნაწილებს ერთმანეთთან შეაერთებდა, მეხუთე  
დაამთავრებდა ნითვს, მეექვსე გააპრილებდა მას და ა.შ. გარიგინ ამ-  
ბარცუმიანის ცნობით, ამ საქმეს ერთი ოსტატი ჰყავდა, დანარჩენი ყვე-  
ლა ქარგალი იყო. აკოფა ადოიანის გადმოცემით, ამ დარგის ხელოსნები  
სპეციალური შეკვეთით ერთდროულად 200-300 ბალთას ამზადებდნენ.  
მისივე თქმით, ვაჭარი აკოფოვი აწარმოებდა ამ ნაწარმის შესყიდვას და  
მის რეალიზაციას საზღვარგარეთ. ადგილობრივ ეს ნაწარმი, მთხრო-  
ბელთა ცნობით, შედარებით ნაკლებად იყიდებოდა. დიდი რაოდენობით  
ვაჭრონდათ ვერცხლის ნივთები ზაფხულობით ვაჭრებს იალტაში, კის-  
ლოვოდსკა და თბილისში. ამ ნაწარმს ძალზე ეტანებოდნენ „მდიდარი  
მეფაბრიკის ქალები“.

სათანადო დაკვეთით მზადდებოდა ახალციხეში ლურსმანი ნაღობი  
დასაჭედად. დიდი იყო მოთხოვნა ჩალვადრის ნალის ლურსმანზე.  
75 წ. მელურსმნე არშაკ ლევონის ძე ასლანიანის ცნობით, ხაშუ-  
რის, სამტრედიისა და გორის ნაღბანდები ახალციხეში იძენდნენ  
ნალისათვის განკუთვნილ ამ მასალას. ამიტომ მის წარმოებაში დი-  
დი გამოყენება ჰქონდა დაქირავებულ ქარგლებს.



ქარგალთა სიმრავლე დასტურდება ხარაზებთან და თერძებთანაც ქუთაისში მაგ., ხარაზი ისააკ მესხი 40-50 ქარგალს ამუშავებდა. თერძი ილარიონ ხაზარაძე კი 30-ს. მას 10 გამყიდველი ჰყოლია. საქართველოს ქალაქთაგან ერთადერთი გამონაკლისია ზუგდიდი, სადაც არ მოწმდება ქარგალთა სიმრავლე ხელოსნურ წარმოებაში.

ხელოსნურ წარმოებაში ქარგალთა ასეთი დიდი რიცხვის გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ მასში თანდათან ფეხს იკიდებს დაქირავებული შრომა, რაც იწვევს ხელოსნობის რღვევას, მასში კაპიტალისტური ტენდენციების შეჭრას. ასევე იზრდება ხელოსნურ წარმოებაში ოსტატ-„ხაზინების“ რიცხვი. ოსტატი-„ხაზინი“ ხშირად უკვე ვაჭრად არის ქცეული; მას იმდენი კაპიტალი გააჩნია, რომ სხვას ამუშავებს, თავად თავისუფალია შრომისაგან. ეს კი უკვე ხელოსნური წარმოების სრული მოსპობის მანიშნებელია, როდესაც ადგილი აქვს კაპიტალის არამარტო მარტივ კოოპერაციას, არამედ კაპიტალისტური ტიპის სარეწების გაჩენას, სადაც დიდი რაოდენობით გამოიყენება დაქირავებული შრომა. ასე თანდათან ხდება ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია.

მიუხედავად ამისა, როგორც ყოფის მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოს ქალაქებში მაინც დიდხანს მასთან ერთად არსებობდა ხელოსნობა თავისი კლასიკური გაგებით. დაბლების, დერციკების, ყაზახების და სხვ. კაპიტალისტური ტიპის სარეწებთან ერთად განაგრძობდა არსებობას ხელოსნური სახელოსნოები, სადაც ერთ ოსტატთან ერთი-ორი შეგირდი და ამდენივე ქარგალი მუშაობდა.

### § 3. ძალაძის, ღაბისა და სოფლის ხელოსნობის ურთიერთმიმართება

საქართველოს ქალაქების ხელოსნობის შესწავლისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი მიმართება სოფლისა და დაბის ხელოსნობასთან.

ხელოსნობის შესწავლით ქალაქსა და სოფელში ვლინდება მისი სხვადასხვა ხასიათი. ქალაქში, როგორც დავინახეთ, ხელობის ცალკეული წარმომადგენელი ხარაზი, დაბადი, ოქრომჭედელი, თერძი, ყაზახი და სხვ. გარკვეულ საქმიანობას (წუდის, ტყავის, სამკაულის, ტანსაცმლის ცალკეული ნაწილების, აბრეშუმის ძაფისა და სხვადასხვა ზონრების დამზადება) მისდევს. ეს საქმიანობა მისი პროფესიაა. ეს არის ხელოსნის შემოსავლის, მისი არსებობის წყარო. სამუშაო იმდენად მტკიცედ არის რეგლამენტირებული და დადგენილი, რომ ადგილი აქვს შრომის ვიწრო სპეციალიზაციას (ნალბანდი, მჭედელი, მექვაბე, ოქრომჭედელი, დაბადი, ხარაზი, მეწაღე, ჭონი და სხვ.).



ბუნებრივად იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ სოფლად, ხელოსნობის რა დარგებია წარმოდგენილი სოფელში და რა განსხვავებაა სოფლისა და ქალაქის ხელოსნობის შორის? რას წარმოადგენს დაბა?

როგორც შეკრებილი მასალებიდან ჩანს, ს. მეჯვრისხევეში (1967 წ.) მოწმდება შემდეგი დარგის ხელოსნები: ხარაზი, მჭედელი, ღურგალი, ნალბანდი, კალატოზი, მექალამნე, ხურო — მხერხავი. აქვე არსებობდა სამი სამიციტნო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეჯვრისხეველი ხელოსნები სამღვთოს გორში ესწრებოდნენ, ისინი სიმცირის გამო ცალკე ამქარს არ ქმნიდნენ.

ს. მეჯვრისხევი, როგორც აღინიშნა, წარმოადგენდა აგრეთვე მთისა და ბარის ნაწარმის ურთიერთგაცვლისა და ვაჭარ-ხელოსანთა თავყრილობის ცხოველ პუნქტს.

რაც შეეხება ახალქალაქს (გორის რ-ნი), აქაც ვაჭარ-ხელოსანთა საკმაო რაოდენობა დასტურდება: ხარაზი, მჭედელი, ღურგალი, ნალბანდი, მეკრამიტე, მექალამნე, მეთუნუქე, ჭონი, მღებავი, ქვისმთლელი, მეუნაგირე, ოქრომჭედელი, ბაზაზი. გარდა ამისა, ახალქალაქი კერამიკული წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. აქ 20 მეჭურჭლე იყო და მხოლოდ ისინი ქმნიდნენ ამქარს.

მეჯვრისხევისა და ახალქალაქის ხელოსნები თავის მხრივ ემსახურებოდნენ გარშემო მდებარე სოფლებს და მათ მიმართ გამოდიოდნენ ქალაქის მწარმოებელთა როლში. მაგ. 87 წ. მეჯვრისხეველი მჭედლის კოლა მაზანაშვილის ცნობით, ის ნამგლით ამარაგებდა ვაშლოვანს, მანგლისს, თონეთს, ბოგვს, მარტყოფს, კუმისს, ფარცხისს. მეჯვრისხეველი ნალბანდი ემსახურებოდა მხურვალეთს, წინაგარას, არცევს, კვარხითს, ზერტს (70 წ. სანდრა ბერაშვილის ცნობა). ახალქალაქელ მეჭურჭლეს თავისი პროდუქცია აღბუღაღამდე დაჰქონდა. დადიოდა კოდას, ნორიოს, მარტყოფს, ღურნუკებს (86 წ. სარქის მჭედლის-შვილი). ახალქალაქელი კალატოზი ემსახურებოდა ხოვლეს, გრაკალს, მეტეხს, დუესს, გომს, ქვახვრელს, კავთისხევს, ერთაწმინდას (76 წ. არტემ შალაშვილის ცნობა).

ქიზიყის სოფლების შესახებ თვით მთხრობელები იძლევიან ძირითადი ხელოსნური ცენტრების დახასიათებას. მათი თქმით, ხელოსნობა ქიზიყის წინა მხარის სოფლებში იყო განვითარებული (განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ანაგის მნიშვნელობას ამ საქმეში სიღნაღის შემდეგ). უკანა მხარე (მადარო, ქვემო ბოდბე, ზემო მანხაანი). მესაქონლეობის ცენტრს წარმოადგენდა. 75 წ. ღურგალ სანდრო ლოლაშვილის თქმით, ხელოსნები ყველა სოფელში იყვნენ ცოტ-ცოტა, ბევრნი — ანაგაში. ანაგის ხელოსნები სიღნაღის ამქარში შემოდდიოდნენ. ისინი ბიგრნი

იყვნენ აგრეთვე ქვემო მახხაანში. მისივე თქმით, სიღნაღის ამქარში ერთიანდებოდა ყველა სოფლის ხელოსანი კარდანახამდე.

ჩვენი მასალებით, ანაგაში შემდეგი დარგის ხელოსნები ჩანან: მჭედლები, ხარაზები, დურგლები, ნალბანდები, მეავეჯები, მეკასრეები, მეწაღეები, მკურავეები, თიხის წვრილი ჭურჭლის მკეთებლები, მეთუნეუქეები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანაგელი ხელოსნები დაოსტატების მიხნით სიღნაღში მუშაობდნენ. მაგ., 75 წ. ვანო მჭედლიშვილს ხუთი თვე სიღნაღში უმუშავია ოსტატთან, რომ „რიგიანად ესწავლა ხელობა“. ვაჭრებს ანაგაში მთხრობელები ნაკლებად ასახელებენ.

მოპოვებული მასალით ქვემო მახხაანში დასტურდება დაბადობა, მეწაღეობა, ხარაზობა, მეთუნეუქეობა, დურგლობა, ნალბანდობა, მღებრობა, მეკასრეობა, ქვითხურობა, მეთუნეობა. 75 წ. შაქრო ბაბალაშვილის ცნობით, „ქალაქს (ე. ი. სიღნაღს) გარეთ ამდენი ხელოსანი არსად იყო. მთავარი კი ვაჭრობა იყო“. 75 წ. გივო შანშაშვილის თქმით, „ქვემო მახხაანში ვაჭრობა პირველი იყო. ბესიკო ნადირაშვილი პირველი ვაჭარი იყო, საქონელი ლოძიდან მოჰქონდა, ქვემო მახხაანში შვიდი ნოქარი ყავდა. სხვა სოფლებში კანტი-კუნტად იყვნენ ვაჭრები“. მთხრობელთა ცნობით, ქვემო მახხაანი თვით იყო სავაჭრო ცენტრი, ბაზარი აქ „კვირით კვირობამდე“ მოქმედებდა. ეს ბაზარი ითრევდა გარშემო მდებარე სოფლებსაც ვაჭრობაში. მაგ., მოდიოდნენ აქ ხემო მახხაანიდან, ბოდბისხევიდან, ჯუგაანიდან, ტიბაანიდან და არბოშიკიდან. მრავლად იყვნენ ბაზაზები, ბაყლები. მთხრობელთა გადმოცემით, ქვემო მახხაანში 24 სამიკიტნო იყო, მაგრამ აქ მაინც არ მოწმდება ვაჭართა ცალკე ამქრის არსებობა.

რაც შეეხება ქართული მოსახლეობით დასახლებულ ახალციხის რაბათს (ქალაქის ძველ ცენტრს), რომელიც XIX ს. მეორე ნახევრისათვის უფრო დაბური ტიპის დასახლებას წააგავდა (ქალაქის ახალი ნაწილი გაშენდა მდინარე ფოცხოვის მარჯვენა სანაპიროზე 1829-30 წწ. არზრუმიდან გადმოსახლებული სომხების მიერ „პლანის“ სახელწოდებით)<sup>108</sup>. აქ წარმოდგენილნი იყვნენ: მექალაქნეები, დაბლები, მექუდეები, მექვაბეები, ნალბანდები, დურგლები, კლატოხები, ბადის მქსოველები, მედანეები, მჩითავეები, თერძები, ჭაპნის მგრეხავეები და სხვ. 82 წ. მექალაქნე გიორგი იაკობის ძე ბალიაშვილისა და 85 წ. რაფიელ ივანეს ძე ქურჩიბაშვილის ცნობით, ვაჭართაგან რაბათში 7-8 მიკიტანი და 28-30 ბაყალი იყო ცნობილი.

<sup>107</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ხელოსნური წარმოების ზოგიერთი საკითხი საქართველოში (ხელოსნობა ქალაქსა და სოფელში), გვ. 226.

<sup>108</sup> შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 454.

შეკრებილი მასალის გაანალიზების შედეგად ცხადად ვლინდება ქალაქისა და სოფლის ხელოსნობას შორის არსებული განსხვავება. სოფელში ხელოსნობა ადგილობრივი მეურნეობის ძირითადი საფუძველია, სადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად წარმოგვიდგება. ვ. ი. ლენინის დახასიათებით, „ხელოსნობა ქალაქის ყოფა-ცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს“<sup>109</sup>. 86 წ. სარქის მჭედლიშვილის გადმოცემით, კვირაში თვითონ ორ დღეს ვენახში მუშაობდა, დანარჩენ დღეებში — ხელობაზე, „ზაფხულობით ბაღში ვმუშაობდი, დანარჩენ დროს — ჭურჭელზე“. შაქრო ბაბალაშვილის ცნობით, მჭედელს ვენახიც ჰქონდა და სხვა სამუშაოც, პურსაც თესავდა. გიგო შანშაშვილის თქმით, ადგილობრივი (ქვემო მაჩხანელი) ხალხი მარტო ხარაზობას არ მისდევდა, ის ვენახსაც, მიწასაც ამუშავებდა.

1818 წ. გორის მაზრის მემამულეებისა და გლეხების კამერალური აღწერის მასალებში ხშირად იხსენიება ჭალის, ბერბუკის, დუესის გლეხთა ის კატეგორიები, რომელთა შემოსავლის წყაროდ, გარდა სახნავი მიწისა (მარცვლეულის რაოდენობა კოდობითაა აღნიშნული), საქონლის, ცხენის, ფუტკრის შემოსავლისა და დღიურად მუშაობისა, დასახელებულია ქსოვის შედეგად მიღებული შემოსავალი. იხსენიებიან ის გლეხებიც, რომელნიც თავს ტილოსა და ხამის ქსოვით, თოკების გრეხვით ირჩენენ. მოხსენიებულნი არიან წმინდა ხელოსნები — დალაქები, მექუდეები, და ვაჭრები<sup>110</sup>.

ქალაქისა და სოფლის ხელოსნების დაპირისპირების დროს განსხვავება ვლინდება თვით ხელოსნური წარმოების მასშტაბებშიაც. მაგ., სოფელში დასტურდება ხელოსნობის თითქმის ყველა ის დარგი, რაც ქალაქშია, მაგრამ ქალაქში ხელოსანთა რიცხვი დიდია, ამიტომ ქალაქში არსებობს ხათანადო ხელოსნური ორგანიზაცია — ამქარიც, შრომის სპეციალიზაცია ვიწროა, წარმოების დონე უფრო მაღალი, ამდენად, გასაღების რადიუსიც და ბაზარიც უფრო დიდია.

სოფელში ხელოსნობა ჯერ კიდევ ინარჩუნებს მარტო შემკვეთისათვის მუშაობის ფორმას. მაგ., სოფლის მჭედელი ემსახურება მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას. ის არ ამზადებს ნაწარმს ბაზარზე გასატანად. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სოფლის ხელოსნები ოსტატებიან ქალაქში.

ხელოსნური წარმოების ცნობილ ცენტრებში (მაგ., ცხავატი ქსნის ხეობაში, შროშა — იმერეთში, ბოდბისხევი — ქიზიყში), სადაც ხელოს-

<sup>109</sup> ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1948, გვ. 383.

<sup>110</sup> Какабадзе С., Камеральное описание Горийского уезда помещиков.

ნები დაოსტატებული იყვნენ კერამიკული ჭურჭლის წარმოებით და მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენდა მათი არსებობის ძირითად წყაროს, ხელობასთან ერთად მაინც მისდევდნენ სოფლის მეურნეობასაც. საქონელი გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად არსებობის უზრუნველსაყოფად და არა გამდიდრების მიზნით<sup>111</sup>.

რაც შეეხება დაბას, აქ წარმოებდა ვაჭარ-ხელოსანთა მოზიდვა. ბაზრის სიახლოვე სულ უფრო აადვილებდა ხელოსნობის დაშლას, მის წკრილ წარმოებად გადაქცევას, ხელოსნის დაახლოებას ბაზართან. ხელოსანი ემსახურებოდა არა ერთ სოფელს, არამედ მთელ რაიონს. ხდებოდა ვაჭრობა-ხელოსნობის კონცენტრაცია მსხვილ სოფლებსა და დაბებში<sup>112</sup>. ასეთად წარმოგვიდგება ქვემო შანხანის, ახალციხის რაბათი და ახალქალაქი.

---

дворян и крестьян, составленное в 1818, ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გსიემ, 150.

<sup>111</sup> მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ქართული ხალხური კერამიკა (ქსნის ხეობა), თბილისი, 1982, გვ. 87.

<sup>112</sup> ე ლ . ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966, გვ. 88:

## ხელოსნური ორბანიზაცია — ამპარი\*

### § 1. ამპარის სტრუქტურა

საქართველოს ქალაქებში მოპოვებული მასალებით, ხელოსნურ ორბანიზაციაში — ამქარში შესვლა შეეძლო ყველა ხელოსანს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. თითოეული ხელობის წარმომადგენელთ ცალკე ამქარი ჰქონდათ, მაგრამ ხშირად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ ამქარში ერთიანდებოდნენ მომიჯნავე დარგის ხელოსნებიც. ეს საერთო დამახასიათებელი ნიშანი იყო საქართველოს ამქრებისათვის. არსებობდა ცალკე ამქარი ეთნიკური ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, მკალავი ლეკების, ცალ-ცალკე ამქარი ჰქონდათ სპარსელ მეჩექმეებს<sup>1</sup> და აზერბაიჯანელ კალატოზებსაც თბილისში<sup>2</sup>.

ამქარს სათავეში ედგა უ ს ტ ა ბ ა შ ი , რომელსაც ჰყავდა ორი მოადგილე: ა დ ს ა ყ ა ლ ო // ა ს ა ყ ა ლ ო და ერთი შიკრიკი — ი გ ი თ ბ ა შ ი . ამქრის სტრუქტურა კი წარმოდგენილი იყო შევირდით, ქარგლითა და ოსტატით<sup>3</sup>.

უსტაბაშად ოსტატად „დალოცილი“ ხელოსნები ირჩევდნენ ჭკვიანსა და გამოცდილ ხელოსანს, იმას, „ვისაც ხელობის ძალა ესმოდა, ყბედი არ უნდა ყოფილიყო ხელოსნებში“ (მჭედელ გოგრიმ არუთინოვის ცნობა, ქ. თელავი, 1971 წ.). უსტაბაში ამ თანამდებობაზე შეიძლება ათი წელიც ყოფილიყო, შეიძლება ერთ წელიწადშიც გადაეყენებინათ, გადმოგვცემენ მთხრობელები, ყველაფერი მის მონდომებასა და

\* ამქრის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა იხილეთ ჩვენ ნაშრომში „თბილისელი ფეიქრები“, გვ. 136-138; აგრეთვე, Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб., 1959., с. 362; უახლესი ლიტერატურა კი განხილულია აქვე სხვადასხვა საკითხთან კავშირში.

<sup>1</sup> ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>2</sup> მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 230.

<sup>3</sup> შდრ. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1963, გვ. 160-165.

უნარზე იყო დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ გაუძღვებოდა უსტაბაში ამქრის საქმეებს.

1960-61 წწ. თბილისში ჩაწერილი მასალით, ყაზახები, „დალოცილი“//„ნაკურთხი“ ხელოსნები, ყოველწლიურად ირჩევდნენ უსტაბაშს ხელოსანთა სამმართველოში მათი მამასახლისის („სტარშინას“) თანდასწრებით<sup>4</sup>. ამ მასალაში ასახულია უფრო გვიანდელი ვითარება, როდესაც თბილისში 1867 წლის 5 მარტს ჩატარებული ხელოსნური რეფორმის შედეგად უკვე მოქმედებდა ე. წ. ხელოსანთა სპეციალური სამმართველო. იგი უწევდა კონტროლს ხელოსანთა ყველა საქმიანობას.

უსტაბაშის ძირითად მოვალეობას ხელოსანთა შორის სამართლის წარმოება შეადგენდა. „უსტაბაშთან საჩივრელად მივიღოდით“ — გადმოგვცემენ მთხრობელები. იგი აწესრიგებდა ურთიერთობას შევირდსა და ხელოსანს ან ხელოსანსა და დამკვეთს შორის. ის ამ საქმიანობას აღსაყალოსა და იგითბაშის შემწეობით უძღვებოდა. პირველი, როგორც აღინიშნა, უსტაბაშის მოადგილე იყო. ხოლო იგითბაში შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა, ამქრის გადაწყვეტილებას აუწყებდა ხოლმე მის წევრებს.


აღსაყალოებს ირჩევდნენ უსტაბაშის არჩევის დროსვე. ფარული კენჭისყრის შედეგად უსტაბაშის შემდეგ ვინც ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას მიიღებდა, მას ირჩევდნენ ამ თანამდებობაზე. ხოლო იგითბაში ინიშნებოდა ამქრის წევრთაგან ერთი თვის ვადით, თვეში 3 მან. ხელფასით (თბილისი, 1960 წ.).

უსტაბაში მოუწოდებდა ხელოსნებს წესრიგისაკენ, აგვარებდა სამგლოვიარო თუ სადღესასწაულო პროცესიებზე მათს დასწრებას. თუ ხელოსანი რაიმეს დააშავებდა, უმთავრესად თუ თავის მუშტარს აწყენინებდა, ან შევირდობის ვადის („ყავლის“) გასვლამდე თავის ოსტატს მიატოვებდა და სხვასთან წავიდოდა, უსტაბაში ორი-სამი კვირით, ან ერთი თვით „ამქარს შეკრავდა“<sup>5</sup>, რაც დამნაშავისადმი ბოიკოტის გამოცხადებას ნიშნავდა. სამუშაოდ არ მიიღებდა დამნაშავეს, ვიდრე ის უსტაბაშს ბოდიშს არ მოუხდიდა.

ხარაზ ანტონ ლაზარეს ძე ოქროპირიძის ცნობით (გორი, 1967 წ.), შეკრულ ამქარში აღსაყალოები, „მიხაკ-დარეჩინს შემოატარებდნენ“, ყველას უნდა აეღო თითო მარცვალი, რაც ბოიკოტის გამოცხადებას ნიშნავდა. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ასაყალოები მას დადებულ სასჯელსა ხსნიდნენ, რასაც ამქრის ყველა წევრს შეატყობი-

<sup>4</sup> ნ. ა. ბ. ე. ს. ა. ძ. ე, თბილისელი ფეიქრები, გვ. 144; მისი ვ. ე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, გვ. 165; შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა. ს. ა. ხ. რით, უსტაბაშის ამ კანდიდატურას ამტკიცებდა შემდეგ მეფე, იხ. მისი ვ. ე, ისევ ქართული ამქრული ორგანიზაციების შესახებ, „მომომხილველი“, ტ. II, თბ., 1951.

<sup>5</sup> შდრ. ლ. ბ. ო. ზ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.



ნებდნენ; ხარაზ გიორგი სოლომონის ძე მაისურაძის გადმოცემით, ხელოსნებს „ამქრის შეკვრას“ მიხაკ-ღარეჩინის მარცვლის დარღვევით აუწყებდნენ. იგიობაში ერთ მიხაკს დამნაშავეს ოსტატს მიუტანდა იმის ნიშნად, რომ მას ეს ხელოსანი გარკვეული ვადით თავისთან არ ემუშავებინა. დამნაშავე იძულებული იყო, დროის ამ მონაკვეთში ან კალატოხთან ემუშავა უბრალო მუშად, ან სხვასთან მოენახა რაიმე სახის სამუშაო. ასევე, თუ შეგირდი თავის ოსტატს მიატოვებდა და სხვასთან გაიქცეოდა, მას აიძულებდნენ, რომ თავისი ოსტატისათვის მასზე დახარჯული თანხის საფასური გადაეხადა. თუ ხელოსანი უდიერად მოიქცეოდა, განსაკუთრებით სამღვთოს დროს, მაშინ იგი ჯარიმდებოდა ფულით ან ღვინის გარკვეული ოდენობით<sup>6</sup>, რაც ამქრობას უნდა მოეტანა. თუ ამ შემთხვევას აღვილი ექნებოდა სამღვთომდე, მაშინ მას საგანგებოდ ჩაიწერდნენ, რომ ხელოსანს არ ეცუდლუბა და ჯარიმის გადახდისათვის თავი არ აერიდებინა.

უსტაბაშის უფლებას შეადგენდა აგრეთვე ხელოსნის გარიცხვაც ამქრიდან მისი გამოუსწორებლობის გამო. ხელოსანი დანაშაულის ჩადენისათვის ორჯერ ჯარიმდებოდა, ხოლო მესამედ ირიცხებოდა ამქრიდან.

უსტაბაში აწარმოებდა აგრეთვე ოსტატად ხელდასმას. ხელმძღვანელობდა სამღვთოს//ამქრობის ორგანიზაციას. „ფირის“ (ხელობის დამაარსებელი, მფარველი) დღე რომ მოვიდოდა, გადმოგვცემენ მთხრობელები, უსტაბაში ორი დღით ადრე ამქარს შეაგროვებდა ძირითადად „ფსონის“ (ამქრობის ორგანიზაციისათვის განკუთვნილი თანხის ოდენობა) განსახდურისათვის. უსტაბაშივე გაანაწილებდა, „გაწერავდა“ მას ხელოსნებზე. ვინც დასალოცი იყო, მათ სიას ცალკე შეადგენდა. ისინი უფრო მეტს იხდიდნენ. ეს იყო ე.წ. „საოსტატო“ გადასახადი (3-5 თუმანი).

უსტაბაშს თავისი თანამდებობის აღმნიშვნელი სპეციალური ძეწკვიც ჰქონდა გულზე ჩამოკიდებული და თავის ამქარს ყოველთვის წინ მიუძღოდა მისი ქუჩაში მსვლელობის დროს.

ამქარს ჰქონდა თავისი ბეჭედი, რომელიც უსტაბაშთან ინახებოდა. მაგ., ყაზახთა ამქარს ჰქონდა თავისი ბეჭედი წარწერით: „მეაბრე-შუმეთა და ოქრომქსოველთა ამქარი“ („шелковый и шелкокружевной цех«).

ცალკე ხაზინადარის არსებობა ამქარში შეგროვებული თანხის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. ამქარში მაინც იყო ცალკე გამოყოფილი პირი, რომელიც აწარმოებდა დავთარში შემოსავალ-გასავალს. როდესაც ამქრის წევრი დაინიშნებოდა, ან მოინათლებოდა, ამქრის სასარ-

<sup>6</sup> ნ. ა. ბ. ს. ა. ძე, ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 161.



გებლოდ იხდიდა 1 მანეთს. ამ თანხის საფუძველზე ეხმარებოდა ამქარის თავის გაჭირვებულ წევრს. ჯარიმების („იოლი“) სახით შეგროვებული თანხა ძირითადად უსტაბაშის ხელთ იყო. როგორც აღინიშნა, ხელოსანი დანაშაულის ჩადენისას გარკვეული თანხით ჯარიმდებოდა. ასევე ისჯებოდა ის, თუ მიცვალებულის დასაფლავებაზე არ გამოცხადდებოდა. მთხრობელთა ცნობით, მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“ იცოდნენ ამქრის, განსაკუთრებით ხარაზების ან ღერციკების (სიმრავლის გამო) დაძახება, რისთვისაც მიცვალებულის პატრონი გარკვეულ თანხას გაიღებდა. ეს უკანასკნელი ამქრის წევრებს შორის ნაწილდებოდა და ძირითადად წვეულებებზე იხარჯებოდა. ხშირად ამ თანხიდან ნაწილი მაინც ამქრის საქმეების მოგვარებას ხმარდებოდა. მაგ., ამ თანხის შემწეობით ყაზაზთა ამქარს ბაირაღიც შეუძენია (თბილისი, 1961 წ.), ამქრის წევრებს გაჭირვებასა და უბედურებაში (სახლის დანგრევისა თუ დაწვის, მიცვალებულის დამარხვისა თუ სხვა საჭიროებისათვის შეგროვების შემთხვევები) დაჰხმარებია.

უსტაბაში ლითონის ფირფიტებს ურიგებდა ამქრის წევრებს, რაც მათ წვეულებაში მონაწილეობის უფლებას აძლევდა. სამიკიტნოში შეკრებილ ამქარს უსტაბაში აღნიშნულ ფირფიტას ჩამოართმევდა. გამოუცხადებლობისათვის ამქრის წევრი ფულის გარკვეული ოდენობით ჯარიმდებოდა. ამქრის წევრის გარდაცვალებისას ყველა ღუქანი იკეტებოდა. „კლიტის აღება ღუქნიდან არ შეიძლებოდა“, გადმოგვცემს გიორგი მაისურაძე (გორი, 1967 წ.). უსტაბაშის ნებართვით მხოლოდ ორ ხელოსანს რჩებოდა ვაჭრობის უფლება, რისთვისაც ისინი ამქრის სასარგებლოდ 2-3 მან. იხდიდნენ. აღნიშნულ თანხას გაიღებდა ხელოსანი იმ შემთხვევაშიც, თუ ის იმ დღეს სრულებით ვერ ივაჭრებდა. ამ ჯარიმების საფუძველზე გროვდებოდა ამქრის ძირითადი საბრუნავი თანხა.

მჭედელ გოგრიმ გევორქის ძე არუთინოვის ცნობით, თუ დალოცილი ხელოსანი მოკვდებოდა, „უქმე უნდა შეენახათ იმისათვის“ (თელავი, 1971 წ.). ამქრის წევრს დაასაფლავებდნენ, მაგრამ ქელეხში არ წავიდოდნენ. „ფსონით“ შეჭამდნენ პურს და შესანდობარს დალევდნენ. მხოლოდ მდიდარი კაცის ქელეხში მიდიოდნენ მიბატიყებით. კვირა დღეს ამქრის წევრები რიგ-რიგობით მუშაობდნენ სახელოსნოში; ვინც ამ წესს დაარღვევდა, 1 მან. გადაიხდიდა.

იყო რომელიმე მდიდარი მოქალაქის მიერ ამქრისადმი ფულის გარკვეული თანხის ანდერძით ჩუქების შემთხვევებიც. მთხრობელთა გადმოცემით, ამ თანხის საშუალებით ამქარს რამდენიმე ქალიც გაუზოთვებია (თბილისი, 1961 წ.).

ნინა ხუბულაშვილის გადმოცემით, „ხელოსნები — ყარანოდებები იყვნენ, ძალიან პატიოსნები და ვაჟკაცები. ამქარი იყო ერთი ხელობის ხალხი. ვინმე რომ მოუკვდებოდათ, დაასაფლავებდნენ, ჭირისუფალს ცხვარს გაუგზავნიდნენ, ჩაფით ღვინოს. შხითევსაც უყიდიდნენ ქალს, ქვრივს ყოველ დღე უგზავნიდნენ სანოვაგეს, ფულს აგროვებდნენ დარიბებისათვის, დახმარება იცოდნენ“ (თბილისი, 1981 წ.).

საერთოდ ამქარში მტკიცედ იყო დაცული კოლექტივობა. ამქრის არცერთი წევრი ხელს არ მოჰკიდებდა სხვის დაწყებულ საქმეს და სხვ.

შ ე გ ი რ დ ბ ა. ამქარი იყო ხელოსანთა არამარტო პროფესიულ-ეკონომიური გაერთიანება, არამედ ხელოსნის გამოზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა, ხოლო შეგირდობის ინსტიტუტი ხელობის შესწავლის ერთადერთი გზა.

შეგირდობის ვადა ხელობის სხვადასხვა დარგში განსხვავებული იყო. იგი, რასაკვირველია, დამოკიდებული იყო შესასწავლი დარგის სირთულეზე. მაგ., ხარაზებთან შეგირდობის ხანგრძლივობა 2-3 წლით განისაზღვრებოდა, ოქრომჭედელთან კი იგი 9-10 წელს ვარაუდობდა. ასევე განსხვავებული იყო მათი ასაკი ხელობის სხვადასხვა დარგში. ჩვეულებრივ, შეგირდად იღებდნენ 7-8 წლის ბიჭებს, დაბაღებთან და ქვისმთლელებთან კი 15-16 წლის ყმაწვილებს. ხელობის გარკვეული დარგი შეგირდისაგან სათანადო ცოდნასაც მოითხოვდა. მაგ., ქვის ოსტატის კონსტანტინე მარგველაშვილის (ქუთაისი, 1969 წ.) ცნობით, შეგირდს „ორი კლასის განათლება“ უნდა ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა.

ოსტატის მიერ შეგირდის აყვანის ხელშეკრულების სათანადო გაფორმება ხდებოდა შეგირდის მშობლებთან. 67 წ. სანდრო ისრაელიანის (ქ.თბილისი, 1982 წ.) ცნობით, მშობლებს მიჰყავდათ შვილი ხელოსნებთან და ეუბნებოდნენ: „ძვალი ჩვენი, ხორცი შენი, ოღონდ ასწავლე ხელობაო“<sup>7</sup>. თუ შეგირდი სოფლიდან იყო, მაშინ ის თავის ოსტატთან ცხოვრობდა, თუ არა, თავისი სახლიდან დადიოდა. თბილისში (1960-1961 წწ.) ჩაწერილი მასალით, ოსტატის მიერ შეგირდის აყვანის ხელშეკრულების გაფორმება წარმოებდა ხელოსანთა სამმართველოში.

ხელობის შესწავლა, მთხრობელთა ცნობით, შეგირდის მონდომებასა და უნარზე იყო დამოკიდებული. ყაზაზებთან „სრული ხელობის“ ცოდნა ვარაუდობდა „აბრეშუმის“ საქმიანობის გარდა „ოქრომკედის“ ხელობის ცოდნასაც, რაც ამქარში მხოლოდ რამდენიმემ იცოდა. გონიერი შეგირდი ცდილობდა, რომ ხელობის საიდუმლოს დროულად ჩასწვდომოდა.

<sup>7</sup> შდრ. ლ. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 113.

ხშირად შეგირდი გაცილებით ადრე სწავლობდა ხელობას, მაგრამ ოსტატი მას სახლში ამუშავებდა — წყალს მოატანინებდა, ფაქტურებს და არეცხინებდა, ბაზარში გაავზავნიდა და სხვ. „იმათი (ოსტატის) ხელობაც ის იყო, რომ მუქთად მეშუშავა“ (სანდრო ოქრობირიძე, გორი, 1967 წ.).

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეგირდი ხელობის შესწავლის შემდეგ ერთ წელს ნიხიად ემსახურებოდა თავის ოსტატს, ვითომცდა მასზე დახარჯული თანხის საფასურად. „სწავლას იმდენი არ დაჭირდებოდა, მაგრამ სახლში ამუშავებს“, გადმოგვცემს 75 წ. ლიმონა ბაღდასარის ძე ზახაროვი (სიღნაღი, 1966 წ.).

ხშირად ხელობის შესწავლა ფასიანი იყო. სხვადასხვა დარგში ის სხვადასხვა ოდენობით ისახდრებოდა. მაგ., ოქრომჭედელ კონსტანტინე ზაქარიას ძე ცაგარეიშვილის (ქუთაისი, 1969 წ.) ცნობით, ხელობის შესწავლა ღირდა ხუთი თუმანი ოქროთი<sup>8</sup>, მექილე ვასილ ანტონის ძე უბილავეს (ქუთაისი, 1969 წ.) თქმით კი — ოთხი თუმანი. ოსტატს უნდა უზრუნველყო შეგირდი კვებითა და ტანსაცმლით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს ქალაქებში ძალიან ხშირი იყო ხელობის მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევები. ხელოსანთა უმრავლესობა თავის ოსტატად მამას ან ბიძას გვისახელებს. მაგრამ საკუთარ შვილების გარდა ოსტატს ყოვლთვის ჰყავდა ერთი ან ორი შეგირდი.

ვიდრე შეგირდი სწავლის მთელ კურსს არ გაივლიდა, ვიდრე ხელოსნად არ დაილოცებოდა, ის თავის ოსტატს ვერ მიატოვებდა. „შეგირდი ეგეთია, როგორც დაბმული ჯორი“, გვეუბნება ივანე სერგოს ძე ხატიევი (სიღნაღი, 1966 წ.).

სანდრო ნიკოლოზის ძე ოქრობირიძის ცნობით (გორი, 1967 წ.), დაულოცავი ხელოსანი „ფინაჩია“. დალოცილი შეგირდი რომ გაქცეულიყო, გადმოგვცემს ის, მაინც „ფინაჩი“ იყო. ხელოსანი თუ არ იყო დალოცილი, არ ამუშავებდნენ. დალოცვა იყო საჭირო იმისათვის, რომ ის ნამდვილი ხელოსანი გამხდარიყო, რომ უფლება ჰქონოდა, შესაძლებლობის შემთხვევაში გაეხსნა სახელოსნო. ხოლო თუ თავის ხელოსანთან დარჩებოდა, გამხდარიყო მისი ნამდვილი ამხანაგი. „სწორი“ წილით. „ხელოსანი რომ გამხდარიყო, ამისათვის იყო საჭირო დალოცვა“, — გადმოგვცემს 86 წ. მექვაბუ მიკიჩა არტემის ძე აფრიაშოვი (თელავი, 1971 წ.). „დუქანს დალოცილი გახსნიდა მარტო, ხელოსნები არცა გცნობდნენ, თუ არ იქნებოდი დალოცილი“ (67 წ. დურგალი არჩილ ვასილის ძე ფირანიშვილი, თელავი, 1971 წ.). „დაულოცავი ვერ გახსნიდა დუქანს, ვინმე შეიყვანდა წილში, მაგრამ

<sup>8</sup> შდრ. ლ. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 112.



არა სწორ წილში“ (77 წ. მჭედელი გოგრიმ გეგორქას ძე არუთინოვი, თელავი, 1971 წ.).

შეგირდი დილით ადრე თავისი „პურით“ ოსტატთან უნდა წაეწიკა ხადებულები (თბილისი, 1960 წ.). ვინც დაიგვიანებდა, მისთვის ადრე მოსულს ყური უნდა აეწია. ღამით, 12-1 საათზე, მთავრდებოდა სამუშაო. 92 წ. აკოფა ისაკას ძე ალავერდოვის ცნობით, ოსტატი შეგირდს სანთელს დაუდგამდა — „შენი ყავლი (ვადა) იყოსო“. 76 წ. გეგორქ იაგორის ძე ათოევის განმარტებით, — „ყავლი“ დღევანდელი გეგმაა. სანამ სანთელი არ დაიწვებოდა, სახლში ვერ წავიდოდნენ. ამიტომ შეგირდები ეშმაკობასაც მიმართავდნენ. სანთელი შუამდე რომ დაიწვებოდა, მერე აქეთ-იქედან „ჩხრეკამდნენ“ — აფხვიერებდნენ, რომ მალე დამწვარიყო.

ზაფხულში სამუშაო დრო, ჩვეულებრივ, 7—8 საათს გრძელდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ზამთარში, ღვინობის (ოქტომბერი) თვიდან დაწყებული, „ხაზენები“ შეგირდებს ღამითაც ამუშავებდნენ. ოქტომბრის თვის დასაწყისში, ერთ კვირა დღეს ოსტატი მათ სადილს გაუმართავდა და ამით აუწყებდა, რომ მომავალი ორშაბათიდან ღამითაც უნდა ემუშავათ. სამაგიეროდ, შეგირდებშიც შემუშავდა ასეთი წესი. საკმარისი იყო ადრე გაზაფხულზე ატამი აყვავებულიყო, შეგირდს უკვე მიჰქონდა თავის ოსტატთან ატმის ყვავილი („აკური“) იმის ნიშნად, რომ დადგა დრო გვიან ღამემდე მუშაობის შეწყვეტისა. ხოლო შემოდგომაზე, როცა ატამი შემოვიდოდა, მაშინ თვით ოსტატი ცდილობდა ეჩვენებინა იგი თავისი შეგირდისათვის იმის დასტურად, რომ დადგა დრო კვლავ გვიან ღამემდე მუშაობისა<sup>9</sup>.

წესად იყო დადგენილი შაბათს საღამოს შეგირდისათვის ხელფასის მიცემა. მთხრობელთა გადმოცემით, შეგირდები ამ თანხას აგროვებდნენ („აქუჩებდნენ“) და საჭიროების დროს ყიდულობდნენ რაიმე ნივთს. ზოგჯერ კი ამ გზით ხდებოდა „საოსტატოს“ დაგროვებაც, ოსტატი ფულს რომ აჩუქებდა, ეს იყო — „შეგირდანა“. მთხრობელთა უდიდესი ნაწილის განმარტებით კი „შეგირდანა“ იყო ფულის ის რაოდენობა, რომელსაც აძლევდა საჩუქრად შეგირდს მყიდველი ან დამკვეთი (მუშტარი).

თბილისში 1960-61 წწ. ჩაწერილი მასალით, ყოველ ექვს თვეზე შეგირდს აბაზი ემატებოდა. თბილისურ მასალაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემონახულია უფრო გვიანდელი ხანის ამბები. ამ დროს უკვე მდგრადი არ იყო შეგირდობის კონტიგენტი იმის გამო, რომ დიდი იყო მათი ღენადობა ახლად გახსნილ „ფაბრიკა-ქარხნებში“. ოსტატები მათ

<sup>9</sup> შტრ. უცნობი ავტორის სტატია „Уста-баш“, „Кавказ“, 1846., № 41. ხელოსნის სამუშაო დღის სიდიდის (შხის ამოსვლიდან შხის ჩასვლამდე) შესახებ იხ. Гуревич А. Я., Категории средневековой культуры, М., 1979, с. 247.

დაინტერესების მიზნით ხელფასსაც უმატებდნენ. აკოფა ალავერდოვის ცნობით, მას 4 მან. და ერთი აბაზი ჰქონია ჯამაგირი, რომელიც მას არ აკმაყოფილებდა, ამიტომ გადასულა .ის სამუშაოდ შირნაქვის ნარმის („ამერიკას“) საქსოვ „ფაბრიკაში“, სადაც მისთვის 7 მან. და ერთი აბაზი მიუციათ. მაგრამ მალე ეს ფაბრიკა დახურულა. აკოფა იძულებული გამხდარა, დაპბრუნებოდა თავის ოსტატს, რომელსაც მისთვის „ფაბრიკაში“ არსებული ჯამაგირის ოდენი ხელფასი დაუნიშნავს იმ პირობით, რომ ის თავის ოსტატს კვლავ აღარ მიატოვებდა.

შეგირდი ხელობის შესწავლის შემდეგ ოსტატად უნდა „დალოც-ილიყო“. მთხრობელთა ცნობით, უსტაბაში აღსაყალოებთან ერთად ჩამოუვლიდა ოსტატებს და ეკითხებოდა, თუ ვინ უნდა დალოცილიყო მათ შეგირდთაგან. დასალოც ხელოსანთა სიას ის ცალკე ადგენდა და მათ შესატან „საოსტატო“ გადასახადსაც განსაზღვრავდა.

შეგირდის დალოცვა მხოლოდ სამღვთოზე (ამქრობაზე) ხდებოდა. ეს წვეულება წელიწადში ერთხელ, უმთავრესად გაზაფხულზე, იმართებოდა, მთხრობელთა ცნობით, აღდგომიდან ამაღლებამდე იყო მისი ვადა. სამღვთოს იხდიდა ყველა ამქარი. მისი გადაუხდელობა დიდი სირცხვილი იყო, ხოლო სამღვთოს მდიდრული ორგანიზაცია — დიდი სახელი. ამ საქმეში ამქრები ეჯიბრებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ყველაზე კარგი სამღვთო, მთხრობელთა გადმოცემით, ხელოსნებს შორის ხარაზებმა და დერციკებმა იცოდნენ, მაგრამ საერთოდ კი ამ საქმით ცნობილნი ყოფილან მიკიტნები, მეწვრილმანეები და ბაზაზები (თელავი, 1971 წ.), რადგან მათ საამისო მატერიალური შესაძლებლობაც ჰქონდათ.

ამქრობა, ჩვეულებრივ, ქალაქგარეთ იმართებოდა. თბილისში — ორთაჭალის ბაღებში, გორში — „სულხანას“, „ტერეღიშას“, „ჯირკველანთ“, „შეგანთ“ და „ბაბილოანთ“ ბაღებში, სიღნაღში „კაკალოანთ“, „საფაროანთ“, „გამრეკელანთ“ და სხვა კერძო მფლობელთა ბაღებში. მათი პატრონები „დიდი ვაჭრები“ იყვნენ, რომელნიც თითქოს ყოველგვარი სასყიდლის გარეშე უთმობდნენ ხელოსნებს ბაღებს წვეულებისათვის, მათ თითქოს ესახელებოდათ ასეთი საქველმოქმედო სამსახურის გაწევა. ისინი ქეიფობდნენ ხელოსნებთან ერთად. მთხრობელთა გადმოცემით, თელავში ადრე სამღვთო იმართებოდა ცნობილი დიდი ჭადრის („ჭანდრის“) გარშემო, „ამქრის ბაღი“ შემდეგ გაჩენილა.

ცნობილია, რომ საქართველოს ქალაქთაგან მხოლოდ თელავში არსებობდა ე. წ. „ამქრის ბაღები“ — სპეციალური ნაგებობა ქალაქგარეთ, ბაღში, სადაც ხელოსნები იხდიდნენ სამღვთოს<sup>10</sup>. თუმცა

<sup>10</sup> ი. ნ ა ნ თ ა შ ვ ი ლ ი, საამქრო ნაგებობანი თელავში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 31, № 2, 1963, გვ. 517.

თბილისში 1982 წ. ჩაწერილი მასალებით, ავლაბარში, ხოჯევანქთან/ ახლოს, ყოფილა ე.წ. „საქეიფო სახლები“, სადაც ხარაზები იხდიდნენ სამღვთოს (82 წ. იაგორ ამირხანოვის ცნობა). ვაჭრული ამქრიდან ბაღი ჰქონდათ მიკიტნებსა და მეწვრილმანეებს, ხოლო ხელოსნებიდან — დურგლებსა და დერციკებს<sup>11</sup>. ვისაც საკუთარი ბაღი არ გა- აჩნდა, ის ქირაობდა ასეთ ნაგებობას ამქრობის დროს.

სამღვთო იმართებოდა ხელობის დამაარსებლის, მფარველის პატივ- საცემად. სამღვთო, მჭედელ გოგრიმ გვეორქის ძე არუთინოვის ცნობით, „ფირის დღეობა იყო, ზინდანს (გრდემლს) ვუნახავდით უქმე დღეს, იმ დღეს დილიდან არაფერს არ დავაკაკუნებდით“.

შ. მესხიას აზრით, სამღვთოს, რომელიც ხელობის დამაარსებლისა და მფარველის სახელზე სრულდებოდა, უთუოდ საფუძველი თვით ქართულ სინამდვილეში ჰქონდა. აფხაზებსა და მეგრელებში ძველ- თაგანვე გავრცელებული ჩვეულება „შაშვაი“ — მჭედლების მიერ ყო- ველწლიურად თავისი მფარველისადმი მსხვერპლად შეწირვისა, მისი აზრით, იყო ის ჩვეულება, რომელიც წინ უსწრებდა „სამღვთოს“. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, წერს შ. მესხია, რომ სოფლის მჭედლების ეს ყოველწლიური დღესასწაული აფხაზეთში ატარებდა „ხეჩხვამის“, ხოლო მეგრელებში „ხეხუნჯობის“ სახელ- წოდებას, რაც, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ხელის დღეგრძელობას ნიშნავდა და ფაქტიურად ეძღვნებოდა ხელს, როგორც ხელობის სიმბოლოს. არსებითად ამ ხასიათს ატარებდა ქართული ამქრის „სამღვთოც“, რომელსაც გარეგნულად რელიგიური ფორმა ჰქონდა<sup>12</sup>.

თბილისსა (1961 წ.) და თელავში (1971 წ.) შეგროვებული მასა- ლებით, მთხრობელები განასხვავებენ თითქოს ფირის დღეს სამღვთო- საგან. მათი ცნობით, ფირის დღეობა ერთდღიანი იყო, მაგ., ელიაობა და მასზე დალოცილი ხელოსნები უსტაბაშს ირჩევდნენ. 82 წ. სარაჯ სანდრო გიორგის, ძე ბაინდუროვის (თელავი, 1971 წ.) ცნობით, „ფირის დღეობა ერთ დღეს გრძელდებოდა, სამღვთო კი — სამ დღეს“. სწორედ სამღვთოზე ხდებოდა შეგირდის ოსტატად ხელდასმა.

ამქრობისათვის წინასწარი სამზადისი ძირითადად იგიტაბაშს ევა- ლებოდა; ის აუწყებდა ხოლმე ამქრის წევრებს სამღვთოსათვის დაწ-

<sup>11</sup> იქვე, გვ. 511-513.

<sup>12</sup> Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тбилиси, 1959 г., с. 368; ხელი იყო გამოსახული მჭედლების დროშაზეც. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სათანადო ფონდში დაცულია საამქრო დროშა (კოლ. № 6436) იესო ქრისტესა და წმინდა გიორგის გამოსახულებით, წარწერით; თავზე დამაგრებული აქვს ადამიანის ხელის მტკვანი, ქსოვილი; სიმაღლე 115 სმ. იხ. ნ. აბესაძე, ხელოსნური ორგანიზაცი- დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, გვ. 169.



ესებულ დღეზე გამოცხადებას. უსტაბაში აგროვებდა „ფსონს“ დალოცვილ ოსტატეისა და ქარგლებს შორის. მისი რაოდენობა ამჟამად უცნობელია. არ იყო დადგენილი. შეინიშნებოდა დიფერენციაცია ამჟამის წვერებს შორის „ფსონის“ გადახდაში. ხაზინები, მთხრობელთა ცნობით, ხუთ-ხუთ მანეთს იხდიდნენ, ხელოსნები კი ათ-ათ შაურს. ვინც „ფსონს“ გალაიხდიდა, მას შეეძლო თავისი მეგობარიც მოეყვანა წვეულებაზე. ასე შეგროვილი თანხით ყიდულობდნენ საკლავს (ცხვარს, ძროხას) და სამღვთოსათვის საჭირო ყველა პროდუქტს (ქათმებს, თევზს, ხიზილალას, ღვინოს და სხვ.). ხაზინებს (რაჭველები იყვნენ თითქმის ყველგან) უკვეთავდნენ პატარა (გირვანქიან), ან შოთის პურებს. ან „ჯვარისმამის ლავაშებს“ (თბილისი, 1981 წ.). ერთ ცხვარს ბაზარშივე დაკლავდნენ, მიკიტნის დუქანში მარილწყალში მოხარშავდნენ და ჯვარისმამის ლავაშებში გახვეულს „ამქრის ხალხში“ დაარიგებდნენ, გლახებს, მეზობლებს დაუნაწილებდნენ, პატიმრებს ციხეში შეუგზავნიდნენ. წვეულებისათვის განკუთვნილი საკლავი ცალკე ჰქონდათ. ზოგი მთხრობელის თქმით, შილაფლავის დამზადება სამღვთოს აუცილებელ ელემენტს შეადგენდა<sup>13</sup>, ზოგი მას სასტიკად უარყოფს, რასაც იმით ასაბუთებს, რომ შილაფლავი მხოლოდ მიცვალებულის ქელებზე იყო მიღებული.

ამჟრობის დაწყებამდე დაიბარებდა უსტაბაში თავისთან დასალოცვად გამზადებულ შეგირდებს და ეკითხებოდა მათ თავიანთი ოსტატისათვის განკუთვნილი საჩუქრების შესახებ, რათა მერე ამჟრობას საგანგებოდ ეუწყებინა ამის შესახებ. გიორგი მაისურაძის (გორი, 1967 წ.) ცნობით, „თავზე ვინც დაადგებოდა, ის პირველი ილოცებოდა. მას უსტაბაში დააყენებდა“.

მთხრობელთა გადმოცემით, შეგირდის პირველი დალოცვა დიდად საპატიო იყო. ერთდროულად ილოცებოდა 18-20 შეგირდი. ანტონ ოქროპირიძის ცნობით, 138 შეგირდი დალოცვილა მასთან ერთად.

პირველი დალოცვა ქონებრივი შეძლების საქმე იყო. აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ და ებრძოდნენ თვით შეგირდის პატრონები — ოსტატები. უსტაბაში მივიდოდა ოსტატებთან, შეეკითხებოდა; თუ ვის სურდა მისი შეგირდი პირველად დაელოცა და ამისათვის რამდენ საწყაო ღვინოს სთავაზობდა ის ამქარს. აქ იზრთებოდა ოსტატების შეჯიბრი და ვინც ღვინის მეტ რაოდენობას შესთავაზებდა ამქარს, მისი შეგირდი დაილოცებოდა პირველად.

ამჟრობას უსტაბაშის სახელოსნოსთან დილიდანვე დროშა იყო გაშლილი. სამღვთოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ზურნას დაუკვდნენ, ხალიჩებს გაშლიდნენ, მებაირადე გამოიტანდა ბაირაღს,

<sup>13</sup> ა. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 161.



რომელიც უსტაბაშთან ინახებოდა სახელოსნოში და შუა დღის უკან მთელი ამქარი თავისი ბაირადით ქალაქგარეთ გაემართებოდა. მეზობრად ირჩევდნენ ფიზიკურად ძლიერს, რომ მას ბაირადის ტარება შესძლებოდა. ბაირახტარს წელზე შემორტყმული ჰქონდა მოქსოვილი ქამარი<sup>14</sup>, რომელშიაც ბაირადის ტარს ამაგრებდა. ის წინ მიუძღვოდა მთელ ამქარს, მას უკან უსტაბაში მოჰყვებოდა მთელი თავისი ამქრით. ამქრის ბაღში მისვლისთანავე ბაირახტარი დროშას „გათამაშებდა“, შემდეგ კი ერთ ადგილას დაარჯობდა და აღარ შორდებოდა მას.

შევირდს გამოცდის მიზნით რაიმე ნიმუში უნდა დაემზადებინა, რასაც გამოცდილი ხელოსნები ამოწმებდნენ. ოსტატად დალოცილ ხელოსანს პრაქტიკის მისაღებად თბილისში უნდა ემუშავა (სიღნაღი, 1966 წ.) ერთ თვეს მაინც და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო აეღო მას ატესტატი ხელოსანთა სამმართველოდან. თუ საამისო საშუალება ჰქონდა, სახელოსნოსაც გახსნიდა. ატესტატის აღების დროსაც ხელოსანს რაიმე ნიმუში უნდა გაეკეთებინა. მაგ., მჭედელ შაქრო აღექსანდრეს ძე ბაბალაშვილის ცნობით (ს.ანავა, 1966 წ.), მას თბილისში აუღია ატესტატი, რისთვისაც ავლაბარში სპეციალურ ნიმუშად ქანჩი გაუკეთებია.

შევირდს თავისი ოსტატისათვის რაიმე უნდა მიეძღვნა, ძირითადად ვერცხლეული (მაგ., ვერცხლის ბადია), რასაც „ხალათი“ ან „სახალათე“ ეწოდებოდა. „როცა შევირდი ფეხს მოიდგამდა“, გადმოგვცემენ მთხრობელები (ქუთაისი, 1969 წ.), მაშინ მას ოსტატის მეუღლისათვის რაიმე ნივთი, ამ შემთხვევაშიც ვერცხლეული (მაგ. „შაქარდანი“ — საშაქრე) უნდა ეყიდა.

დასალოც შევირდებს ფეხთ უნდა გაეხადათ, იქვე ბაღში გამდინარე არხში ხელფეხი უნდა დაეხანათ და შეეწმინდათ; მერე მათ რიგში დააყენებდნენ ისე, რომ მარცხენა ფეხი მარჯვენაზე უნდა დაედგათ, თავზე კი მარცხენა ხელი მარჯვენაზე უნდა გადაედოთ. იქვე სუფრა იყო გაშლილი. ვინაიდან ამქარში სომხებიც იყვნენ, ამიტომ ქართველთან ერთად სომეხ მღვდელსაც მოიწვევდნენ. ორივეს უნდა ეკურთხებინა სუფრა. მერე უსტაბაში მიუახლოვდებოდა დასალოცად გამზადებულ შევირდს და მის ოსტატს ეკითხებოდა იმის შესახებ, თუ როგორ „ათავებდა“ ის შევირდობის ვადას. ბევრჯერ უწყენინებია თუ არა თავისი ოსტატისათვის და სხვ. მთხრობელთა ახსნით, ოსტატის

<sup>14</sup> ლ.ბოჭორიშვილის ცნობით, მედროშეს — მეზობრადეს ქართული ტანსაცმელი უნდა სცმოდა, ჩვენი მასალებით, მედროშე ხელოსანი ატარებდა ჩვეულებრივ ყარაჩოდელის სამოსს — ჩოხას „გალიბანდის“ ან „წოწოლა“ კუდით, ეს იყო მისი ეროვნული — ქალაქური სამოსი; შდრ. ლ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.



პასუხი განსაზღვრავდა შეგირდისათვის გასაწნავი სილის სიმწვავეს, სანამ ყველა არ დაილოცებოდა, მანამ შეგირდს არ შეეძლო წელიწადში ჩამოღება თავიდან.

დალოცვა რომ გათავდებოდა, უსტაბაში უბრძანებდა დალოცილებს დაჯდომას. მათზე ადრე დალოცილები მოქმსახურებოდნენ მათ, ღვინოს უსხამდნენ ექვსი ერთ რიგზე, მეორე ექვსი — მეორე რიგზე. როცა ახლად დალოცილები შეთვრებოდნენ, ახლა მათგან აირჩევდნენ მერიქიფეებს.

პირველი სადღეგრძელო უსტაბაშს ეკუთვნოდა. მაშინ მოიხსენიებდა ის თავიანთ ფირს, რამდენიმე ჭიქას შესვამდა და შემდეგ ორ თამადას ირჩევდა, ერთს — მაგიდის თავში, მეორეს — ბოლოში. ამქრის წვერთაგან ირჩევდნენ ხელოსნები სამღვთოსათვის მზარეულს (გორი, 1967 წ.).

ლოცავდა უსტაბაში. „ფირიანობას გაუმარჯოს, ჩვენს ხელობასაო“, იტყოდა იგი. „ღმერთმა შეიწყალოს იობი, ჩვენი ხელობის დამაარსებელიო“ (იობი იყო ყაზახთა ამქრის ფირი — აკოფ იაგორის ძე ალავერდოვი, 1961 წ.). დასალოცი შეგირდი მუხლზე დაიჩოქებდა უსტაბაშის წინ, რომელსაც დასალოცის ხელის ცერები თავის ხელში ეჭირა. ოსტატი დაარიგებდა შეგირდს და ეტყოდა: „მარჯვენა გაჩუქე, ხელობა გასწავლეო“ (82 წ. იაგორ ამირხანოვი, თბილისი, 1982 წ.). ხოლო უსტაბაში ასე დალოცავდა: „მოგცეს ღვთის შიში, კაცის სინდისი და ამქრის პატივისცემაო“ (82 წ. სარაჯი სანდრო გიორგის ძე ბაინდუროვი, თელავი, 1971 წ.).

შეგირდის დალოცვასთან დაკავშირებით ი. გრიშაშვილს მოჰყავს ქ.ახალციხეში ლ. ზაგურსკის მიერ ჩაწერილი ტექსტი. ი. გრიშაშვილის სიტყვებით, ეს „დალოცვა თავისი სიღრმით სარწმუნოებრივი ექსტაზის სიმაღლემდე მიდის“. აი, ისიც: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი, ღმერთმა როცა ყველა სულდგმული გააჩინა, ბრძანა, შრომითა და რუდუნებით ისაზრდოვეო. თვით შიშველი მიწაც შრომით შეიმოსა, გაშენდა და განაყოფიერდა. ღმერთმა გაშოროთ შური და სიბოროტე თქვენი ხელქვეითებისადმი. ჩვენ ყველანი მომაკვდავნი ვართ, ერთი მიდის, მეორე მოდის. რას ემგვანებოდა წუთისოფელი, რომ ყველა კარგ ხელოსანს, სიკვდილთან ერთად თავისი ცოდნაც თან წაეღოს. ჩვენ სხვა არაფერი დავგრჩებოდა იმის მეტი, რომ დავმჯდარიყავით და დაწვები გვეხოვა. მაგრამ ღვთის შემშუებობით ჩვენ შევიძინეთ ის ცოდნა, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ, ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია სხვას გადასცეს ის, რაც თვითონ იცის. შეგირდი მორჩილი და გამგონე უნდა იყოს თავისი უფროსისა. სწავლა და დარიგება მხოლოდ მორჩილებით შეიძინება“. დალოცვის უკანასკნელი სიტყვები ასეთი იყო: „და, შენ, მორჩილო და ნამუსიანო შეგირდო! ღვთის შემდეგ ატარებ

ხელოსნის სახელს და გექლევა უფლება შენი ხელობით იარსებო. თვით სოლომონ ბრძენი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ყველა წმინდანი ჰქადაგებდნენ, რომ აღამიანმა მხოლოდ პატიოსანი შრომით უნდა იცხოვროსო... და შენც, შე გ ი რ დო, ჩ ვ ე ნ ი ხ ე ლ ო ბ ი ს ა, ე ხ ლ ა, როცა გაგვიხდი ამ ხანაგად, ნუ დაზოგავ შენს ჯანსა და ღონეს, რომ ნამუსიანი შრომით თავი ირჩინო. ო, არამც და არამც არ იარო მრუდე გზით. იყავ გულმართალი და პატიოსანი, ეცადე შენი შვილებიც ამ გზით წარმართო. შრომა შეასწავლე შენ შეგირდებსაც და ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გექცევოდით, რათა საიქიოს იესო ქრისტეს წინაშე პირნათლად წარსდგე და განკითხვის დღეს თავისუფლად აღიარო: ღმერთო, აი, მოვედით ჩვენ ჩვენი შეგირდებით, რომლებმაც ნამუსიანად გავატარეთ ჩვენი ცხოვრების დღეები. ღმერთო! გაგვიღე სამოთხის კარი და დაგვაშვიდრე სასუფეველსა შინა, ამინ!"<sup>15</sup>

სარწმუნოებრივი ექსტაზი, როგორც ცნობილია, არ იყო დამახასიათებელი ქართული ამქრისათვის. აღმოსავლური ამქრები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული რელიგიური მისტიციზმით. ხელოსნის დალოცვის დროს შეგირდს თავი ჯერ ხელობის ღვთიური წარმოშობის ცოდნით უნდა გამოეჩინა და შემდეგ საკუთრივ ხელობის ცოდნით<sup>16</sup>.

შეგირდის დალოცვის აღნიშნული ტექსტი ახალციხეშია ჩაწერილი, სადაც შედარებით დიდი იყო ისლამის გავლენა და შეიძლება ამით აიხსნას ი. გრიშაშვილის მიერ მითითებული რელიგიური ექსტაზი. მაგრამ ტექსტის განხილვით ვრწმუნდებით, რომ მასში ძირითადად მაინც ხელობის კეთილსინდისიერი შესწავლისა და პატიოსანი შრომისაკენ არის მოწოდება. „დალოცვის“ ამ ტექსტსაც, ჩვეულებრივი, ქრისტიანული რელიგიის ფორმულა აქვს მორგებული და, ჩვენი აზრით, არც განსაკუთრებული რელიგიური ექსტაზი შეინიშნება მასში.

დალოცვის შემდეგ უსტაბაში შეგირდს სილას სამჯერ გააწნავდა, რაც თითქოს მათ შორის არსებული უფროს-უმცროსობის ზღვარის წაშლის სიმბოლური გამოხატულება იყო. სილას შემორტყმასაც, ი. გრიშაშვილის თქმით, თავისი წესები ჰქონდა. სილას, როგორც აღინიშნა, სამჯერ არტყამდნენ. ჯერ მარჯვენა ლოყაზე, მერე მარცხენაზე და მესამედ ისევ მარჯვენაზე. უკანასკნელი სილა, როგორც ამბობენ, ყველაზე მწვავე და მაგარი უნდა ყოფილიყო<sup>17</sup>.

თბილისში ცნობილი ხარატის, ხარფუხელი ლევანას თქმით, ის 20 წ. დალოცილა. „ნიინანთ ბაღში დიდი ამქრობა გაიმართა და დამ-

<sup>15</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

<sup>16</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1948, გვ. 153.

<sup>17</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 163.

ლოცვს, ისეთი სიღებები მითავაზეს, რომ თვალებიდან სულ წინწყლები დამცვივდა. თავმომწონე ბიჭი ვიყავი, ვარსკვლავებს ვეთამაშობოდა, იმათ კი სილა მაჭამეს, მაგრამ ალათი იყო, რა უნდა მექნებოდა. მოგვცემს ის<sup>18</sup>.

სილის გარტყმის შემდეგ უსტაბაში ახლად დალოცვილს შემოარტყამდა წელზე ჭრელი აბრეშუმის სარტყელს — ბაღდადს, რომელსაც ხელოსანი თვითონ ყიდულობდა ბაზაზებთან. თუ ღარიბი იყო ხელოსანი, მაშინ მას უბრალო წითელი ბაღდადი ეკეთა, თუ არა და — აბრეშუმისა, ირანული (80 წ. მეწაღე ვასო ზაქროს ძე ბელმანიკაშვილი, ქ. თელავი, 1971 წ.).

დალოცავდა თუ არა უსტაბაში, ხელოსანს სარტყელში გაუყრიდა ხელობის მანიშნებელ რაიმე იარაღს, მაგ., დერციკებს — მაკრატელსა და ნახევარადლიანს, დურგალს — გონიოს, ფარგალსა და შალაშინს, მღებავს — ავგარდანს და სხვ. იმ დღეს საღამომდე იქეიფებდნენ, საღამოს მთელი ამქარი ზურნით, რომელსაც წინ სარტყელშემორტყმული, ხელოსნად დალოცილი შევირდი მოუძღვოდა, თავის სახელოსნომდე მოვიდოდა და აქ დაიშლებოდა. მეორე დღეს კი კვლავ იმართებოდა სადილი — დალოცილი ხელოსნის სარტყელის სუფრაზე შეხსნის ცერემონიალი. ზოგჯერ ეს წვეულება მესამე დღემდეც გრძელდებოდა. თუ კი საამისო საბაბი (უმთავრესად საჭმელ-სასმელი) იქნებოდა<sup>19</sup>. თბილისური მასალით (1982 წ.) ამქარს წინ მოუძღვოდა შევირდი, რომელსაც ბაღდადი წელზე ეკიდა. ბაღდადთან მას ქაშარში დამაგრებული ჰქონდა თავისი ხელობის გამომსახველი საგნები, მაგ. ხარახს — მუშტა, დურგლებს — თარაზო და სხვ.

ქ. სიდნაღში ჩაწერილი მასალით (1966 წ.), დალოცვის შემდეგ შევირდი წამოდგებოდა, ხელზე ეამბორებოდა ჯერ უსტაბაშს, შემდეგ კი თავის ოსტატს. ბაღდადს, რომელიც მას მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, უსტაბაშს მიართმევდა. უსტაბაში თავის მხრივ ჭრელ ბოხჩას, რომელიც შევირდს ხელში ეჭირა, წელზე დაუმაგრებდა. დალოცილი ხელოსანი ვალდებული იყო სამი დღე ბოხჩა ჰქონოდა წელში გარჭობილი, ვიდრე სამღვთო არ დამთავრდებოდა.

შევირდის ოსტატად დალოცვას საკმარის მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი ახლდა თან („საოსტატო“, „სახალათე“ და სხვ.), რის გამოც შევირდები გაუბრუნდნენ ამ აქტს, ამაჯობინებდნენ კვლავ შევირდობას. ამ მოვლენას ადგილი მოგვიანებით ჰქონდა და იგი მიეწერება თბილისში უკვე კაპიტალისტური წარმოების გაჩენის ხანას, რაც ძირს უთხრიდა ამქარს. ამიერიდან შევირდი აღარ იყო დაინტერესე-

<sup>18</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ხარატი“, გვ. 17.

<sup>19</sup> შდრ. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 163.



ბული, რომ მალე დამოუკიდებელი ოსტატი გამხდარიყო და ამით გარკვეული პრივილეგია (უსტაბაშის არჩევისა თუ მიცვალებულის დაკრძალვაზე დასწრებისათვის გაღებული თანხის წილის მიღების უფლება) მოეპოვებინა, პირველ რიგში გაეხსნა თავისთვის სახელოსნო, ვინაიდან ის სამუშაოს ყოველთვის იშოვიდა. ადრე თუ გვიან ოსტატი გახდებოდა და ქარგლად დაიწყებდა სხვასთან მუშაობას. მაშინ კი მუშა-ხელზე დიდი მოთხოვნილება იყო.

ამქრის ყველა წევრი ვალდებული იყო, წლიურად სახელმწიფოს სასარგებლოდ 4 მან. გაეღო. გევორქ ათოევის ცნობით (ქ.თბილისი, 1960 წ.), ამ გადასახადს არ იხდიდა მხოლოდ ის ხელოსანი, რომელიც ე. წ. პირველი და მეორე ხარისხის „პატენტის“ უფლებით სარგებლობდა. ეს იყო, ჩვეულებრივ, მაღაზიის მეპატრონე, რომელიც ცალკე იხდიდა „პატენტის“ ფულს — წლიურად 5-6 თუმანს.

ზემოაღნიშნული თანხის გადახდას ხელოსნები გაუბოდნენ, იმალებოდნენ. ამიტომ მთავრობის მოხელენი, ე. წ. „მეხარჯეები“, იძულებული იყვნენ ან სახელოსნოში ენახათ ხელოსნები და წლიური გადასახადის ანგარიშით ათ-ათი შაური, თითო მანეთი გადაეხდევინებინათ, ან გზაზე მიმავალი ხელოსანი დაეკავებინათ, ფულის გადაუხდელობის გამო ხელოსანთა სამმართველოში წაეყვანათ და იქ რამდენიმე საათს გაეჩერებინათ. მაგრამ, მთხრობელთა გადმოცემით, არც ეს აშინებდა ხელოსნებს, თურმე ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ხელოსანი ძაფის შესანახ ყუთშიც კი დამალულა. ხელოსანი ხელმეორედ იმ გზაზე აღარც გაივლიდა, სადაც „მეხარჯე“ ეკულებოდა.

ამქრის წევრები ირჩევდნენ აგრეთვე ოთხ წევრს — ე. წ. „ხმონებს“, რომლებიც უსტაბაშთან ერთად მონაწილეობდნენ ხელოსანთა მამასახლისის არჩევაში. ისინი ვალდებული იყვნენ, ყოველ ახალ წელს მისალოცად მისულიყვნენ მამასახლისთან. თვით ამქრის წევრები კი, ჩვეულებრივ, უსტაბაშს მიულოცავდნენ ხოლმე ახალ წელს. „უსტაბაშთან ჯაგანი ყურძენი უნდა წაგველო“ — გადმოგვცემენ მთხრობელები. გევორქ ათოევის ცნობით, ხელოსნებს შორის ტრადიციულ დღესასწაულად წყალკურთხევა და აღდგომა იყო მიჩნეული.

**ქარგალი.** შეგირდი დალოცვის შემდეგ ხდებოდა ქარგალი და ენიშნებოდა ჯამაგირი. ქარგალი წარმოადგენდა ამქარში ხელოსნის დაოსტატების შუა და აუცილებელ საფეხურს, იგი უნდა გაეკლო ყველა შეგირდს ოსტატობამდე; გამონაკლისს შეადგენდა ის ამქარი, რომლის ხელობა შრომის ამკვარ კვალიფიკაციას არ მოითხოვდა. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მთხრობელთათვის წარმოუდგენელია დაულოცავი ხელოსნის არსებობა; მას არავითარი უფლებები არა აქვს არც დამოუკიდებელი წარმოებისა და არც სახელოსნოს გახსნისა. ხელოსნის დალოცვა კი გულისხმობს ხელობის სრული კურსის შესრუ-



ლას, შეგიძლია და ჩარგლად გახდომას — ნახევრად დალოცვას და შემდეგ სრულ ოსტატობას შრომის კვალიფიკაციის სათანადო ბას, ჩარგლიდან ოსტატად გახდომას. ასეთია ჩარგლის თავდაპირველი ბუნება.

მაშასადამე, შეგიძლია გარკვეული წვრთნის შემდეგ ქარგალი ხდება, მუშაობს ქარგლად რამდენიმე ხანს და მერე ოსტატად ილოცება. 78 წ. მჭედელ მიხა ისაკის ძე ჩერქეზიშვილის ცნობით (სიღნაღი, 1966 წ.), „შეგიძლია როცა ისწავლიდა, ქარგალი გახდებოდა, დალოცავდა უსტაბაში ამქრობას, როცა ყავლი გათავდებოდა“. 78 წ. სარაჯ ლიმონა მიხეილის ძე სისოევის (სიღნაღი, 1966 წ.) თქმით, ჯერ შეგიძლია იყო, მერე ქარგალი. შეგიძლია რომ ისწავლიდა, მერე ჯამაგირს დაუნიშნავდა მას ოსტატი 10-15 მან. წელიწადში. მერე უნდა დალოცილიყო, რომ ნამდვილი ოსტატი გამხდარიყო“. 75 წ. ხარაზ აბრამ ალექსანდრეს ძე პაპუაშვილის (ს.ქვემო მაჩხაანი, 1966 წ.) გადმოცემით, ის ოთხი წელი ყოფილა შეგიძლია, მერე ოთხი წელი — ქარგლად. „ნახევარი ჯამაგირით მუშაობა იყო ქარგლობა, — გადმოგვცემს ის, — მერე სრული ოსტატობა“. „ხელობას რო ისწავლიდი, ქარგალი გახდებოდი, გაურიგდებოდი ოსტატს და იმუშავებდი, დალოცვა იმიტომ იყო საჭირო, რომ ხელოსნად იქნებოდი ჩათვლილი“ (78 წ. დერციკი იასე ვანოს ძე გელაშვილი, ქ.გორი, 1967 წ.). „სამი წელი ვიყავი შეგიძლია, მერე ერთი წელი ქარგლად, მერე დავილოცე“ (83 წ. მეთუნუქე ისაკ მიხეილის ძე ყაზაროვი, ქ.გორი, 1967 წ.). „შეგიძლია ხელობა არ იცის, ქარგალი ნახევარი ოსტატია“ (60 წ. დურგალი ბაბკენ ტიგრანის ძე კირაკოსიანი, ახალციხე, 1968 წ.). 68 წ. ხარაზ იაკობ ივანეს ძე ზუბაშვილის (ახალციხე, 1968 წ.) გადმოცემით, „ქარგალი ისაა, რომ შეგიძლია ზედმეტი იცის“. 75 წ. მექალამნე გიორგი იაკობის ძე ბალიაშვილის ცნობით, შეგიძლია ხელობას რომ ისწავლიდა, მერე ერთი წელი იმსახურებდა ქარგლად და გახდებოდა ოსტატი-ხელოსანი (ახალციხე, 1968 წ.). „შეგიძლია არაფერი იცის, ქარგალმა იცის, უკვე მუშაობს, დალოცამდენ, წინ წასწევდნენ, ხაზიანი გახდებოდა“ (ქ. თბილისი, 1981 წ., 76 წ. დაბადი სურენ გვეორქის ძე ოვაკიმოვი). 92 წ. თამარ ალექსანდრეს ასულ თარხნიშვილის გადმოცემით, „შეგიძლია სწავლობდა ხელობას, ქარგალს უკვე დასრულებული აქვს ხელობა“ (თბილისი, 1981 წ.).

86 წ. არტემ დავითის ძე ავაქოვის ცნობით, ის სამი წელი ყოფილა მექედესთან შეგიძლია, კვირაში 1,5 მან. ეძლეოდა, „მერე, — განაგრძობს ის თხრობას, — ნახევარი ოსტატი გახვდი, 5 მან. მეძლეოდა თვეში დალოცვას ვეღარ მოვესწარი, ჯარში წამიყვანეს. ჩემი უსტაბაში იყო პუშკინის ქუჩაზე, იქ მოგვამდნენ ატესტატს და მერე იმუშავებდი, მოგიტანდნენ ნაჭერს, გამოჭრიდი და შეკერავდი“. მაშასადამე, ნახევარ

ოსტატს უკვე მუშაობის, გამოჭრის უფლება ეძლეოდა, რასაც მოკლებული იყო შეგირდი. 86 წ. არტემ გიორგის ძე ჯირაშვილის განმარტებითაც — „ქარგალი რომ ამთავრებს, ერთი წელი, ის დაილოცებოდა, უსტაბაში დალოცამდა“ (თბილისი, 1981 წ.).

82 წ. იაგორ გევორქის ძე ამირხანოვის ცნობით, „შეგირდმა ფეხსაცმელი უნდა შეკეროს ნახევრამდე, რომ ისწავლოს, მერე შეკერავს მთლიანად, გახდება ოსტატი, ღებულობს ფულს, ჯამაგირი ენიშნება ნახევარი, ეს არის ქარგალი. 10-15 მან. ღირდა ფეხსაცმელი, ნახევარი ეძლევა ქარგალს, სანამ შეკერავს. ცალკე, 6 თვეში გახდება ოსტატი. მოაქუჩებს ოსტატი-ხაზეინი ოსტატებს და დალოცავს, აჩვენებს ქარგლის გაკეთებულ ფეხსაცმელს, მერე უკვე ოსტატი. წელზე დაარტყამს ქარგალს და ეტყვის: წადი, იცხოვრე ადამიანურად. ყველამ იცოდა, რომ იგი ოსტატი იყო, სხვაგანაც შექმლო წასვლა“ (თბილისი, 1982 წ.).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ქარგლის შესახებ 90 წ. ვარია დავითის ასული ოგანეზოვი. მისი გადმოცემით, თუ გონებიანი ბავშვი იყო შეგირდი, ხელობას ადრე ისწავლობდა, „ქარგალს ჯამაგირს დაუნიშნავდნენ, შექმლო ცოლი ეთხოვნა“. თუ არ დაენიშნებოდა ჯამაგირი, ცოლს ვერ ითხოვდა. როცა ფულს დააგროვებდა, თავის სახელოსნოს გახსნიდა. საყურადღებოა მთხრობელთა ცნობაც ცოლიანი ქარგლის დალოცვის შესახებაც, რომლის მიხედვითაც ცოლიანს მხოლოდ ყურს აუწევდნენ. უცოლოს კი სილას სამჯერ გააწნავდნენ.

78 წ. ღურგალ არუთინ ხაჩატურის ძე კეჩოვეის თქმით, „ქარგალი ის არის, შეგირდის შემდეგ რომ არის, ქარგალი ნახევარი ოსტატი, მერე ოსტატი გავხდი. ორი წელი ქარგლად ვიყავი, მერე ოსტატი“ (თბილისი, 1982 წ.).

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია 67 წ. ანდრო ავეტიკას ძე ისრაელიანის მონათხრობი ქარგლის შესახებ: „ქარგალი არის შავირდობის შემდეგ, ოსტატებში რომ შედის, ნახევრად ოსტატი; ჯერ შავირდია, მერე ქარგალი, მერე ოსტატი... ქარგალი ცალკე ვერ იმუშავებს; ქარგალი უკვე მოლაპარაკებულია ხაზეინთან, ნახევარ საქმეს აკეთებს. შეიძლება ექვს თვეში ქარგალმაც დაამთავროს. ქარგლობა რომ გავლილი აქვს, იმას დანიშნავს ოსტატად. მერე შეიძლება ამხანაგად იმუშაოს ან სხვასთან წავიდეს, ცალკე გააღოს ღუქანი“.

ზემომოტანილი მასალის საფუძველზე ნათელია, რომ ქარგალი არის შეგირდობის შემდეგი საფეხური, იგი სათანადო სწავლების შემდეგ ილოცება ოსტატად. ქარგალი რომ ხელობის დაოსტატების აუცილებელ საფეხურს შეადგენდა, ეს კარგად აქვს შენიშნული ი. გრიშაშვილსაც. ის აღნიშნავს, რომ ხელოსნის ხარისხის მიღწევისათვის საჭირო იყო ორი წინასწარი საფეხურის — შეგირდობისა და ქარგლობის გავლა. ქარგლის სახელწოდების მიღება, ავტორის აზრით, ოფიცია-



ლურად ხდებოდა. ხელოსანი მოიწვევდა ამქრის თავკაცებს შევირდის ნახელავის შესამოწმებლად. თუ ის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდებოდა, შევირდს ქარგლობა ეძლეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კვლავ შევირდად რჩებოდა იმ დრომდე, ვიდრე მხატვრულ ნიჭს არ ჩააქსოვდა ნამუშევარში<sup>20</sup>.

ავტორის განმარტებით, „ქარგალს უფლება ჰქონდა ვისთანაც უნდოდა, მასთან ემუშავა, შევირდი კი მას მოკლებული იყო“. ამავე დროს, ი. გრიშაშვილის ახსნით, ქარგალი იყო იმით შეზღუდული, რომ ხელოსნის დუქნის გარეშე დამოუკიდებლად მას არ შეეძლო ემუშავა, ან ოსტატის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო. მაგრამ ხელოსანი როცა სრულუფლებიანი ოსტატი ხდებოდა, მაშინ ისიც ისევე ექცეოდა თავის ხელკვეითებს, შევირდებსა და ქარგლებს, როგორც მას ეპყრობოდნენ. ამ შემთხვევაშიც ი. გრიშაშვილი იმოწმებს ლ. ზაგურსკის<sup>21</sup>.

საქმე ნათელია. სავსებით გასაგებია ქარგლის შუა საფეხურის არსებობა. ქარგლის ეს საფეხური დამოწმებული აქვს ხელოსნური ყოფის შესანიშნავ მცოდნეს ი. გრიშაშვილს თვით XX ს. დასაწყისში, როგორც ძველთაგანვე არსებული, ტრადიციული. ვფიქრობთ, ავტორის ეს მტკიცება და ქარგლის შესახებ შემომოტანილი უხვი მასალა საშუალებას იძლევა დღეისათვის უფრო სხვაგვარად დავაყენოთ საკითხი ამქრის იერარქიაში ქარგლის ადგილის შესახებ.

ამავე დროს საქართველოს ქალაქებში შეგროვილი მასალით, ქარგალი არის ხელოსანი, რომელსაც შესწავლილი აქვს ხელობა, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო დაქირავებით მუშაობს თავის ოსტატთან ან სხვასთან. 75 წ. ხარაზი ივანე სერგოს ძე ხატიევის (სიღნაღი, 1966 წ.) თქმით — „ქარგალს შესწავლილი აქვს ხელობა და დაქირავებით მუშაობს“. 70 წ. მეთუნეუქე ამბარცუმ ზურაბის ძე მჭედლიშვილის (გორი, 1967 წ.) ცნობით, „ქარგალი იყო ხელოსანი დაქირავებით. თანხა არ ჰქონდა, რომ სახელოსნო გაეხსნა“. „ქარგალი ხელოსანი იყო დაქირავებული“ (73 წ. მექალამნე შაქრო გიორგის ძე ყურელი, გორი, 1967 წ.). „ქარგალი იყო, ვისაც ქარხანა არ ჰქონდა, მუშაობდა ოსტატად“ (85 წ. მეჭურჭლე ნესტორ ისაკის ძე ტატულაშვილი, გორი, 1967 წ.). „ქარგალი არის ხელოსანი ჯამაგირში“ (80 წ. მექუდე არტემ კონსტანტინეს ძე გეგელაშვილი, ქუთაისი, 1969 წ.). „ქარგალი ის იყო, დაქირავებული რომ იყო, ჩაბრუნდებოდა თავის ხაზეინთან ჯამაგირში. ჩაბრუნდებოდა ჯამაგირის ანგარიშში“ (80 წ. ხარაზი აკაკი მიხეილის ძე ჯავახიძე, ქუთაისი, 1969 წ.). „დაამთავრებდა ხელობას

<sup>20</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 161-162.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 162.

და ჯამაგირი ეძლეოდა შეგირდს, მოჯამაგირე იყო“ (76 წ. მკვლელი ილარიონ ბესარიონის ძე მარგველაშვილი, ქუთაისი, 1969 წ.).

ახალციხური მასალებითაც ქარგალი („ხალფა“) არის ხელოსანი, რომელიც დაქირავებით მუშაობს სხვასთან. ამ შემთხვევაში მისი ხელფასი გაცილებით მეტია იმ ქარგალზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუსწავლია საბოლოოდ ხელობა და ოსტატად არ დალოცვილა. მაგ., 68 წ. ხარაზ იაკობ ივანეს ძე ზუბაშვილის ცნობით, ის თავის მამასთან როგორც „ხალფა“ სამ მანეთს ღებულობდა, მისი ძმა — დალოცილი ხელოსანი სხვა ოსტატთან მუშაობდა და ექვს მანეთს ღებულობდა (ქ.ახალციხე, 1968 წ.)

მაშასადამე, ახალციხის მასალებიც იმას მოწმობს, რომ ქარგალი არსებობს ყველა ამქარში („ასნაფში“) და ნიშნავს როგორც დაქირავებულ ხელოსანს, ასევე შეგირდობის შემდეგ საფეხურს ოსტატობამდე. ამდენად უმართებულოა იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ახალციხეში ქარგლის არსებობას მიაწერენ მაინცდამაინც თურქეთის გავლენას<sup>22</sup>. როგორც არა ერთხელ აღვნიშნავს, ქარგალი ამ სახით საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში დაგვიმოწმებია<sup>23</sup>. ამ შემთხვევაში საერთო ქართულ მოვლენასთან გვაქვს საქმე და ახალციხეში მისი არსებობა თურქეთის გავლენით არ შეიძლება აიხსნას. ამგვარივე მოსაზრება აქვს გამოთქმული ახალციხური ასნაფის შესახებ დ. კოჟორიძეს, როდესაც აღნიშნავს, რომ „ახალციხეში ასნაფი ოსმალთა ბატონობის ხანაში არ შეიძლება მუსლიმანური გავლენისაგან თავისუფალი ყოფილიყო და ძირითადად არ მსგავსებოდა მას (თურქულს), სახელწოდებაც ხომ ისეთივე ჰქონდა, მაგრამ იგი უთუოდ თვითმყოფადი, საკუთარი განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული

<sup>22</sup> Месхиа Ш. А., Города и городской строй, с. 73; კ. კუციია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XV-XVII სს., თბილისი, 1976.; გ. კვიციანი, სპილენძ-თითბრის ირანული ჭურჭელი, თბილისი, 1968, გვ. 35; იგი კვლავ იმეორებს თავის მოსაზრებას ქარგლის შუა საფეხურის არ არსებობის შესახებ XVIII-XIX სს. საქართველოს ქალაქების ამქრებში; იხ. მისი, შრომის ორგანიზაცია XVIII-XIX სს. ირანულ კერამიკულ სახელოსნოებში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXXII-B, თბ., 1976, გვ. 66, 75.

<sup>23</sup> ნ. აბესაძე, ქარგლის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს ხელოსნურ ამქარში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XV, 1970, გვ. 5; მისივე, ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „მაცნე“, 1971, № 1); მისივე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, „მაცნე“, 1975, № 1; მისივე, ისევ ქარგლის ინსტიტუტის შესახებ, „მაცნე“, 1976, 4; წინააღმდეგ დ. სოსელიას აზრისა, „ხალფობა“ უთუოდ კვალიფიკაციას ასახავს, ვინაიდან ასეთ ხალფას შაბათობით ოსტატი 3 მან. და პურის ფულად 7 კაპ. აძლევს, რასაც მოკლებულია შეგირდი. ეს არის ხალფას ჯამაგირი, შეგირდს იგი არ ეძლევა. ხოლო უფლებები ასნაფში არა აქვს იმ დრომდე, ვიდრე ის ოსტატად არ დაილოცება. იხ. დ. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 113.



სამეურნეო-ეკონომიური და პროფესიული გაერთიანება ადმოსავლურ-აზიური, რელიგიურ-მისტიკური გაერთიანება

ლ. ბოჭორიშვილი კახეთის ქალაქების ოქრომჭედელთა ამქრული ორგანიზაციის შესწავლის შედეგად დაასკვნის, რომ ოქრომჭედელთა პროფესიულ იერარქიაში, ძირითადად, სამი საფეხური შეიმჩნევა. ყველაზე მაღალ საფეხურზე ოსტატი დგას. მომდევნოზე — ქარგალი ანუ ნახევრად ოსტატი და სულ დაბალზე კი შეგირდი. შეგირდი სათანადო ცოდნის შეძენის შემდეგ ქარგლად დამტკიცდებოდა; ქარგალი, თავის მხრივ, გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდგომ ოსტატად იქცეოდა, მხოლოდ ოსტატი იყო სრულყოფილი ხელოსანი. მას უნდა ჰქონოდა საოსტატოდ განკუთვნილი საკუთარი ბეჭედი, შეგირდი მას უნდა აეყვანა და ქარგლებსაც მისი ხელმძღვანელობით უნდა ემუშავათ<sup>25</sup>.

ხემომოტიანილი მასალის მიხედვით, ქარგლად ხელოსანი არის ხან ერთი წელი, ხან ექვსი თვე, ხან კი ორი-სამი წელი. შეგირდს არ ეძლევა ჯამაგირი. „შეგირდანა“ ჯამაგირი არ არის, ეს უფრო საჩუქარია; ის გადაკვეთილი არ არის; ოსტატს შეუძლია მისცეს ის თავის შეგირდს, ან არა. ქარგალს კი, ამ ცნობის საფუძველზე, უკვე ეძლევა გასამრჯელო, ვინაიდან მას სწავლების კურსი აქვს გავლილი, დალოცვა ესაჭიროება იმიტომ, რომ სრულუფლებიანი ხელოსანი გახდეს. თუ საშუალება აქვს, საკუთარ სახელოსნოს გახსნის, სხვასთან წავა და სხვ. მაგრამ ყოველთვის ეს ასე არ არის. ამიტომ ვხვდებით როგორც დაულოცავ, ისე დალოცვილ ქარგლებს; ქარგალს, რომელიც სრულუფლებიანი ხელოსანია და ქარგალს, რომელიც სხვასთან მუშაობს დაქირავებით. დაქირავების მომენტი, ჩვენი აზრით, უნდა გაჩენილიყო უკვე იმ დროიდან, როდესაც შეგირდი ვადის გასვლის შემდეგ ქარგალი ხდება და ოსტატი მას გარკვეულ გასამრჯელოს უნიშნავს. ლ. ბოჭორიშვილის ცნობითაც, ოსტატი შეგირდს ქარგლის ხარისხზე წარადგენდა და ხელფასსაც დაუნიშნავდა<sup>26</sup>.

დაქირავების ტენდენციის განვითარებას იხილავთ უწყობდა ხელს, რომ დასალოცად შეგირდს „საოსტატო“ უნდა გადაეხადა<sup>27</sup>. ამ თანხას ის

<sup>24</sup> დ. კ. ო. შ. ო. რ. ი. ძ. ე.; ახალციხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX ს. 30-იან — 70-იან წლებში, „მაცნე“, 1967, № 4, გვ. 144.

<sup>25</sup> ლ. ბ. ო. შ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 157.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> ლ. ბ. ო. შ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ცნობით, ამქრობის დროს სრულდებოდა ოსტატად დალოცვა და ქარგლად დამტკიცება. ოსტატად დალოცვას სრულ დალოცვას ეძახდნენ, ქარგლად ანუ ნახევრად ოსტატად დალოცვას კი იოლს ეტყოდნენ. ნახევრად დალოცვის დროს ხელოსანი ნახევარი დალოცვის ფულს იხდიდა, სრულ დალოცვას შედარებით

სწორედ ამ გზით აგროვებდა. ამიტომ დაქირავების მომენტი არ გამოჩინებოდა ქარგლის დამოუკიდებელი ინსტიტუტის არსებობას. ეს მომენტი თანდათან ძლიერდება და XIX ს-ში ქარგალი სხვა არაფერზე, თუ არა დაქირავებული მუშა. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ძირითადად ვინც კი შეხებია ქარგლის ინსტიტუტს აღმოსავლეთში<sup>28</sup>, თურქეთის გარდა, ქარგალს განიხილავს, როგორც დაქირავებულს, თუმცა მაინც შეინიშნება, რომ აღნიშნული ავტორებისათვისაც არ არის მთლად ნათელი ქარგლის ბუნება, მათთვისაც ქარგალი არის როგორც ნახევარი ოსტატი, ასევე დაქირავებული ხელისანი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყოფამ XX საუკუნემდე შემოვიხაზა ქარგლის თავდაპირველი სახე მაშინ, როდესაც XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური მასალა არ იცნობს საერთოდ ქარგლის ინსტიტუტს.

ტერმინი ქარგალი, შ. მესხიას აზრით, გვხვდება მხოლოდ XIX ს. და აღნიშნავს დაქირავებულს და არა ოსტატობის შუა საფეხურს. საბუთებში, მისი აზრით, ქარგლის ნაცვლად იხმარება ოსტატის ამხანაგი, რომელიც იურიდიულად და ეკონომიურად ოსტატთან იყო თითქმის განანაბრებული, რაც, ავტორის აზრით, ერთხელ კიდევ მიუთითებს ქარგლის ინსტიტუტის განუვითარებლობაზე თვით XIX ს-ში<sup>29</sup>.

---

რთული ცერემონიალის შესრულება სჭირდებოდა (ლ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 158).

<sup>28</sup> ბ. კუხიჯიშვილი აზრით, ქარგალი არ არსებობდა ირანის ამქარში, ის მხოლოდ დაქირავებულს ნიშნავს (იხ. მისი, Материалы к характеристике ремесленного производства в иранском городе XVIII — начала XIX в., «Ученые записки Института востоковедения», т. XVII, М., 1959, с. 100-101); ბ. შ. ჩერევეს თქმით, შუა აზიის მექოთნეთა ამქარში XIX ს. ხალფა ქარგალი ნიშნავდა დაქირავებულს (იხ. მისი, Гончарное производство Средней Азии, М.-Л., 1959, с. 327; მისივე, Ремесленные организации Средней Азии, М., 1960, с. 7); მ. ჰეიდაროვის აზრით, აზერბაიჯანში ქარგლები ძირითადად დაქირავებული, არაკვალიფიციური მუშები იყვნენ (იხ. მისი: К вопросу о ремесленных организациях в городах Азербайджана в XVIII в., «Известия АН Азербайджанской ССР», 1961, № 1, с. 43). ფ. ალიევისათვის, მართალია, ცნობილია XVIII ს. ქარგლის ორივე საფეხური, მაგრამ ის ქარგალს — დაქირავებულს უფრო უჭერს მხარს (იხ. მისი: Города Северного Азербайджана во второй половине XVII в., автореферат кандидатской диссертации, Баку, 1957 г., с. 12); სამარყანდის ქარგალი ა. ბელენციკის ესმის, როგორც მუშა, თუმცა იქვე დასძენს, „ქარგლის მდგომარეობის განსაზღვრა ძნელია“; (მისი Организация ремесла в Самарканде XV-XVI в., «Краткие сообщения Института истории материальной культуры», VI, М.-Л., 1940, с. 46).

<sup>29</sup> Месхиа. Ш. А. Города и городской строй..., с. 369-370; მისივე, ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფორმალური ხანის ქართულ ამქარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1948, ტ. 9, № 6, გვ. 383.



ოსტატის ამხანაგის ფუნქციის გასარკვევად ის სარგებლობს XIX ს. დასაწყისში შედგენილი ხარჯების ერთ-ერთი ნუსხით, რომლის მიხედვით ოსტატის (ხურო) ამხანაგი ოსტატისაგან დამოკიდებულ იღებს ხელფასს, მაგრამ მისი ოდენობა რამდენადმე ჩამოუვარდება ოსტატის ხელფასს. ამავე დროს ოსტატის ამხანაგი ამ ნუსხაში იხსენიება ოსტატებს შორის და მისი დღიური საფასური ბევრად აღემატება ჩვეულებრივი მუშის ხელფასს (ოსტატს ეძლევა, ამ დოკუმენტით 5 აბაზი დღეში, ამხანაგს — 4 აბაზი, მუშას — 1 აბაზი). ეს საბუთი შ. მესხიას მოტანილი აქვს იმის დასამტკიცებლად, რომ XIX ს. ქარგალს XVIII-XIX სს. შეესატყვისებოდა ოსტატის ამხანაგი, რომ მათ შორის თითქმის არავითარი იურიდიული და ეკონომიური სხვაობა არ არსებობდა, რომ მათი უფლებები თითქმის გათანაბრებული იყო.

მოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, მაინც არ უარყოფს ქარგალს — ოსტატობის შუა საფეხურის სახეობას, ვინაიდან აქ საუბარია არა იმ ქარგალზე, რომელიც შეგირდობის შემდეგ საფეხურს ვარაუდობს, არამედ ქარგალზე, დალოცილ ოსტატზე, რომელიც დაქირავებით მუშაობდა სხვასთან. ამიტომაც აქ ოსტატი და ოსტატის ამხანაგი თითქოს იურიდიულად და ეკონომიურად ერთმანეთის იდენტური. მაგრამ სინამდვილეში, რაც დაქირავებულს გულისხმობს, ის გამორიცხავს იურიდიულ და ეკონომიურ თანაბრობას. იურიდიულ თანაბრობაზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან ოსტატი და ქარგალი (ოსტატის ამხანაგი) იურიდიულად, მართლაც, თითქმის თანაბარნი არიან, მაგრამ ეკონომიურად — არა. ეს თვით ავტორის მიერ მოტანილი საბუთიდანაც ცხადია, ვინაიდან ოსტატის ამხანაგი მაინც ოსტატზე ნაკლებს იღებს დღიურად (პირველი — 5 აბაზს, მეორე — ოთხ აბაზს)<sup>30</sup>.

ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება ზემოაღნიშნული ფაქტი. ასეთ შემთხვევას ძირითადად მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც ოსტატი თავის ნაშეგირდალს, უკვე დალოცილ ხელოსანს — ქარგალს ნაწილს მისცემდა, „წილში ჩაიყენებდა“, რაც, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის (ერთი მესამედის, ერთი მეოთხედის და ა.შ.) ქარგლისათვის მიცემაში მდგომარეობდა. 75 წ. მჭედელ შაქრო ალექსის ძე ბაბალაშვილის (ს. ანავა, 1966 წ.) ცნობით, ქარგალს მისცემდნენ მესამედ ნაწილს, ორს ოსტატი აიღებდა. 75 წ. მჭედელ მიხა ისაკის ძე ჩერქეზიშვილის (ქ. სიდნაღი, 1966 წ.) სიტყვით, ის თავის ოსტატს წილში ჩაუყენებია; შემოსავლის მეხუთედი მიუცა. „ოსტატი ოთხ თუმანს აიღებდა, ერთ თუმანს მე მაძლევა“, გადმოგვცემს ის. ამ შემთხვევაში სრულ თანაფარდობაზე არ

<sup>30</sup> ცნობა მოტანილია ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემული კრებულიდან: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1938, გვ. 308-309.

არის საუბარი. აქ გახიზნულია უკვე ხელობაშესწავლილი ხელოსნის დაქირავების მომენტი. ხოლო საბუთებში მოხსენიებული „ოსტატის ამხანაგი“, ჩვენი აზრით, სრულუფლებიანი ოსტატების შეიმუშავების მანიშნობელია. ამის ფაქტებსაც ყოფაში მრავალგზის ვამოწმებთ. შეამხანაგებული ოსტატები (ორი, სამი, ოთხი) ერთმანეთს ამხანაგს უწოდებენ და მიღებულ შემოსავალს ერთმანეთში თანაბრად ინაწილებენ. 71 წ. გიორგი ნიკოლოზის ძე ბერიშვილის (გორი, 1967 წ.) თქმით: „ქარგალი დაქირავებითაა, ამხანაგი შეთანხმებით“. 73 წ. ხარაზ აკაკი პეტრეს ძე ნადირაიას (ქუთაისი, 1969 წ.) გადმოცემით, „მოჯამაგირეს // ქარგალს გადაწყვეტილი ხელფასი ეძლევა, ამხანაგს კი შემოსავლის ნახევარი“.\*

შეამხანაგების ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია დურგლებთან („ზოგი წილში იყო, როცა საქმეს აიღებდა, ნახევარ წილში“.— 80 წ. დურგალი ვასო იოსების ძე ბეჟაშვილი, სიღნაღი, 1966 წ.), მღებებთან („ფულს ჩამოვიდოდნენ სამნი და ერთად მუშაობდნენ, ფულს კი როცა მაიგებდნენ, გაიყოფდნენ“, — 74 წ. მღებარი ვანო ვასოს ძე გოჩიტაშვილი, სიღნაღი, 1966 წ.) მეკასრეებთან („ამხანაგად ვიყავი, სამი თუმანი მოგება თუ გვექნებოდა თვეში, შუაზე გავიყოფდით“ — 80 წ. საბა გიორგის ძე შალვაშვილი, სიღნაღი, 1966 წ.). სწორედ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ოსტატისა და მისი ამხანაგის სრულ იურიდიულ და ეკონომიურ თანაბრობაზე. ერთმანეთის მიმართ ისინი ამხანაგებად იწოდებიან და განეკუთვნებიან ქარგალს მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ დასრულებულ ხელოსნებს წარმოადგენენ.

მაგრამ ქარგალი რომ უნდა არსებულიყო ამქარში შეგირდსა და ოსტატს შორის რაღაცნაირი ფორმით, ეს აზრი ნაწილობრივ მაინც დაუშვა შ. მესხიამ, როდესაც თბილისის ისტორიის მისსავე საავტორო ნაწილში (იხ. თავი „ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციები“) გამოთქვა ასეთი დებულება, რომ თბილისის ამქარში იყო შემთხვევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თანდათან გაძლიერდა კონკურენცია თვით ამქრის წევრთა შორის, რომ ოსტატად კურთხეულს ცალკე სახელოსნოს გახსნის უფლებას არ მისცემდნენ და თავის მასწავლებელთან ტოვებდნენ თანაშემწედ და არა დამოუკიდებელ ხელოსნად. ამგვარ ხელოსნებს გვიანფოდალურ თბილისში „ოსტატის ამხანაგებს“

\*6. აბესაძე, ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971 წ., № 1, გვ. 142; „ოსტატის ამხანაგის“ შესახებ ასეთსავე აზრს გამოთქვამს კ. კუცია თავის ახალ მონოგრაფიაში „ამქრები XVII — XVIII სს. საქართველოს ქალაქებში“, თბ., 1984 წ. გვ. 73 და არ მიუთითებს, რომ ეს მოსაზრება ჩვენ გამოვამყვანეთ ამ 13 წლის წინათ.



უწოდებდნენ. უფლებრივად და ეკონომიურად ისინი ოსტატს ვერ  
 უთანხმდებოდნენ და წლების განმავლობაში ასე რჩებოდნენ. მაგრამ  
 „ოსტატის ამხანაგები“, ქარგლები, თბილისის ხელოსნების  
 ლოდ ზოგ ამქარს ჰყავდა. ასე რომ, ეს მოვლენა გვიანფოდალური ხანის  
 თბილისის ხელოსნური წარმოებისათვის, ამქრული ცხოვრებისათვის  
 დამახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ<sup>31</sup>.

ოსტატად ხელდასმული ხელოსანი იმიტომ რჩებოდა თავის ოს-  
 ტატთან, რომ მას ცალკე სახელოსნოს გახსნის საშუალება არ ჰქონდა.  
 ვვიქრობთ, აქ კონკურენცია მოსატანი არ არის. ის „ჯამაგირში დგე-  
 ბოდა“, „ჩაბრუნდებოდა“, როგორც ამას მთხრობელები განმარტავენ,  
 თავის ოსტატთან. ეთნოგრაფიული მასალებით საქართველოს ყველა  
 ქალაქისათვის (და არამარტო თბილისისათვის) ეს საყოველთაო მოვ-  
 ლენაა და არა კერძო შემთხვევა. ასეთი ქარგალი უკვე დაქირავე-  
 ბულია, მაგრამ ის „ოსტატის ამხანაგი“ არ შეიძლება იყოს, ვინაიდან  
 ამხანაგობა ემყარება იურიდიულ და ეკონომიურ თანაბრობას. ქარგალი  
 თუ ოსტატის თანაშემწეა, მაშინ, რასაკვირველია, ის უფლებრივად და  
 ეკონომიურად ვერ გაუტოლდება ოსტატს. ეს დებულება, რომელიც  
 „თბილისის ისტორიაში“ აქვს გატარებული შ. მესხიას და სხვაგან  
 არსად გვხვდება, არის მის მიერ აღრე ქარგლის ინსტიტუ-  
 ტის უარყოფის შესახებ გამოთქმული მოსახრე-  
 ბა, ოდნავ შერბილებული, გადახრილი ქარგლის  
 შუალედური საფეხურის არსებობისაკენ ამქარ-  
 ში. იგი აღრე უარყოფდა რა ქარგლობას ამქარში, იშვიათ შემთხვე-  
 ვაში დასაშვებად მიაჩნდა მისი არსებობა ხელოსნურ ორგანიზაციაში  
 „ოსტატის ამხანაგის“ სახით, რომელსაც იგი მაშინ თვლიდა იურიდი-  
 ულად და ეკონომიურად ოსტატთან გათანაბრებულად<sup>32</sup>.

ამ დებულების ახალი რედაქციით „ოსტატის ამხანაგი“ ანუ ქარგა-  
 ლი ოსტატის თანაშემწეა უკვე. ვინ უნდა იყოს ის? ჩვენი აზრით, მაინც  
 ის ქარგალი, ნახევრად ოსტატი, რომელიც გაიყინა ამ საფეხურზე, სათა-  
 ნადო კვალიფიკაცია ვერ აიმაღლა, ოსტატი ვერ გახდა. ასეთ შემთხვე-  
 ვებს ადგილი ჰქონდა XIX ს. II ნახევარში, როდესაც ამქარი უკვე აღარ  
 გამოხატავდა ფოდალური ხანის ინტერესებს, როდესაც დაქირავებუ-  
 ლი შრომა სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა ამქარში.

შევირდობიდან ქარგლად გახდომას, როგორც აღინიშნა, „ნახე-  
 ვარი“, ხოლო ქარგლობიდან ოსტატად გახდომას „სრული დალოცვა“  
 ეწოდებოდა. ხელოსნის ოსტატად გახდომის ეს საფეხურები დამოწ-  
 მებული აქვს ლ.ბოჭორიშვილს კახეთის ქალაქების ოქრომჭედელთა

<sup>31</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბი-  
 ლისის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 292.

<sup>32</sup> М е с х и а Ш. А., Города и Городской строй..., с. 369-70.

ამქარში<sup>33</sup>. 1966 წლიდან მოკიდებული, როდესაც ჩვენ ქალაქური ხელოსნობის შესწავლა დავიწყეთ, ვერსად შევძელით ხელოსნის ოსტატად ხელდასმის ამ ორი საფეხურის აღმნიშვნელი ტერმინების („ნახევარი“ და „სრული დალოცვა“) დამოწმება. მხოლოდ ერთხელ 1966 წ. ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის რ-ნი) აბრამ ალექსანდრეს ძე პაპუაშვილმა განგვიმარტა, რომ ნახევარი ჯამაგირით მუშაობა იყო ქარგლობა. ხელმეორედ 1968 წ. ახალციხეში ჩავიწერეთ ასეთი მასალა, რომ „შეგირდმა ხელობა არ იცის, ქარგალი კი ნახევარი ოსტატიაო“ (68 წ. ღურგალი ბაბკენ ტიგრაზის ძე კირაკოსიანი). თბილისშიც, ავლაბარში 1981 წ. შესაძლებლობა მოგვეცა დაგვედასტურებინა ეს განმარტება 86 წ. არტემ არტაშეს ძე ავაქოვთან, როდესაც მან განაცხადა, რომ მექუდესთან სამი წლის შეგირდობის შემდეგ, ის ნახევარი ოსტატი გამხდარა. 1982 წ. თბილისში ამის დამოწმების მრავალი შესაძლებლობა გვქონდა კვლავ ავლაბარში, რის შესახებაც ზემოთაც აღვნიშნავდით ქარგალთან დაკავშირებით.

მთხრობელთაგან ქარგლის მოხსენიება ნახევარი ოსტატის მნიშვნელობით იმდენად ბუნებრივია, რომ დღეს, ჩვენი აზრით, თავისუფლად შეიძლება მისი ამ მნიშვნელობით ხმარება. იგი ბევრად სჯობს მის სინონიმს — „ქვეოსტატს“. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ „ნახევარი ოსტატის“ დამოწმების მრავალი შემთხვევა მოგვეცა თბილისში. ეს, ალბათ, საკვირველი თითქმის არც უნდა იყოს, ვინაიდან თბილისის წარმოდგენდა მთელი ამიერკავკასიის ხელოსნობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს და ამდენად ამქრის იერარქიაში მისი ადგილის დადგენა აქ უფრო ბუნებრივია. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ თბილისის ხელოსნურ წარმოებაში შეიჭრა ყველაზე ადრე კაპიტალისტური ელემენტები და ქარგალი აქცია დაქირავებულ ხელოსნად. მიუხედავად ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული გარდაქმნისა, თბილისში მაინც ძალიან დიდხანს მასთან ერთად არსებობდა ხელოსნობა მისი კლასიკური გაგებით. მაგ., დაბაღების, ყაზახებისა, დერციკების და სხვ. კაპიტალისტური ტიპის საწარმოებთან ერთად თანაარსებობდა ხელოსნური სახელოსნოები, სადაც ერთ ოსტატთან ერთი-ორი შეგირდი და ამდენივე ქარგალი იყო. ამან განაპირობა ამქარში ქარგლის შუალედური საფეხურის შემონახულობა.

მაშასადამე, ქარგლის შუალედური საფეხურის არსებობა უტყუარია. მისი დაქირავების ტენდენცია კი იქიდან ჩნდება, როდესაც მას ჯამაგირი ენიშნება. ამიტომ გვიანდელი ხანის მასალებში, ბუნებრივია, ქარგალი გამოიყურება, როგორც დამოუკიდებელი, დაქირავებული კვალიფიციური ხელოსანი, რომელიც მხოლოდ ამ გაგებით შეიძლება

<sup>33</sup> ლ. ბ. ო. შ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 158.

იყოს ხელოსანთან იურიდიულად და ეკონომიურად გათანაბრებული. ამხანაგობაში შესული ქარგლები მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მიანათო იურიდიულად და ეკონომიურად ჩანან გათანაბრებული, თანაბრად ისწილებენ შემოსავალს, ერთმანეთის ამხანაგები არიან, ხოლო ქარგლის შუალედური საფეხურის ხელოსანი კი თავისი ოსტატის სასტიკი ექსპლუატაციის ობიექტია და წარმოუდგენელია მათს ეკონომიკურ და იურიდიულ თანაბრობაზე ლაპარაკი. იგი ოსტატთან შედარებით ნაკლები კვალიფიკაციისაა, ეძიებს იმ ხარისხს, რომლის მიღწევის შედეგად ხდება ნამდვილი ოსტატი, სრულუფლებიანი წევრი. ამიტომ თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ქარგლის ამ შუალედური საფეხურის არსებობასა და მისი ინსტიტუტის განვითარების შესახებ საქართველოში. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ 1981-82 წ. თბილისში მოპოვებული მასალაც მხარს უჭერს ამ დებულებას.

ქარგლის ინსტიტუტის თაობაზე შ. მესხიას აზრს იზიარებს კ. კუციაც. მისი სიტყვებით „ქარგლის ინსტიტუტი უცნობია როგორც ირანის, ასევე ჩრდ.აზერბაიჯანის, აღმოსავლეთ სომხეთისა და საქართველოს ქალაქების ამქრული სტრუქტურისათვის“<sup>34</sup>.

კ. კუციას თქმით, სპარსულ წყაროებში არაა დამოწმებული ქარგლის შინაარსის მქონე ტერმინი, XVI-XVIII სს. სპარსულენოვან წყაროებში, მართალია, ზოგჯერ გვხვდება ტერმინი ქარგალი, მაგრამ ავტორი არ იძლევა ამ ტერმინის მნიშვნელობის ახსნას, მხოლოდ მიუთითებს, რომ იგი, როგორც ჩანს, სულ სხვა შინაარსობლივი მნიშვნელობით იხმარებოდა. რას ნიშნავს ეს სხვა შინაარსი, გაუგებარი რჩება. ავტორი მაინც განმარტავს, რომ თვით ტერმინი „ქარგალი“, რომელიც ქართულში და სომხურში დამკვიდრდა ქარგლის — ქვეოსტატის მნიშვნელობით, მეტად იშვიათად გვხვდება სპარსულ წყაროებში, ისიც გვიანი ხანის თხზულებებში და იხმარება დაქირავებული მუშის აღსანიშნავად. ამავე დროს, ავტორის სიტყვებით, ქარგლის მნიშვნელობით ჩრდ.აზერბაიჯანისა და ირანის ქალაქების შესახებ წყაროებში არაა მოხსენიებული აგრეთვე ტერმინი „ხალიფე“, რომელიც თურქეთსა და სომხეთში იხმარებოდა აღნიშნული ცნების გამოსახატავად. ქარგლის ინსტიტუტს, განაგრძობს ავტორი, საყოველთაო გავრცელება არ მოუპოვებია და დასრულებული სახე არ მიუღია არც საქართველოში თვით

<sup>34</sup> კ. კუციას, სეფიანთა ირანის ქალაქები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბილისი, 1966; მისივე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან XVI-XVIII სს-ის პირველ ნახევარში (1. შეგირდისა და ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის), „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972; მისივე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XV-XVIII სს. თბ., 1976., გვ. 161.

XIX ს-შიც<sup>35</sup>. ქარგლის კატეგორიას არ იცნობს ავლაბრის ოქრომჭედელთა სტატუსი, „დასტურლამალი“, თბილისის მეწვრილმანქანთა 1800 წ. წესდება და ქუთაისის მეპურეთა ამქრის 1871 წ. პირობის წიგნი, არაფერია ნათქვამი ქარგლის თაობაზე დავით ბაგრატიონის თხზულებაშიც. ეს კი, ავტორის აზრით, მხოლოდ იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს ქალაქების პროფესიულ ორგანიზაციაში არ არსებობდა ან ძალიან სუსტად იყო განვითარებული ქარგლის ინსტიტუტი<sup>36</sup>. ამგვარად, დაასკვნის კ. კუცია, XVI-XVIII სს., ისევე როგორც XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში, ქარგლის ინსტიტუტი დამახასიათებელი არ იყო ამქრული ორგანიზაციისათვის. ამ საერთო წესიდან ის გამონაკლისად მიიჩნევს ერევანსა და ახალციხეს, რადგან ერევანში უკვე XVII ს. დამოწმებული იყო ქარგლის ინსტიტუტი (ხალფას, ქარგაპის სახელწოდებით), ხოლო XIX ს. მეორე ნახევარში ახალციხის თვრამეტსავე ესნაფში წარმოდგენილი იყო ქარგლის — ხალფას კატეგორია. ამ ორ ქალაქში ქარგლის არსებობას ავტორი მიაწერს თურქული ორგანიზაციების გავლენას<sup>37</sup>.

საქართველოს ქალაქების ხელოსნობაში ქარგლის ინსტიტუტის თაობაზე ავტორის დასკვნა ასეთია — ქვეოსტატის მნიშვნელობის ქარგალი არ მოწმდება არც საქართველოში და არც ირანში. ჩანს მხოლოდ მისი შედარებით გვიანდელი ფორმა, რომელიც დაქირავებული მუშის ცნების გამომხატველია მხოლოდ. ამდენად, კ. კუციას მოსაზრებით, ქარგლის ინსტიტუტს ქართულ ამქარში არ მიუღია დასრულებული სახე.

მართალია, XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური მასალა არ იცნობს ქარგალს, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ თვით XX ს. შემოგვინახა ქარგლის ინსტიტუტი. კ. კუცია არ იზიარებს ჩვენს შეხედულებას ამ საკითხზე და ეჭვს გამოთქვამს ეთნოგრაფიული მასალის, როგორც სათანადო წყაროს, გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ქარგლის ინსტიტუტის თავდაპირველი ბუნების დასადგენად<sup>38</sup>, მაგრამ ანგარიშგასაწვეია ის გარემოება, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ზემოთ დავინახეთ, დასტურდება როგორც ქარგლის — ნახევრადოსტატის კატეგორია, ასევე მისი გვიანდელი ფორმაც — ქარგალი-დაქირავებული<sup>39</sup>.

<sup>35</sup> კ. კუცია, ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, გვ. 93; მისივე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, გვ. 156-157.

<sup>36</sup> კ. კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, გვ. 158.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>39</sup> ქარგლის შესახებ იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული სტატიები.

ქარგლის ინსტიტუტის თავდაპირველი ბუნების დადგენა შესაძლებელი ხდება მისი რეტროსპექტული გზით<sup>40</sup> შესწავლის შედეგად. ეს კი იმას გულისხმობს, რომ XIX-XX სს. დასაწყისში შესწავლილი ხელოსნის ცნების გამოსახატავად იხმარებოდა და იგი სავსებით შეეფარებოდა კაპიტალისტური ხანის წარმოებას, ხოლო ქარგალი-ქვეოსტატი ფეოდალური ხანის ხელოსნური წარმოების ბუნების ამსახველია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია ეთნოგრაფიული კვლევისათვის. ეთნოგრაფიული მასალა, მართალია, „XIX XX სს. მიჯნისაა“, მაგრამ ის თავისი წარმოშობით ადრინდელია და მასში ასახულია სხვადასხვა დროის დანალექი მასალა<sup>41</sup>. მკვლევარის მოვალეობაა, შეისწავლოს მოვლენა ისტორიულ ჭრილში და გამოყოს ძირითადი მომდევნო დროს შექმნილი დანალექებისაგან. საილუსტრაციოდ გამოდგება თვით ამქრის ინსტიტუტის მაგალითის მოხმობაც. ცნობილია, რომ ამქარი თვით XX საუკუნემდე შემორჩა საქართველოს ქალაქებს, მაგრამ თავისი ბუნებით ის უკვე აღარ გამოხატავდა ფეოდალური ხანის ამ ინსტიტუტის ინტერესებს, ვინაიდან დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება ამქარში მიუთითებდა ხელოსნურ წარმოებაში ახალი ელემენტის გაჩენას. მაშასადამე, „XIX-XX სს. მიჯნის“ ეთნოგრაფიული მასალა სავსებით გამოდგება ქარგლის ინსტიტუტის არსებობის დასადასტურებლად და არ უნდა იწვევდეს მკვლევარის გაკვირვებას, რომ „გვიანდელი ხანის ეთნოგრაფიული მასალით“<sup>42</sup> შესაძლებელი ხდება ქარგლის როგორც თავდაპირველი (ქვეოსტატი), ისე მისი გვიანდელი (დაქირავებული) ბუნების დადგენა. XIX ს. ეთნოგრაფიული მასალა არ არის მაინც-დამაინც კაპიტალიზმის დროინდელი. ამდენად, ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელია არამარტო „XIX-XX სს. მიჯნის“, არამედ ხშირად XVII-XVIII სს. ქართული ამქრული წყობილების სტრუქტურის აღდგენაც.

მაშასადამე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქარგლის ორივე კატეგორია გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, მათ შორის გორის<sup>43</sup> და ახალციხის ამქრებშიც. ე. ი. ახალციხეში დასტურდება „ხალფა“ — ქვეოსტატი და „ხალფა“ — დაქირავებული ხელოსანი. ქარგალი რომ ახალციხეში თურქული ტერმინითაა წარმოდგენილი, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ერევანში მის აღსანიშ-

<sup>40</sup> შდრ. Бромлей Ю. В., Этнос и этнография, М., 1973, с. 205-206.

<sup>41</sup> შდრ. იქვე, გვ. 202.

<sup>42</sup> კ. უცოია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 124.

<sup>43</sup> ნ. აბესაძე, ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 10.



ნავად ორივე ტერმინი (ხალფა, ქარგაპი)<sup>44</sup> მოწმდება. ისევე როგორც უარყოფს თურქეთის გავლენას საქართველოსა და, კერძოდ, ახალციხის ასნაფებზე. ახალციხის ამქრების შესახებ ჩვენ ვიმოწმებთ დ. კოჟორიძის შეხედულებას ამ საკითხზე. მაგრამ უსტალარ — უსტატის ანუ შეიხ-სუაბის ინსტიტუტის დამოწმება ახალციხის სომხურ მოსახლეობაში და იმ გადმოცემის მოშველიება, რომ ესნაფებმა თავიანთი საწყისი თურქეთში მიიღეს<sup>45</sup>, ვერ გამოდგება ახალციხის ასნაფების თურქული წარმომავლობის დასამტკიცებლად, ვინაიდან ეს ორივე მასალა დაცულია ახალციხის არზრუმიდან (თურქეთიდან) გადმოსახლებულ სომხურ მოსახლეობაში. ის არ დასტურდება ახალციხის ქართულ ხელოსნურ ფენაში, რომელიც შემორჩა რაბათს.

ცნობილია, რომ არზრუმიდან გადმოსახლებულმა სომხურმა მოსახლეობამ ახალციხეში შექმნა ცალკე დასახლება („პლანი“) და ბოლომდე შეინარჩუნა სომხური სალაპარაკო ენა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების სომხურ ხელოსანთაგან განსხვავებით<sup>46</sup>. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ შეიხ-სუაბის ინსტიტუტი და ზემოაღნიშნული გადმოცემა მოწმდება მხოლოდ მათთან. ახალციხეში ამქრების არსებობას სომხების ჩამოსახლებაზე გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ხალფა (ქვეოსტატი, დაქირავებული ხელოსანი) დასტურდება არამარტო სომხურ, არამედ რაბათის ქართულ ხელოსნურ მოსახლეობაში. მაშასადამე, მარტო ზემომოტანილი ფაქტების საფუძველზე შეუძლებელია ახალციხის ასნაფების თურქულ წარმომავლობაზე დაბეჯითებით საუბარი.

რაც შეეხება ქარგლის მოუხსენიებლობას ამქრების პირობის წიგნებში, ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამქართა წესდებანი შედგენილია XIX ს. პირველ და მეორე ნახევარში. ამ დროს ქარგალი უკვე დაქირავებულს აღნიშნავს და საკვებით გასაგებია მისი ამ მნიშვნელობით მოხსენიება. ქუთაისის 1871 წ. მეპურეთა პირობის წიგნის „მოჯამაგირე“ ხომ იგივე ქარგალია, ვინაიდან ქუთაისში ქარგალს მთხრობელები „მოჯამაგირეს“, „ჯამაგირში მყოფს“<sup>47</sup> უწოდებენ. ქარგლის ორივე კატეგორია რომ თანაარსებობდა, ეს, ჩვენი აზრით, მტკიცდება მთავრობის მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტით, ხელოსანთა ამქრის წესდებით, რომლის ძალითაც ქარგალი ეწოდება არამარტო სწავლება კურსდამთავრებულ ხელოსანს, როგორც

<sup>44</sup> კ. კ უ ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, გვ. 159.

<sup>45</sup> კ. კ უ ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 128.

<sup>46</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, კახეთის ქალაქების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XVIII, თბ., 1975, გვ. 7.

<sup>47</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, გვ. 167.

ამას შ. მესხია ხსნის, არამედ იმ ხელოსანსაც, რომელიც დაქირავებულ მუშაობას ეწეოდა სხვასთან<sup>48</sup>.

მაშასადამე, შეუძლებელია ეთნოგრაფიული მასალის მთლიანობა ქარგლის ბუნების დასადგენად. ქარგალი (ნახევრად ოსტატი) დამოწმებული აქვთ ვ. ბარდაველიძეს<sup>49</sup> და ს. ბედუკაძეს<sup>50</sup> თელავისა და დუშეთის ქვისმთელელთა ამქარში. მოწმდება იგი აგრეთვე ს. მეჯვრის-ხევის ხარაზთა ამქარში<sup>51</sup>. ლ. ბოჭორიშვილი ადასტურებს მას სიღ-ნაღისა და თელავის ოქრომჭედელთა ამქარში.

ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი „შინამრეწველობის მასალებითაც“ ქარგალი დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლი, ქიზიყი)<sup>52</sup> ხელოსნური წარმოების ცენტრებშიც. „შინამრეწველობის მასალების“ შეკრება თავის დროზე იმითაც იყო გამოწვეული, რომ წერილობით ძეგლებში იგრძნობოდა ცნობათა უკმარისობა ამ წყების საკითხების გასაშუქებლად. ისიც ცნობილია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საქმეს ივ. ჯავახიშვილი.

მეცნიერული კვლევის დროს აუცილებელია ყველა სახის მასალის შეძლებისდაგვარად სრულად გათვალისწინება. დაუმკვებელია რომელიმე წყაროს ხელაღებით უარყოფა და მეორისათვის დაუსაბუთებლად უპირატესობის მინიჭება. კერძოდ, ამ შემთხვევაში არაფერით არ არის გამართლებული ვ. კუციას მიერ ეთნოგრაფიული მასალის შეუფასებლობა და მათი სრული უგულებელყოფა. მართალია, ჩვენთვის, როგორც ეთნოგრაფისათვის, ამოსავალია ეთნოგრაფიული მასალა, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ჩვენ მიერ წერილობითი წყაროების გამოყენებას. ოღონდ, რა თქმა უნდა, როგორც ერთი, ისე მეორე რიგის მასალა კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენა.

<sup>48</sup> Положение о ремесленных амкарах (цехах) в г.Тифлисе и об управлении, Тифлис, 1867 г., დაბეჭდილია შ. ჩხეტიას შრომაში „Тбилиси в XIX столетии“, Тбилиси, 1949 г.

<sup>49</sup> ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში, „ენიძის შობაზე“, ტ. XI, თბ., 1941, გვ. 153.

<sup>50</sup> ს. ბედუკაძე, სამების ამქარი, თბ., 1942 წ. (ხელნაწერი); მისივე, 1947-48 წწ. ქართლის ექსპედიციის მასალები (ხელოსნობა), ინახება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის არქივში.

<sup>51</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართლის III კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1949; ინახება ზემოაღნიშნული სექტორის არქივში.

<sup>52</sup> „შავირობა და ამქრობა“, ქიზიყი, გვ. 243; ქარგალი — გვ. 78. ჯერჯერობით გამოსულია „შინამრეწველობის მასალების“ ორი ტომი (ტომი I, თბ., 1976; ტომი II, ნაწილი I, თბ., 1979, ნაწ. II, 1982 წ.).

ახლა რაც შეეხება ჩვენს მიერ 1960-61 წწ. გამოთქმულ მოსაზრებას ყაზახთა ამქრის ქარგლის ბუნების თაობაზე<sup>53</sup>.

ყაზახთა ამქარში XIX ს. II ნახ. არსებული ქარგალი დაქირავებული კვალიფიციური ხელოსანია. ყაზახთა ამქარი ამ დროს უკვე ფიქტიურია, ის სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, კაპიტალისტური ტიპის სარეწია უკვე; მისი „ხაზინი“ ვაჭრად ქცეული ხელოსანია, რომელსაც იძლენი კაპიტალი გააჩნია, რომ აღარ მუშაობს. რასაკვირველია, ქარგალი იურიდიულად და ეკონომიურად შეიძლება ოსტატთან იყოს გათანაბრებული, მაგრამ თავისი ბუნებით ის უკვე სხვა კატეგორიას განეკუთვნება და ქარგლის შუალედურ საფეხურთან უკვე საერთო აღარაფერი აქვს. ჩვენ მაშინ, რასაკვირველია, ერთი ამქრის ქარგლის მაგალითზე კატეგორიულად ვერ ვამტიცივბდით, რომ ქარგლის ეს სახეობა ქვეოსტატიდან იყო განვითარებული, მაგრამ ყაზახთა ამქრის ქარგალი რომ უკვე დაქირავებული ხელოსანი უნდა ყოფილიყო, ამას ფრთხილად გამოვთქვამდით და შემდგომი კვლევისათვის ვიტოვებდით, რაც მომდევნო წლებში ჩატარებულმა მუშაობამ სავსებით გაამართლა.

ახლა საკითხი სადღეისოდ კვლავ ქარგლის ინსტიტუტის ვითომცდა განუვითარებლობის გამო. როცა ამ საკითხს სვამენ, გულისხმობენ ქარგლის ინსტიტუტის კლასიკურ, დასავლეთევროპულ მოდელს<sup>54</sup>. რასაკვირველია, ასეთი სახით ქარგალი საქართველოში არ არსებულა. ამას აღნიშნავს მ. სამსონაძე თავის 1980 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში და იმოწმებს შ. მესხიას. მართალია, ქარგლის ინსტიტუტს ჩვენში კლასიკური ფორმა არ მიუღია, მაგრამ შ. მესხია უარყოფს მის არა კლასიკურ ფორმას, არამედ საერთოდ მის არსებობას ქართულ ამქარში. მ. სამსონაძე ემხრობა მას იმაში, რომ დაქირავებული კვალიფიციური მუშის — ქარგლის გაჩენა XIX-XX სს. ნიშნავს ამქრის რღვევას<sup>55</sup>, რაც სავსებით გასაგებია. მაგრამ მ. სამსონაძე შ. მესხიასგან განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს, როცა არ უარყოფს ქარგლის შუალედური საფეხურის არსებობას ქართულ ამქარში; „ქარგალი ამქრული იერარქიის აუცილებელი ნაწილია, იგი შეგივრდა და ოსტატს შორის დგას და ამ საფეხურის გავლის გარეშე ოსტატად გახდომა შეუძლებელია“<sup>56</sup>.

<sup>53</sup> ნ. აბესაძე, ყაზახთა ამქარი, გვ. 151.

<sup>54</sup> მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 237.

<sup>55</sup> მ. სამსონაძე, დახახ.ნაშრ., გვ. 238.



რაც შეეხება ავტორის მიერ XIX ს. II ნახევრის ქარგლის შესახებ აქ მოტანილ პ. გუგუშვილისეული შენიშვნის კრიტიკას, საქართველოს მართლიანია იმ მიმართებით, რომ ავლაბრელ ოქრომჭედელის დების ვითარება ამქართა რღვევის აშკარა ნიშანია; პ. გუგუშვილიც მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ოქრომჭედელთა ამქრის წესდებაში ქარგლის მოუხსენიებლობა სრულებით არ ნიშნავს ამ ინსტიტუტის უარყოფას, ვინაიდან ამ წესდებით გათვალისწინებული ვითარება, რომ მოწაფე ხელობის სწავლების დასრულების შემდეგ ეკონომიური სახსრების უქონლობის გამო დამოუკიდებლად ვერ მუშაობს, თუმცა იგი იურიდიულად ოსტატია, თავისთავად ქარგლის ინსტიტუტის რღვევის შედეგად გაჩენილი ვითარების ამსახველია. მაშასადამე, პ. გუგუშვილიც აღნიშნავს ქარგლის არსებობას ამქრულ იერარქიაში, რომელმაც შემდეგ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა<sup>57</sup>.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ტერმინი ქარგალი უცნობია დასავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნურ ამქარში. აქ მას „ჯამაგირში მყოფი“ ეწოდება, რაც თავისი ბუნებით ქარგლის გამომხატველია. შეკრებილი მასალების მიხედვით, შეგირდი დალოცვის შემდეგ ხელოსანი ხდება. მან ერთი წელი მაინც უნდა იმუშაოს, რომ მომაგრდეს და შემდეგ ექნება სახელოსნოს გახსნის საშუალება, მაშინ აიღებს ის სახელოსნო სამმართველოში „პატენტის“ უფლებას და გახდება სრულუფლებიანი ხელოსანი. ასეთ ხელოსანს ჰქონდა უსტაბაშის არჩევის უფლება. მაშასადამე, მოტანილი მასალის მიხედვით, ქარგალი შეგირდობის შემდეგი საფეხურია. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნურ ამქარშიც შეგირდობის შემდეგ საფეხურზე მყოფ ხელოსანს ენიშნება ჯამაგირი. სწორედ აქედან ეყრება საფუძველი მისი დაქირავების მომენტს. ქუთაისსა და ზუგდიდში ქარგლობა უკვე დაქირავებას აღნიშნავს მხოლოდ, გამქრალია ამ ინსტიტუტის აღრინდელი მნიშვნელობა<sup>58</sup>.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ საქართველოს ქალაქების ამქრული ორგანიზაციის სტრუქტურა წარმოდგენილი იყო არამხოლოდ ოსტატით და შეგირდით, არამედ

<sup>56</sup> იქვე.  
<sup>57</sup> მ. ს. მ. ს. ო. ნ. ა. მ. ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228; იხ. პ. გ. უ. გ. უ. შ. ვ. ი. ლი, საქართველოს დამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს; ტ. V, 1962, გვ. 228-229.  
<sup>58</sup> ნ. ა. ბ. კ. ა. მ. ე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, გვ. 168.

წიგნი წარმოებაში იყო, როდესაც გამოვიდა კ. კუციას წიგნი „ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში“, თბ., 1984 წ., სადაც ავტორი კვლავ უარყოფს ქარგლის შუა საფეხურის არსებობას ქართულ ამქარში და რატომღაც არ მოიხსენიებს ჩვენს აზრს ამ საკითხზე.

ოსტატით, ქარგლითა და შეგირდით. ეს იყო საბჭო-  
თო ქართული მოვლენა. საქმეს ვერ ცვლის ის გარემოება რომ  
ქარგალს ახალციხეში „ხალფა“ ეწოდებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში „მოჯამაგირე“//„ჯამაგირში მყოფი“.

## § 2. ამქრის დროშა და ფირი

ყველა ამქარს ცალ-ცალკე თავისი დროშა და ფირი (ღეფი, ემ-  
ლემა) გააჩნდა. ფირი წარმოადგენდა ამქრის სიმბოლოს. თითოეულ  
ამქარს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა. ასე, მაგ., ხარახების  
დროშაზე გამოხატული იყო ელია (ელია წინასწარმეტყველი), ნემ-  
სი და საღვისი, ყაზახებისაზე — იობი, დერციკებისაზე — ღვთისმშო-  
ბელი, მაკრატელი და ნახევარადლიანი, დურგლებისაზე — ნოე და  
მისი კიდობანი (ზოგჯერ იესო ქრისტეც. მაგ., ახალციხეში), დაბა-  
ღებისაზე — ღვთისმშობელი, მეწადეებისაზე — მთავარანგელოზი, მე-  
თუნუქეებისაზე — ჩაქუჩი და თუნუქის საჭრელი მაკრატელი, კალა-  
ტოებისაზე — დავით აღმაშენებელი, მჭედლებისაზე — ადამიანის მ-  
რჯვენა რკინით ხელში, ხშირად ზინდანი (გრდემლი) და მარწუ-  
ხი, მეჭურჭლეებისაზე — ადამ და ევა, მეჭურჭლეებისა და მეგუ-  
რებისაზე — წმინდა გიორგი, მასვე ასახელებენ თავიანთ ფირად აგ-  
რეთვე ვერცხლისა და ოქროს ოსტატები (ახალციხე, 1968 წ.) და სხვ.

ხურობემა, ხარატებმა და დურგლებმა თავიანთ დროშას, ი. გრი-  
შაშილის ცნობით, შემდეგ მტრედიც მიუმატეს. მისი გადმოცემით  
ნათლისღების დროს მტკვრის პატარა ტოტში ჯვარს ჩაუშვებდნენ.  
იმართებოდა მტკვარში ცხენების ჯირითი. გაღმა ჯარი იდგა, გამოდმა  
ქალაქის მოსახლეობა. ისროდნენ თოფებს, უკრავდნენ ზურნას და ამას-  
თანავე მტრედების გუნდებსაც აუშვებდნენ. ერთხელ ასეთი „აფრენის“  
დროს ერთი მტრედი დურგლების დროშაზე დაჯდა. ხელოსნებმა ეს  
სასწაულად მიიღეს და მას შემდეგ დურგლების დროშაზე ვერცხლის  
პატარა მტრედიც ჩამოჰკიდეს<sup>59</sup>. ჩვენი მასალებით, მტრედი კალატო-  
ხებმა გაიხადეს თავის ფირად.

ხელოსნები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ დროშას; ცდილობ-  
დნენ, რაც შეიძლება კარგად შეემკოთ ის. ამქრის საბრუნავი თანხის  
დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, ბაირადის შექმნას ხმარდებოდა ხოლმე. ამ  
მიზნით იცოდნენ დროშის გაქირავებაც მიცვალებულის დაკრძალვის  
დროს.

კარგი დროშის ქონება ისეთივე საპატიო იყო ამქრისათვის, რო-

<sup>59</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა, გვ. 160.

გორც სამღვთოს მდიდრული ორგანიზება. ივანე სერგოს ძე ხატივეის (სიღნაღი, 1966 წ.) ცნობით, ხარაზებს დროშა თბილისში შექმნიდა 22 თუშანი მიუციათ. ლიმონა ბაღდასარის ძე ზახაროვს (სიღნაღი, 1966 წ.) თქმით, დერციკებს როსტოვში 20 თუშნად (ოქროთი) გაუკეთებინებიათ ბაირადი. ანტონ ოქროპირიძის გადმოცემით, გორელ ხარაზებსაც თბილისში დაუკვეთიათ დროშა სპეციალურად. მთხრობელთა ცნობით, ხარაზების ბაირადი წითელი აბრეშუმის ქსოვილისა იყო, დაბადებისა კი — წითელი მეშისა (თელავი, 1971 წ.). განსაკუთრებით კარგი ყოფილა ამ უკანასკნელის ტარი, რომელიც სხვადასხვა ჯიმის ხისაგან იყო ასხმული.

თბილისში დროშა ჰქონდათ როგორც ძველი დარგის ხელოსნებს (ოქრომჭედლებს, მეჩქეშეებს, დაბადებს, ხუროებს, მხერხავეებს, ნალბანდებს, მეაბრეშუმეებს, კალატოზებს, ჭონებს, მხატვარ-მღებავებს, მკალავებს, ქართული ჩექმის მკერაზებს და სხვ.), ასევე შედარებით ახალი დარგის (მეძებვეებს, მეეტლეებს, „მელამფეებს“, რუსული პურის მცხობელებს და სხვ.) ხელოსნებსაც. ამ დროშათა უმრავლესობა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში. დროშები თარიღდება XIX ს. მეორე ნახევრითა და XX ს. 14-16 წლებით<sup>60</sup>.

ახალციხის 19 ასნაფიდან დროშა, ლ. ზაგურსკის ცნობით, 10-ს ჰქონდა: ოქროსა და ვერცხლის ოსტატებს, მეაბრეშუმეებს, თერძებს, მეჩუსტეებს, მეთამბაქოეებს, მესპილენძეებს, მჭედლებს, ნალბანდებს, ღურგლებსა და მეტივეებს<sup>61</sup>.

ჩვენი მასალით ბაირადის არსებობა ხელოსანთა შემდეგ ასნაფებში მოწმდება: მესპილენძეებთან, მეჭურჭლეებთან, მეაგურებთან, ხარაზებთან, ოქრომჭედლებთან, ღურგლებთან და სხვ.

სამი ასნაფის (ხარაზების, ღურგლების, მესამის კუთვნილების დადგენა ძნელდება) დროშა დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ხარაზების დროშაზე წესისამებრ ელიაა გამოსახული, ღურგლებისაზე — იესო ქრისტე. აი, რას ვვითხულობთ მათ შესახებ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საინვენტარო დავთარში: „ერთ-ერთ დროშას (ზომა 94x72 სმ) ბოლოში მიკერებული აქვს სამკუთხა გამოჭრილი ერთი ზომის (34x30 სმ) წითელი, ყვითელი და შვანე ნაჭრები, ხოლო გარშემო სამ მხარეზე შემოვლებული აქვს წითელი ნაჭრის ვიწრო არშია — პირველ გვერდზე ახატია წმინდა ელია გრძელი სამოსით, ფეხშიშველი, მარცხენა ხელში უკავია

<sup>60</sup> ლ. მილოდინი, გ. ჯალბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>61</sup> Л. Загурский, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.



ტყავი, დაბლა პატარა მაგიდაა, რომელზედაც დალაგებულია ხარაზების ნივთები — საფხეკი და ჩაქუჩი, იქვეა ქართული წარწერა ხარაზების, წმ. ელია, 1869 წ.“ დროშის მეორე გვერდზე გამოხატულია თეთრ ცხენზე მჯდომი წმ. გიორგი, შუბით რომ ურჩხულს კლავს.

მეორე დროშის (ზომა 65x41 სმ) ერთ მხარეზე გამოხატულია ჯვარზე გაკრული ქრისტე, მის დაბლა თავის ქალა და ძვალი. ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ შავ, მწვანე და წითელ ტანსაცმელში მწუხარე გამომეტყველების ფეხშიშველი ქალები. დროშის მეორე მხარეზე დახატულია ერთ-ერთი მოციქულთაგანი გრძელი ისრით ხელში. მის მარცხნივ ქალიშვილი, ხოლო ფეხთან ორი, მუხლზე დაჩოქილი კაცი, რომელთაგან ერთს ქუდი უკან აქვს შებრუნებული. დროშის ძირში, მარჯვენა კუთხეში რიცხვი 1898 წ. დროშას გარშემო, სამი მხრივ შემოვლებული აქვს აბრეშუმის ვიწრო 10 სმ-იანი წითელი ნაქარგი სარტყელი ფუნჯებით.

მესამე დროშა (ზომა 1,27x95 სმ). ქვედა მხარეზე სამკუთხედიან გამოჭრილი. გარშემო შემოვლებული აქვს ფუნჯი. მის ერთ გვერდზე გამოხატულია დურგალი თავის იარაღით და ფეხზე მდგომი ქალი, მეორე გვერდზე უსტაბაში, რომელიც აკურთხებს ახალგაზრდა კაცს. მათ უკან მოსჩანს სამი ქალი. აღნიშნული სურათი შესრულებულია თეთრ ტილოზე სხვადასხვა ფერით“.

ხარაზების დროშა, ხარაზ იაკობ ივანეს ძე ზუბაშვილის ცნობით, მასთან ინახებოდა, ვინაიდან მისი მამა იყო ხარაზების უსტაბაში. მამამისს ეს დროშა გადაუცია კოსტა გვარამაძისათვის, ვინმე მესხის ვაჟიშვილისათვის. დღეს ეს დროშა, როგორც აღვნიშნეთ, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია გამოფენილი.

რამდენიმე დროშა დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სათანადო ფონდში. სამი მათგანი (ხარაზების, მეუნავირეებისა და, ვგონებ, დურგლების) გამოფენაზეა წარმოდგენილი. მათ შესახებ საინვენტარო დავთარში ყოველთვის არ არის აღნიშნული, თუ რომელი ამქრის კუთვნილებას შეადგენდა იგი. მოგვეავს ყველა მათგანის აღწერილობა.

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6426) ტარის თავზე გუმბათით (ქსოვილი). აქვს წარწერა: „ყოველგვარი ფეხსაცმელების ამქარი“ (გამოფენაზეა წარმოდგენილი).

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6427) წმინდა გიორგის გამოსახულებით, მეუნავირეების (აბრეშუმის), სიმაღლე 110 სმ, ძლიერ დაზიანებულია (გამოფენაზეა წარმოდგენილი).

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6428) წმინდა გიორგის გამოსახულებით, მუშაშა, სიმაღლე 100 სმ.

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6433) მთავარანგელოზისა და წმინდანის გამოსახულებით, სიმაღლე — 110 სმ.

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6434) ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის გამოსახულებით, სიმაღლე — 110 სმ. თავზე დამაგრებული აქვს ჯვარი (გამოფენაზეა)

**საამქრო დროშა** (კოლ. № 6436) იესო ქრისტესი და წმინდა გიორგის გამოსახულებით, წარწერით, თავზე დამაგრებული აქვს ალამიანის ხელის მტევანი, ქსოვილი, სიმაღლე 115 სმ. ეს უნდა იყოს მჭედლების დროშა<sup>62</sup>.

როგორც ვხედავთ, ამქრის ყველა დროშაზე გამოხატულია ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგი, რაც საერთოდ ქართული დროშებისათვის ტრადიციული მოვლენა ჩანს და რისთვისაც ყურადღება ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილს მიუძღვება. ცნობილია წმინდა გიორგის ადგილი ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში. განსაკუთრებით პოპულარულია ურჩხულთან ან გველეშაპთან ბრძოლის სიუჟეტი. ქართულ დროშებზე წარმოდგენილი წმინდა გიორგის გველეშაპთან ბრძოლის სცენა ქართველთა წინაპრების ადრეული წარმოდგენების ერთიანობის ციკლშია მოცემული. ისევე როგორც სვანებს ლომის სახის დროშა, უძველეს დროისათვის ქართველი ტომების მეზობლებსა და ახლო ნათესავებს (პართებს, სარმატებსა და სკვითებს) დროშა გველეშაპის სახისა ჰქონიათ.

ს. ბარნაველის აზრით, ამ სიუჟეტით მოხატული დროშა ქართველებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. კავკასიის ტერიტორიაზე იმხანად მოსახლე ტომთა რწმენა-წარმოდგენებში ძლიერი ყოფილა გველეშაპის კულტი, რომლის, ნაშთები როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ისე მატერიალური კულტურის ძეგლებში მდიდრად იქნა შემონახული ჩვენში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში<sup>63</sup>.

საყურადღებო გადმოცემებია დაცული ხალხში ამქართა ფირის შესახებ. ამათგან ყველზე პოპულარულია გადმოცემა ცალთვალა ელიას შესახებ, რომლის მიხედვითაც ელია პირველი ხარაზი ყოფილა. ის ყოველთვის თავის სახელოსნოში მუშაობდა ხოლმე. სახელოსნოს წინ ნაცარი ყოფილა დაყრილი. ვისაც წულის შეკერვა სურდა, მიდიოდა ელიასთან. ის თავის სახელოსნოდან არ გამოდიოდა, მხოლოდ ეტყოდა მომსვლელს, რომ ნაცარზე დაეტოვებინა თავისი ნატერფალი, რის მიხედვითაც ელია შეკვეთას ასრულებდა. ერთხელ მასთან ეშმაკი მისულა, ქალად გამოცხადებული. მასაც საერთო წესის მიხედვით დაუტოვებია თავისი ნატერფალი, მაგრამ იმდენად უცნაური, არაადამიანური ყოფილა იგი, რომ ელიას ვერ მოუხერხებია შეკვეთის შესრულება.

<sup>62</sup> ნ. აბესაძე, ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, გვ. 168-169.

<sup>63</sup> ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 5

შემდეგ, როდესაც ქალი ხელმეორედ მოსულა შეკვეთის წასადებად, ელიას გამოუხედავს თავისი სახელოსნოდან და ძალაუნებურად შეეხებოდავს მისთვის. მწარედ დაღონებული ელია ამ ცდუნების გამყოფად იმტომ სადგისით ცალი თვალი დაუთხრია. ამის გამო არის ის ცალთვალა ბაირაღზეო, გადმოგვცემენ მთხრობელები (სიღნაღი, 1966 წ.). გორში ჩაწერილი მასალა აგრძელებს ელიას თავგადასავალს, თუ თვალე-დათხრილი ელია ანგელოზებმა როგორ აიტაცეს ზეცაში.

სხვა ვარიანტის მიხედვით, თვალედათხრილ ელიას ანგელოზებ-შებშული ეტლი გამოეცხადა და ზეცისაკენ გააქანა. ელიას თურმე თავისი შეგირდი დაედევნა შეკითხვით, თუ როგორ ერჩინა თავი ელიას გარეშე. ამის გაგონებაზე მას წინსაფარი (ფეშტემალი) გადმოუგდია თავისი შეგირდისათვის და უთქვამს — „ამის მადლმა და ძალამ გაცოცხლოსო“ (გორი, 1967 წ.).

მეაბრეშუმეთა ანუ ყაზახთა ამქარი თავის მფარველად იობს ასახელებს. მთხრობელთა ცნობით, ბაირაღზე იობი იყო გამოხატული — „კაცი დარბაისელი, მატლი ეხვია, ერთი ხელში ეჭირა, ზედ უნდა დაედო, ხაზეინს სადმე რომ ენახა აბრეშუმის ჭია, მოიტანდა, დადებდა, რად უნდა ეგდოს, ეს ჩვენი ფირია; ჩვენი ფირი იობიაო“<sup>64</sup>

მთხრობელთა გადმოცემით, აბრეშუმის ჭია იობის მატლია. თურმე იობს დაესია მატლი, რომელიც მას სხეულს უღრღნიდა, მაგრამ იობი უსიტყვოდ იტანდა განსაცდელს და ყოველთვის, როცა კი მატლი მისი სხეულიდან გადმოვარდებოდა, აიყვანდა და კვლავ ტანზე დაისვამდა.

სხვა ვარიანტის მიხედვით, იობს დიდი დოვლათი ჰქონდა. ხალხი ამბობდა, დიდი დოვლათი რომ აქვს, იმიტომ აღიდებს უფალსაო. და აი, ერთხელ უფალმაც გამოცადა მისი ერთგულება. ჯერ შვილები დაუხოცა მას, მერე ცხვრის ფარები და ძროხის ჯოგები და მოკლე დროში მთელი ქონებაც გამოაცალა, მაგრამ იობი ღვთის მიმართ აუგს არ ამბობდა. ჯანმრთელია იობი და იმიტომ სწყალობს უფალიო — ახლა ამას გაიძახოდნენ. უფალმა ავად გახადა იობი და მატლი დაახვია. მართალია, ის იობს მთელ სხეულს უღრღნიდა, მაგრამ იობი ღმერთს მაინც არ წყევლიდა. რაკი უფალმა ასე გამოცადა იობი, შემდეგ გამოაჯანსაღა კიდევ. იობმა იცოდა, რომ შვილების დაბრუნება აღარ შეიძლებოდა და მხოლოდ ისდა სთხოვა ღმერთს, რომ ეს ჭია მისი საკუთრება ყოფილიყო<sup>65</sup>.

მჭედელ მიხა ისაკის ძე ჩერქეზიშვილის ცნობით, ადრე თურმე

<sup>64</sup> ნ. ა. ბ. კ. ა. ძ. კ., თბილისელი ვეიქრები, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

<sup>65</sup> ნ. ა. ბ. კ. ა. ძ. კ., მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ, 1957, გვ. 65-66.



მჭედელს იარაღი არ ჰქონია, ხელით იღებდა რკინას. მერე ერთ მე-  
 გირდს წამოწოლილი ძაღლის გადაჯვარედინებული ფეხებით დასახ-  
 ვაზე მოუფიქრებია მარწუხის დამზადება და გაუკეთებია კიდეც. მაგრამ  
 უცაბედად კვლავ რკინისათვის უტაცნია ხელი, დავიწყნია, რომ მარწუ-  
 ხი ჰქონდა გაკეთებული. ხელი დასწვია, გაბრაზებულა თავის თავზე და  
 გამწარებულს ხელი მოუჭრია. აი, ის ხელია ახლა ბაირაღზე გამოსა-  
 ხული. ამ შემთხვევაში ადამიანის მარჯვენა მჭედლობის ხელობის  
 სიმბოლური გამოსახულება. სწორედ ადამიანის მარჯვენა რკინით  
 ხელში იყო გამოხატული მჭედლების დროშაზე<sup>66</sup>. ქუთაისის ისტო-  
 რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოფენაზე, როგორც ითქვა, წარ-  
 მოდგენილია მჭედლების ამქრის დროშა, რომლის ტარზე დამაგრებუ-  
 ღია ხელის მტევანი (ლითონის).

საყურადღებოა ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალა ახალციხის მესპი-  
 ლენძეების ფირის — „ოფელ-თოფელის“ შესახებ. იგი „ოფელ-ფოფე-  
 ლის“ სახით დამოწმებული აქვს ნ. დერუაინის გორის მჭედელთა ამ-  
 ქარზე მსჯელობისას. შ. მესხიას აზრით, ეს არის დამახინჯებული  
 „ოფელ-ტობელი“, იგივე ბიბლიური „თუბალი“, რომელიც იყო „მჭე-  
 დელი რკინისა და რვალისა“<sup>67</sup>.

როგორც ვხედავთ, ამქართა მფარველები არიან წმინდანები<sup>68</sup>, ხოლო  
 ახლად გაჩენილი ხელოსნობის დარგები დროშაზე ასახავდნენ იქაურ  
 მფარველ წმინდანს, საიდანაც ხშირად თვით ხელობაა შემოსული.  
 მაგ., ტანსაცმლის მკერავთა ამქრის დროშაზე გამოსახული იყო  
 ალექსანდრე ნეველი.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამქრის დროშაზე გამოსა-  
 ხული ფირი ამქრის წევრებს ჩოხის კალთის ქვედა კუნჭულში ჰქონიათ  
 ჩაკერებული<sup>69</sup>.

დროშით გამოცხადდებოდა ხოლმე ამქარი სადღესასწაულო თუ  
 სამგლოვიარო პროცესიების დროს, განსაკუთრებით წყალკურთხევისა  
 და აღდგომის დღესასწაულზე. სამღვთოს ჩატარებაც დროშის გარეშე  
 შეუძლებელი იყო.

დროშა, როგორც აღინიშნა, ინახებოდა სახელოსნოში უსტაბაშთან.  
 სამღვთოს დაწყების წინ აქედან გამოიტანდა მებაირაღე — მედროშე  
 და გაუძღვებოდა ამქარს „სალხინო“ ბაღებისაკენ.

ბოჭორიშვილის გადმოცემით, მედროშეს ამ დროს უნდა სცმოდა  
 ქართული ტანსაცმელი, რაც დროშასთან ერთად ამქრის სახსრებით

<sup>66</sup> შდრ. თელავსა და ქიზიყში ჩაწერილი მასალა მარწუხის გამოგონების შესახებ,  
 „ქინამრწველობის მასალები“, გვ. 108-113, 168-169.  
<sup>67</sup> М е с х и а Ш. А., დასახ. ნაშრ., გვ. 357.  
<sup>68</sup> Г у р е в и ч А. Я., Категории средневековой культуры, М., 1972, с. 243.  
<sup>69</sup> ლ. შოლოდინი, გ. ჯაღაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6-7.

იყო შექმნილი. წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ამქრობის დღეს, მეზაირადე უეჭველად ქართულ ტანსაცმელში მოსში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი<sup>70</sup>.

მედროშის ტანსაცმლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ არ მოწმდება სპეციალურად ამ მიზნით ქართული სამოსის ტარება; მთხრობელები არ გვიდასტურებენ, ან არ ახსოვთ, რომ ამ დროს მედროშეს აუცილებლად ეროვნული ტანსაცმელი უნდა სცმოდა, რომლის შესაძენად ამქარში ფული გროვდებოდა. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგში მოცემულ სურათზე<sup>71</sup> ყველა მედროშეს აცვია საერთო ქართული ტიპის ჩოხა-ახალუხი და ახურავს „წოწოლა“ ქუდი. მთხრობელთა მიერ ჩვენთვის შემოწირულ ერთ-ერთ ფოტოზე თბილისელი დაბღების მედროშეს სწორედ ასეთი ტიპის ჩოხა აცვია, ხოლო მეორე ფოტოზე თელაველი ხელოსნების მედროშეს ყარაჩოღლური ტიპის ჩოხა (ტაბ. XVI). ე.ი. შტკიცდება, რომ სამღვთოს დროს მეზაირადე ქართულ ტანსაცმელში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი.

ამქრის დროშებისა და მედროშის კოსტუმის საკითხი გენეტიკურად უკავშირდება ქართველ ტომებში დროშებისადმი დამოკიდებულების საერთო საკითხს. მედროშეობა, დროშის გამოტანის მოხელეობა სვანეთში ჯაფარიძეების გვარის სახელოს შეადგენდა. ხევსურეთში ხატის დროშის გამოტანა ხევისბერის ერთ-ერთი ფუნქცია იყო. აქ წმინდა საგნად ითვლებოდა დროშა, რომელიც ხატობაზე გამოტანამდე და შემდეგ საგანგებოდ ფარულად ინახებოდა<sup>72</sup>.

დროშა აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ხატის მამაკაცთა (ანუ ხელოსანთა) სრულწლოვანების რიტუალის შესრულებისას. მსგავსად ამისა, ამქრის სამღვთოს დროს დროშასთან სრულდებოდა შეგირდის ხელოსნად ხელდასმის ცერემონიალი. ამ რიტუალის შესრულების თავდაპირველი დანიშნულება და მიზანი ჯვარ-ხატისადმი (გვაროვნული ღმერთებისადმი), რომლის მატერიალური გამოსახულება დროშა იყო, ამ ახალი წევრის ზიარება უნდა ყოფილიყო<sup>73</sup>. შეგირდის ხელოსნად კურთხევა მისი ამქრისადმი (ხელოსანთა კავშირისადმი) ინკორპორაციას გამოხატავდა. ამდენად, ამქრის დროშა თავისი წარმოშობით გაცილებით შორეულ წარსულს უკავშირდება, ვიდრე თვით ფეოდალური ხანის ამქარი.

<sup>70</sup> ლ. ბოჭორიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 158.

<sup>71</sup> ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე, დასახ.ნაშრ., გვ. 23.

<sup>72</sup> Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 43.

<sup>73</sup> ქ. ერიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები, თბ., 1982, გვ. 69.



ასეთია საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალა ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის შესახებ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების სათანადო ორგანიზაციების ერთმანეთთან შეკრების შედეგად ცხადი ხდება, რომ მეტი არქაულობა შემორჩა თელავის, სიღნაღის, გორისა და ახალციხის ამქრებს. ეს არქაულობა შეინიშნება უპირატესად შეგირდისა და ოსტატის ურთიერთობის, ქარგლისა და სამღვთოს ორგანიზაციის საკითხებში. ამ მხრივ ქუთაისის ხელოსნობის შესაბამის ინსტიტუტებში უფრო გვიანდელ ფორმებთან გვაქვს საქმე. შეიძლება ეს იმის შედეგიც იყოს, რომ მთხრობელთა მეხსიერებაში კარგადაა შემონახული იმ დროის ამბები, რაც უკავშირდება ქუთაისში ე.წ. ხელოსანთა გამარტივებული გამგებლობის საქმიანობას (1883-1902 წწ.)<sup>74</sup>. ასეა თბილისში ხელოსანთა სამმართველოს დაარსების დროიდან, რომელიც ფაქტიურად ცდილობდა ცალკეულ ამქართა დამოუკიდებლობის მოსპობას. ის, რაც ასახული იყო აღნიშნული ორგანიზაციის კანონმდებლობაში, კარგად იცოდნენ მთხრობელებმა. მაგ., ხელოსანთა გამგებლობის წესდების მიხედვით მოწმობა ეძლეოდა ღირსეულ და სრულწლოვან ხელოსანს, რისთვისაც ის უნდა გამოცდილიყო ცოდნაში და წარმოედგინა თავისივე ნახელავი ნივთი შესამოწმებლად<sup>75</sup>. ზუსტად ასე გადმოგვცემენ მთხრობელები ხელოსნის გამოცდისა და მისი დალოცვის შესახებ. აღნიშნული წესდების სხვა მუხლის მიხედვით, ხელოსანთა გამგებლობა უმოწმობო ხელოსანს არ აძლევდა სახელოსნოს გახსნის უფლებას<sup>76</sup>, ე.ი. დაულოცავი ხელოსანი სახელოსნოს ვერ გახსნიდა.

ჩვენ აქ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ შეიძლება ქუთაისისა და თბილისში დაარსებულმა სახელოსნო მმართველობამ უფრო გაამარტივა ის ურთიერთობა, რაც შეგირდსა და ოსტატს შორის არსებობდა. სწორედ შეიძლება ამის მიზეზი იყოს ისიც, რომ 1871 წ. შედგენილ ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებაში არ იხსენიება ოსტატის შუალედური საფეხურის ქარგალი (როგორც უკვე არარსებული და არა საერთოდ არარსებული ინსტიტუტი, როგორც ეს შ.მესხიას მიაჩნდა)<sup>77</sup> და მოიხსენიება მისი გვიანდელი ფორმა — მოჯამაგირე. ამ ორგანიზაციის დაარსება ხომ ამქრების ლიკვიდაციას გულისხმობდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა სიღნაღი, თელავი, გორი, სადაც ასეთი რამ არ არსებობდა, უკეთ შემოინახა

<sup>74</sup> მ. ნ. ი. კ. ლ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქუთაისის ხელოსანთა მმართველობა, „მაცნე“, 1964, № 2, გვ. 111-115.  
<sup>75</sup> იქვე, გვ. 111.  
<sup>76</sup> იქვე, გვ. 112.  
<sup>77</sup> М е с х и а Ш. А., Города ..., с. 375.

ამქრის ტრადიციები, ხელოსნური ურთიერთობა ყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნო მმართველობა ამქრის დასო-  
უკიდებლობის გაუქმებასა და ყველა ხელოსნის ერთ სასოგადოებაში  
გაერთიანებას გულისხმობდა, ამქრში მაინც განაგრძობდნენ თავიანთ  
ტრადიციულ საქმიანობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამის დადას-  
ტურებაა ქუთაისში შედგენილი მეპურეთა წესდება 1871 წლისა. აქ  
დაარსებული ხელოსნობის გამარტივებული გამგებლობის შემდეგაც  
ამქრის მიერ გაცემულ საბუთს ორი ბეჭედი აქვს დასმული (ხელოსანთა  
გამგებლობისა და ამქრის)<sup>78</sup>. ამდენად, სავსებით მართალია მ. ნიკო-  
ლეიშვილი, როცა აკრიტიკებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის  
მტკიცებას ამქრების არარსებობაზე ხელოსანთა გამგებლობის შექმნამ-  
დე. ცალკეულ ხელოსანთა დამოუკიდებელი ცხოვრების მანიშნებელი,  
მ. ნიკოლეიშვილის აზრით, არის საამქრო დროშების, ცალკე უსტაბაშე-  
ბისა და ხელოსანთა პირობის წიგნების არსებობა<sup>79</sup>.

ქუთაისში წარმოდგენილი ამქარი განიხილება არამარტო როგორც  
ამ ქალაქისათვის, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსათვის დამა-  
ხასიათებელი ხელოსნური ორგანიზაცია, ვინაიდან ქუთაისი იყო არა-  
მარტო იმერეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ხელოსნური  
წარმოების ცენტრი.

რაც შეეხება ზუგდიდს, აქ ხელოსნური ორგანიზაცია შედარებით  
მკრთალი იყო. შეგროვილი მასალა გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვაქვს  
უფრო ტიპიურ ხელოსნურ წარმოებასთან; მართალია, ზუგდიდში აღ-  
გილი აქვს საბაზრო წარმოებას და შეინიშნება სასაქონლო წარმო-  
ების განვითარება, მაგრამ ისეთ ტიპიურ ხელოსნურ დარგებში, როგო-  
რიცაა თერძობა და მეუნაგირეობა, არ ვხვდებით „ჯამაგირში მყოფი“  
ხელოსნის (ქარგლის) დიდ რიცხვს, რომ ის მიგვითითებდეს ხელოს-  
ნური წარმოების რღვევასა და ახალი ურთიერთობის ტენდენციის გაჩე-  
ნაზე. აქ ხელოსნები აწარმოებდნენ იმდენს, რაც აკმაყოფილებდა ისეთი  
სიდიდის ქალაქს, როგორიც იყო ზუგდიდი. ამ მხრივ იგი გამო-  
ნაკლისია ჩვენს მიერ შესწავლილი ქალაქებიდან, რაც ზუგდიდის  
ხელოსნობის განვითარების თავისებურებით იხსნება.

მაშასადამე, ამქრული ორგანიზაცია მაინც საერთო ქართული მოვ-  
ლენაა. სხვა საკითხია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში  
მისი განვითარების სხვადასხვა დონე.

თავისთავად იბადება საკითხი თვით ქართული ამქრების ხასიათის  
შესახებ. იყო ის დასავლეთ ევროპის ამქრული ორგანიზაციის მსგავ-

<sup>78</sup> მ. ნიკოლეიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 112.

<sup>79</sup> იქვე.



სი — ე.ი. კლასიკური ტიპის, თუ უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებდა აღმოსავლურთან.

შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ დიდი იყო გავლენა აღმოსავლეთისა ქართულ ამქარზე, მაგრამ საქართველოს ამქრებს არ ახასიათებდა ის რელიგიური მისტიციზმი, რითაც ასე გამოირჩეოდა აღმოსავლური ხელოსნური ორგანიზაცია. ცნობილია, რომ იქ ხელოსნის დალოცვის დროს შეგირდს თავი ჯერ ხელობის ღვთიური წარმოშობის ცოდნით უნდა გამოეჩინა, შემდეგ საკუთარი ხელობის ცოდნით<sup>80</sup>. ქართული ამქარი კი თავისუფალი იყო ყოველგვარი რელიგიური შეზღუდვებისაგან. ერთადერთი, რაც მის რელიგიურობას ამჟღავნებდა, იყო წელიწადში ერთხელ სამღვთოს (ამქრობის) გამართვა, სადაც ხდებოდა შეგირდის ოსტატად ხელდასმა. სწორედ ამ დროს იკვლებოდა სამსხვერპლო ცხოველი — ცხვარი. ეს იყო და ეს. ქართულ ამქარს არც დასავლეთ ევროპულის კლასიციზმი ახასიათებდა, ის თავისი თვითყოფადობით გამოირჩეოდა ორივე ფორმისაგან და მთელ საქართველოში ერთნაირი ხელოსნური წყობით ხასიათდებოდა. ამქარს ისეთივე სტრუქტურა ახასიათებდა ახალციხეში, ისეთივე ქართულ წარწერიანი დროშები ჰქონდათ აქ ასნაფებს და თავიანთ ფირად ისევე აღიარებდნენ ქრისტიან წმინდანებს, როგორც თბილისში, გორში, სიღნაღსა და ქუთაისში. მაგრამ, ახალციხეში, რასაკვირველია, შეიმჩნეოდა თურქულის დიდი გავლენა, რაც აისახა ძირითადად ტერმინოლოგიაში (ამქარს აქ ასნაფი, ხოლო ქარგალს ხალფა ეწოდებოდა). ამდენად, ამქრების სახით მთელ საქართველოში ერთი ტიპის ხელოსნურ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე და შეუძლებლად მიგვაჩნია ახალციხის ხელოსნურ ამქარში ქარგლის შუალედური საფეხურის არსებობა მივაწეროთ მხოლოდ თურქეთის გავლენას (შ. მესხია, კ. კუცია), ხოლო საქართველოს სხვა ქალაქებისათვის ქარგლის ამ საფეხურის მოუხსენიებლობა შესაბამის დოკუმენტურ მასალაში მივიჩნით იმის ნიშნად, რომ იგი საერთოდ არ იყო დამახასიათებელი ქართული ამქრისათვის.

<sup>80</sup> შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 153.

ხელოსნური წარმოების საკითხები  
- წერილობით წყაროებში

ხელოსნური წარმოების საკითხები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ნაკლებადაა გამოკვეთილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ამ მხრივ მეტად ღარიბია, ის მხოლოდ დასამუშავებელ მასალას იძლევა, რომლის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე შ. მესხიამ ხელოსნობას ძველ საქართველოში (V-XII სს.) სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა<sup>1</sup>. მან გაარკვია V-XII სს. საქართველოში მოქმედი ხელოსნური დარგები და მათი წარმომადგენელი: მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ნ ი და ა ვ ე ჯ ი ს მ კ ე თ ე ბ ე ლ ნ ი, ჭ უ რ ჭ ე ლ თ ა მ თ კ მ ე დ ნ ი და ჭ უ რ ჭ ე ლ თ ა მ ჭ ე დ ე ლ ნ ი, მ ე კ ე ც ე ნ ი; მ ქ ს ო ვ ე ლ ნ ი და მ კ ე რ ვ ა ლ ნ ი, მ ე ხ ა მ ლ ე ნ ი; მ ჭ ე დ ე ლ ნ ი რ კ ი ნ ი ს ა და რ ვ ა ლ ი ს ა, თ ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ ნ ი; მწიგნობრობასთან დაკავშირებული ხელოსანი — ე ტ რ ა ტ ი ს შ ე მ ქ მ ნ ე ლ ნ ი, გა დ ა მ წ ე რ ნ ი, წ ი გ ნ ი ს შ ე მ კ ე რ ა ვ ნ ი და მ კ ა ზ მ ა ვ ნ ი, მ ხ ა ტ ვ ა რ ნ ი; ხ ა რ ა ზ ნ ი, მ ზ ა რ ე უ ლ ნ ი, ქ უ ქ ა ნ კ ნ ი, მ ე წ ი ს ქ ვ ი ღ ე ნ ი, ნ ა ვ ი ს მ კ ე თ ე ბ ე ლ ნ ი<sup>2</sup> და სხვა.

„ველოსანი“ ძველ საქართველოში თანამდებობის პირს აღნიშნავდა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „მოკელეც“<sup>3</sup>. შ.მესხიას აზრით, ხელოსნებს ზოგადად „ხურო“ ეწოდებოდა, შემდეგ ხდება ამ ცნების შეზღუდვა და ის უკვე მაშენებელ ხელოსანს გამოხატავს<sup>4</sup>. ხელოსნის აღსანიშნავად „ხელობის“ პარარელურად „ველოვანიც“ იხმარებოდა<sup>5</sup>. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით „მოქმედი“

<sup>1</sup> შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.), „საისტორიო ძიებანი“, ტ. I, თბ., 1982, გვ. 9-198.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 15-165.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 19-20.



ეწოდებოდა აგრეთვე ამა თუ იმ ხელობის, ამა თუ იმ საქმის მცოდნესაც<sup>6</sup> მაგ., „მოქმედი სელისა“ აღნიშნავს ტილოს მქსოველს<sup>7</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი „ჯელოსანს“ უკვე გარკვევით მნიშვნელობით ხმარობს<sup>8</sup>.

„ოსტატი“ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თავის, უფროსის, მოძღვარის, მასწავლებლის, ხოლო XVIII ს-დან ხელოსნის მნიშვნელობით იხმარება<sup>9</sup>.

ხელობის აღმნიშვნელად ხშირად „ჯელთსაქმარიც“ იხსენიება<sup>10</sup>, მაგ., „ჭიჭნაუხტ-აბრეშუმისა“, რაც ქალის ხელსაქმეს — ხელთსაქმარს (აბრეშუმისა თუ ოქრომკედისა) აღნიშნავს<sup>11</sup>. გვხვდება „სელის ჯელთსაქმარიც“, მაგ., ასეთ კონტექსტში — „იყიდოს სელი ჯელთ-საქმარად“<sup>12</sup>.

კელი ხელობის მნიშვნელობით იხმარება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“<sup>13</sup>, რომელიც ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ძველ საქართველოში ხელოსნობის მრავალი საკითხის გასარკვევად. ჯერ ერთი, იგი ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ აქ იხსენიება ხელობის ორი დარგი, რომლის რაობა მეცნიერებაში საბოლოოდ დადგენილი არ არის. ეს ძეგლი საყურადღებოა ხელოსნობის განვითარების გარკვეული დონის წარმოსადგენად.

აღნიშნული ძეგლის შინაარსი ასეთია: ხოსრო მეფის მეფობის მეათე წელს მცხეთაში სპარსეთიდან მოვიდა მოგვი გზრობანდაკ, რომელმაც მცხეთაში შეისწავლა ხარახობა (ტექსტის მიხედვით იგი „ისწავებდა ჯ ე ლ ს ა მ ე ჯ ა მ ლ ო ბ ი ს ა ს ა“), რის შემდეგაც ითხოვა მან ცოლად ქრისტიანი, თვითონაც ქრისტიანობა მიიღო და იწოდა სახელად ევსტათი.

წყარო მოგვითხრობს, რომ იგი ვითარცა ქრისტიანი მონაწილეობას იღებდა ქრისტიანთა რელიგიურ დღესასწაულში და არა „ტოზიკობდა“ (დღესასწაულობდა) მ ო გ ვ მ ე ჯ ა მ ლ ე ე ბ თ ა ნ დ ა მ ე ჯ ა დ ა გ ე ე ბ თ ა ნ. ამის გამო იგი დანარჩენ შვიდ სპარსელ ხელოსანთან ერთად შეიპყრეს და თბილისს წარგზავნეს. მან აქ ექვს თვეს დაჰყო, მერე

<sup>6</sup> ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, სიტყვასთან „მოქმედი“.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 22.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>11</sup> ი. ც. უ. რ. ტ. ა. ვ. ე. ლ. ი., მარტვილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე., ტფილისი, 1938 წ., სიტყვ. „ჭიჭნაუხტი“.

<sup>12</sup> ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე., დასახ. ლექს., სიტყვ. „ჯელთსაქმარი“.

<sup>13</sup> შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 25.



ისინი ქართველი მთავრების თხოვნით გაათავისუფლეს. სამი წლის შემდეგ თბილისში დაინიშნა ახალი მარხპანი. ევსტათი თანამშრომლებმა კვლავ დაასმინეს. იგი შეიპყრეს და მოსთხოვეს ქრისტეს „რჩეულის“ დატოვება და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარება; ევსტათიმ უარი განაცხადა, რის გამოც აწამეს<sup>14</sup>.

როგორც აღინიშნა, ტექსტში იხსენიება ხელობის ორი დარგი — „მეკამლეობა“ და „მეჯადაგეობა“. „კამლი“ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ზოგადად ფეხსაცმლის მნიშვნელობით იხმარებოდა. პალიმფსესტებიდან ამოკითხულ დაბადების ხანმეტურ ნაწყვეტებში წერია: „შეხაცეთ ბეჭედი კელსა მისსა და კ ა მ ლ ი ფერხთა მისთა“ (ლუკა, XI, 22)<sup>15</sup>, ხოლო დაბადების ოშკურ ხელნაწერში კი ასე — „შეჰმოსა მას სამოსელი და შეარტყა სარტყელი და შეასხა მათ კ ა მ ლ ე ბ ი“ (ლევიტელთა 8,7). თეიმურაზ ბაგრატიონის ბრძანებით 1800 წ. გადაწერილ „წმიდათა ცხოვრებისადმი“ დართულ სიტყვათა განმარტებაში აღნიშნულია — „კ ა მ ლ ი არს ფერკთსაცმელი“. ასევე განმარტავს მას საბაც<sup>16</sup>.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მეკამლეობა მეფეხსაცმელეობას შეესატყვისებოდა, წერს შ. მესხია. ამგვარად თარგმნიდა ივ. ჯავახიშვილი მას გერმანულადა. პარნაკისათვის — „Schuhmacherhand werk“, მეკამლე კი „Schumacher“-ად უნდა ეთარგმნა, მაგრამ „Sandalenmacher“-ად აქვს ნათარგმნი<sup>17</sup>. თუ ტექსტის ქართულ წყობას მივყვებით, წერს ავტორი, იგი ასეა წარმოდგენილი — „მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეკამლენი“, მაშინ გერმანულად ასე გადაითარგმნება — „Zu dieser Zeit versammelten sich die Perser, die in Mzcheta waren-die Schumacher und Sandalenmacher (Das Martyrium des heiligen Eustatius, 876<sup>26-27</sup>—877)“.

ზემოთქმულის შემდეგ, წერს შ. მესხია, ცხადი უნდა იყოს, რომ „Sandalenmacher“, ე.ი. „მეცანდალე“ ანუ კამლის ერთი გარკვეული სახის მკერავი, შეუძლებელია „მეკამლე“ ცნების გამოხატველად ვიგულვოთ. ვთქვათ, ქართული ტექსტის წყობა დარღვეულია და მეკამლე „Schumacher“-ად არის თარგმნილი, ხოლო „მეჯადაგე“ — „San-

<sup>14</sup> „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1949; შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, თბ., 1945, გვ. 55.

<sup>15</sup> შ. მესხია დასახ. ნაშრ., გვ. 140; იმოწმებს ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 384.

<sup>16</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 105.



dalenmacher“ -ად. მეჯადაგე, როგორც ტერმინი, წერს შ. მესხია მხოლოდ ერთგან გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში. მისი ტექსტის იგივე „ჯადაგისაგან“ ნაწარმოები სხვა სიტყვა არ მოხსენიებულია. თუ იგი, „ეკსტათის მარტივობაში“ მოხსენიებული, თანამედროვე ქართულით ისევ მეფესაცმელეთი გადმოიცემა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციის შედეგია<sup>18</sup>.

„მეჯადაგე“ — „მეჯღანეა“, — განმარტავს საბა, თუმცა მას ამისათვის არავითარი საფუძველი არ მოეპოვება, წერს ავტორი. „მეჯადაგე რომ მეჯღანედ ვიგულისხმით, მაშინ გამოვიდოდა, რომ „შეიკრიბნენ“ იგივე მეფესაცმელენი და მეჯღანენი, რაც ცხადია, უაზრობაა“. შემდეგ შ. მესხიას მოჰყავს გ. გამყრელიძის საღისურტაციო ნაშრომის („ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში“) სათანადო ადგილები, სადაც ს. ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილისეული განმარტებით მეჯადაგე და მეჯამლე წადების მკერავს აღნიშნავს, რაც ტექსტის გაგების თვალსაზრისით, შ. მესხიას უაზრობად მიაჩნია<sup>19</sup>. არც მეჯადაგის მეცანდალედ გაგება მიაჩნია მას მართებულად, რადგან „კამლი“ ფეხსაცმელთა ზოგადი სახელი იყო. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, არავითარი საფუძველი არ არსებობდა „მეჯადაგის“ მეჯღანედ, ან მეცანდალედ და მით უმეტეს Schumacher-ად გაგებისათვის<sup>20</sup>.

ჯერ ერთი, მეჯამლეობა ზოგადად მეფესაცმელეობას აღნიშნავს, მაგრამ, როგორც თვით ავტორი განმარტავს, ისიც გარკვეული სახის ფეხსაცმლის მკერავს — ხარაზს ნიშნავდა, რომელიც წუღას (ფეხსაცმლის ერთი სახეობა) კერავდა; მეცანდალე ანუ სანდლის მკერავი უკვე სხვა ხელობაა, ვინაიდან სანდალი<sup>21</sup> ფეხსაცმლის მეორე, დამოუკიდებელი სახეობაა. ამდენად, ტექსტში იგულისხმება ორი სხვადასხვა სახეობის ფეხსაცმლის მკერავი, რაც საბოლოოდ მაინც ერთი ხელობის დარგის ხელოსნებს განეკუთვნებოდა და ჩვენ მათი ერთმანეთის გვერდით მოხსენიება ცოცხად არ მიგვაჩნია.

ცნობილია, რომ საქართველოს ქალაქების ხარაზთა ამქარში ერთიანდებოდნენ ტყავის მასალაზე მომუშავე ხელოსნები: დაბადები, ხარაზები, მეწაღეები, ჭონები, სარაჯები და სხვ., რაც ამ დარგის ვიწრო სპეციალიზაციით იყო გამოწვეული და რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ამქარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც შ. მესხია აღნიშნავს, „მარტივობის“ ტექსტში ის რამდენჯერმე მოხსენიებული არ იქნებოდა; რომ მეჯადაგეობა ხელობის რაღაცა გარკვეული დარგი

<sup>18</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> ხშირად ტექსტში სანდალი და კამლი ერთმანეთს ცვლის, იხ. ი. აბულაძე, დასახ. ლექს, სიტყვასთან „სანდალი“.

იყო და რომ „მარტვილობის“ ტექსტში არავითარ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე, ეს ცხადია. „უფრო საფიქრებელია, რომ „მეჯადაგობის“ ხელობის ისეთი დარგის წარმომადგენლები იყვნენ, რომელიც ახლო იდგა მეფესაცმელობასთან. ამის გარკვევით თქმისათვის კი, თუ რა დარგის ხელოსნები იყვნენ ისინი და რას ეწოდებოდა მეჯადაგეობა, არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება ჩვენ, როგორც იმათ, რომელთაც მეჯადაგეობა მეფესაცმელობად ჰქონდათ გაგებული“<sup>22</sup>.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საბას განმარტება მეჯადაგის შესახებ, რომ ის მეჯღანეა, რომლის მნიშვნელობა რატომ-ღაც ავტორთათვის მიუღებელი და შეუძომებელი აღმოჩნდა. მეჯღანის არსებობა საქართველოს ქალაქების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე მოწმდება. 80 წ. ვასილ ზაქარიას ძე ბელმანიკაშვილის (თელავი 1971 წ., 9 VII) ცნობით, მეჯღანე ცალკე იყო, ხარაზებიდან ვინც გაკოტრდებოდა, ან დაბერდებოდა, ის იყო მეჯღანე. ეთნოგრაფ ი. ნანობაშვილის განმარტებით, მეჯღანეები ძველმანებს, ძველ ხარაზულ ჩუსტებს აკერებდნენ. „ჯღანი“ ფესხაცმლის გარკვეული სახეობა<sup>23</sup>, ამდენად მეჯღანე თავისი ხელობის ბუნებით უფრო ახლოსაა ხარაზთან. ეთნოგრაფიული მასალებითაც ისინი ხარაზების ამქარში ერთიანდებოდნენ და გაუგებარი არ იქნება, რომ მეჯადაგე მეფესაცმელედ იქნეს ახსნილი. ხოლო ტექსტის გაგების თვალსაზრისით მეკამ-ლე უნდა გავიგოთ როგორც ხარაზი, ხოლო მეჯადაგე როგორც მეჯღანე და არა მეცანდალე.

შემდეგ, „ვესტათი მცხეთელის მარტვილობა“ ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ აქ აღნიშნული ხელობის წარმომადგენლები რაღაცა სახის ორგანიზაციულ კავშირში ჩანან გაერთიანებულნი, რაც თავის მხრივ მეტად საგულისხმო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა თვით ხელოსნობის განვითარების დონის წარმოსადგენად.

<sup>22</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

<sup>23</sup> ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, გვ. 134; „სინამრეწველობის მასალებში“ „ჯადაგი“ — ფესხამოსი დასახელებულია ფესხაცმლის სხვადასხვა სახეობათა შორის, განმარტება არ ახლავს; „ჯღანის“ შესახებ აღნიშნულია, რომ ის ეწოდებოდა დაცვეთილ ჩუსტებს და ქალმებს, იხ. შ. მ., ტ. III, ნ. I, გვ. 27; შდრ. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 415; ყველა ზემოთხსენილი საბუთის მიხედვით უფრო მიხანშეწონილია მეჯადაგის მეჯღანედ წარმოღგენა, ვიდრე შ. მესხიას და ს. ჭანტურიშვილის აზრი მეჯადაგის მეჯღანედ ჩათვლისა, იხ. მათი, Города и городский строй ..., გვ. 29; მეჯადაგეობა და მეკამლეობა V-X სს. საქართველოში „საქარაველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 105, № 2, 1982, გვ. 437-440.

მკვლევართა ამოსავალს, როცა ისინი ძველ საქართველოში ხელოსანთა ორგანიზაციის არსებობაზე მიუთითებენ, წერს, შ. მესხია, „ვესტათის მარტვილობა“ წარმოადგენს. აკად. ს. ჯანაშიამ თავის დროზე აღნიშნა, რომ „ვესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ცნობის მიხედვით შეიძლება დაიბადოს საკითხი ხელოსანთა რაიმე კოოპერაციული კავშირის არსებობის შესახებ VI ს. საქართველოში<sup>24</sup>.

საერთო დღესასწაული დამახასიათებელია ამქრული წყობილები-სათვის. ასეთსავე ეჭვს აძლიერებს ამ ხელოსნობის საერთო სოლიდარული მოქმედება გარკვეული შემთხვევის გამო. ავტორი იხიარებს ს. ჯანაშიას ამ მოსაზრებას და თავის მხრივ დაასკვნის, რომ, მართლაც, „ვესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ცნობები მხოლოდ საკითხის დასმის შესაძლებლობას იძლევა<sup>25</sup>.

გ. გამყრელიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში „ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში“ ამტკიცებდა, რომ მცხეთაში ამ დროს ხელოსნური მრეწველობა, იმდენად განვითარებულია, რომ განსაზღვრული დარგის ხელოსნებს კორპორაციაც კი აქვთ შექმნილი, რომელიც თავის გავლენასა და კონტროლს ხელოსანთა რელიგიაზეც კი ავრცელებს<sup>26</sup>. ამგვარი მტკიცების საფუძველს ავტორისათვის წარმოადგენს „ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ დაცული ცნობა ხელოსანთა ორგანიზაციული გამოსვლის შესახებ გაქრისტიანებული ვესტათის წინააღმდეგ<sup>27</sup>.

ერთი შეხედვით, წერს, შ. მესხია, ზემომოყვანილი მტკიცება სწორი ჩანს, მაგრამ, თვით წყარო ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. მაინცდამაინც არ მტკიცდება გ. გამყრელიძის ძირითადი არგუმენტი, რომლის მიხედვით „მეჯადაგენი“ და „მეკამლენი“ ორგანიზაციულად გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათმა თანამოსაქმემ უღალატა ნაციონალურ რელიგიას. სინამდვილეში კი, აღნიშნავს ავტორი, ისინი გამოდიან საერთო „რჩულის“ დამცველებად და აბეზდებენ ყველას, ვინც მათ „რჩულს“ უღალატა, თუნდაც „მათი თანამოსაქმენი“ არ ყოფილიყვნენ. მართლაც, მცხეთელმა ციხისთავმა ვესტათისთან ერთად თბილისს რვა კაცი გაგზავნა ირანული „რჩულის“ დამთმობი და მეკამლეთა და მეჯადაგეთაგან დასმენილნი. ის გარემოება, რომ მათ მიერ ყველაზე ადრე ვესტათი იქნა დაბეზდებული, არაფრის მთქმელია, ვინაიდან მათ ყველაზე ადრე შეეძლოთ გაეგოთ იმ პირის საქმინობა, რომელიც თავისი ხელობით მათთან ახლო იყო, ვინ-

<sup>24</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> იქვე.

ემ სხვებისა, რომელთანაც მათ მხოლოდ რელიგიური რწმენა ავრ-  
თებდა<sup>28</sup>.

გარდა ამისა, ევსტათის მეორედ დააბეზდებენ სპარსნი და არა  
მეკამლენი და მეჯადაგენი. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, „ევსტათი  
მცხეთელის მარტვილობიდან“ არ ჩანს, რომ ხელოსანთა კორპორა-  
ციები თავის გაველენას და კონტროლს ხელოსანთა რელიგიაზეც ავრცე-  
ლებდნენ. შ. მესხიას აზრით, აქ მხოლოდ ირანული „რჩულის“ დამც-  
ველთა წინააღმდეგ ბრძოლაა მოცემული<sup>29</sup>. მისი აზრით, უფრო ანგა-  
რიშგასაწევია ის ცნობა, რომელიც მონათესავე დარგის ხელოსნების  
ჩვეულებაზე მიგვითითებს, რომ მათ „ერთად ედღესასწაულათ“ თავიან-  
თი უქმე, რაც სამართლიანად ბადებს საკითხს ხელოსანთა შორის  
რაიმე კორპორაციული კავშირის არსებობის შესახებ. ამ წყაროდან  
გარკვევით ჩანს, განაგრძობს ავტორი, რომ მეკამლეები და მეჯადაგეები  
„ტოზიკს“<sup>30</sup>, მათ რელიგიურ დღესასწაულს, ერთად იხდიდნენ. ხელოს-  
ნები, როგორც ჩანს, მხოლოდ იმათ მოუწოდებდნენ, რომელნიც მათი  
კვლისა იყვნენ<sup>31</sup>. მეკამლეებმა და მეჯადაგეებმა, როცა ევსტათი და-  
ასმინეს, აღნიშნეს, რომ ის „ჩ უ ე ნ თ ა ნ ა ტ ო ზ ი კ ს ა ა რ ა მ ო-  
ვ ი დ ი ს ა და ც ე ც ხ ლ ი ა რ ა გ ა მ ო ს ც ი ს და ჩ უ ე ნ ს ა  
რ ჩ უ ლ ს ა ჰ ე მ ო ბ ს ო“<sup>32</sup>. ხოლო, როცა მეკამლეებმა და მეჯადაგე-  
ებმა სხვებიც დაასმინეს, არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, მოვიდნენ  
თუ არა ისინი „ტოზიკზე“ და „ცეცხლი გამოსცეს“ თუ არა. ეს ცნობა  
ანგარიშგასაწევია და შეიძლება იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დროისა-  
თვის ხელოსნებს, მართლაც, რაიმე კორპორაციული კავშირი გააჩნდათ.  
მაგრამ მტკიცება ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით „ამქრულის“ ან  
ამქრის დარი ორგანიზაციის არსებობის შესახებ ავტორს შეუძლებლად  
მიაჩნია<sup>33</sup>.

კორპორაციების, ძმობის, კავშირის არსებობა, მისი აზრით, არ  
ნიშნავს ამქრის არსებობას. კორპორაცია, ძმობები, შ. მესხიას განც-  
ხადებით, ჰქონდათ მათხოვრებს, ქურდებს, მეძავ ქალებსაც, რომ-  
ლებიც ირჩევდნენ მამასახლისს, ადგენდნენ თავიანთ სასამართლოს,  
აწყობდნენ რელიგიურ პროცესიებსაც. ავტორის აზრით, ამგვარ ორგა-  
ნიზაციებში რომ ამქრული წყობა დაგვეჩახა, მაშინ იგი უნდა გვეძებნა  
ფეოდალის სასახლის ხელოსანთა კორპორაციებშიც, სადაც ისინი  
ერთი მოძღვრის, ხუცესის ხელქვეით ერთიანდებოდნენ. ხუროთმოძ-

<sup>28</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> იქვე.



დვართა, მხატვართუხუცესთა და სხვათა არსებობა „ხელოსანთა ფეოდალური ორგანიზაციების არსებობაზე მიგვიითიბებს“, — წერს შ. მესხია, „მაგრამ ის ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რომ ამ ორგანიზაციებში ამქრული წყობილება ვეძიოთ. თვით ამქრების მემამულის საბატონო სახლ-კარის ხასიათის ორგანიზაციიდან წარმოშობის თეორიის თვალსაზრისზე მდგომი მეცნიერებიც (ნიჩშე და გირკე) კი ამ შეხედულებას არ იზიარებენ“<sup>34</sup>.

ფეოდალის კარზე ხელოსანთა კორპორაციების არსებობა, მათი აზრით, შეადგენდა ამოსავალს, საიდანაც ამქრული ორგანიზაციები წარმოიშვნენ. ამის გამო, შ. მესხიას გადაჭარბებულად მიანია კ. კეკელიძის მოსაზრება VI ს. მცხეთაში ამქრული ორგანიზაციების არსებობის შესახებ. ასევე უარყოფს იგი გ. გამყრელიძის მოსაზრებასაც VI ს. მცხეთაში ამქრული ან ყოველ შემთხვევაში ამქრულის დარი ორგანიზაციების არსებობაზე<sup>35</sup>. ავტორის აზრით, ამქრების წარმოშობის მიზეზი თვით საქართველოს შინაგან წყობაში უნდა ვეძებოთ<sup>36</sup>.

ხელოსანთა ამქრების წარმოშობისათვის, შ. მესხიას აზრით, აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქალაქო ცხოვრების აყვავება და განვითარება, ამასთანავე ქვეყნის ფეოდალური დანაწილება და გამოქცეულ ყმა-გლეხთა და სოფლის თავისუფალ ხელოსანთა კონკურენცია ქალაქის ხელოსნების მიმართ<sup>37</sup>. საქალაქო ცხოვრების ზრდა და ქალაქებში თავისუფალ ხელოსანთა თავშეყრა, ყმა ხელოსანთა არსებობა და ლტოლვა ქალაქებისაკენ აუცილებელს ხდიდა ქალაქის თავისუფალ ხელოსანთა გარკვეულ ორგანიზაციებში გაერთიანებას, რათა ყმური შრომის ორგანიზაციისათვის თავიანთი ორგანიზაციები დაეპირისპირებინათ და ყმური ხელოსნური შრომა განედევნათ<sup>38</sup>.

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, საქალაქო ცხოვრების წინსვლა, თავისუფალ ხელოსანთა თავმოყრა ქალაქში და თავისუფალი ხელოსნური შრომის კონკურენცია ყმურისადმი, ხელოსნური წარმოების ზრდა და ამდენად მისწრაფება ასოციაციისაკენ, ქმნიდა პირობებს, რომელიც ხელს უწყობდა ამქრული წყობილების წარმოშობას საქართველოში<sup>39</sup>.

იყო თუ არა საამისო პირობები VI ს. მცხეთაში? დღეს თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე VI ს. მცხეთაში. მართალია, ამ დროს მცხეთას უკვე დაკარგული აქვს დედაქალაქობა, მაგრამ საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე არ მოშლილა

<sup>34</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 105, 185.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 185-186.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>39</sup> იქვე.

იქ შემდეგშიც, როგორც ამას მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები მოწმობს.

როგორც ცნობილია, ანტიკური მცხეთა წარმოადგენდა მცხეთის ხელოსნობის ერთერთ უდიდეს ცენტრს, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოსნობის მრავალი დარგი, განსაკუთრებით კი კერამიკა, მჭედლობა, თქრომჭედლობა, ქვითხურობა<sup>40</sup>. მცხეთაში აღმოჩენილ უნიკალურ მასალებს, როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკაცობრიო კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხის გასაშუქებლად და გასაცნობად<sup>41</sup>. გათხრების შედეგად დასტურდება მაღალი საქალაქო ცხოვრების მასშტაბები, კრამიტით დახურული საზოგადოებრივი დანიშნულების სახლები და სასახლეები (სტრაბონი)<sup>42</sup> „დიდ მცხეთას“ ხელოსანთა ცალკე უბნები — მოგვთა, ურიათა, რაბატი, სარკინე და სხვ. გააჩნდა<sup>43</sup>. კარსნისხევის მარჯვენა ნაპირზე გამოვლენილია „მ ც ხ ე თ ი ს კ ე რ ა მ ე ი კ ო ნ ი (ძვ. წ.ა. I — ახ. წ.ა. I ს.), მ ე თ უ ნ ე თ ა ც ა ლ კ ე და ს ა ხ ლ ე ბ ა ს ა წ ა რ - მ ო ო უ ბ ნ ი თ ა და ს ა მ ა რ ო ვ ნ ი თ“<sup>44</sup>. მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის (აქოლი) თანამდებობის<sup>45</sup> არსებობა მიუთითებს აღნიშნული ხანის მცხეთაში საქალაქო ცხოვრების და, კერძოდ, ხელოსნობის განვითარებას დაწინაურებულ დონეზე. ამდენად, შეუძლებელია, რომ VI ს. მცხეთაში არ ყოფილიყო ხელოსანთა თუნდაც ამქრული სახის კორპორაციული ორგანიზაციები.

ის პირობები, რაც შ.მესხიას ამქრის წარმოშობისათვის აუცილებლად მიაჩნია, თითქმის ყველა არსებობდა VI ს. მცხეთაში. დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე, ქალაქის თავისუფალი ხელოსნის შრომის დაპირისპირება ყმური შრომისადმი. ო.ლორთქიფანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ I-III სს. მცხეთაში არსებობდნენ წვრილი თავისუფალი ხელოსნები, რომლებიც უკვე აწარმოებდნენ ბაზრისათვის<sup>46</sup>. მათ კი უპირისპირდებოდა მსხვილი სახელოსნოები ხელოსნური შრომის ფართო გამოყენე-

<sup>40</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, აღ. კ ა ლ ა ნ და ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, I, თბილისი, 1955, გვ. 206; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1966 წ., გვ. 231-246; О. Л о р т к и п а н и д з е, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I-II вв. н.э., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, თბ., 1957, გვ. 116-123.

<sup>41</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, „სამეუფეო ქალაქი“ ქართლისა, „ძველის მეგობარი“, თბ., 1977, № 46, გვ. 10.

<sup>42</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, „სამეუფეო ქალაქი“..., გვ. 10.

<sup>43</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება..., გვ. 206.

<sup>44</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, „სამეუფეო ქალაქი“, გვ. 11.

<sup>45</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება..., გვ. 157.

<sup>46</sup> О. Л о р т к и п а н и д з е, указ. соч. с. 121.



ბით<sup>47</sup>. არც ისაა გამორიცხული, რომ მცხეთაში ამქარი ან მისი მაგვარი კორპორაცია წარმოშობილიყო ჯერ ფეოდალის — მეფის კარზე და შემდეგ თავისუფალ ხელოსნებს შორის. ამის დაშვების შესაძლებლობაც არსებობს მცხეთის საქალაქო ცხოვრების მიმართ. ცნობილი ანტიკური კრამიტი მზადდებოდა მეფის სახელოსნოებში ეზოსმოძღვრის ხელმძღვანელობით<sup>48</sup>. მაგრამ საქმე ის არის, რომ შ.მესხიას VI ს. მცხეთისათვის ამქრის არსებობა ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნდა. ამას წერდა ის 1942 წ. თავის საკანდიდატო დისერტაციაში, როდესაც მცხეთის ადრინდელი (1937-38 წწ.) გათხრების შედეგები იყო მხოლოდ ცნობილი. ხოლო ამქრის არსებობა IX-X სს. უკვე კანონზომიერად მიაჩნდა და წერდა საქართველოში ამქრების დიდი ხნის წინათ არსებობის შესახებ<sup>49</sup>. თუმცა 1959 წ. გამოცემულ წიგნში „Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.)“, Тб., 1959 г., მან ეს თარიღი კიდევ უფრო გადასწია და აღნიშნა, რომ X-XI სს. უკვე არსებობდა ყველა პირობა ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობისათვის საქართველოში<sup>50</sup>.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებითაც, არაბთა სახალიფოში ამქარი VIII ს. უკვე არსებობდა და X-XII სს. საქართველოში მათი გავლენის გამო ის თბილისშიც უნდა ყოფილიყო<sup>51</sup>.

ნ. ბერძენიშვილის დაბეჯითებითი თქმითაც, ხელოსნები XIII ს. საქართველოში ჰამქრებით ცხოვრობდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამქრობა უფრო ძველად სცოდნიათ და XIII ს. კი მას დასრულებული სახე მიუღია<sup>52</sup>.

ს.ჯანაშიაც აღნიშნავდა, რომ X-XIII სს. საქართველოში, მართალია, პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ, საფიქრებელია, ამქართა არსებობაც<sup>53</sup>.

მაშასადამე, გამოდის, რომ ყველა ზემოაღნიშნული ავტორი ამქრის არსებობას X-XII სს. საქართველოსათვის უკვე კარგა ხნის წინათ არსებულად მიიჩნევს, ამიტომ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ამქარი ან ყოველ შემთხვევაში მისი მაგვარი კორპორაცია VI ს. მცხეთაში ცნობილი ყოფილიყო.

<sup>47</sup> О. Лорткипанидзе, Ремесленное производство в Мцхете в I-III вв. н.э. (к изучению экономики городов Иберии античной эпохи), Л.-Тб., 1956, с. 55; საკანდიდატო დისერტაცია.

<sup>48</sup> О. Лорткипанидзе, указ. соч., с. 271.

<sup>49</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 270.

<sup>50</sup> М е с х и а Ш. А., Города..., с. 322.

<sup>51</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1907.,

გვ. 41.

<sup>52</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

<sup>53</sup> იქვე.

ხელოსან-ვაჭართა გაერთიანების კვალი სასანურ ირანში სათახა-  
დო მასალის მიხედვით პირველად ჩნდება V-VI სს. ნ. პიგულევსკაიას  
თვალსაზრისით, სასანური სპარსეთის ხელოსნური წარმოების გან-  
ვითარების მაღალი დონე და გაცხოველებული სავაჭრო საქმიანობა  
დასაყრდენს პოულობდა თავისებურ პროფესიულ ორგანიზაციებში.  
მართალია, ეს ორგანიზაციები პირდაპირ არაა დასახელებული წყა-  
რობებში, მაგრამ მათ არსებობაზე მიუთითებს შემოვლითი ხასიათის  
ცნობები<sup>54</sup>. ამ ცნობებში იგულისხმება კ. ტრევერის მოსაზრება. სა-  
სანელთა ირანის ხელოსნების ნაწარმის დამზადების მაღალი ტექ-  
ნიკისა და ხელოსნურ წარმოებაში შრომის განაწილების საკმაოდ  
მაღალი დონის შესახებ, რასაც ფეოდალური ფორმაციის პირობებში  
უნდა გამოეწვია ცალკეული დარგების ხელოსნური კორპორაციების  
წარმოქმნა, რომლებიც შემდეგ ამქრული ხასიათის ორგანიზაციებში  
გადაიზარდნენ. ხელოსნური ორგანიზაციების არსებობის დამადასტუ-  
რებელია აგრეთვე V-VI სს. ირანის ქალაქების უბნების ნომენკლატურა  
და სხვ.<sup>55</sup>

ნ. პიგულევსკაიას მოსაზრებით, „ვესტათი მცხეთელის მარტვი-  
ლობიდან“ ირკვევა VI ს. მცხეთაში ხელოსნური კორპორაციების და  
კორპორაციული დღესასწაულების არსებობა. ავტორი კორპორაციების  
არსებობის ფაქტს ხედავდა „მეკამლეთა“ და „მეჯადაგეთა“ ერთობ-  
ლივი, ერთსულოვანი მოქმედების ფაქტში<sup>56</sup>. კ. კუციას აზრით, მარ-  
თალია, „ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ არ არის მოხსენიებული  
ხელოსნური კორპორაცია, მაგრამ ნ. პიგულევსკაიას მოსაზრების სა-  
სარგებლოდ ლაპარაკობს აღნიშნული ხანის მცხეთაში საქალაქო  
ცხოვრების და, კერძოდ, ხელოსნობის განვითარების საკმაოდ მაღალი  
დონე<sup>57</sup>.

მაშასადამე, თუ VI ს. არა, X-XII სს. ამქრული წყობა საქართ-  
ველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. საყურადღებოა, თუ რა  
ეწოდებოდა ამქრულ ორგანიზაციებს ამ დროს. ტერმინი „პამქარი“,  
ამქარი, როგორც ცნობილია, ძველი არ არის; ასევეა ამავე შინა-  
არსის მატარებელი და ქართულ მწერლობით ძველებში XVII-XVIII სს.  
ხმარებული „ასნაფი“ და „თაბუნი“. შ. მესხიას აზრით, ხელოსანთა  
ორგანიზაციის აღმნიშვნელ ტერმინს XIII ს. „ორტადი“ ეწოდებოდა<sup>58</sup>.


<sup>54</sup> კ. კ. უცი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, გვ. 131.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 132.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 133.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 197.



ტერმინი „ორტალი“ პირველად „რკონის სიგელში“ იხსენიება, იგი თურქული სიტყვაა და ამხანაგს, სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს ნიშნავდა<sup>59</sup>. საფიქრებელია, წერს შ. მესხია, რომ „ორტალი“ ვაჭრებთან ერთად ხელოსნებიც ერთიანდებოდნენ. მასვე მიიჩნია, რომ „ორტალი“//„ურტალი“ XIII ს. ადრე არსებობდა საქართველოში ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში<sup>60</sup>.

ინტერესს იწვევს ურტალის შემადგენლობაც. ამ ურტალის წევრები იყვნენ დიდვაჭარნი, ხოჯა სალიმის მემკვიდრენი, სომეხი ჰასან სუმბატის ძე და იოსებ ბულბაფოს ძე. ისინი დიდი მასშტაბის სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ როგორც ნაღდი ფულით („ლარი“), ისე უძრავ-მოძრავი ქონებით, უწინარეს ყოვლისა კი მიწის ნაკვეთებით. ურტალები საკრედიტო ოპერაციებსაც უძღვებოდნენ. თუ მოვალე სესხს დროულად ვერ გადაიხდიდა, მისი მიწა ურტალის საკუთრებაში გადადიოდა. როგორც ჩანს, ამგვარი მოვლენა ხშირი იყო XIII ს. საქართველოში<sup>61</sup>. ვაჭართა ამხანაგობების კვალი აშკარად ჩანს აღებული ხანის საქართველოს ქალაქებში. ამაზე მეტყველებს თუნდაც „ვაჭართუხუცესის“ ხსენება „ვეფხისტყაოსანში“<sup>62</sup>. ვაჭართუხუცესს ირჩევდნენ დიდვაჭართა წრიდან. მისი მოვალეობა იყო როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სოფლაგრების საქმეების მოწესრიგება<sup>63</sup>.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ორგანიზაციულ წესზე იყო დამყარებული ორტალებში გაერთიანებულ ვაჭართა თუ ხელოსანთა მოქმედება, უცნობია. არაფრის თქმა შეიძლება იმის შესახებაც, წერს შ. მესხია, ჰპოვებდა თუ არა თავის გამოხატულებას ქართული სინამდვილე ძველ ამქრულ წესებში, თუ აქაც არაბეთში და საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპაში დადასტურებული ამქრის წესები მქლავდებოდა<sup>64</sup>.

ამქრების, კორპორაციების ორგანიზაციული მხარე, ასევე ხელოსნური შრომის სახეები, მისი ხასიათი, შრომის ანაზღაურების პრინციპი შესწავლილი აქვს შ. მესხიას X-XII სს. საქართველოს სამონასტრო ხელოსნური წარმოების განხილვის საფუძველზე, სადაც სასულიერო ხელოსნურ შრომასთან ერთად იხსენიება ერისკაც ხელოსანთა შრომითი საქმიანობაც.

ირკვევა, რომ სამონასტრო საქმეებში თავდაპირველად მხოლოდ სასულიერო პირები მონაწილეობდნენ. ისინი თვით სწავლობდნენ

<sup>59</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> კ. კუციანი, დასახ. ნაშრ., გვ. 141-142.

<sup>62</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტროფები 1058, 1080, 1254, 1257.

<sup>63</sup> Месхиа Ш. А., Города..., с. 66.

<sup>64</sup> შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში, გვ. 198.

მათი ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელ ხელობას<sup>65</sup>. ამით აიხსნება, რომ საადმშენებლო და ზოგი სხვა ხელობის მცოდნე სასულიერო პირები საშუალო საუკუნეებში მრავლად იყვნენ. მაგ., ბასილ წარწერლის სიტყვებით, სერაპიონი იყო „სხუათა თანა... ფრიად შექმული წესითა ხურობისაჲთა“<sup>66</sup>.

საადმშენებლო ხელობის მცოდნე ყოფილა ილარიონ ქართველიც<sup>67</sup>. ეპიგრაფიკულ ძეგლებში, დასძენს შ. მესხია, ხშირად იხსენიებიან მაშენებელი სასულიერო პირები; მაგ., გომარეთის წარწერებში „მიქელ ხუცესი კალატოზი“<sup>68</sup>, ხოლო უბისის წარწერებში — „კალატოზი მამა მიქელი“<sup>69</sup>.

შ. მესხიას გარკვეული აქვს, აგრეთვე, რომ მშენებლობის საქმეებს გარდა, მონაზვნები ხელობის სხვა დარგებსაც მისდევდნენ. ერთ-ერთ მინაწერში მონაზონი ოქრომჭედელი მოიხსენიება<sup>70</sup>. მარტვილის ტაძრის ჯვარი, მასზე გაკეთებული წარწერის თანახმად, შესრულებული ყოფილა ბაგრატ IV-ის დროს „კელითა ივანე დიაკონისაჲთა“.

ხელობის სხვა დარგის წარმომადგენელი მონაზვნებიც იყვნენ, მაგრამ სამონასტრო ცხოვრებაში თითო-ოროლა ბევრს ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ ცდილობდნენ მონასტერში ჰყოლოდათ ხელოვანი ძმები, რომლებიც ძმობაშიც იქნებოდნენ და ამავე დროს თავიანთი ხელობით მონასტერს სათანადო სამსახურს გაუწევდნენ. შ. მესხიას გამიჯნული ჰყავს ძმობის „არახელოვანი“ წევრები „ხელოვანთაგან“. თუ პირველნი სულიერი ცხოვრებისათვის ზრუნვის გარდა „საერო“ საქმეს — სამეურნეო სამუშაოებსაც ასრულებდნენ, „ხელოვანი“ ძმები ამგვარ სამუშაოსაგან თავისუფლდებოდნენ და თავიანთი სპეციალობის მიხედვით მუშაობდნენ. ხოლო რაკი „ხელოვანი“ და „არახელოვანი“ ძმანი „ყოველნი ძრიერად შურებიან“, გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, თანასწორობა მაინც არ ირღვეოდა და ყოველნი „უდრტვინველად და სიხარულით“ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს<sup>71</sup>.

მონასტერში გავრცელებულ ხელობას, რომელსაც ძმობაში მყოფი მონაზვნები მისდევდნენ, მწიგნობრობასთან დაკავშირებული ხელოს-

<sup>65</sup> შ. მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტერში, „მიმოიხილველი“, თბ., 1949, II, გვ. 57.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>71</sup> იქვე.



ნები იყვნენ — „ეტრატის შემქმნელნი“, „გადამწერნი“, „მეკაზმავნი“ და სხვ.

„მწიგნობრობის კელობის“ მცოდნე ძმები პირველ რიგში თავისი მონასტრისათვის იღვწოდნენ და მისთვის საჭირო ეტრატს ამზადებდნენ, თუ წიგნს წერდნენ. ამავე დროს ისინი სხვისი დაკვეთითაც მუშაობდნენ და სათანადო სასყიდელსაც იღებდნენ. „სასყიდელით წერა“ ხელს არ უშლიდა სულის საქმისათვის ზრუნვას. მაგ., თეოფანე ხუცესს როგორც მონასტერში, ისე მონასტრის გარეთაც უმუშავნია და თავისი ხელობით 1500 დრაჰკანი მოურეწია<sup>72</sup>.

მონასტრის ძმობაში სხვა ხელობის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. მაგ., ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში ნათქვამია: „აღაპი განუწესეთ გიორგი მჭედელსა ქართველსა, დიდად ემსახურა ეკლესიისად მისა სიცოცხლესა“<sup>73</sup>. აღაპი განუწესებიათ აგრეთვე ოქროპირ ხარაზისათვის<sup>74</sup>. ძმობაში მყოფი ხარაზი ჯვარის მონასტერშიც ჰყოლიათ. მის აღაპებში გიორგი „ხარაზი“ რამდენიმეჯერაა მოხსენიებული. მონასტრის ძმობის წევრს გიორგი ხარაზს, როგორც შ. მესხია აღნიშნავს, საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონია თავისი ხელობიდან. მას მონასტრისათვის 500 დრამის შეწირვა შესძლებია<sup>75</sup>.

მონასტერში, მართალია, საკმაოდ იყვნენ ხელოსანი ძმები, მაგრამ მათი შრომა მაინც საკმარისი არ აღმოჩენილა, ამიტომ თანდათან ჩნდება „ერისკაც-დაქირავებულ“ და „მსახურ-ხელოსანთა“ შრომაც<sup>76</sup>. პირველად, როგორც აღინიშნა, მონასტერში გაურბოდნენ სხვების შემოყვანას, მაგრამ ამის გატარება მათ ვერ შესძლებიათ. საქმე ისე გართულებულა, რომ ათონის მონასტერში სამუშაოდ აუყვანიათ ბერძენი მჭედლები, ხუროები, გალატოხები, ნავისმოქმედნი და სხვ. ხელობის წარმომადგენლები<sup>77</sup>. ამავე მონასტერში „მეკამლე“ ანუ „ხარაზი“ ოსტატებიც იყვნენ, რაზედაც მიუთითებს „საწანგროს“ მოხსენიება, რაც „სახარაზოს“ აღნიშნავდა, დასქენს ავტორი<sup>78</sup>.

ხემაღლინულ ხელოსანთა გარდა, ივერთა მონასტერს „ნიადაგ მსახური“ ხელოსნებიც ჰყავდა — მეპურენი ანუ ხაბაზნი და მზარეულნი.

<sup>72</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 63.



ყველა ზემოხსენებულ ხელოსანთ, მონასტრის ძმათაგან განსხვავებით, ათონის ივერთა მონასტერში „გელოანთ“ უწოდებდნენ<sup>79</sup>. მონასტერში „შეწირული“ ხელოსნებიც იყვნენ. „შეწირულ“ ეკლესიებისა და მონასტრისათვის „სააღაპოდ“ შეწირულნი იგულისხმებოდნენ<sup>80</sup>. „შეწირულნი“ სხვა ყმებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, მით უმეტეს შეწირული ხელოსანი, რომლის მოვალეობა შეწირვის დროს ყოველთვის გარკვევით იყო ხოლმე აღნიშნული<sup>81</sup>. მაგ., ანტონ ჭყონდიდელმა სთხოვა თამარს მემღვიმეთათვის შესაწირავად „წყლის მკაზმავიც“ ეწყალობებინა. თამარ მეფემ მწიგნობართუხუცესის ეს თხოვნაც შეიწყნარა. „ეს გლეხი მიწად ერთი და კუამლად ორი“, — ქოსოსძენი — თამარის მიერ ბოძებული, ანტონ ჭყონდიდელმა მღვიმის მონასტერს შესწირა და მათ თავიანთი მოვალეობა „შეწირულების წიგნით“ მტკიცედ განუსაზღვრა. რაკი ისინი „საუკუნოდ მის წყლისა კაზმავად“ იყვნენ შეწირულნი, ქუქანებს თავიანთი ხელობა მონასტრის თაობებისთვისაც უნდა გადაეცათ<sup>82</sup>. ამრიგად, ქოსოსძეთ ყოველ თაობაში წყლის მკაზმავი ხელოსანი, ქუქანკი, უნდა მიეცათ მონასტრისათვის და ამით ამოიწურებოდა ამ ორი კომლი ყმის ყმური მოვალეობა და სამსახური. სხვა მხრივ ისინი შეუვალნი იყვნენ.

ქუქანკთა მსგავს შეწირულ ხელოსანს წარმოადგენდა გრ. სურამელის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის შეწირული მეწისქვილე, რომლის მოვალეობა „შეწირულების წიგნით“ ასე იყო განსაზღვრული — „წისქვილთა რაცა საკაზმავი უნდოდეს, ესევე ჰკაზმიდეს“<sup>83</sup>, ხოლო დანარჩენი ვალდებულებისაგან იგი შეუვალი იყო<sup>84</sup>.

წმინდა ძმათა ხელოსნური შრომა გამოყენებული იყო არამარტო მონასტერში, არამედ კერძო შემთხვევაშიც სათანადო მოგების შეძენის მიზნით<sup>85</sup>. ამისათვის კი მონასტრის წინამძღვრის უშუალო ნებართვა იყო საჭირო. მონასტერი იმდენად დაინტერესებული იყო ხელოსნის შრომის ანაზღაურებით, რომ ის თვით აძლევდა მას „მორეწვის უფლებას“ და აწარმოებდა ძმათა მონაგების აღრიცხვას. ეს მონაგებიც ძირითადად მონასტერს რჩებოდა<sup>86</sup>.

საქართველოს მონასტრებში, როგორც ჩანს, ხშირად იმართებოდა ე. წ. „სავაჭრო ერის კრებაჲ“, სადაც მონაზვნები აქტიურ მონაწილეობას

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 68.



იღებდნენ, რის გამოც რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ამოუკვეთია ეს „ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ე დ ა ს ო ფ ლ ი ო წ ე ს ო“ დასავლეთის საშუალო საუკუნეების ქართული მონასტრები, დასძენს ავტორი, არამარტო აწარმოებდნენ, არამედ ამნაწარმით ვაჭრობდნენ და საერო ცხოვრებაში ამ მხრივაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ<sup>87</sup>.

საგანგებო ყურადღებას აქცევს შ. მესხია სულიერ ძმათა შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლას ქართულ მონასტერში. მონასტრის ძმობაში, როგორც აღინიშნა, ყველაზე გავრცელებულ ხელობას „ველი მწიგნობრობისა“ წარმოადგენდა. ხელობის ეს დარგი რამდენიმე პირს აერთებდა, რომელნიც ერთ „დასში“ იყვნენ მოქცეული და მათ რომელიმე ამხანაგობის ხელმძღვანელი — „მწიგნობართა დასის“ უფროსი განაგებდა. ამგვარი ორგანიზაციის არსებობა კულტურულ ცენტრებში, როგორც შ. მესხია წერს, უთუოდ საფიქრებელია, რადგან მწიგნობართა „დასი“ უფროსით სათავეში სამეფო კარზე არსებულა. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „კურაპოლატს შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა<sup>88</sup>, რომელთაც საკუთარი „მთავარი“ — „მწერალთა ზედა მთავარი“ — ჰყოლიათ. „მწერალთა ზედა მთავარი“ მონასტრის წინამძღვრის კონტროლს ავრცელებდა ხელოვან ძმებზე და მათი შრომის აღრიცხვას აწარმოებდა“<sup>89</sup>. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, ერთიანდებოდნენ თუ არა ძმობაში მყოფი სხვა ხელოსნები ერისკაც ხელოვანთაგან განცალკევებულ ამხანაგობებში, თუ თავიანთი ხელობის მიხედვით მონასტერში არსებულ საერთო სახელოსნოებში მუშაობდნენ, უცნობია. ერთი კი ცხადია, დაასკვნის შ. მესხია, რომ „ველოვან ძმათ“ მონასტრის წინამძღვარი უშუალო კონტროლს უწევდა<sup>90</sup>.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად შ. მესხიას მიაჩნია ის ფაქტი, რომ მონასტერში, როგორც გ. მთაწმინდელის თხზულებიდან ჩანს, არამარტო მწიგნობრობას ასწავლიდნენ, არამედ ველოვნებასაც (ხელობასაც). აღმზრდელებად კი ყოველ მონასტერს „მოდვარი“ უნდა ჰყოლოდა. საერთოდ საქართველოს მონასტრებში, როგორც რუის-ურბნისის კრების დადგენილებიდან ჩანს, ზოგან „ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იყო მოძვარი“, რაც კრებას საჭიროდ არ მიუჩნევია და დიდ მონასტერში ორი, ხოლო მცირეში ერთი მოძვარი საკმარისად უცვნია. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, საშუალო

<sup>87</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 72.



საუკუნეების ქართული მონასტერი არამარტო  
 სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცოდნის ცენტრი იყო, არამედ სათანადო ხელობის  
 სწავლების შესწავლის მნიშვნელოვანი კერაც. ამხრივ  
 იგი მოგვაგონებს ხელოსანთა საკორპორაციო ორგანიზაციას — ამ-  
 ქარს, რომელიც ხელობა-ხელოსნობის სწავლებასა და ცოდნის გავრცე-  
 ლებას ხელს უწყობდა<sup>91</sup>.

ხელოვან ძმებს, როგორც მომუშავეებს, ზოგჯერ ლოცვისაგან ათა-  
 ვისუფლებდნენ. ეპიტრიტები (დამხედვარნი) გაფრთხილებული ჰყავ-  
 და მონასტრის წინამძღვარს, რომ „ცისკარზე“ ყველა გამოცხადებულ-  
 იყო, მაგრამ „რომელი ძლიერ შურებოდიან დღეჲ და ყოველ არა მოეცა-  
 ლებიან ძილი, დღისით იგი შრომაჲ მათი ლოცვადვე დაუთვალის“ და  
 მათი „ცისკარზე“ არ გამოცხადება აძლენად საპატიოდ ითვლებოდა.  
 სამაგიეროდ მომუშავე ძმებს დღესასწაულებში, კვირა დღეებსა და ცუდ  
 ამინდებში, ე.ი. არა სამუშაო დღეებში უნდა ელოცათ<sup>92</sup>.

„მწიგნობრობის კელის“ მქონე ძმებს სხვა უპირატესობაც ჰქონდათ.  
 ათონის ივერთა მონასტერში აკრძალული იყო სახმართა ყიდვა.  
 მხოლოდ „მწერლებს“ და საერთოდ „მწიგნობრობის კელის“ მქონეთ  
 ეძლეოდათ უფლება ზეთი ეყიდათ და ღამე კანდელი აენტოთ<sup>93</sup>.

სულ სხვა პირობები და ორგანიზაცია ჰქონდათ მონასტერში მო-  
 მუშავე ერისკაც-ხელოვანთ. გ. მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „დიდ  
 სვინაქსარს“ დართული აქვს დღესასწაულთა და უქმეთა სია, საიდანაც  
 ირკვევა, რომ ათონის ივერთა მონასტერში დადგენილი იყო საერო  
 „მუშაკთა“ და ძმათა უქმე, არასამუშაო დღეები. იმ უქმე დღეს, რომელ-  
 საც მოწერილი ჰქონდა „ყოველნი“, ერისკაცნი და ძმებიც უქმობდნენ,  
 ხოლო, „სადა, ყოველნი არა სწერიან“, მხოლოდ ძმები უქმობდნენ და  
 დღესასწაულობდნენ. მონასტერი ერისკაც-მუშებს უქმე დღეებშიც  
 იმდენსავე ხელფასს აძლევდა, რამდენსაც სამუშაო დღეებში, ამიტომ  
 ივერთა მონასტერში „საერო უქმენი“ ძლიერ შეუმცირებიათ. უქმეთა  
 ცხრილიდან ჩანს, რომ წელიწადის 53 დღესასწაულიდან, როდესაც  
 ძმები არ მუშაობდნენ, მონასტრის მუშები მხოლოდ 26-ს უქმობდნენ,  
 დანარჩენი 27 დღესასწაულის დროს კი მუშაობდნენ<sup>94</sup>.

სახელოსნოები (სამჭედლო, საწანგრო, სახურავნო და სხვ.), როგორც  
 გ. მთაწმინდელის თხზულებიდან ჩანს, იკონომოსს ექვემდებარებოდა.  
 რამდენადაც იკონომოსი წინამძღვრის თანაშემწე იყო სამეურნეო დარგ-

<sup>91</sup> უ მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 72.  
<sup>92</sup> იქვე.  
<sup>93</sup> იქვე.  
<sup>94</sup> იქვე.



ში, იგი ხელოსანთა და სახელოსნოთა მთავარი გამგებელიც იქნებოდა. მაგრამ ხელოსნებს ერთი „მოდღარი“ ანუ უხუცესი უნდა ჰყოლოდა. გ. მთაწმინდელის თხზულებიდან ირკვევა, რომ იკონომოსს დაქვემდებარებული მუშებიც ექვემდებარებოდნენ. მაგრამ, ამავე თხზულებიდან ჩანს, რომ მუშებს თავიანთი „უხუცესიც“ ჰყავდათ, რომელსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებოდნენ. შ. მესხიას აზრით, რაკი მონასტერს თითოეული ხელობის მრავალი წარმომადგენელი არ შეიძლება ჰყოლოდა (მაგ., მჭედელი ორი ან სამი იქნებოდა, ასევე ხურო და კალატოზი), ხელოსნებს, მუშების მსგავსად, ერთი უხუცესი — „ჯელოანთ უხუცესი“ უნდა ჰყოლოდათ, რომელიც მათი უშუალო განმგებელი იქნებოდა და იკონომოსზე დაქვემდებარებული პირი<sup>95</sup>.

როცა შენობა იყო ასაგები და რამდენიმე მაშენებელი სჭირდებოდა, მაშინ ხელოსნებს უფრო რთული ორგანიზაცია ჰქონდათ. „სერაპიონ ხარხმელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ მონასტერში მშენებლობის საქმეს ხელმძღვანელობდნენ ხუროთმოძღვარი, მისი თანამშემწე და „გამგებელი გალატოზთა“. იკონომოსის ამგვარი თანამდებობა, „გალატოზთა გამგებლობა“, შ. მესხიას აზრით, დროებითი უნდა ყოფილიყო მშენებლობის დამთავრებამდე. ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ზოგ მონასტერს შეიძლება მაშენებელი ხელოსანი ან სულ არ ჰყოლოდა, ან თუ ჰყავდა, სხვა დარგის ხელოსნებთან აერთიანებდა და ერთი უხუცესის ხელქვეშ აქცევდა.

ათონის ივერთა მონასტერში „ჯელოანთათვის“ სახმართა დაწესებული ნორმა არსებობდა, რომელიც, ჩანს, განსხვავდებოდა ძმათა ჩვეულებრივი ნორმისაგან. მაგ., ივერთა მონასტრის ტიბიკონში „ჯელოვანთა“ სახმარის ნორმის შესახებ ნათქვამია: „წმიდა მარხვის“ პირველ კვირას „მჭედელთა და მეჯორეთა და ნავის მოქმედთა და ხუროთაგან უკეთუ შურებოდიან, მიეცემოდის მეექუსესა ჟამს პური კრასაეული ღვინოი, თვნიერ ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევისა, რამეთუ ამა დღეთა შინა არავის გვენებოს ღვინისა სმაჲ, თვნიერ სწეულთაჲსა“; მაგრამ, თუ მომუშავე ერთხელ ჭამით არ დაკმაყოფილდებოდა, დამატებით მიეცემოდა მხოლოდ პური. დიდმარხვის შემდეგ კი მეჯორეთა და მჭედელთა მიეცემოდნენ პირველი სამკრისა პური და თითო კრასაეული ღვინო სადილად, ვითარცა მძიმისა საქმისა მოქმედთა“. ამგვარადვე ეძლეოდათ ნავის მკეთებელთ და ხუროებს, თუ მუშაობდნენ<sup>96</sup>.

თუ მონასტერში „ორგზის დაეცემოდა ტრაპეზი“, არავის მიეცემოდა დამატებითი ულუფა „გარეშე მძიმეთა სამსახურებელთა აღმას-

<sup>95</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

<sup>96</sup> იქვე, გვ. 77.

რულებელთადასა“. შემდეგ, თუ ძმები დღეში ორ-ორ კრასაულ ღვიზოს მიირთმევდნენ, „ველოანთ“ ორჯერ მეტი, ოთხ-ოთხი კრასაული უძლეოდღათ. შ. მესხიას აზრით, საჭმლის ეს ნორმა დაწესებული იყო არაბაბრტო ერისკაც-ხელოვანთათვის, არამედ საერთოდ მონასტრის „ველოვანთათვის“, რომელშიც ძმობაში მყოფნიც ივარაუდებოდნენ<sup>97</sup>. ამავე დროს მონასტერში მომუშავე ერისკაცთათვის (ხელოვან და არახელოვანთათვის) ცალკე მზადდებოდა საჭმელი, რომელსაც წმინდა ძმთა საჭმლისაგან განსხვავებით „საერო საჭმელს“ უწოდებდნენ<sup>98</sup>.

განსაკუთრებული იყო შეწირული ხელოსნის შრომის ანაზღაურება. თუ შეწირული ხელოსანი ისეთ საქმეს აკეთებდა, რომელიც თავისთავად შემოსავალს იძლეოდა, მონასტერი ამ შემოსავლიდან ნაწილს შეწირულ ხელოსანს უტოვებდა. მაგ., გრიგოლ სურამელის მიერ მონასტრის მეწისქვილედ შეწირული ხელოსანი სათანადო გასამრჯელოს შემდეგნაირად იღებდა: „ხრილისა ნახევარი ჩვენი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქვილისაჲ“ — ნათქვამია მეძღვიმეთა სიგელში<sup>99</sup>. ხრილის გარდა „მეწისქვილე საპატიოსა აიღებდეს“, ხოლო მინდის აღება მეწისქვილეს წელიწადში სამი დღის გარდა აკრძალული ჰქონდა. მაგრამ „საპატიო“ იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ მეწისქვილეს ჰყოფნოდა და „წელიწადის თავს“ მონასტრის წინამძღვრისათვის ძღვენიც უნდა მიერთმია. სხვა გასამრჯელო მას არ ჰქონია, იგი შეუვალი იყო<sup>100</sup>.

ქუქანკებს, რომელთაც მონასტრიდან შემოსავალი არ ჰქონდათ, მონასტერი თავისთავისა და ცოლშვილის გამოსაკვებად მიწის ნაკვეთს აძლევდა და ყოველმხრივ შეუვალს ხდიდა. მაგ., შიო მღვიმის ქუქანკებს შემწირველი მიწაზე ასახლებს და ამით მოუშლელ სარჩოს უჩენს<sup>101</sup>.

ამხანაგობის წესდების გატარების თვალყურის მადევნებლად მონასტერში საპოლიციო სფეროს მოხელენი „ეპიტრიტები“ (დამხვედვარნი) ჰყოლიათ, რომელთაც, სხვა მოვალეობასთან ერთად, ევალებოდათ სამუშაო და დასვენების დროის წესიერ გამოყენებაზე ზრუნვაც. საკორპორაციო სამართალი დამნაშავეთა წინააღმდეგ სასჯელთა მთელ სისტემას ქმნიდა.<sup>102</sup>

მაშასადამე, როგორც ზემომოტანილი მასალების განხილვიდან ჩანს, ქართულ მონასტრებში მტკიცედ იყო დადგენილი ხელოსანი ური (სასულიერო და ხელოვანთა) შრომის ფორმები, მისი შრომის ხასიათი, ანაზღაურების პრინციპი, სა-

<sup>97</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე.



სულიერო ხელოსნისა და დაქირავებულ კაცთა შრომითი საქმიანობა, მათი ურთიერთმართება, მათი შრომის ორგანიზაციის საკითხები და სხვ. ასევე მტკიცედ ხდებოდა მათი სამუშაო და დასვენების დროის რეგლამენტაციაც საგანგებო საპოლიციო მოხელეების მიერ.

ასეთი ხასიათის წყარო შუასაუკუნეების საერო ხელოსანთა საქმიანობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ყურადღებას იმსახურებს აბუსერის ძე ტბელის მონათხრობი ბოლოკ-ბასილის მიერ ჩრდილოეთ აჭარაში — შუარტყალში ეკლესიის აშენების შესახებ, სადაც ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით აღწერილია ხელოსნური შრომის მთელი პროცესი. წყარო XIII ს. (1233 წ.) განეკუთვნება.

მონათხრობის შინაარსი ასეთია: ბოლოკ-ბასილი, ვინმე ერისკაცთაგანი და ხელობით ქვითხურო ანუ კალატოზი მოსარეწელად ანუ საშოვარზე მიდის „ქუეყანასა სომხითისსა, მახლობლად თფილისსა“, სადაც ეკლესიის აშენებაში მონაწილეობს. აქ მას გამოეცხადება წმინდა გიორგი, რომელიც უბრძანებს მას, თავი დაანებოს ამ მუშაობას და თვითონ („ველითა მიერ ოდენ შენითა“) ააგოს ტაძარი კლარჯეთის უდაბნოში — ოპიზაში, რისთვისაც იქ მყოფ სტეფანე ბერს უნდა გამოართვას ჯორი და ქვისსათლელი იარაღის შესაქმნელი რკინა. ბასილს უჭირს ამ დავალების შესრულება, მაგრამ წმინდა გიორგი მას ოჯახის ამოწყვეტით ემუქრება. იგი იძულებულია დაემორჩილოს მის ბრძანებას. ბოლოკ-ბასილი ჯერ სახლში ბრუნდება, სადაც მის ნაამბობს არავინ არ იჯერებს, შემდეგ მიდის ოპიზაში, სტეფანე ბერს გამოართმევს ჯორსა და რკინას, ისევ სახლში ბრუნდება და აქ მარტომარტო ჯორისა და უღლეული ხარის დახმარებით იწყებს ტაძრის აშენებას. აქ მრავალნაირი საკვირველება ხდება, მშენებლობაში მას თვით წმინდა გიორგი ეხმარება და ასე ასრულებს იგი მარტო ტაძრის მშენებლობას. „და ესრეთ მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკვირველიო“, დასძენს ავტორი<sup>103</sup>.

პირველყოვლისა, ეკლესიის ასაშენებლად, მოგვითხრობს წყარო, თვითონ უნდა შეექმნა რკინის იარაღი, იგულისხმებოდა, რომ ქვითხურო, ალბათ, ჩვეულებრივად, მჭედლობასაც იცნობდა. შემდეგ ხდებოდა საძირკველის ორმოს გათხრა, რომელიც ხშირად შეიძლება ძალიან ღრმა ყოფილიყო, რადგან საძირკველი მტკიცე და მშრალ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო. ქვისა და სხვა მასალის მოსატანად მას სჭირდებოდა ერთი უღელი ხარი მაინც და ჯორი ქვიშის სატვირთავად. ქვას

<sup>103</sup> აბუსერის ძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერის ძე ტბელის საგვარეულო მატეანე 1233 წ., ტექსტი, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1941 წ., 4



ხელოსანი მარხილით ეზიდებოდა, ქვიშას რითი — არ ჩანს. ქვა შემდ-  
 ლება მას „მიწითაც ამოელო“, წერს ავტორი, თუ კი იპოვიდა, ანუ  
 რივი კი „კლდისაგან“ უნდა აღმოეკაფა იარაღის საშუალებით. ისევე  
 ხილი ქვა შემდეგ „იკაზმებოდა“, ე.ი. წინასწარ მზადდებოდა წასაღებად  
 და შემდეგ მარხილზე იდებოდა, ქვის საბოლოო დამუშავება ხდებოდა  
 საამშენებლო ადგილზე, ე.ი. მისთვის ამა თუ იმ ფორმის მიცემა და  
 გათლა; ამავე დროს მას უნდა შეეძადადებინა ე.წ. „წუენი“ ანუ დუღაბი,  
 უნდა „მოელო“ ქვიშა და კირი და ისინი ერთმანეთში „აეზილა“, შემდეგ  
 დაეწყო კედლის ამოყვანა და „ღორღისა და კირის შთასხმა“. ცხადია,  
 განმარტავს ამ ძეგლის გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი, აქ იგულის-  
 ხმება თლილი ქვით შემოსილი კედელი, რომლის შუაგული ღორღითა  
 და ქვითკირით ანუ ბეტონითაა ამოშენებული. „ქვის ქვაზე დასმა“ და  
 აგრეთვე „ბალაჰავრად დადება“ მუშაკს საკუთარი ზურგით უნდა  
 ეტვირთა. ასე აივებოდა „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქებითა  
 ფრიად დიდითა“.

როდესაც უფრო რთული ნაგებობა-ტაძრის აშენება იყო შესას-  
 რულებელი, მაშინ მას ხუროთმოძღვარის გარდა დასტრიალებდნენ  
 „მუშაკობით მოქმედნი“, „ქვის ქმნელნი“ და მათი თანამემწენი, ე.ი.  
 შავი მუშები, კალატონი და მათი თანამემწეები.<sup>104</sup>

მეტად საინტერესო ჩანს იმის მითითება, რომ ბოლოკ-ბასილი,  
 აჭარელი გლეხი, რომელსაც ავტორი ახასიათებს როგორც ერისკაცსა  
 და უსწავლელს, ხელოსნობით ირჩენს თავს. იგი კალატონია და,  
 როგორც ჩანს, სეზონურად დადის „მოსარეწად“, ანუ საშოვარზე თბი-  
 ლისის სანახებში და ამგვარად ცხოვრობს „გელითა მიერ თვისითა“.  
 მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, დასძენს ლ. მუსხელიშვილი, რომ ამ  
 მოსაგებად სიარულს აჭარაში საყოველთაო ხასიათი ჰქონია და ჩანს  
 ისეთი დიდი გაჭირვება აიძულებდა იქაურ გლეხს სადმე გარეთ ეშოვნა  
 დამატებითი სამუშაო „ღონედ სიგლახაკისა თვისისა“, რომ ამ მიზნით  
 უცხოეთშიაც კი მიდიოდნენ და ტყვეობის რისკსაც კი არ ერიდებოდნენ.  
 ამ მხრივ დამახასიათებელია ცხმორისის ორი მოსახლის, ე. ი. ჟუკვე  
 ქვემო აჭარლების ამბავი, რომლებიც სპარსეთის საზღვარზე წასულან  
 სამუშაოდ, იქ ტყვედ ჩავარდნილან და ძლივძლივობით დაბრუნებუ-  
 ლან სახლში. ბოლოკ-ბასილის საცხოვრებელი — შუარტყალი ხურო-  
 ბით ცნობილი ყოფილა. როდესაც X ს. ზარზმის ეკლესია აუგიათ,  
 ხუროთმოძღვრად მიუყვანიათ „ქუყვანისგან ბერძენთისა, ადგილიდან  
 ხუფათ წოდებულისა“, ხოლო თანამემწედ მისთვის „გალატონი მიუ-  
 ციათ, სახელით შუარტყლელი“, ე.ი. ბოლოკ-ბასილის თვისტომი. ცნო-

<sup>104</sup> ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., ტექსტის გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი, გვ. 14.

ბილია, წერს ავტორი, რა მყარი იყო ხელოსნობის ცენტრები შუა-საუკუნეებში და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ X ს. უნდა გავთავსოთ გორც XIII ს. ქვითხურობა შაურტყლის პრივილეგიას შეადგენდა. პერე კი აქაური მოსახლეობა (ზემო აჭარა) ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, ხითხურობით იყო განთქმული, ხოლო ქვემო აჭარა XIX ს. ცნობილი იყო იარაღების, განსაკუთრებით თოფების, წარმოებით<sup>105</sup>.

ასეთია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი მასალა ხელოსნობისა და ხელოსნური წარმოების ფორმების შესახებ. უდავოა, რომ კორპორაციების, ხელოსანთა ორგანიზაციების არსებობა მეტყველებს ხელოსნობის განვითარების საკმაოდ დაწინაურებულ დონეზე. ერთი მხრივ, გვაქვს თავისუფალ ხელოსანთა შრომა, რომელსაც უპირისპირდება სამეფო ან ფეოდალის კარზე არსებული მსხვილი სახელოსნოები ხელოსნური შრომის ფართო გამოყენებით. ეს განსაკუთრებით მცხეთური კრამიტის წარმოებაზე ითქმის, რომლის მასიური დამზადება ყალიბს არ იცნობდა. ასეთი დაპირისპირება აიძულებდა ხელოსანს გაერთიანებულიყო სათანადო ორგანიზაციაში კონკურენციის თავიდან ასაცილებლად. მცხეთის მაგალითზე ამის თქმა თავისუფლად შეიძლება. მას მხარს უჭერს „ვესტატი მცხეთელის მარტვილობაში“ დაცული ცნობა ხელოსნების სოლიდარული მოქმედებისა და მათი საერთო რელიგიური დღესასწაულის არსებობის შესახებ.

კარგად არის წარმოდგენილი X-XII სს. ქართული მონასტრის ხელოსნური წარმოება. დასტურდება ხელობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: ქვით ხურო//ვალატოხი//კალატოხი, მეხამლე//ხარაზი, ოქრომჭედელი, ნავისმოქმედი. მონასტერში გავრცელებული ხელობაა მწიგნობრობასთან დაკავშირებული დარგები — ეტრატის შექმნა, გაღაწერა, შემოსვა — შეკაზმვა და სხვ. ცნობილია აგრეთვე ნიადაგმსახური ხელოსნები (ხაბაზნი და მზარეულნი) და შეწირულნი — ქუქანკნი და მეწისქვილენი. ნაჩვენებია, როგორ ხდება სასულიერო ძმობის ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენება. ჯერ მარტო ძმები შრომობენ, მერე ჩნდება ხელოვანი ძმების კატეგორია, გამიჯნულია მათი საქმიანობა: ძმები სასულიერო და სამეურნეო საქმიანობას ეწევიან, ხელოვანნი — ხელოსნურს. ამათი შრომა უფრო ძვირი ღირს, ორმაგად ფასობს, როგორც ხელოსნისა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ კვებასაც, ისინი ვითარცა „მამუშრალნი“, თავისუფლდებიან „ციცკრის“ ლოცვისაგან, სანაცვლოდ მათ ევალებათ მისი

<sup>105</sup> აბუსერიძე ტ. ბელი, დასახ. ნაშრ., ლ. მუსხელიშვილის წინახიტიყვაობით, გვ. 13; ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974 წ., გვ. 60.

ასრულება კვირაობით და ავდარში. შემდეგ ხელოსანთა ეს შრომაც არ არის საკმარისი მონასტრისათვის და ჩნდება ერისკაც-დაქორავებული ხელოსანთა შრომის გამოყენებაც.

საშუალო საუკუნეების ქართული მონასტერი წარმოადგენს ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის („სავაჭრო ერის კრებაჲ“) და, რაც მთავარია, ხელობის (მწიგნობრობის) შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრსაც, რითაც ის გვიან ფეოდალური საქართველოს ამქარს ემსგავსება.

წარმოდგენილ მასალებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წარმოების „მორეწვის“ ფორმა. „მორეწვა“, ილ. აბულაძის განმარტებით, შექმნას, საზრდოს შოვნას, მოსაგებს, სარგოს ნიშნავს<sup>106</sup>. მორეწვა დასტურდება როგორც საშუალო საუკუნეების ქართულ-მონასტერში, ასევე ყოფაშიც.

მონასტერი არამარტო აძლევდა მორეწვის უფლებას ხელოსანს, არამედ ღაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მისი მეტი მოგებით, რადგან ამ მოგების მხოლოდ ნაწილი რჩებოდა ხელოსანს, დანარჩენი — მონასტერს. საყოველთაო ხასიათი ჰქონდა მას, როგორც დავინახეთ, აჭარაშიც ისე, როგორც საერთოდ მთელ საქართველოში. დიდი გავრცელება „ღონედ სიგლახაკისა თვისისა“ აიძულებდა ხელოსანს, სადმე გარეთ ეშოვნა დამატებითი სამუშაო „გელითა მიერ თვისთა“. საშოვარზე წასვლა იმდენად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა, რომ აქაური მოსახლეობა (ცხმორისი) უცხოეთშიც მიდიოდა და ტყვედ ჩავარდნასაც არ ერიდებოდა. ნ. მარს აქვს აღნიშნული, რომ ლაზები საშოვარზე გასულნი სამხრეთ რუსეთის საზღვრამდე აღწევდნენ<sup>107</sup>.

მაშასადამე, ერთის მხრივ, ივარაუდება ამქრული ხელოსნური წარმოება საქართველოს ქალაქებში (მცხეთის მაგალითზე), მეორეს მხრივ, გვაქვს საშუალო საუკუნეების სამონასტრო ხელოსნური წარმოება და ამავე დროს არსებობს ხელოსნური შრომის მეტად გავრცელებული მოცულების ფორმაც.

გვიანი შუასაუკუნეების წერილობით წყაროებშიც გვხვდება თითქმის ყველა იმ დარგის წარმომადგენელთა დასახელება, რაც ცნობილია ადრეფეოდალური ხანის წყაროებისა და განსაკუთრებით კი XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალებით.

მშენებლობის ხარჯებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში (XVIII ს.) იხსენიებიან დღიურად მომუშავე ხელოსნები: კალატოზები, ხუროები,

<sup>106</sup> ი. აბულაძე, დასახ. ლექსიკონი, სიტყვ. „მორეწვა“, „რეწვა“, „სარეწავი“.

<sup>107</sup> აბუსერძე ტბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.



დურგლები, ქვისმჭრელები, ქანქანები (მიწის მთხრელები) თავიანთი შეგირდებითა და დღიური მუშებით<sup>108</sup>.

გარკვეული გასამრჯელო, ხელფასი გადაკვეთილია დოკუმენტებში ისეთი ხელოსნებისათვის, როგორცაა ხარაზი, ნალბანდი, სარაჯი, მაზმანი, მესანთლე, დალაქი, ოქრომჭედელი, ჭონი, ხაბაზი და სხვ<sup>109</sup>.

სხვადასხვა ხელობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი დასახელებულია ნასყიდობისა და წყალობის წიგნებში, როგორც მოწმე; ესენი არიან: მეუნაგირე<sup>110</sup>, დალაქი<sup>111</sup>, მესანთლე<sup>112</sup>, ჭონი<sup>113</sup>, მეჭურჭლე<sup>114</sup>, ნალბანდი, ხარაზი<sup>115</sup>, ხაბაზი<sup>116</sup>, ოქრომჭედელი<sup>117</sup>, კერვალი, კუპრავი, კალატოზი<sup>118</sup>, სარაჯი<sup>119</sup>, ქვისმთლელი<sup>120</sup>, ყაზაზი<sup>121</sup>, ქურიქი<sup>122</sup>, მესტვირე<sup>123</sup>, მეაბანოე, მჩითავი, მექვაბე, მაზმანი<sup>124</sup>, მეჩახმახე<sup>125</sup>, ფეიქარი, მენახშირე<sup>126</sup>, თოფჩი<sup>127</sup>.

ქ.თბილისის 1774-81 წწ. აღწერის დავთრის ნაწერებში კვლავ იხსენიებიან ხელოსანთა შემდეგი წარმომადგენლები: მჭედელი, ფეიქარი, მეურმე, კალატოზი, ფეიქარი ივანე ძეგველი, ხარაზი, დალაქი, სარაჯი, მკერვალი (კრწანისში დაწერილა), მეწულე, ქვისმჭრელი, მესან-


<sup>108</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1939, გვ. 9, 13, 22, 163, 184; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), თბ., 1955, გვ. 7, 10, 12, 16, 27.

<sup>109</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 56, 82, 137.

<sup>110</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილი და მ. ბერძენიშვილი, თბ., 1964, გვ. 21.

- <sup>111</sup> იქვე, გვ. 35.
- <sup>112</sup> იქვე, გვ. 44.
- <sup>113</sup> იქვე, გვ. 42.
- <sup>114</sup> იქვე, გვ. 46.
- <sup>115</sup> იქვე, გვ. 47.
- <sup>116</sup> იქვე, გვ. 49.
- <sup>117</sup> იქვე, გვ. 78.
- <sup>118</sup> იქვე, გვ. 101.
- <sup>119</sup> იქვე, გვ. 110.
- <sup>120</sup> იქვე, გვ. 110.
- <sup>121</sup> იქვე, გვ. 130.
- <sup>122</sup> იქვე, გვ. 163.
- <sup>123</sup> იქვე, გვ. 168.
- <sup>124</sup> იქვე, გვ. 224.
- <sup>125</sup> იქვე, გვ. 227.
- <sup>126</sup> იქვე, გვ. 240.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 329; შდრ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 26, 170, 198, 222, 225, 275, 299, 311, 321, 336, 350, 351.



თლე, მეაბანოე, მკალავი, ძეგველი ჭონი, ოქრომჭედელი, მნითავი, მას-  
მანი, ნალბანდი, მექვაბე, მეჭურჭლე, მენახხახე, ხურო<sup>128</sup>, დაბარი<sup>129</sup>,  
ნაბდე, მეკონდახე, მეურმე<sup>129</sup>, მეკურტნე, მეღავაშე, ჭონი<sup>130</sup>,  
ხავი<sup>131</sup>.

1672 წ. მამულისა და სასახლის ნასყიდობის წიგნში მოწმედ  
ჩანს მცხეთელი მჭედელი<sup>132</sup>, ხოლო XVIII ს. II ნახევრის ს. არხოს  
მორიგეთა ნუსხაში იხსენიებიან: დურგალი პაპა, ძელქველი ხურო  
სარგისა, კალატოზი არაქელაშვილი, ანდრიელი ფეიქარი იასე<sup>133</sup>,  
დალაქი ფარემუხა, ქვისმჭრელი გრიქულა<sup>134</sup>. 1777 წ. თავდებობის  
წიგნში — ციხელი ბაყალი შამანა<sup>135</sup>. 1785 წ. ყმის დანებების წიგ-  
ნში — ივანე მჭედელი<sup>136</sup>; 1790 წ. სამართლის წიგნში — კალატოზი  
სტეფანე<sup>137</sup>. 1796 წ. ყმების ნუსხაში იხსენიება: სულხანა ხოდაშ-  
ენს ფეიქარი, დალაქი მიკირტუმა, ქისტაურს — ოჰანა მჭედელი, ფე-  
იქარი — თელავს<sup>138</sup>, XVIII ს. ყმების ნუსხაში — ფეიქარი, მენახდე,  
დალაქი<sup>139</sup>.

დემოგრაფიულ ძეგლებში დაცული მასალები იმითაც არის სა-  
ყურადღებო, რომ აქ ყმა ხელოსანი უშუალოდ მის კუთვნილ მებატო-  
ნესთან ერთად იხსენიება, მაგ., კახეთის აღწერის XVIII ს. პირველი  
მეოთხედის დავთარში იხსენიება პაპუა ფეიქარი, თამაზა ოქრომჭე-  
დელი<sup>140</sup> მარნდაშვილის მამულზე, მარიამჯვარის რევაზის ყმა თათა-  
რაშვილი ხაბაზი<sup>141</sup>, მანავს შიომ მდივნის ყმა; ფეიქარი თამაზა,  
ივანე კალატოზი<sup>142</sup>, შიო მეგორე<sup>143</sup>, მექვაბე ბოგანო<sup>144</sup>, ოქრომჭედელი  
გორდები ალავერდულში<sup>145</sup>. გორის მცხოვრებთა XVIII ს. პირველი

<sup>128</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, გვ. 146-147.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 151-152.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>131</sup> იქვე, გვ. 156.

<sup>132</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 8.

<sup>133</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>137</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>138</sup> იქვე, გვ. 181.

<sup>139</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>141</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>142</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>144</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 19.

<sup>145</sup> იქვე.

ათეულის აღწერის დავთარში იხსენიება მდებარი მამულაშვილი, ბო-  
განო ხურო, დათუნა კალატოზი<sup>146</sup>.

ხოლო კახეთის აღწერის 1801-1802 წ. მასალებში იხსენიებიან  
სართიჭალას საგინაშვილი მჭედელი, ხაშში — ხარაზი აბრამა<sup>147</sup>,  
ბოგანო მარტყოფს დიდხევს, რუსთველის ყმა ნასყიდა ფეიქარი, ბერუა,  
იოსებ ხარაზი<sup>148</sup>; მარტყოფს, დიდხევს — სახასო ხიზანი ღურგალი  
გოგია, ფეიქარი დავითა, მეწისქვილე მიქუა, მფიქალაშვილი დალა-  
ქი<sup>149</sup>, მეკოდე ბასილა<sup>150</sup>, კუდაშვილი გოგია, თოფჩი<sup>151</sup>; თიანეთში—  
აფრიაშვილი მდებარი, ოჰანეზა<sup>152</sup>; მატანს — სახლთხუცის გიორგი-  
სა და მოურავის და დიმიტრის ყმა ღურგალი იოსებ<sup>153</sup>; ახმეტას — დი-  
მიტრი ჩოღუაშვილის ყმა ივანე ფეიქარი, შიო ღურგალი ხიზანი<sup>154</sup>;  
ლალისყური — ჩოლოყაშვილის ყმა ოკინა ფეიქარი<sup>155</sup>; შაქრიანი—  
სახასო — დალაქი ზურაბ<sup>156</sup>, ფეიქარი სვიმონ<sup>157</sup>, ფეიქარი ნონია<sup>158</sup>;  
შილდას სახასო ჩახტაურები, ბოგანონი, მამულიანი — მჭედელი, ფეი-  
ქარი მამუკა ბოგანო, ფეიქარი — ოჭუა, დალაქი ნონე<sup>159</sup>.

ხელოსნები იხსენიებიან თამასუქის წიგნებში. მაგ., 1772 წ. თამა-  
სუქში იხსენიება გირაოდ მიცემული ერთაწმინდას ყმა მჭედელი თევ-  
დორე თავისი შვილებით<sup>160</sup>; 1784 წ. თამასუქის წიგნში მოჩანს  
ბაყალი პოდოსას შვილები: არუთინა და ყაზარა; მოწმედ დასახელებუ-  
ლია ყაზაზი სტეფანა<sup>161</sup>, ხოლო 1784 წ. თამასუქში მოწმედ მოხსე-  
ნიებულია პაპა მეწვრილმანე და ისაია ოქრომჭედელი<sup>162</sup>.

1787 წ. ეგნატე თუმანიშვილის ვალების ნუსხაში ჩამოთვლილია  
ჭონ მარტიროზასადმი (8 აბაზი), ბაჰყალ სანდალასადმი (4 მინალთუ-  
ნი), კალატოზ ოჰანეზასადმი (15 მინალთუნი), ოქრომჭედელ შაქარას

<sup>146</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>147</sup> გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, კახეთის აღწერა 1801-1802 წ., საქართველოს არქივი, წიგ-  
ნი III, თბ., 1927, გვ. 129.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 133.

<sup>149</sup> იქვე.

<sup>150</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>154</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>156</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>158</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II (ვალი, იჯარა,  
ვაჭრობა), გვ. 15.

<sup>161</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 71.

შვილისადმი (22 მინალთუნი), ხარაზ გიორგისადმი (2 მარხილი) მისაცემი ვალების ოდენობა<sup>163</sup>, ხოლო 1798 წ. მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების სესხის ნუსხაში აღნიშნულია დურგალ შაჰას (4 თუმანი), ოქრომჭედელ საგინას (50 თუმანი), მეჭურჭლე ოჰანას (2 თუმანი, ხაბაზ ოსეფას (12 მინალთუნი) ვალის რაოდენობა<sup>164</sup>. აქვე მოიხსენიებიან ნალბანდი მიხეილი და სარაჯი დავითა, მკერვალი ისაია<sup>165</sup>.

მაშასადამე, XVI-XIX სს. დოკუმენტურ მასალაში მოიხსენიება ხელოსნური წარმოების თითქმის ყველა დარგის წარმომადგენელი. ისინი დასახელებული არიან როგორც დღიურად მომუშავე ხელოსნები, რომელთა მიმართ გადაწყვეტილია ხელფასის გარკვეული ოდენობა. იხსენიებიან ისინი, როგორც გამსესხებლები და როგორც მოვალენი, დასახელებული არიან ხელოსნები, როგორც მოწმეები ნასყიდობისა და წყალობის საბუთებში. დაბოლოს, ხელოსნები მოიხსენიებიან აღწერის დავთრებში მათი სადაურობისა და სოციალური კუთვნილების მიხედვით. ხელოსანთა ასეთი მრავალსახეობა უთუოდ მიუთითებს ხელოსნური წარმოების მრავალ დარგობლიობაზე<sup>166</sup>, ხელოსნური შრომის ვიწრო სპეციალიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, ხელოსნური წარმოების დაწინაურებაზე მიგვანიშნებს.

მაგრამ ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იყო ასე შორს წასული, დიფერენცირებული ხელოსნური წარმოების საერთო დონე, მისი მასშტაბები, განვითარების ფორმები; რა იყო ხელოსნური წარმოების ეკონომიკის საფუძველი.

ცნობილია, რომ გვიანი შუასაუკუნეების ამქრული ხელოსნური წარმოების მთავარი მიზანი და დანიშნულება იყო თავისი ინტერესების დაცვა, ხელოსნური წარმოების ორგანიზაცია და მზა პროდუქციის რეალიზაცია, კონკურენციის ყველა გზის მოსპობა. ყველა ამ საკითხის გარკვევისათვის ძირითად ამოსავალ წყაროს წარმოადგენს ხელოსნური ორგანიზაციის წესდებანი ანუ „პირობის წიგნები“. ერთ-ერთი მათგანი, თბილისის (ავლაბრელ) ოქრომჭედელთა პირობის წიგნი, შედგენილი სომხურ ენაზე XIX ს. I ნახევარში, დაბეჭდილია 1898 წ.

<sup>163</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>164</sup> იქვე, გვ. 130-137.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>166</sup> იქვე ბარათაშვილი ასახელებს მეპურეს, ბაჰალს, მესანთლეს, მენახშირეს და მათ მრავალ ასნაფს, იხ. იქვე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა ავ. იოსელიანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28; თბ., 1950, გვ. 37; ასევე ხშირად იხსენიება საბუთებში სხვადასხვა დარგის სახელოსნოები, მაგ., ხარაზხანა (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 130), ყასაბხანა, დაბახანა (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, გვ. 66), შექვაბუების (მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, II, გვ. 169), დალაქებისა და მკერვალების ღუქნები (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 364).



სომხურ ჟურნალში „ლუმა“<sup>167</sup>, არსებობს კიდევ XVIII ს. ახალციხის ხარახთა ამქრის წესდებაც სომხურ ენაზე<sup>168</sup>, ხოლო ქართულ ენაზე დაცული სამი ამგვარი „პირობის წიგნის“ აღმოჩენა და გამოქვეყნება ეკუთვნის შ. მესხიას. ესენია: 1. თბილისის მეწვრილმანეების 1799 წ. „პირობის წიგნი“, 2. მეწვრილმანეთა და მესანთლეთა 1799 წ. „პირობა“ და 3. ქუთაისის მეპურეთა 1871 წ. „ხელწერილი“<sup>169</sup>.

დიდხანს სამეცნიერო ლიტერატურაში ბატონობდა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ქალაქების ამქრებს არ გააჩნდათ დაწერილი სა-ამქრო სტატუსები (გ. გამყრელიძე, აღ. ფირცხალაიშვილი). თუმცა XIX ს ზოგ ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობით, წერს შ. მესხია<sup>170</sup>, ჯერ კიდევ ს. ეგიაზაროვმა და ჰაქსთჰაუზენმა მიუთითეს, რომ ერეკლე I (1688-1703 წ.) შეეცადა თბილისის მეტყავეების ამქრის ჩვეულებისათვის კანონის სახე მიეცა, მაგრამ რადგან მთი წყარო და ვანცხადება დაუსაბუთებელი ჩანდა, ეს შენიშვნაც მივიწყებულ იქნა და გავრცელდა აზრი ამგვარი წესდების საერთოდ არარსებობის შესახებ<sup>171</sup>. თუმცა ამ ხანებში (1898 წ.), როგორც აღინიშნა, სომხურ ჟურნალში „ლუმა“ დაიბეჭდა თბილისის ოქრომჭედელთა წესდება ს. ეგიაზაროვის კაპიტალური ნაშრომის გამოცემის (1891წ.) შემდეგ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, განაგრძობს შ. მესხია, რომ ამ წესდებამ არ მიიქცია ყურადღება ზემოაღნიშნული ავტორებისა, რომლებიც ეყრდნობოდნენ ს. ეგიაზაროვისა და მისი წინამორბედების შრომებს. ი.ახვერდოვის აზრითაც, ქართველი მეფეები, რომელნიც საგარეო საქმეებით და ტახტისათვის ბრძოლის ინტრიგებით იყვნენ გართულნი, ქვეყნის შინაგან ცხოვრებას, კერძოდ საქალაქო წესწყობილების მოწესრიგებას არც კი ეხებოდნენ. ამგვარი მოსაზრებისათვის საფუძველს ი. ახვერდოვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი აძლევდა, სადაც თურმე სიტყვა არაა ნათქვამი ვახტანგის დროს არსებულ ამქრებზე. მისივე აზრით, დასძენს შ. მესხია, საქართველოს ქალაქებში ამქრები არსებობდნენ სამეფო, ადმინისტრაციული ხელისუფლების ყოველგვარი დახმარებისა და ჩარევის გარეშე<sup>172</sup>. ქართულ წყაროებს გაუცნობელი ავტორის ამ ზერეულ მოსაზრების წინააღმდეგ, წერს შ. მესხია, ვახტანგ VI-ის „დასტურლამადისა“ და სხვა არა ერთი დოკუმენტის გარდა, ლაპარაკობს ამქრის წესდებანიც<sup>173</sup>.

<sup>167</sup> Месхиа Ш., Города и городской строй..., с. 352.

<sup>168</sup> Егизаров С. Г., Городские цехи, Казань, 1891, с. 387.

<sup>169</sup> შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, კონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949, გვ. 147-152.

<sup>170</sup> Месхиа Ш., Города..., с. 352.

<sup>171</sup> შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 146.

<sup>172</sup> იქვე.

<sup>173</sup> იქვე.



გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, რომ ქუთაისის მეტყუარა „ხელწერილი“ შედგენილია 1871 წ., გაცილებით გვიან მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა (1867 წ.) რუსეთის მმართველი წრეების მიერ საგანგებოდ შედგენილი წესდება საქართველოს ქალაქების ამქრებისათვის. აღნიშნული „ხელწერილი“, როგორც შ.მესხია აღნიშნავს, შედგენილია ქართული ამქრული ორგანიზაციების წესდების საფუძველზე და სრულიად დამოუკიდებელია 1867 წ. წესდებისაგან<sup>174</sup>. ამასთანავე ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ წესდების არსებობა აუცილებელი იყო ამქრისათვის, მისი დაკარგვის შემთხვევაში, ის უნდა განეხლებინათ. მეწვრილმანეების პირობის წიგნის ბოლოში არის მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ „ამ წიგნის ერთი სხუა იყო ბატონის და მოხელისაგან დამტკიცებული და ჩვენგან (მეწვრილმანეებისაგან) ხელმოწერილი, ისევე ჩვენ ჰამქარში დაიკარგა და ეს ახალს დაწერეთ“<sup>175</sup>.

ამგვარად, ქართულ ამქრებს (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) გააჩნდათ თავიანთი წერილობითი სტატუსი, სადაც ამქრის საქმიანობის მოკლე მიმოხილვას მოსდევს მათი ძირითადი ეკონომიკური ინტერესების გამოხატვა. მეწვრილმანეთა და მესანთლეთა ამქრები სათანადო პირობით იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი გარკვეული ინტერესების გამო, რაც ძირითადად ბაზარზე მათი პროდუქციის გასაღებას შეეხებოდა.

„პირობის წიგნს“ „ბატონი“, ე.ი. მეფე და მისი მოხელე ამტკიცებდნენ, ხოლო შემდეგ ამქრის წევრებისა და უსტაბაშის ხელმოწერილი წესდება ძალაში შედიოდა და ამქარში ინახებოდა<sup>176</sup>.

აღნიშნული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს ამქრის ზრუნვა მათი ძირითადი ეკონომიკური ინტერესებისათვის, რაც საქონლის საერთო ძალით შესყიდვა-მოპოვებაში მდგომარეობს. „ვინც მთელ წილს აიღებს“, იკითხება ამ დოკუმენტში, „თავი ხარჯი უნდა მისცეს, ვინც ნახევარს — ნახევარი წილი უნდა მისცეს, ვინც მის ნახევარს — ჩარეკი უნდა მისცეს“ და ა.შ. თუ ვაჭარმა (სოფდაგარმა) არ მოინდომა ამქრის წევრებისადმი საქონლის მიყიდვა, მაშინ მთელი ამქარი უნდა მოურიგდეს მას. ასევე ერთად უნდა ხდებოდეს მათი საქონლის შესყიდვა უსტაბაშისა და წილზე ერთი კაცის თანდასწრებით. ამავე დროს, ვინც მთლიანად იყიდის საქონელს, ის ვალდებულია შექმნილი საქონლის ნახევარი ამქრის სასარგებლოდ გაიღოს. ვინც სახელოსნო-ღუქანს გახსნის, ის ამქრისათვის გარკვეულ თანხას იხდის. ჯარიმას იხდის ის, ვინც კვირას იმუშავებს („კვირას გასტეხს“), ვინც „მკვდარზე არ წავა“, ვინც ივითბაშის მეშვეობით მოწვეულ საამქრო საქმეს დააკლდება,

<sup>174</sup> Месхиа Ш., Города ... с. 352.

<sup>175</sup> შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, გვ. 147.

<sup>176</sup> იქვე, გვ. 148.

ვინც ამ საერთო დადგენილს დაარღვევს და არ შეასრულებს, ის ამერიდან — ძმობიდან ირიცხება, მას არც საქონლის წილი მიეცემა, ის არც საერთო პურობაზე დაიშვება და არც მისი მემკვიდრეობის „გაპატიოსნდება“ ამქრის წევრების მიერ.

ქუთაისის მეპურეთა „ხელწერილიდან“ კარგად ჩანს ამქრის როგორც სამეურნეო ინტერესები, ასევე პროფესიული. იკრძალება დუქან-სახელოსნოზე ფასის მომატება; ვინც ახალ დუქანს გააღებს, ის იხდის საამისო თანხას. იკრძალება აგრეთვე ერთის მიერ მეორესათვის პურის მიტანა გასაყიდად და მიკიტნის გადაბირება პურის მომატებით. ყველა ამ დარღვევისათვის ხელოსანი ჯარიმდება და აღნიშნული თანხა ამქრის სასარგებლოდ მოიხმარება. პატივისცემის ღირსნი არიან დალოცვილი ხელოსნები. სასტიკად იკრძალება მოჯამაგირისა და შეგირდის გადაბირება. ამგვარი დანაშაულის ჩამდენი ფულის გარკვეული თანხით (1 თუმანი) ჯარიმდება.

დიდია ამ საბუთის მნიშვნელობა ამქრის ორგანიზაციული მხარის შესასწავლად. ამქარს სათავეში უდგას უსტაბაში და ორი ასაყალო. ეს სამი პიროვნება უძღვება ამქარს „სვინდისიანად“ და „კანონისამებრ“. თავის მხრივ ამქარი მას მორჩილებას ჰპირდება — „ჩვენ ანქარმან არ ვიწინააღმდეგოთ თქვენს წინაშე“, იკითხება „ხელწერილის“ მეორე მუხლში. ამქარს ჰყავს შეგირდი და მოჯამაგირე, დალოცვილი და დაულოცავი ხელოსნები. ამქარს აქვს თავისი დუქანი. ამქრის წესდების ამ მოკლე აღწერილობაში არ არის დავიწყებული ხელოსნური ორგანიზაციის არცერთი მხარე. ასე კარგად წარმოდგენილი სტრუქტურა კი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

მაშასადამე, ქუთაისის მეპურეთა ამქრის სათავეში დგას უსტაბაში, მას ჰყავს ორი მოადგილე — ასაყალო. შემდეგ მოდის მოჯამაგირე, ამქრის იერარქიის უმდაბლეს საფეხურზე დგას შეგირდი. ამქრის წესდება კრძალავს შეგირდისა და მოჯამაგირის გადაბირება-შეცდენას. იბადება კითხვა — ვინ არის მოჯამაგირე?

როგორც სათანადო ადგილას (იხ. თავი II — ამქრის ორგანიზაცია) აღინიშნა, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ამქრებში ხელოსნის ეს კატეგორია ქარგლით არის წარმოდგენილი და ის დაქირავებული ხელოსნის აღმნიშვნელია. დასავლეთ საქართველოში ქარგლის ფუნქციის მატარებელი მოჯამაგირეა, რაც შესანიშნავად გამოხატავს მის დაქირავების ბუნებას. XIX ს. მეორე ნახევრისათვის ქარგალი-მოჯამაგირე ძირითადად დაქირავებულს აღნიშნავდა და სწორედ ამიტომ ქუთაისის მეპურეთა „ხელწერილში“ მისი ეს მნიშვნელობა დადასტურებული, როგორც მაშინ რეალურად არსებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ამქრების სტატუსებში არ გვხვდება

სიტყვა ქარგალი ქვეოსტატის (ნახევრადოსტატის) მნიშვნელობით, როგორც მაშინ უკვე არარსებულის გამოძახატველი, მოწმდება მოჯამაგირე როგორც მაშინ რეალურის — დაქირავებულის აღმსარებელი და ამიტომ სავსებით გასაგებია მისი ამ მნიშვნელობით მოხსენიება.

ქუთაისის მეპურეთა „ხელწერილის“ ამ ცნობას მოჯამაგირის შესახებ უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ იმიტომ, რომ იგი ამქრის სტრუქტურის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა წერილობითი წყაროების საფუძველზე, რაც ეთნოგრაფიული მასალებით ნათელია. მეორეც, ამ დოკუმენტის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს „ხელწერილი“ შედგენილია ქართული ამქრული წესდების საფუძველზე. ე.ი. ტრადიცია ასეთი წესდების შედგენისა არსებობდა და სწორედ ქართული ტრადიციის მიხედვით შედგენილმა ქუთაისის (და არა თბილისის) მეპურეთა ამქრის ხელწერილმა შემოგვინახა ქარგლის საფეხურის არსებობის შესაძლებლობა.

მაშასადამე, ქუთაისის მეპურეთა „ხელწერილის“ დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აკანონებს ტრადიციით არსებულ ვითარებას, ამქარში ქარგლის (ნახევაროსტატის) კატეგორია ადრევე უნდა არსებულებოდა, ე.ი. მისი „მოჯამაგირე“ იყო ქვეოსტატ-ქარგლის შუალედური საფეხურის აღმნიშვნელი ადრე, ხოლო XIX ს. მეორე ნახევარში, როდესაც ეს „ხელწერილი“ დოკუმენტად გაფორმდა, ქარგალი უკვე დაქირავებულა და ამიტომ იწოდება იგი მოჯამაგირედ.

ხელოსნური საქმიანობის აღწერას გარკვეულ ადგილს (17 პარაგრაფს) უთმობს დავით ბაგრატიონი „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვაში“<sup>177</sup>. აქ ძირითადად წარმოდგენილია ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის ფარგლებში სამართალწარმოება. დავით ბაგრატიონის ზემოაღნიშნული ნაშრომი საქართველოს სამართალს და კანონთმცოდნეობას შეეხება და ამდენად ამქრის საქმიანობაც ამ მიმართებითაა მიმოხილული.

ამქრის ამ სამართალში აღნიშნულია, თუ როგორ პატიოსნად უნდა უძღვებოდნენ ხელოსნები თავიანთ საქმიანობას. ხელოსნები ამქრებად ნაწილდებიან და ამის მიხედვით იხდიან გადასახადს. ისინი ყოველწლიურად ირჩევენ უსტაბაშს, რომელსაც ამტკიცებენ მოურავი და ქალაქის მოხელეები. მოურავი განსაზღვრავს ხელოსანთა რიცხვს ამქარში და მოახსენებს ამის შესახებ მდივანბევს.

ამქრის შემოსავალს აგროვებს მოურავი და შეაქვს ხაზინაში. ამქრის უსტაბაში არჩევს ამქრის წვრილმან საქმეებს, მნიშვნელოვანი სა-

<sup>177</sup> დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აბ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევებით, თბილისი, 1959, გვ. 396-398.



კითხების მოგვარება ეხება მოურავს. ისიც თუ ვერ გადაწყვეტს მას, მაშინ იგი გადაეცემა სასამართლოს.

ხელოსანი შეგირდს უნდა ასწავლიდეს ხელობას გონივრულად და არ უნდა უმაღავდეს მას ხელობის საიდუმლოებას. შეგირდები რჩებიან თავიანთ ოსტატებთან მათი ხელობის საბოლოოდ შესწავლამდე. მაგრამ ოსტატაში მეუვალყურეობს, რომ შეგირდები არ დააკავონ ოსტატებმა თავისთან თავიანთი სამუშაოს შესრულების გამო. თუ ამას ექნება ადგილი, მაშინ ოსტატი ჯარიმდება.

ოსტატაში მოვალეობას შეადგენს, თვალყური ადევნოს, რომ ოსტატი უხეშად არ ექცეოდეს თავის შეგირდს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამართალში მიეცემა, ოსტატაში კი ცუდი ზედამხედველობის გამო ჯარიმდება. არ იკრძალება ხელოსნის მიერ შეგირდის ზომიერი და კეთილმოსურნე დასჯა. შეგირდებს კი ევალებათ ოსტატისადმი სრული მორჩილება.

როდესაც ხელოსანი დაკვეთილ სამუშაოს ხარისხიანად ვერ ასრულებს, მაშინ მოწვეული საბჭო ოსტატაშია და უხუცესი ოსტატების თანდასწრებით იმსჯელებს, ხელოსანს აჯარიმებს, ხოლო უხარისხო ნამუშევარი უბრუნდება ხელოსანს. თუ ხელოსანი ნედლეულის მოპარვაში შეიმჩნევა, მას იგი ჩამოერთმევა და ჯარიმდება. როდესაც ხელოსანი დღიურად მუშაობს, ის ვალდებულია სამუშაო კეთილსინდისიერად შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დღიური გასამრჯელო არ მიეცემა. ასევე სამუშაოს ვადაზე შეუსრულებლობისა და ოსტატაში სათანადო გაფრთხილების უგულვებელყოფის გამო ჯარიმებიან ხელოსნები. ხოლო ის პირი, ვინც ხელოსანს არ მისცემს მის კუთვნილ გასამრჯელოს, ვალდებულია გადაუხადოს მას და იგი ჯარიმდება კიდევ ამ დანაშაულის ჩადენის გამო<sup>178</sup>.

როგორც ვხედავთ, დ. ბაგრატიონის „მიმოხილვის“ მთელი ეს ნაწილი შეეხება მხოლოდ ხელოსნურ სამართალს ამქარში.

მაშასადამე, გვიანი შუასაუკუნეების ამქრული ხელოსნური წარმოება ხასიათდება განვითარებული მრავალდარგობლიობით, შრომის ვიწრო სპეციალიზაციით, დაქირავებული შრომის უფრო ფართო გამოყენებით, ქარგლების მომრავლებით ამქარში, ხელოსნური წარმოებიდან წვრილ სასაქონლო წარმოებაზე გადასვლით, ბაზრისათვის წარმოებით, ყოველგვარი საშუალებების გამოყენებით კონკურენციის წინააღმდეგ, ბაზრის დაპყრობით.

<sup>178</sup> დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 396-398.

## ქალაქში ხელოსნური წარმოების ტრადიციულობის საკითხისათვის

ქალაქური ხელოსნობის ერთ მთლიან კომპლექსში შესწავლამ (ხელოსნური წარმოების ხალხური ხერხები, მისი განვითარების დონე და მასშტაბები, ხელოსნური წარმოების პროდუქტების რეალიზაცია და სადღეობო ბაზრობა, ქალაქის, სოფლისა და დაბის ხელოსნობის ურთიერთმიმართება, ხელოსნური ორგანიზაციის სტრუქტურა, ამქარში დაქირავებული შრომის გამოყენება და სხვა საკითხები) წამოჭრა ქალაქში ხელოსნობის ტრადიციულობის გარკვევის აუცილებლობაც.

ხელობის სრულყოფა თაობიდან თაობაში ემსახურებოდა ხელოსნობაში უმაღლესი ტრადიციის შექმნასა და მის საწარმოო თუ მხატვრულ შესაძლებლობათა მთლიან გამოვლენას. ხელოსნობა იყო ოსტატობა, ოსტატობა კი ხელოვნება<sup>1</sup>.

ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ტრადიციულია ხელოსნობის ესა თუ ის დარგი, შეინიშნება თუ არა მის განვითარებაში ტრადიციის უწყვეტელობა, ხერხდება თუ არა ერთიანი კულტურული რგოლის დადგენა ხელოსნობის გარკვეულ დარგში, თუ გვაქვს წყვეტილი? ქალაქის ამ ასპექტით განხილვა გვიჩვენებს, რომ ტრადიციაში უწყვეტელობა ხელოსნური წარმოებიდან ყველაზე მკაფიოდ კერამიკაში შეინიშნება. ეს ხელოსნობის ის დარგია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ცოცხლობს. ცნობილია, რომ საერთოდ კერამიკა ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მასალას წარმოადგენს კულტურული ფენების დასათარიღებლად. ამავე დროს მნიშვნელოვანია არქეოლოგიურად მეტ-ნაკლებად გამოვლენილი ცოცხალი ქალაქების ეთნოგრაფიული შესწავლა, ვინაიდან მხოლოდ მათი და არა მიტოვებული ქალაქის ყოფის აღდგენით შეიძლება საუბარი უწყვეტ კულტურულ ტრადიციებზე.

ცნობილია, რომ საქართველოში ქალაქების გათხრის დასაწყის

<sup>1</sup> Гуревич А. Я., Категории средневековой культуры, М., 1972 г., с. 190.

წლის საიუბილეო (1937 წ.) სამზადისთან, როდესაც შეიქმნა „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“<sup>2</sup>, აკად. ივ. ჯავახიშვილი უგულბელყოფდა ცოცხალი ქალაქების თხრას<sup>3</sup>. იგი წერდა, რომ „აუცილებელი არის გათხრა, უპირველეს ყოვლისა, ძველი ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის უძველესი კერების — ქალაქებისა, სახელდობრ, უკვე მიტოვებული ქალაქების (ხაზგასმა ჩვენია, ნ.ა.), რაკი ჩვენს დრომდე არსებული ძველი საქალაქო კულტურის აღარავითარი ძეგლი შერჩენილი არა აქვთ“<sup>4</sup>, რომ დღესაც ცოცხალი ქალაქების არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა უშედეგო იქნება“. მართალია, მაშინ ამ მხრივ შერჩეულმა ქალაქებმა (დმანისი, სამშვილდე, გუდარეხი) სავსებით გაამართლა იმედები, მაგრამ შემდეგ არქეოლოგ გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით წამოწყებულმა ცოცხალი ქალაქებისა (თბილისი, თელავი, ჯავახეთის ახალქალაქი) და საწარმოო კერების თხრამ მნიშვნელოვნად წინ წასწია ფეოდალური ქალაქების არქეოლოგია საქართველოში. „ცოცხალი ქალაქების შესწავლამ, — წერს იგი, — მრავალი ზედმიწევნით შინაარსიანი ძეგლი გამოგვიჩვენა (მიწის ზემოთ შემორჩენილზე რომ აღარ ითქვას რა) სწორედ საქალაქო ცხოვრებისა, თუმცა იქ თხრა ბევრად უფრო ძნელი ჩასატარებელია მართლაც“<sup>5</sup>.

ამგვარად, „ცოცხალი“ ქალაქებიდან ჩვენს მიერ შესწავლილია თელავი და მცხეთა, „მიტოვებულიდან“ კი — რუსთავი და უჯარმა. ამ ორი ტიპის ქალაქის შესწავლის შედეგები განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

თელავი საქართველოს ქალაქთა შორის ერთი უძველესთაგანია. იქ მოსახლეობა ძალიან ადრე გაჩენილა. თელავსა და მის გარშემო შემთხვევით და თხრით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოაჩინებს მისი ისტორიის ყველა მონაკვეთს — ადრებრინჯაოს, რკინის, ანტიკური ხანის, ადრე, შუა და გვიან ფეოდალურს. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ძირითადად მიწისზედა მატერიალური ძეგლებით.<sup>6</sup>

არქეოლოგიური გათხრით მოპოვებული მასალა ავლენს თელავის ხელოსნობის სხვადასხვა დარგის მაღალ განვითარებას, განსაკუთ-

<sup>2</sup> იხ. წიგნი „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით, თბ., 1938, გვ. 3.

<sup>3</sup> გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის, შესავალი წერილი კრებულისა „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, თბ., 1969, გვ. 6.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ც. ჩიკოძე, ქ. თელავის ისტორიისათვის (ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით), „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, გვ. 27.



რებით კი მეთუნეობისას. ადრე და შუაფეოდალური ხანის მასალაში განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი წითელი და მოჭიქული წვრილი ჭურჭელი, რომელიც სიახლოვეს იჩენს დმანურ, რუსთაველ და თბილისურ ამავე ხანის ჭურჭელთან, მაგრამ გამოირჩევა თვით მასალის (თიხის) ხარისხით. ეს დარგი იმდენად დაწინაურებული ჩანს, რომ არქეოლოგი ც. ჩიკოიძე ამ ადგილას ხელოსანთა ცალკე უბნის არსებობას გულისხმობს, რის საფუძველსაც მას საწვავი ქურის ნაწილების, ჭურჭლის ნახევარფაბრიკატებისა და წუნის არსებობა აძლევს.

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ქალაქსა და მის მიმდებარე ადგილებში შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკული მასალის შესწავლამ არქეოლოგი ც. ჩიკოიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ისინი მოხატულობითა და კეთების ტექნიკით ზედმიწევნით იმგვარივეა, როგორც თელავის „ხელოსანთა უბნის“ განათხარში აღმოჩენილი კერამიკა. მისი აზრით, ჯერჯერობით შეუძლებელია ამ ერთგვაროვანი ხელოსნური ნაწარმის გავრცელების არეალის დადგენა. მაგრამ ის კი ნათელია, რომ სწორედ თელავ-იყალთოს მიკრორაიონი ჩანს შიკა კახეთის კერამიკული ხელოსნობის ერთ-ერთ კერად<sup>8</sup>. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ თელავ-იყალთოს თიხა დღესაც ცნობილია, როგორც საუკეთესო ნედლეული კერამიკული წარმოებისათვის<sup>9</sup>.

ხელოსნობის განვითარებას ავლენს თელავში სხვადასხვა დარგის წარმოების ხალხური წესების შესწავლა. როგორც სათანადო ადგილას აღინიშნა, მოწმდება როგორც მრავალდარგობრიობა (დერციკი, ხარაზი, მჭედელი, დურგალი, ქვისმთლელი), ასევე შრომის ვიწრო სპეციალიზაცია (დაბადი, ხარაზი, მეწაღე, ჭონი; მჭედელი, ოქრომჭედელი, ნალხანდი, მესპილენძე, მკალავი).

ხელოსნობის განვითარების შედარებით მაღალ დონეს მოწმობს მესაბამისი ხელოვნური ორგანიზაციის — ამქრის არსებობა თელავში მთელი თავისი იერარქიით.

მაშასადამე, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შესწავლა სასურველ შედეგს იძლევა, ვინაიდან იქ ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებაცაა შესაძლებელი და ამდენად, გარკვეულ კულტურულ ტრადიციებზეც საუბარი.

სიძნელეებს წავაწყდით ნაქალაქარებში (მიტოვებული ქალაქი) მუშაობისას, სადაც არქეოლოგიური თხრის ჩატარება საშური და გადა-

<sup>8</sup> იკვ.  
<sup>9</sup> იკვ. გვ. 43.

<sup>10</sup> ლ. ბ. თ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული (კახური) კერამიკა, თბ., 1949.



უღებელი საქმა<sup>10</sup>, მაგრამ ეთნოგრაფისათვის მასალის მოძიება, ხშირად, შეუძლებელიცაა. ეს გარემოება განსაკუთრებით მკვეთრად გამოიყენება, სადაც განადგურების გამო დიდი წყვეტილი გვაქვს საქალაქო ცხოვრებაში, ხოლო შემდეგ ხდება სრულიად ახალი ტიპის ქალაქის წარმოშობა. ასეთია რუსთავი.

რუსთავი ანტიკურ ხანაში წარმოშობილი ქალაქია. არქეოლოგიურად ეს პერიოდი ნაკლებადაა შესწავლილი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ფეოდალურ ხანაში<sup>11</sup>. გათხრით მოპოვებული მასალის საფუძველზე რუსთავი მონოგრაფიულადაა შესწავლილი არქეოლოგ ლ.ჭილაშვილის მიერ.

რუსთავის არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი თეთრი (ფაიანსი) და ფერადკეციანი კერამიკა. წითელკეციანი თიხის ნაწარმში გვხვდება სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების საყოფაცხოვრებო ჭურჭელი და უამრავი სამშენებლო მასალა<sup>12</sup>. ასევე კარგად ყოფილა განვითარებული ქალაქში საფეიქრო წარმოება. რუსთავში აღმოჩენილია როგორც თვით ქსოვილების ფრაგმენტები, ისე მათი ანაბეჭდები სხვადასხვა საგანზე<sup>13</sup>.

მეცხოველეობის და, კერძოდ, საძოვრების საკითხს ლ. ჭილაშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის ნაშრომში. მას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომლის მიხედვით საძოვრების საკითხი ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფოებრივი საქმე იყო. მასზე იყო დამოკიდებული ისეთი ველის ქალაქის არსებობა, როგორც რუსთავია. ფეოდალური საქართველო, წერს იგი, ველს ეუფლებოდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის საფუძველს. XI ს., თურქ-სელჩუკთა მოძღვრების ხანაში, რუსთავის საძოვრებს მომთაბარენი ეუფლებიან; მტკვრისა და ივრისპირეთის, როგორც საუკეთესო საძოვრების, ხელში ჩაგდება, თურქთა მისწრაფებას წარმოადგენდა. საძოვრების დაკავებით საფრთხე ექმნებოდათ ადგილობრივ მესაქონლეთ. რუსთავი ამ დროს, წერს ლ. ჭილაშვილი, ველისათვის ბრძოლისას, საფრთხისა და განადგურების წინაშე აღმოჩნდა<sup>14</sup>. ველისათვის ბრძოლას შეეწირა იგი. რუსთავის დაცემა მის ირგვლივ მოსახლეობის განადგურებასა და შესაბამისად ველების დაკარგვას უკავშირდება. ლ. ჭილაშვილის დებულების მიხედვით, იმ ერთ-ერთმა გეოგრაფიულმა ხელშემწყობმა პირო-

<sup>10</sup> „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობით, თბ., 1938, გვ. 3.

<sup>11</sup> ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქ.რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი), თბ., 1959, გვ. 207.

<sup>12</sup> იქვე; გვ. 93-97.

<sup>13</sup> იქვე; გვ. 175.

<sup>14</sup> იქვე; გვ. 171.

ბამ, რომელმაც წარმოშვა ქალაქი, შემდეგში დაღუპვამდე მიიყვანა იგი<sup>15</sup>.

უჯარმაც, რუსთავის მსგავსად, ანტიკური ხანის ისტორიაშიც ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა. პირველი არის თავისებურ ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენებული ანტიკური ხანის უჯარმა, III ს. გაქალაქებული, და მეორე — უჯარმა ციხე-ქალაქი, სტრატეგიული ცენტრი, რომლის დაფუძნება და აშენება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება<sup>16</sup>.

საძოვრების მნიშვნელობას რუსთავისა და უჯარმის გაქალაქების საქმეში ლ. ჭილაშვილი კვლავ უბრუნდება 1970 წ. გამოცემულ შრომაში „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“, II. „ივრის ხეობა და, რა თქმა უნდა, უჯარმაც, თავისი დაწინაურებული მომთაბარული მეცხოველეობით,“ — წერს იგი, — „გაცილებით ადრე, სანამ უჯარმის, როგორც ციხე-ქალაქის აღმავლობა დაიწყებოდა, საზაფხულო საძოვრების მქონე პროვინციებთან მჭიდრო კონტაქტს მოითხოვდა; ისტორიული კახეთი და განსაკუთრებით მისი ქვედა წელი, რუსთავის მხარე, როგორც საზამთრო საძოვრები, ივრის ხეობის ბუნებრივ-ეკონომიური ზონის გავრძელებას წარმოადგენდა. უჯარმა და რუსთავი ერთი ეკონომიური მთლიანობის ერთეულად იქცა, რაც პოლიტიკური ამბითაც იყო შეპირობებული. უჯარმას, ხევის ქალაქს, რუსთავი, ველის ციხე, ველის ქალაქი უბამდა მხარს“<sup>17</sup>.

დ. მუსხელიშვილმა არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შეისწავლა უჯარმა. მისი მოსაზრებითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უჯარმის ქალაქად გადაქცევისათვის უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას, კერძოდ, მცხვარეობას. იგი უშვებს იმ შესაძლებლობასაც, რომ უჯარმის ხელში უნდა ყოფილიყო ივრის ზამთრის საძოვრების მთელთაგან გამოყენების კონტროლი და რეგულაცია<sup>18</sup>. ამგვარად, დაასკვნის ავტორი, ივრის ხეობის მეურნეობის (მესაქონლეობა, მევენახეობა, მემინდვრეობა) განვითარებაში უნდა ვეძიოთ უჯარმის გაქალაქების მიზეზი. მეორე მხრივ, უჯარმაზე გამავალ სავაჭრო გზას (Tabula Peutingeriana) ხელი უნდა შეეწყოს ქალაქის დაწინაურებისა და ზრდა-განვითარებისათვის<sup>19</sup>.

საინტერესო და ანგარიშგასაწევია დ. მუსხელიშვილის აზრი უჯარმის, როგორც ქალაქის, ეკონომიური ბაზის შესახებ. მას მიაჩნია, რომ

<sup>15</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>16</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 35.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>18</sup> დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა (ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან), თბ., 1966, გვ. 56.

მეცხოველეობა უშუალოდ კი არ ახდენდა გავლენას ქალაქის წარმოშობა-დაწინაურების პროცესზე, არამედ მასზე დამყარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის საშუალებით<sup>20</sup>.

სოფ. უჯარმაში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალებით აქ არ დასტურდება ხელოსნობის განვითარება, რაც ქალაქის მანიშნებელ საფუძველს შეადგენს. ძველად ხელოსნობის არარსებობა და ხელოსანთა მეტად მცირე რიცხვი ამჟამადაც არავითარ საფუძველს არ იძლევა, ვივარაუდოთ აქ წარსულში ქალაქის არსებობა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ქალაქს, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრს. დღემდე ჩვენს მიერ შესწავლილი ქალაქები ასეთი ტიპის იყო. ეთნოგრაფიული მასალით არ მტკიცდება აქ აგრეთვე შინამრეწველობის დარგების არსებობა. მატყლი დიდი რაოდენობით სასაქონლო პროდუქტის სახით მზადდებოდა. არ დასტურდება მის საფუძველზე სოფელში შინამრეწველური სარეწის არსებობა. შეკრებილი მასალით, სოფელში მხოლოდ ერთმა ქალმა, პატარძეულიდან გამოთხოვილმა, 78 წ. ნინო ედიშერის ასულმა უსტიაშვილ-რევაზიშვილისამ იცოდა ხალიჩაფარდაგების, ხურჯინებისა და საცალოების ქსოვა, რაც ადგილობრივი ქალებისათვის შეუსწავლებია (ს.უჯარმძ, 1972 წ.).

მატყლს რომ სასაქონლო პროდუქტის სახით აწარმოებდნენ, ეს შეიძლება გვიანდელი მოვლენა იყოს, რაც უკავშირდება XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. ცნობილია, რომ ამ დროს წარმოებს საქართველოს ყველა სოფელში მხოლოდ აბრეშუმის პარკისა და მატყლის დამზადება, აქ აღარ მისდევენ ნედლეულის პირვანდელ გადამუშავებასაც კი. ამასთანავე, ანგარიშგასაწევია უჯარმის სიახლოვე ქალაქთან (თბილისი). ეს პროცესი ისე ძლიერად მიმდინარეობდა, რომ ადვილად სპობდა შინამრეწველობის დარგების განვითარების პერსპექტივებს. ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ დღეისათვის სოფელში არ მოწმდება მატყლის ბაზაზე შინამრეწველობის ტრადიციული დარგების არსებობა. არ მოწმდება უჯარმაში არც კერამიკული წარმოება, რაც ხშირ შემთხვევაში ქალაქის არსებობის უწყვეტი კულტურული ტრადიციის დასადგენად განმსაზღვრელიც ეარის. მართალია, რუსთავში კერამიკაც მდიდრადაა წარმოდგენილი, მაგრამ იქ ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება ამ მხრივ შეუძლებელია. უჯარმაში გათხრილი კერამიკა ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, მაგრამ არქეოლოგ გ.ლომთათიძის მიერ გამოთქმულია

<sup>20</sup> დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

მოსაზრება მისი გვიანდრობის შესახებ, რაც ბევრად დაშორებულია უჯარმის ქალაქობის ეპოქას<sup>21</sup>.

ასეთ შემთხვევაში ქალაქების — რუსთავისა და უჯარმის შესახებ შეიძლება მსჯელობა სხვა მონაცემების მიხედვითაც. ამ ისტორიული და უფრო სწორად ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებს მოხერხებულად იყენებენ აღნიშნული ქალაქების არქეოლოგი მკვლევარები დ. მუსხელიშვილი და ლ. ჭილაშვილი. მათი მთავარი ამოსავალი დებულება, რომელიც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ის არის, რომ ივრის ხეობის მეურნეობის (მესაქონლეობა, მევენახეობა, მემინდვრეობა) განვითარებაში უნდა ვეძიოთ რუსთავისა და უჯარმის გაქალაქების მიზეზი.

ცნობილია, რომ ივრის ხეობის მეურნეობის დაწინაურებულ ხასიათს არაერთხელ შეხებიან ქართველი ეთნოგრაფები თავიანთ შრომებში.

პროფ. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევებით ცნობილია, რომ ივრის ხეობაში თამარის ხატს უწინ თავისი ადგილ-მამული ჰქონია თვით გატხვეში (ივრის ფშავში) — სახნავ-სადოვრები, სათიბი და ს. ახმეტაში ზვარი და მარანი. ამას გარდა, მას თურმე მრავალი მსხვილფეხა, განსაკუთრებით კი მეწველი საქონელი და ცხვრის ფარა ჰყავდა<sup>22</sup>.

ივრის ხეობის დაწინაურებული მემინდვრეობის სისტემაში დასტურდება აგრეთვე სპეციალური ტიპის სახენელი იარაღისა — „ფშაურისა“ — აჩაჩა, რომელიც მხოლოდ ამ მიკრორაიონში იხმარებოდა, როგორც ფერდობის დასამუშავებელი იარაღი. გ. ჩიტაიას გამოკვლევით, ის ვაკეზე ვერ იმუშავებდა, ხოლო ფერდობზე ბელტს ჭრიდა და აბრუნებდა. აქვე მოწმდება მიწის კოლექტიური დამუშავების — მოღვამობის — გარკვეული ფორმის „ემბაზის“ არსებობა<sup>23</sup>.

ივრის ხეობის მესაქონლეებს შირაქში ცხვრის გარდა ძროხაც მიუდიოდათ<sup>24</sup>. თუშებსაც საზამთროდ ცხვარი იორზე გადმოჰყავდათ<sup>25</sup>.

მოტანილი მასალით სავსებით დასტურდება ივრის ხეობის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მესაქონლეობის დაწინაურება, რაც ქმნიდა იმ მთავარ ეკონომიკურ ბაზას, რამაც განაპირობა უჯარმისა და რუს-

<sup>21</sup> ვ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე., ფეოდალური საქართველოს ქალაქების საწარმოო კერათა ისტორიისათვის, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, თბ., 1960, გვ. 12.

<sup>22</sup> ვ. ბ. ბ. ა. რ. დ. ა. ვ. ე. ლ. ი. ძ. ე., ივრის ფშაველებში (დღიური), „ენიმკის მოამბე“, ტ. XI, თბ., 1941, გვ. 123

<sup>23</sup> გ. ჩ. ჩ. ი. ა. ი. ა., თიანეთის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, თბ., 1941, გვ. 65

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> რ. ხ. ა. რ. ა. ძ. ე., საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მსე, ტ. X, თბ., 1959, გვ. 202-205.

თავის გაქალაქება. ამ შემთხვევაში უჯარმა და რუსთავი ერთ კულტურულ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა.



ამგვარად, კახეთის ქალაქებისა და ნაქალაქარების — თელავის, რუსთავისა და უჯარმის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ ქალაქების ცხოვრების უწყვეტი კულტურული ტრადიციების დადგენა. კრიტიკიუმი კი ამ ტრადიციის გამოსავლენად სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა. თელავის მიმართ ამგვარ როლს კერამიკა და საერთოდ ხელოსნობის სხვადასხვა დარგის დაწინაურება ავლენს როგორც ყოფაში, ასევე განათხარ მასალაში. წვრილი ჭურჭლის დამზადების ტრადიცია ამ დარგის თითქმის ყველა სახეობის განვითარების უწყვეტი ზოლი — დღევანდლამდე მოიტანა ქართულმა ხალხურმა კერამიკულმა წარმოებამ. შიგა-კახეთის კერამიკული ცენტრი სწორედ თელავ-იყალთოს, რუსისპირისა და ვარდისუბნის მიკრორაიონშია გაბნეული. დღესაც დასტურდება ამ პუნქტებში კერამიკული წარმოება.

უჯარმისა და რუსთავის მაგალითზე ამ განმსაზღვრელ როლს მესაქონლეობა (მეცხვარეობა) და მასთან დაკავშირებული საძოვრების დაუფლების საკითხი თამაშობს. რუსთავში კარგად არის წარმოდგენილი ხელოსნობის მასალები როგორც კერამიკის, ისე საფეიქრო დარგში, მაგრამ იქ ერთიანი მასალის მოპოვება შეუძლებელია ქალაქის მოსახლეობის განადგურების გამო. ამიტომ მისი ქალაქური მეურნეობის საკითხები უჯარმასთან ერთ კომპლექსში განიხილება მათი ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის სიახლოვის გამოც. მეცხვარეობა და მასზე დამყარებული ხელოსნობა და ვაჭრობა უნდა ყოფილიყო ქალაქის წარმოშობა-დაწინაურების მიზეზი<sup>26</sup>.

მცხეთას გამორჩეული ადგილი უკავია თავისი უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენების გამო. დიდი პოპულარობა მას 1937 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა მოუპოვა, რომლის უდიდესი მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული<sup>27</sup>.

ცნობილია, რომ მცხეთის მდიდარ არქეოლოგიურ მონაპოვარში განსაკუთრებული ადგილი უკავია ხელოსნურ ნაწარმს — კერამიკას<sup>28</sup>. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ უკვე II ათასწლეულის ბოლოს მცხეთის კერამიკულ წარმოებაში გამოიყენებოდა მორგვი<sup>29</sup>. მცხეთაში

<sup>26</sup> დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

<sup>27</sup> ა. აფაქიძე, „სამეურნეო“ ქალაქი ქართლისა, „მკვლევების მეგობარი“, 1977, № 46, გვ. 10.

<sup>28</sup> Лорткипанидзе О., Ремесленное производство..., с. 23.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 4.



ძალიან ადრე ძვ.წ. IX-VI სს. ჩანს მოჭიქული ჭურჭელი სამთავროს სამაროვანზე<sup>30</sup>.

კერამიკული ნაწარმი მცხეთაში წარმოდგენილია: 1. სამურნეო დანიშნულების ჭურჭლითა და 2. სამშენებლო კერამიკით. სამურნეო ჭურჭლიდან აღსანიშნავია ღვინის ქვევრები, დერგები, ქოცოები. საოჯახო ჭურჭლიდან კი სხვადასხვა ფორმის დოქები, ჯამები, თეფშები, ფიალები, საღვინეები<sup>31</sup>. მცხეთაში აღმოჩენილ სამშენებლო კერამიკას განეკუთვნება კრამიტი, აგური, კერამიკული ფილები, თიხის მილები, ყოველივე ეს გამთხრელთა მიერ მიჩნეულია ადგილობრივი წარმოებით პროდუქტად<sup>32</sup>. ბოლო წლებში (1975 წ.) წარმოებული გათხრებიდან აღსანიშნავია კარსნისხევის მარჯვენა ნაპირზე ძვ.წ. I — ახ.წ. I ს. „მცხეთის კერამიკონის“ — მეთუნეთა ცალკე დასახლების — აღმოჩენა საწარმოო უბნითა და სამაროვანით<sup>33</sup>. კარსნისხევის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა როგორც სამურნეო დანიშნულების კერამიკა, აგრეთვე საოჯახო ჭურჭელი და თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები<sup>34</sup>. ნარეკვავში დასტურდება აგრეთვე მთელი დაბა ხელოსნებისა, რომლის მახლობლად არის ჩადგმული თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, თიხის სახელ-დასაძველებელი ნაწილი თუ ნედლი ჭურჭლისა და ნაწარმის დასაწყოები სათავსები<sup>35</sup>.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მცხეთის მდიდრად წარმოდგენილი ეს განათხარი კერამიკა ჩანს ადრეპრინჯაო-გვიანრკინის ხანიდან დაწყებული ანტიკური, ადრეფეოდალური და საერთოდ განვითარებული ფეოდალური ხანის თითქმის მთელ მანძილზე<sup>36</sup>.

იძენად მდიდარი და უნიკალურია მცხეთის ნაქალაქარის მონაპოვარი, რომ მის ფონზე თითქოს იჩრდილება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალა. ცნობილია, რომ დღეისათვის ქალაქში მასალის მოპოვება ძალზე ჭირს, ამდენად, მცხეთაში გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალა დიდია თავისი მნიშვნელობით, პირველ ყოვლის იმით, რომ იგი საშუალებას იძლევა მცხეთის ხელოსნობა განხილულ იქნეს როგორც ქალაქური ტიპის ხელოსნობა. აქაური მეწადე (92 წ. პეტრე სოლომონის ძე კაპანაძე), დურგალი (80 წ. მოსე იავორის ძე ორთანეხოვი, 72 წ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე

<sup>30</sup> გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 354.

<sup>31</sup> Лорткипанидзе О., დასახ. ნაშრ., გვ. 23.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>33</sup> ა. აფაქიძე, „სამეურნეო“ ქალაქი..., გვ. 11.

<sup>34</sup> ვ. ნიკოლაიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება „დიდი-მცხეთის“ ტერიტორიაზე, „მაცნე“, ისტორიის ... სერია, 1978, № 4, გვ. 167-171.

<sup>35</sup> ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

<sup>36</sup> ვ. ნიკოლაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

ხუროშვილი), მჭედელი (82 წ. იორამ ილიას ძე თეთრაძე), კერამიკოსი (75 წ. შაქრო გაბრიელის ძე თეთრაძე), ჯაგრისების მკეთებელი (86 წ. იოსებ ზაქარაიას ძე ამირხანაშვილი) ის ხელოსნები არიან, რომლებიც ხელობის შემოსავლით ირჩენენ (1977-1978 წწ., მცხეთა) თავს. ეს არის მათი არსებობის ძირითადი წყარო. მცხეთაში ხელოსნები ცალკე პროფესიას ქმნიდნენ დაბის ხელოსნებისაგან განსხვავებით, სადაც (დაბაში, მაგ., კასპის რაიონის ახალქალაქში) ძირითად შემოსავალს სოფლის მეურნეობის სამუშაოებიდან მიღებული მონაგარი წარმოადგენდა, ხოლო ხელოსნობა შემოსავლის მხოლოდ დამხმარე საშუალება იყო.

ვინაიდან მცხეთაში ქალაქური ტიპის ხელოსნობა დგინდება, მოწმდება აგრეთვე გამოკვეთილი სახით შეგირდისა და ქარგლის კატეგორიის არსებობა.

ხელობის შესწავლის შემდეგ შეგირდი ილოცებოდა ოსტატის სახელოსნოშივე. ივანე თეთრაძის ცნობით, შეგირდი აუცილებლად უნდა დალოცვილიყო, ვინაიდან მხოლოდ დალოცვის შედეგად ემუშავა.

მცხეთაში მოპოვებული მასალით, აქ წვრილი ხელოსნური წარმოება დასტურდება, ვინაიდან თითქმის ყველა ხელოსანს ერთდროულად ერთი შეგირდი ჰყავს, ქარგალი კი მისი შრომის ძვირადღირებულების გამო იშვიათია და გვხვდება უფრო ღურგლებთან, მეავეჯეებთან და თიხის ჭურჭლის მკეთებლებთან. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქარგალი — დაქირავებული ხელოსანი.

მცხეთაში იციან, რა არის ამქარი, მაგრამ სხვადასხვა დარგის ხელოსანთა მცირერიცხოვნების გამო, იგი აქ არ მოწმდება. ხელოსნებიდან კი დასტურდება თითქმის ყველა იმ დარგის წარმომადგენელი, რაც ქალაქს ახასიათებდა საერთოდ — კალატოზი, ღურგალი, ქვისმთლელი, მჭედელი-ნალბანდი, მკალავი, ხარაზი, მეწაღე და სხვ. შეკრებილი მასალებით, მცხეთა კერამიკული წარმოების (წითელი და მოჭიქული თავლისფერი ჭურჭლის) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა შიდა ქართლში. მცხეთაში მზადდებოდა ძირითადად წვრილი ჭურჭელი: ჩანახისა და ლობიოს ჯამები, ღვინისა და წყლის ფიალები, მარნები — სასმისები, პატარა და დიდი დოქები (7-8 ლ.),

ხელადები (2-3 ლ.), ჩარექიანები (1 ლ.), კერძის („ფითის“) ქოთნები, მაწვნის პატარა (1 ლ.) და დიდი (3-5 ლ.) ქილები, სადღურები, სადღებლები.

მთხრობელთა გადმოცემით, მცხეთური თიხა საუკეთესო იყო ჭურჭლისათვის, იგი მოიპოვებოდა ღართისკარში, ბებრისციხესთან, ცლობეში და კოდმანში; მცხეთის მიწა „მსუქანი“ იყო. 74 წ. მეჭურჭლე ზაქარია ივანეს ძე მაჩხანელის (მცხეთა, 1978 წ.) ცნობით, ორწილ ორღობის თიხას თურმე ერთ წილ მსუქან მიწას ურევდნენ; ეთნოგრაფ

ს. ბედუკაძის დაკვირვებით, მცხეთური ჭურჭელი გამოირჩევა თხელ-  
კედლიანობით, რასაც ადგილობრივი ხელოსნები აქაური თეხის ფაქტი  
დაჭერის“ უნარიანობას მიაწერენ. ამის გამო ოსტატები ხშირად ოდნავ  
ჭურჭლის (ორი, სამი და ოთხ თუნგიანი) დამზადებას და მის მოჭიქ-  
ვასაც მისდევდნენ<sup>37</sup>.

კერამიკული წარმოების ეს ტრადიციულობა, როგორც დავინახეთ,  
არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. კერამიკა მოჩანს მცხეთის  
ისტორიის მთელ მანძილზე. ეს ერთიანი უწყვეტი კულტურული ტრა-  
დიცია, როგორც მოპოვებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, ყვე-  
ლაზე მკაფიოდ მუდავნდება კერამიკული წარმოების ისეთ დარგში,  
როგორც მეკრამიტეობაა. მეკრამიტეობა კი სამშენებლო კერამიკის ის  
დარგია, რომელიც თავისი დანიშნულებით ყველაზე ახლოსაა ქალა-  
ქურ ხელოსნობასთან. დიდია მცხეთაში აღმოჩენილი ანტიკური კრა-  
მიტის მნიშვნელობა საქალაქო მშენებლობის ისტორიისათვის საქარ-  
თველოში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „მცხეთურად“ იწოდებოდა  
ის კრამიტიც, რომელიც სულ ბოლო ხანებამდე იჭრებოდა მცხეთაში.

როგორც ცნობილია, მცხეთაში აღმოჩენილია ორი ტიპის კრამიტი:  
ბრტყელი და ღარიანი. სახურავს ბრტყელი კრამიტი ფარავდა, ღარია-  
ნის დანიშნულება იყო ბრტყელი კრამიტის შეერთების ადგილის  
დაფარვა და ამ გზით დაცვა სახურავისა ატმოსფერული ნალექე-  
ბისაგან<sup>38</sup>.


მოყვანილობის მიხედვით მცხეთური ბრტყელი კრამიტი ერთგვარია:  
ფართო ტრაპეციისებრი, რომელსაც ზედა ნაწილი უფრო განიერი აქვს,  
ვიდრე ქვედა, ხოლო მარჯვენა და მარცხენა გვერდები აკეცილია.  
მიუხედავად კრამიტის ერთნაირი ფორმისა, ერთნაირი ზომის ბრტყელი  
კრამიტი გათხრების დროს არ ჩანს, ამის საფუძველზე ა. ავაქიძე გამო-  
თქვამს მოსაზრებას, რომ მცხეთური კრამიტი უყალიბოდ, დაზგაზე  
კეთდებოდა. მისი ნაპირების აკეცვა კი წარმოებდა ხის ან ლითონის  
დანით<sup>39</sup>.

მეორე ტიპი მცხეთაში გავრცელებული კრამიტისა ღარიანებრი, ანუ  
ღარიანი კრამიტია. მისი ზომების სხვადასხვაობის გამო დადგენილია,  
რომ ამ ტიპის კრამიტი ჩარხზე კეთდებოდა ისე, როგორც წყალსადე-  
ნის მილები, შემდეგ ამ მილებს ჭრიდნენ შუაზე და თითო მილიდან  
ორ-ორ კრამიტს ღებულობდნენ. ამასთანავე, მცხეთის ღარიანი კრამი-

<sup>37</sup> ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, კერამიკა, მოჭიქული ჭურჭელი, თბ., 1964, გვ. 4.

<sup>38</sup> ა. ა ვ ა ქ ი ძ ე, სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური  
ხანის ქართლის სამეფოში, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1959,  
გვ. 104.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 106.



ტი იმით განსხვავდებოდა ანტიკური და შუა საუკუნეების კალიპტურებისაგან, რომ მას თავისებური ქიმი (ყური) უკეთდებოდა ზურგზე, ვეფხვი რო ბოლოსთან, რომლის დანიშნულება იყო ღარიანი კრამიტის ხედა მწკრივის შეკავება<sup>40</sup>.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში საშენებლო კერამიკა გვიანანტიკურთან (სამთავრო, სადგური, არმაზისხევი) შედარებით უფრო ფართოდაა გამოყენებული<sup>41</sup>. ამ დროის კრამიტი ფორმით არ განსხვავდება ადგილობრივი ანტიკური კრამიტისაგან; მას ისეთივე ტრაპეციისებური მოყვანილობა აქვს, ოღონდ მასზე უფრო პატარაა და თხელი, ხოლო ხარისხით — ნაკლები<sup>42</sup>. ეს ცვლილება, არქეოლოგ ჯ. ჯღამაიას აზრით, აიხსნება გადახურვის კონსტრუქციის (ნივნივების) შემსუბუქების, კრამიტის, დამზადებისა და ხმარების რაციონალიზაციისადმი მიდრეკილებით. ამ დროის კრამიტი ძირითადად უკვე ყალიბშია ნაკეთები, რომელიც ხისა უნდა ყოფილიყო და, როგორც კრამიტის ზომებიდან ჩანს, სხვადასხვა სტანდარტის<sup>43</sup>.

შუაფეოდალური ხანის მცხეთაშიც დასტურდება ორივე ტიპის კრამიტის არსებობა<sup>44</sup>. ამ დროიდან მას უკვე აღარ უკეთდება საწვიმარი ღარები, მოწმდება აგრეთვე ერთი ტიპის კრამიტით (ბრტყელი) შენობის გადახურვა მისი წადმა-უკუღმა წყობით<sup>45</sup>.

XVIII ს. უკვე მარტო ღარისებური კრამიტი იჭრებოდა. ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის წარმოება თანდათან შეწყდა და საყოველთაოდ შეიცვალა მასზე უფრო მსუბუქი და მცირე ზომის ღარისებრი კრამიტით, რაც ჯღამაიას აზრით, მნიშვნელოვან კონსტრუქციულ გაუმჯობესებას წარმოადგენდა<sup>46</sup>. ავტორი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ლ. ბოჭორიშვილის მოსაზრებას ღარიანი კრამიტის საქართველოში საყოველთაოდ გავრცელების შესახებ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ღარიანი არ იყო საქართველოში მაშინ გავრცე-

<sup>40</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

<sup>41</sup> ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, საშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 15.

<sup>42</sup> ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> ა. ბ ო ხ ი ა ძ ე, მასალები შუაფეოდალური მცხეთის ისტორიისათვის, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1959, გვ. 20.

<sup>45</sup> ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 44.

ლებული კრამიტის მხოლოდ ერთადერთი სახეობა, მასთან ერთად იჭრებოდა ბრტყელი კრამიტიც.

მცხეთაში ჩვენს მიერ მოპოვებული მასალით ირკვევა, კრამიტის რებაში ყოფილა ქართული ბრტყელი კრამიტი. იოსებ ამირხანაშვილის ცნობით, მცხეთაში ძველად იჭრებოდა ბრტყელი ქართული კრამიტი, რომლითაც დახურულ სახლებს ახლაც გვიჩვენებენ მთხრობელები. კალატოზ ვანო გაბრიელის ძე თეთრაძის თქმით, „ძველად იხმარებოდა ქართული ბრტყელი კრამიტი, ტატე გიუტაშვილი ჭრიდა, ჩემი ბიძა იყო, რეიკაზე იხურებოდა კრამიტი, აქ მოვიდა ინგლისელი ანდრიოლეტი და მან გააკეთა კრამიტი, ჩვენსას, ქართულს, უნდა ხის შეპკა, იმას კიდევ — არა. ღარიანი კრამიტი იჭრებოდა თიანეთის, დუშეთის მხარეს; ძალიან საიმედოა, მაგრამ დიდი შრომა უნდა“.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ „შინამრეწველობის მასალებით“ ბრტყელი კრამიტის წარმოება მოწმდება მხოლოდ ქართლში, საქართველოს სხვა კუთხეებში კი — ღარიანისა<sup>47</sup>. ჩვენი მასალებითაც, როგორც აღინიშნა, მცხეთაში დასტურდება ბრტყელი კრამიტის დამზადება, ღარიანისა კი — თიანეთისა და დუშეთის მხარეს. ეთნოგრაფ მ. ზანდუკელის მასალებით, ცნობილი ყოფილა მცხეთური და ქსნური ორივე ტიპის კრამიტი ტრადიციულ ქართულ ბრტყელ და ღარიან კრამიტთან ერთად<sup>48</sup>.

კრამიტის წარმოებასა და გამოყენებას ქართლში ადასტურებს ს. ბედუკაძის მიერ 1947 წ. შეკრებილი მასალები, რომლის მიხედვით კრამიტი სამი სახისაა: 1. ქ ა რ თ უ ლ ი ბ რ ტ ყ ე ლ ი, თ ხ ე ლ ი კ რ ა მ ი ტ ი, ი გ ი ვ ე ლ ო მ ფ ი ნ ი, ნ ა ფ ო ტ ა კ რ ა მ ი ტ ი, კ ო რ ა ქ ი ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც „შ ე პ კ ა ზ ე“ ი ხ უ რ ე ბ ა; 2. ღ ა რ ი ა ნ ი (ი გ ი ვ ე კ უ რ ტ ა ნ ი კ რ ა მ ი ტ ი კ ო რ ა ქ ი ა ნ ი, თ ი ა ნ ე თ უ რ ი მ ძ ი მ ე ა და კ ო რ ა ქ ი ა რ ა ა ქ ე ს), რომელიც კავით მაგრდებოდა, 3. მ ც ხ ე თ უ რ ი ა ნ უ ქ ს ნ ი ს, რ უ ს უ ლ ი, მ ო გ რ ძ ო კ რ ა მ ი ტ ი, რომელსაც ორი კორაქი ჰქონდა<sup>49</sup>. მაშასადამე, ნათელია, რომ საქართველოში ბოლო ხანებამდე მზადდებოდა ორივე ტიპის კრამიტი. ამასთანავე, მეკრამიტეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა მცხეთა. იგი ცნობილი იყო „მცხეთური კრა-

<sup>47</sup> მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის (ქართლი, მტკვრის ჩრდ.), ტ. I, თბ., 1976., გვ. 213.

<sup>48</sup> მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ქსნის ხეობის კერამიკა, „ქსნის ხეობა“, თბ., 1975., გვ. 171; მ ი ს ი ვ ე, ქართული ხალხური კერამიკა (ქსნის ხეობა), თბ., 1982, გვ. 77-86.

<sup>49</sup> ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1947, რე. №№ 1,2,3,4; იხანება კავკასიისა და საქართველოს ეთნოგრაფიის სექტორის არქივში.

მიტი“ . მთხრობელთა დახასიათებით, „მცხეთური კრამიტი ღიღია, უზარმაზარი, საკეტიანი<sup>50</sup>, ერთმანეთზე იკეტება“ (60 წიგნი ნინიკას ძე ნარიშანიძე). ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობებით მთხრობელთა იმ განმარტებას, რომ ქსნური იგივე მცხეთური კრამიტია („მცხეთის კრამიტი, ეგვეც ქსნის ყალიბია“), ქსანში კი ორივე იჭრებოდა. მცხეთაში, თიხით მდიდარ ორღობესა და ღართისკარში, დასახლება კი ყოფილა აგურხანის სახელწოდებით, სადაც სულ ბოლო ხანებამდე კრამიტი და აგური იჭრებოდა, ვიდრე საკრამიტე თიხა არ ამოიწურა. ეს დასახლება ქალაქს შეუერთდა და დღეს მცხეთის ერთ-ერთ რაიონს წარმოადგენს. ამის გამოა, რომ მთხრობელები აქ მოჭრილს მცხეთურ კრამიტს უწოდებენ და მას არ განასხვავებენ ქსნურისაგან, რომელიც მთელ საქართველოშია განთქმული და სადაც დღესაც მზადდება აგური და კრამიტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ქსნურს“ მთხრობელები ფართო გაგებით ხმარობდნენ, რომელიც მოიცავს ქართლს (მცხეთა-ქსანი-იკოთი-ახალგორი-ღუშეთი). მაგრამ მთხრობელებმა ისიც კარგად იციან, რომ ქსნის კრამიტი იყო როგორც „ერთნაირი, ძველებური, სწორი და მრუდე“, ისე ახალი ფორმის (რუსული), გრძელი. მცხეთური კრამიტი 1000 რომ სჭირდებოდა სახურავს, იქ ქართული ბრტყელი 2000 დასჭირდებოდა. მცხეთა-ქსანი და საერთოდ ქართლი კრამიტის დამზადების ცენტრად ისახება ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. განსხვავებული ანტიკური კრამიტიც ხომ მცხეთაში იჭრებოდა. ეს უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს. მართალია, თვით კრამიტიც და მისი დამზადების წესიც იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ კრამიტის წარმოების ტრადიცია დღემდე ცოცხლობს მცხეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რასაც ხელს უწყობს მცხეთის უბანში არსებული ოლიგოცენური ასაკის მაიკოპური ტიპის თაბაშირიანი თიხები<sup>51</sup>. და ბოლოს, ქართული ხალხური კერამიკის მიმართ ს. ბელუკაძის მიერ გამოთქმული დებულება მისი ყველა სახეობის განვითარების უწყვეტელობის შესახებ მტკიცდება უშუალოდ განათხარ მასალაზე. მაგ., გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში მცხეთაში მოგვეპოვება უკვე კერამიკულ მორგვზე ნაკეთები, დახვეწილი ფორმის მქონე ჭურჭელი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ჭურჭლის ამოყვანა-დაყალიბების მაღალი დონე ცხადად გვიჩვენებს იმდროინდელი ოსტატის მიერ ჩარხის გამოყენებას. მცხეთაში ადრერკინის ხანის (IX-VI სს.) ადგილობრივი წარმოების მოტიქული ჭურჭელიცაა აღმოჩენილი, რაც აგვირგვინებს

<sup>50</sup> ს. ბ. ე. დ. უ. კ. ა. ძ. რვეული № 2, გვ. 137.

<sup>51</sup> ბ. ვ. ა. მ. ყ. რ. ე. ღ. ე. გ. ლომთათიძის მიერ გათხრილი ზოგიერთი ადგილის მოკლე გეოლოგიური დახასიათება, „ფოლადური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, ტ. II, თბ., 1970, გვ. 20.

ძველი ეპოქის ძირითად მიღწევებს ქართული კერამიკული კულტურის განვითარების საქმეში. მომდევნო ხანა უკვე ძველი ფორმების დახვეწისა და მათი მაღალმხატვრული გემოვნებით გამოხატულებას<sup>52</sup>.

ამგვარად, ქალაქების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში განხილვისას შესაძლებელი ხდება ხელოსნობის გარკვეულ დარგში (კერამიკული ჭურჭლის წარმოება, სამშენებლო კერამიკა) ერთიანი კულტურული ტრადიციების დადგენა, განსაკუთრებით ცოცხალ ქალაქებში. მიტოვებული ქალაქები, როგორც დავინახეთ, ამის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან მათ საქალაქო ცხოვრებაში წყვეტილი შეინიშნება.

---

<sup>52</sup> ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, კერამიკა, წითელი ჭურჭელი, თბ., 1962.

ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია

ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია იმ ისტორიკოსთა კვლევის სფეროში ექცევა, რომლებიც, ბუნებრივია, სწავლობენ კაპიტალიზმის გენეზისს და მის განვითარებას საქართველოში. ცნობილია, რომ კაპიტალიზმი ყველაზე ადრე ქალაქურ ხელოსნობაში იკიდებს ფეხს, აქცევს რა ქარგალს დაქირავებულ ხელოსნად. ქალაქური ხელოსნობის ამ ცვლილებებს, მის დაშლას, მის ტრანსფორმაციას მეტ-ნაკლებად ეხებიან პ. გუგუშვილი თავის შრომაში „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.-ში“, თბ., 1966 წ., V; ა. კიკვიძე, „მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870-1902 წწ.)“ თბ., 1946 წ.; მისივე, „საქართველოს ისტორია (XIX ს.)“ თბ., 1951 წ.; გ. ბაქრაძე, „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в.“, Тб., 1958 г.; ედ. ხოშტარია, „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში“, ტ. I, თბ., 1966 წ.; ნ. როდონაია, „თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახ.“, თბ., 1961 წ.; გრ. მარგიანი, „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ.“, თბ., 1976 წ.; ა. ბენდიანაშვილი, „სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში“, თბ., 1971 წ.; И. Антелава, Э. Орджоникидзе, Э. Хоштария, «К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии», Тб., 1967 г., მ. სამსონაძე, „თბილისის სამრეწველო განვითარება XIX ს. რეფორმამდელ საქართველოში“, თბ., 1968 წ., მისივე, „საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. I მესამედში“, თბ., 1980 წ.<sup>1</sup>

ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიულ ევოლუციას XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისში სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ლ. ებგვერაძემ, სადაც მდიდარ საარქივო მასალაზე დაყრდნობით აჩვენა ხელოსნური წარმოების გარდაქმნის, მისი დაშლის ძირითადი მიზეზები. მან

<sup>1</sup> ამ ავტორებს ვასახელებთ ჩვენი მონოგრაფიის შესავალში საკითხის ისტორიკოგრაფიის განხილვისას. ეს ისტორიკოსები ეხებიან ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიულ ევოლუციას ქალაქურ ხელოსნობაში. იგივე საკითხს ვიკვლევთ ჩვენ ამ თავში, ოღონდ უსწრაფიერად მასალის მოშუქლებით. ამიტომ ადგილი აქვს ზოგიერთი მასალის განმეორებას.

მოგვცა ხელოსნური წარმოების ეკოლუციის მეცნიერული დახასიათება. ავტორის აზრით, ეს იყო ხანგრძლივი პროცესი. პირველ წლებში მთავრობა ცდილობდა ამქრული ხელოსნობის დაცვას, ეს მას აწერიდა ამიტომ ხელოსნობის შესახებ მიღებული 1867 წ. „დებულება“ (ეს დებულება გულისხმობდა ამქრის რეორგანიზაციას) არ სპობდა ამქრულ ორგანიზაციას, იგი მხოლოდ ზღუდავდა მას და ხელისუფლების კონტროლს უქვემდებარებდა, როგორც რუსეთში. ეს იყო ამქრის ნაწილობრივი რეორგანიზაცია<sup>2</sup>. ცნობილია, რომ ამ კანონის შემდეგაც ამქრები განაგრძობდნენ დამოუკიდებელ საქმიანობას.

მეფის ხელისუფლებამ აღნიშნული დებულებით ამქრულ ორგანიზაციას სიცოცხლე გაუხანგრძლივა, ამავე დროს სტიმული მისცა ამქრის გარეშე ხელოსნობის პროგრესს, რითაც მან იმპერიის განაპირა ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების ერთგვარი რეგულირება სცადა<sup>3</sup>. ამ დადგენილების გატარებას წინ უძღოდა აგრეთვე 1864 წ. საგლეხო რეფორმა, რომელმაც, ავტორის აზრით, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის დამყარებას და გამარჯვებას, რასაც სხვა ძირეულ ძვრასთან ერთად თან ახლდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის საგრძნობი ზრდა, საქალაქო ცხოვრების განუხრელი აღმავლობა. ქალაქის ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბი გაფართოვდა, ხელოსნობის დაშლის შედეგად კადრების გარკვეულმა ნაწილმა ფაბრიკა-ქარხნებში გადაინაცვლა და თავისუფალ დაქირავებულ მუშათა კადრების შევსების ერთ-ერთი წყარო გახდა<sup>4</sup>.

ლ. ეძგვერაძის დაკვირვებით, კაპიტალისტურმა ეპოქამ გავლენა მოახდინა ხელოსნური დარგების შემდგომ ბედზე. ხელოსნური წარმოების ბევრი ადრე დაწინაურებული დარგი დაკნინდა, ან სრულიად გაქრა, ამასთანავე ხელოსნობის არაერთი ახალი დარგი გაჩნდა. ხელოსნურ წარმოებაზე, ავტორის აზრით, გარკვეულ გავლენას ახდენდა არა მარტო კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება, არამედ რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის კონკურენცია<sup>5</sup>.

XIX ს. რეფორმის მომდევნო ხანაში, ლ. ეძგვერაძის დასკვნით, აშკარა გახდა ხელოსნობის დაშლის პროცესი. გაქრა, ერთი მხრივ, წვრილ სახელოსნოთა ერთი ნაწილი, მეორე მხრივ, გაჩნდა მსხვილ

<sup>2</sup> ლ. ეძგვერაძე, ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ეკოლუცია საქართველოში XIX ს. II ნახ.-XX ს. დამლევს (თბილისის ხელოსნური წარმოება), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1978, გვ. 161.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 162.

<sup>5</sup> იქვე.



სახელოსნოთა დიდი რაოდენობა, სადაც გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. XIX ს. II ნახევრისათვის უკვე მკაფიოდ შეიმჩნეოდა წვრილ მწარმოებელთა ორ კატეგორიად გათიშვა. პირველს განეკუთვნებოდა ამქარში გაერთიანებული ხელოსნობა, რომელსაც დიდხანს შემორჩა ტრადიციული ქართული ფოთალური ამქრული ხელოსნობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ XIX ს. ბოლოსათვის ის უკვე ქრება. მეორე კატეგორიას, ავტორის აზრით, ამქარგარეშე ხელოსნური წარმოება ეკუთვნოდა, რომლის ზრდა-განვითარება სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა<sup>6</sup>.

კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციისა და რუსეთიდან, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი ნაწარმის კონკურენციის პირობებში სახელოსნოთა მფლობელები ცდილობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა, გაეძლიერებინათ დაქირავებული ოსტატების, ქარგლებისა და შევირდების ექსპლოატაცია, გაეხანგრძლივებინათ შევირდობისა და ქარგლობის ვადები. სახელოსნოს მეპატრონენი ხელოსნებთან ერთად ქობდნენ „მუშებსაც“. ასეთ ვითარებაში „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ“<sup>7</sup>. შედარებით ნელა იზრდებოდა ოსტატების რიცხვი, შრომის ანაზღაურების დონე თანდათან ეცემოდა<sup>8</sup>. ხელოსნური წარმოების კრიზისმა გამოიწვია თავის მხრივ საფაბრიკოსაქარხნო მრეწველობის სწრაფი ზრდა. ასეთია ავტორის დასკვნები ქალაქური ხელოსნობის წარმოების ტრანსფორმაციის შესახებ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით.

ამ თავში განხილულია საქართველოს ქალაქებში დამოწმებული ხელოსნური წარმოების ბუნება XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში. რას წარმოადგენდა ამ დროინდელი ხელოსნობა?

ქალაქური ხელოსნობის ბუნება, მისი სოციალური ხასიათი ეთნოგრაფიულად ნაკლებად არის შესწავლილი. ჩვეულებრივ ხელოსნური წარმოების შესწავლისას წინ არის წამოწეული ხოლმე ხალხური წესები, ხალხის მდიდარი ცოდნა-გამოცდილება, მისი საწარმოო ჩვევები, რაც სავსებით გასაგებია. მაგრამ ამ წარმოების სოციალური მხარე კი ნაკლებად არის გაშუქებული ეთნოგრაფთაგან. მას, როგორც დავინახეთ, უფრო მკვეთრად წარმოადგენენ ისტორიკოსები. შეიძლება ეს იმიტომ უფრო ხდება, რომ სოფლად ხელოსნობა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებისადნია დაქვემდებარებული, არ არის ის სოციალურად რთული ერთეული. ქალაქად, რასაკვირველია, ამ მხრივ სხვა მდგო-

<sup>6</sup> ლ. ე ძ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

<sup>7</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III მე-4 გამოცემა, თბ., 1948., გვ. 40.

<sup>8</sup> ლ. ე ძ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

მარეობაა. ქალაქში მოწმდება ხელოსნური წარმოების სხვადასხვა ფორმები და მასშტაბები. მაშასადამე, ხელოსნური წარმოება ჩვენს ქვეყნის საკვლევ პერიოდში განიცდის დიდ ცვლილებებს, ამდენად მასთან შეესაბამებულად წონილად ვცანით მისი ცალკე გამოყოფა და შესწავლა. ამ თავის ცალკე წარმოდგენა იმითაც იყო გაპირობებული, რომ გვეჩვენებინა ეთნოგრაფიული მასალის როლი ამ საკითხის გაშუქებაშიც.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგ ქალაქში (თბილისი, თელავი, სიღნაღი) ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა მუშაობა, რამდენიმე წლის ინტერვალით, რამაც მოგვცა შესაძლებლობა დაგვეზუსტებინა და შეგვეჯერებინა მასალა ხელოსნური წარმოების მრავალ საკითხზე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ საქმე გვაქვს პირუკუ მოვლენასთან, როდესაც მასალა განმეორებით აღარ ამოდის. მაგ., 1960-61 წწ. თბილისში ჩავიწერეთ უნიკალური, ახლა ამის თქმა თავისუფლად შეუძლებელია, მასალა ყაზახთა ამქრის შესახებ, 1981-82 წწ. კი ამგვარი მასალის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალის მიხედვით ტიპიურია ისეთი ხელოსნური წარმოება, სადაც ერთ ოსტატთან ერთი-ორი შეგირდი და ერთი ქარგალია. ამავე დროს ოსტატს აუცილებლად ჰყავს შეგირდად ერთი თავისი შვილი მაინც. მაგრამ ხელოსნობის ამ ფორმასთან ერთად დასტურდება სრული გადახრა მისგან, ისეთი „ხელოსნური“ წარმოება, სადაც განსაკუთრებით მრავლად არიან წარმოდგენილნი შეგირდები, ქარგლები და ოსტატები. ამჟამად ჩვენი მიზანია სწორედ ამ საწარმოების ბუნების დადგენა, მისი განხილვა. დავიწყობთ 1981-1982 წწ. ჩაწერილი მასალით თბილისის დაბახანების შესახებ.

თბილისში ხარფუხი, მთხრობელთა გადმოცემით, ძირითადად სადაბლოებით იყო წარმოდგენილი. მტკვრის სანაპიროზე, მეტეხს ქვემოთ, ვიდრე აწინდელ ბალნეოლოგიურ კურორტამდე, სულ დაბახანები იყო ჩამწკრივებული. 76 წ. სურენ გევორჯის ძე ოჯაკიმოვის გადმოცემით, მთელი მისი ოჯახი დაბალობას მისდევდა. დაბლების უსტაბაში თომა დურნუკელი ყოფილა. წარმოების დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა თურმე სუმბათოვის სადაბლო<sup>9</sup>. 88 წ. ჰაიკანუმ ივანეს ასულ თამაზოვი-ინაშვილის ცნობით, დაბლების ყველა „ხაზეინი“ სიმდიდრით იყო ცნობილი. ხარფუხელ დაბად სააკა ოგანეზოვს ყველა იცნობდა, როგორც უდიდესი ქონების პატრონს, რომელსაც დიდი „ქარხანა“ ჰქონია გამართული მტკვრის პირას. ი. ნანობაშვილი მას სააკიანის დაბახანის სახელწოდებით მოიხსენიებს<sup>10</sup>. საქართველოს სახელმწიფო

<sup>9</sup> ი. ნანობაშვილის ცნობით, ეს იყო სიმპატოვის სადაბლო, იხ. მისი „თბილისის დაბახანები“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, თბ., 1959, გვ. 175.

<sup>10</sup> იქვე.

მუხეუმის დროშების კატალოგში მოხსენიებულია 1902 წ. დათარიღებული დაბლების დროშა (№ 67-20/46), რომლის წარწერაში აღნიშნულია „სტარშინა სააკა აბრამოვიჩი ოვანუხოვი“<sup>11</sup>.

მთხრობელთა გადმოცემით, სააკას მტკვარში თოვებით ჰქონდა დაბმული ძროხისა და კამეჩის ტყავები. ცხვრის ტყავს ის არ ამუშავებდა. მისი დამამუშავებელი ხელოსანი „მეიდანში“ იყო ძველ ხიდზე. 72 წ. ნიკოლოზ ილიას ძე ბერიაშვილის ცნობითაც, ხარფუხში ყველაზე ბევრი დაბლები იყვნენ. „ბიძაჩემი, — გადმოგვცემს ის, — ხუციშვილი იყო მაგათი უსტაბაში“. მარო ვასილის ასულ კობალეიშვილ-მირზიაშვილის ცნობით, 200 დაბალი მაინც იქნებოდა ხარფუხში. მამამისიც დაბალი იყო, რომლის შეგირდი თავის დროზე სურენა ოვაკიმოვიც ყოფილა (სურენა და მარო ერთ სახლში ცხოვრობდნენ, თელეთის ქ.№ 8). სურენას მამაც მუშა ყოფილა დაბახანაში, მაგრამ „სულ უბრალო მუშა“, რომელსაც შეგირდიც კი არ ჰყოლია“. ამ ცნობიდან ნათელია, რომ სადაბალოებში მუშას შეგირდებიც ჰყოლია. ყველაზე მეტი მუშა და შეგირდი — ქარგალი დაბლებს ჰყავდათ. ერთ „ხაზეინთან“ 50-100 კაცი მაინც იქნებოდა. ერთ ხელოსანს 15 შეგირდი ეყოლებოდა. დიდი სარეწი იყო და მუშახელზედაც დიდი მოთხოვნილება, ბუნებრივია. 86 წ. არტემ მიხეილის ძე ჯირაშვილის ცნობით, ქარგალს დიდი ფასი ჰქონდა და დაბლებში. მას, როგორც შავ მუშას, ტყავების დამლობას, დღეში 2 მან. ეძლეოდა, თრიმლში ტყავის დამამუშავებელს 2-3 მან., ხოლო ტყავიდან ლემის გამფხეკ ოსტატს, როგორც განსაკუთრებული ძნელი სამუშაოს შემსრულებელს — 6 მან. მისივე ცნობით, ამ სადაბლოში დიდი ხაზეინი 8-10 იყო, ისე ოსტატი კი ბევრი, საკუთრივ მის ოსტატთან 15 მუშა.

ყაზახთა ამქარიც (1960-61 წწ., თბილისი) დიდი სარეწი იყო. აქ ცალკე იყო ძაფის დამხარისხებელი ოსტატი, ცალკე ძაფის ამომხვევი. ძაფს სამად ახარისხებდნენ: „მსხვილი“, „წმინდა“, „მუათანა“ ანუ დაბალი“.

ძაფის დაგრეხაზე სამი კაცი მუშაობდა: ერთი „მუა მომუშავე“ იყო, დღეში ოთხი აბაზი ეძლეოდა. ერთი თავში უნდა ყოფილიყო, ძაფები უნდა აეკრიფა, ოსტატი იყო, ის ერთ მანეთს იღებდა დღეში, მესამე შეგირდი იყო, მისი ხელფასი ორ-სამ აბაზს შეადგენდა.

ძაფს ორი ხელოსანი ხარშავდა, შემდეგ ხდებოდა მათი შედებვა. დამზადებული ძაფიდან ყაზახები ქსოვდნენ ჩახსაკრავების ქსელს და

<sup>11</sup> ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე, საქართველოს სახელმწიფო მუხეუმის დროშების კატალოგი, თბ., 1969, გვ. 31.

ქალებს ურიგებდნენ შინ მოსაქმოვად. ოსტატები ქსოვდნენ ყაითანსაც.

ყველა ზემოაღნიშნული ოპერაცია შეადგენდა „აბრეშუმი“ ბას<sup>12</sup>. ამას გარდა, ყაზახთა საქმიანობა მოიცავდა აგრეთვე „მკეელის“ ხელობასაც, რაც გულისხმობდა ოქრომკედლის შემზადებას და მისგან სხვადასხვა საგნების — ჩაფარიშ-ბაბთების-ბუზმენტების ქსოვას. ოქრომკედს ცალკე ხელოსანი ამზადებდა, ცალკე იყო ჩაფარიშბაბთ-ბუზმენტის ქსელის დამქსელავიც. მაშასადამე, ყაზახთა ამქრებში დიფერენცირებული იყო ხელობა - ცალკე იყო ძაფის ამომხვევი, დამგრეხავი, შემღებავი, ცალკე აბრეშუმისა და ცალკე ოქრომკედლის ხელობის მცოდნე.

ახალციხე განთქმული იყო ვერცხლის ჭვირული//აჭურული//ფილიგრანული ნივთების დამზადებით, (მასალა შეკრებილია ახალციხეში 1968 წ.). მთხრობელთა ცნობით, ეს ხელობა მეტად ნატიფი და შრომატევადი იყო, მაგრამ საკმაოდ მომგებიანიც. ახალციხეში მათი 20 დუქანი ყოფილა. თითოში — 4-5 ოსტატი მუშაობდა, ერთი-ორი შევირდით და 5-6 ქარგლით. ისინი აწარმოებდნენ დაახლოებით 2-3 ფუთ ვერცხლს წელიწადში.

შრომის დანაწილების მანიშნებელია ის ფაქტი, რომ ახალციხეში ცალკე არიან ნალბანდები, ცალკე ნალის მომჭრელი ნალჯი და ცალკე ნალის ლურსმნის გამკეთებელი — მახჩი.

დიდი იყო თერძების სახელოსნო ქუთაისში (მასალა შეკრებილია 1969 წ.) მთხრობელთა ცნობით აქ იკვრებოდა ქართული ნაციონალური კოსტუმის მთელი კომპლექტი, რომლის ცალკეულ ელემენტებს — ჩოხა-ახალუხი, ხვანჯრიანი შარვალი, ყაბალახი, ფაფანაკი, პაიჭი, პაჭანოკი//ლეკვერთხი, ნაბადი — ხშირად ცალკე ხელოსანი ამზადებდა. მას ემატებოდა ამ ეროვნული ტანსაცმლის მთავარი კომპონენტის — სხვადასხვა სახის ქუდის მკერავი (ჭონი).

ზუგდიდში (1970 წ. მასალა) თერძებს 150 დუქანი ექნებოდათ, მაგრამ კერვაზე ისეთი დიდი მოთხოვნა იყო, რომ მთხრობელთა გადმოცემით, ასიც რომ ყოფილიყო არ ეყოფოდაო.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნობაში მეუნაგირეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მეუნაგირე ამზადებდა ქართულ და რუსულ უნაგირს, წელზე შემოსაკრავ ქამარს, წულამესტს, აზიურს. აქ შრომა დანაწილებული იყო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შრომის სპეციალიზაციასთან.

ხარაზობა საქართველოს ყველა ქალაქში იყო წარმოდგენილი. იგი ქალაქური ხელოსნობის წამყვანი დარგია, ქარვალთა სიმრავლესაც სწორედ აქვე ვხვდებით. სიღნაღელი (1966 წ. მასალა) ხარაზები

<sup>12</sup> ნ. ა. ბ. კ. ა. ძ. კ., თბილისელი ფიქრები (ყაზახთა ამქარი), „მაცნე“, 1964, №

სიმრავლის გამო ორ ამქარს ქმნიდნენ, სადაც ერთიანდებოდნენ აგრეთვე ახლო მდებარე სოფლის ხარაზებიც. გორში (1967 წ. მასალა) 67 წ. ხარაზ ანტონ ლაზარეს ძე ოქროპირიძის ცნობით, ხარაზთა 145 დუქანი იყო. ამავე წყაროს მიხედვით ხარაზი კვირაში 160 წყვილ ჩუსტს შეკერავდა. იყო სახელოსნო, სადაც ერთ ოსტატთან 15-20 ქარგალი მუშაობდა.

XIX ს. II ნახ. სავაჭრო მეღვინეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კასრების დამზადება სიღნაღსა და თელავში. დიდი გასავალი ჰქონდა კასრებს შემოდგომაზე. მეკასრეები ადრევე, ივნისის თვეში, დებულობდნენ შეკვეთას და საამისო გარკვეულ თანხასაც როსტოველი ვაჭრებისაგან.

ეხება რა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, აღნიშნავს შინამრეწველობისა და ხელოსნობის დარგების დაცემას მასში დაქირავებული შრომის გამოყენების შედეგად. გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორ ხდებოდა ტრადიციული ხელოსნური დარგების დაქვეითება და ახალის (მეკასრეობა) გაჩენა საქართველოში სავაჭრო მეღვინეობის აღმავლობასთან დაკავშირებით<sup>13</sup>.

მრავლად ყოფილან მეჭურჭლეები თელავში. კახეთის მეჭურჭლეობაში თელავ-იყალთოს მიკრორაიონი წარმოადგენდა ამ დარგის წარმოების ცენტრს. 78 წ. მეჭურჭლე გიგლა ივანეს ძე დევძის (თელავი, 1971 წ.) ცნობით, თელავში წინათ 60 მეჭურჭლე ყოფილა. მისივე თქმით, ძველად ხელოსანს უნდა ჰყოლოდა მოდგამი, მეურმე საქონლიანი კაცი. ის მოუტანდა შეშას, თიხას. სანამ ოსტატი ჭურჭელს დააგროვებდა, იმას უნდა უზრუნველყო მეჭურჭლე საკვებით. როცა ჭურჭელს გამოწვავდნენ, წაიღებდნენ სოფელში და სულადზე გადაცვიდნენ, რასაც გაანაწილებდნენ თანაბრად.

70 წ. ბაგრატ მიხეილის ძე იასამანოვის (გორი, 1967 წ. მასალა) ცნობით, მჭედლებთან ამქარში შემოდოდნენ აგრეთვე მეფაიტონები ანუ, როგორც მთხრობელები უწოდებდნენ, „კარეტნიკები“ და ხის ბორბლის მეკეთებელნი — „კალესნიკები“. ერთ სახელოსნოში შრომის ფართო დანაწილებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ეტლს — ფაიტონს, ბაგრატ იასამანოვის თქმით, ექვსი ოსტატი აკეთებდა.

მაშასადამე, ჩვენ მოვიტანეთ მასალები საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან. ამ მასალების განხილვიდან ჩანს, რომ ყველა ზემოდასახელებულ წარმოებაში მასიურად გამოიყენებოდა დაქირავებული ხელოსნის ქარგლის შრომა. ასევე მომრავლებულად ჩანან შეგირდები, ოსტატები და სახელოსნოს მფლობელები — ე.წ. „ოსტატ-ხაზინები“.

<sup>13</sup> ვ. ი. ლენინი, დასახ. ნაშრ., გვ. 704-705.

ა. ბენდიანიშვილის განმარტებით, ქარგალ-შევირდთა სიმრავლე ხელოსნობის კაპიტალისტური განვითარების ძლიერ ტენდენციებზე მიუთითებს<sup>14</sup>.

XIX ს. II ნახ. — XX ს. დას. საქართველოში ქარგალი ყველგან, რასაკვირველია, უკვე დაქირავებული ხელოსნის (ქუთაისში „მოჯამავირე“) ცნების გამომხატველია. კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციები ხელოსნურ წარმოებაში სწორედ ამქარში ჩნდება, რაც იწვევს პირველ რიგში ქარგლის დაქირავებულ ხელოსნად გადაქცევას. ამიტომაც, რომ ქარგალი ამქრის წესდებაში ყველგან დაქირავებულის აღმნიშვნელია და არა მისი შუალედური საფეხურისა. ამით არის გამოწვეული ალბათ ის გარემოება, რომ ყველა მკვლევარი (შ. მესხია, კ. კუცია, მ. ჰეიდაროვი, ფ. ალიევი, ა. ბელენიციკი, ე. პეშჩერევა, ნ. კუზნეცოვა), ვინც კი XVIII-XIX სს. ქარგალს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია, ირანი) მოიხსენიებს, ხსნის მას როგორც დაქირავებულს, ვინაიდან ის ამ დროს, მართლაც, ტრანსფორმირებულია, რაც ამქრის იერარქიაში მოხდა მისი, როგორც შუალედური საფეხურის არსებობის გამო. ქარგალი რომ ამქრის იერარქიაში არ ყოფილიყო, მაშინ საიდან გაჩნდებოდა იგი მარტო XIX ს.-ში. როგორც არაერთხელ გვითქვამს, მართალია, ის XVII-XVIII სს. დოკუმენტურ მასალაში არსად იხსენიება, მაგრამ ყოფამ შემოგვინახა მისი არსებობა. ეთნოგრაფიული მასალა იძლევა ქარგლის ორივე საფეხურის (შუა და დაქირავებულის) მტკიცების საშუალებას. ხელოსანთა დებულების მოშველიების საფუძველზე შ. მესხია ასკვნის, რომ ქარგალი ეწოდებოდა. არამარტო სწავლებადამთავრებულ შევირდს, არამედ ყოველ ხელოსანს, რომელიც ოსტატობას ეწევა დაქირავებით სახელოსნო დაწესებულებათა მეპატრონეებთან<sup>15</sup>. ეს საბუთი დანართის სახით თავის დროზე გამოცემული აქვს შ. ჩხეტიას მონოგრაფიაში XIX ს. თბილისის შესახებ. ვფიქრობთ, ეს საბუთი შესანიშნავი დასტურია ჩვენი დებულებისა, რომ ქარგალი არის ხელოსნის დაოსტატების როგორც შუა საფეხურის, ასევე დაქირავებული ხელოსნის აღმნიშვნელი. გაცეხებას იწვევს ის გარემოება, რომ შ. მესხია იმეორებს ქარგლის შესახებ ზემომოტანილ განმარტებაში მხოლოდ დაქირავების მომენტს და რატომღაც უგულებელყოფს ქარგლის რაობის განმსაზღვრელ ამ პირველ ნაწილს, რომ ქარგალი არის კურსდამთავრებული შევირდი. ასე წერდა შ. მესხია ქარგლის შესახებ 1948 წ. საქართველოს სსრ მეც-

<sup>14</sup> ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>15</sup> Положение о ремесленных амкарах (цехах) в г. Тифлисе и об их управлении, Тифлис, 1867, გვ. 500; გამოქვეყნებულია შ. ჩხეტიას შრომაში — „Тифлис. в XIX столетии“, Тбилиси, 1949, შდრ. Ш. А. Месхиа, К вопросу об институте подмастерьев в грузинских амкарах (цехах) в позднефеодальный период, Сообщения Акад. наук Груз. ССР, т. IX, № 6, 1948, с. 383.

ნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილი სტატიის რუსულ ტექსტში (იხ. მისი „К вопросу об институте подмастерьев в грузинских мастерских (цехах) в позднефеодальный период“, Сообщения АН Груз. ССР, т. IX, № 6, 1948 г.), ხოლო ამ სტატიის ქართულ დედანსა და მონოგრაფიაში „Города и городской строй феодальной Грузии“, იგი ხელოსანთა დებულების საფუძველზე გვთავაზობს ქარგლის განმარტების უკვე სხვა რედაქციას, რომლის მიხედვით „ქარგალი ეწოდება არა სწავლება დამთავრებულ შეგირდს, არამედ ყოველ ხელოსანს, რომელიც ოსტატობას ეწევა დაქირავებით სახელოსნო დაწესებულებათა მებატრონებთან“<sup>16</sup>. მართლაც საინტერესოა, რის საფუძველზე აქვს ავტორს მოცემული ქარგლის განმარტების პირველი რედაქცია, როდესაც სახელოსნო დებულებაში არ მოიპოვება განმარტება იმის შესახებ, რომ ქარგალი იყოს სწავლება-დამთავრებული შეგირდი. დებულების § 39 და § 41, რაზედაც ავტორი მიუთითებს, დაქირავებული ქარგლის აღმნიშვნელია მხოლოდ.

XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისში დაქირავებული შრომის გამოხატველნი არიან არამარტო ქარგლები, არამედ შეგირდებიც. ისტორიკოსებს მოჰყავთ მრავალი მაგალითი მათი დაქირავების შესახებ<sup>17</sup>. უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ხდება ამქრის სრული რღვევა, ქვეითდება მისი გავლენა და ეცემა მისი სამოხელეო აპარატის პრესტიჟი.

მაგალითად, ყაზახთა ამქარში, რომელიც ჩვენს საკვლევ პერიოდში (XIX ს. II ნახ.-XX ს. დამდეგი) უკვე სახეცვლილი იყო, შეგირდები არ იყვნენ დაინტერესებულნი, რაც შეიძლება მალე გამხდარიყვნენ ხელოსნები. ისინი არც კი ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთ ოსტატს მათ მიერ შეგირდობის ვადის გახანგრძლივებაში, ვინაიდან თავს არიდებდნენ შეგირდობის დალოცვისათვის საჭირო თანხის გადახდას. „უსტაბაში ჩამოვივლიდა, აბა თქვენი შეგირდი ვინ უნდა დაილოცოსო, ვიძალეობდით, არ გვინდოდა, ძვირი ჯდებოდა, 5-6 თუმანი ღირდა“ — გადმოგვცემს აკოფა ალავერდოვი (თბილისი, 1960 წ.).

რასაკვირველია, დარღვეულია ამქრის ჩვეულებითი სამართალი, თორემ ვინ გაბედავდა უსტაბაშისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ის ჯარიმდებოდა ასეთ შემთხვევაში და მთელი ამქარი ბოიკოტს უცხადებდა, „ამქარს შეკრავდა“ უსტაბაში. დიდი იყო მოთხოვნა მუშა-ხელზე ახლადგაჩენილ კაპიტალისტური ტიპის სარწმუნოებში და შესაბამისად იზრდებოდა შეგირდთა დენადობაც იქითკენ. შეგირდის კონტინგენტი

<sup>16</sup> შ. მ. ე. ს. ი. ა., ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 383.

<sup>17</sup> ედ. ხ. ო. შ. ტ. ა. რ. ი. ა., მრწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბილისი, 1966 წ., გვ. 92-93.





ნიკოლოზ იოსების ძე სამაშვილი, დუშეთი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის დაბახანებში მრავლად იყვნენ „დიდი ხაზეინები“. არტემ ჯირაშვილის თქმით, ისინი იქნებოდნენ, ისე ოსტატი კი ბევრი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს „დიდი ოსტატ-ხაზეინები“ თვითონ უკვე აღარ მუშაობდნენ. მათ იმდენი კაპიტალი გააჩნდათ, რომ სხვას ამუშავებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ სარეწებში მრავლად იყვნენ ქარგლები, შეგირდები, ოსტატ-ხაზეინები და შავი მუშებიც კი, პრაქტიკაში იყო სამუშაოს განაწილება ხალხში, უმეტესად ქალებში. ისინი არ ერთიანდებოდნენ ამქარში, წარმოადგენდნენ რა იაფ სამუშაო ძალას, შინ ამზადებდნენ პროდუქტს.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ქალთა შრომის გამოყენება მოწმდება აგრეთვე ტყავის დამუშავებაში, სადაც საჭირო იყო დიდი ფიზიკური ძალა.

ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე კარგად შეიძლება გავადევნოთ თვალი ტიპიური ხელოსნობის დაშლას, მის კაპიტალისტურ საწარმოდ გადაქცევას. დაბლების, დერციკებისა და ხარაზების წარმოების შესახებ აქ მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი მასშტაბის წარმოებასთან გაქვს საქმე. აქ მზადდება უკვე იმდენი საქონელი, რომ მისი მეპატრონე აღარ კმაყოფილდება თავის სარეწებში მყოფი დაქირავებული ქარგლის, შეგირდის, შავი მუშის შრომითაც და ითრევს ამ წარმოებაში ყველაზე იაფ სამუშაო ძალას — ქალებს; არ იზღუდება უშუალო დამკვეთთან კონტაქტით, საქონელს აწარმოებს ფართო მასებისათვის. ხელოსანი მეპატრონე მრეწველად იქცევა.

როგორც ვხედავთ, შეცვლილია თვით ხელოსნობის სტრუქტურაც, რაც შეინიშნება თვით სახელოსნოს გამსხვილებაში, თავისუფალი მუშახელის შრომის გამოყენებაში და რაც მთავარია დამკვეთისათვის წარმოებიდან ბაზრისათვის წარმოებაზე გადასვლაში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს ქალაქებში ოსტატ-შეგირდთა რიცხვი 1894 წლისათვის ასე გამოიყურება.

	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	ჯამი
თბილისი	— 2331	1849	1280	5460
ახალციხე	— 580	60	308	948
გორი	— 261	83	300	644
ახალქალაქი	— 171	33	142	346
სიღნაღი	— 125	27	134	286
თელავი	— 94	59	114	267 <sup>20</sup>

<sup>20</sup> ლ. ე. ბ. ვ. ვ. რ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ამ ცხრილის მიხედვით კარგად ჩანს ქარგალთა რიცხვის სიმრავლე, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ 1867 წლის დებულებამ ხელოსან-ოსტატს სახელოსნოს გაფართოებისა და ქარგლის რიცხვის გაზრდის შესუბღუდევი უფლება მიანიჭა. დებულება ხელოსნად თვლიდა არა მარტო იმ ოსტატს, რომელიც თვითონ ეწეოდა რაიმე ხელობას ცალკე სარეწში, არამედ სახელოსნოს მფლობელს, რომელიც დაქირავებულ მუშა-ხელს იყენებდა. „ოსტატად იწოდება ის, ვინც ან თვითონ ეწეოდა რაიმე ხელობას ცალკე სარეწში, ან გააჩნია სახელოსნო, სადაც დაქირავებული ქარგლები და შევირდები ჰყავს“<sup>21</sup>, კვითხულობთ დებულების სათანადო მუხლში.

დებულების ამ მუხლმა გზა გაუხსნა ამქრისაკენ როგორც ადგილობრივ, ასევე რუსეთიდან და უცხოეთიდან მოსულ ხელოსნებს, თუმცა ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, მთავრობის მფარველობით სარგებლობდნენ და შეეძლოთ ამქრის გარეშეც ემუშავათ. ეს კი ქმნიდა ამქრის დაშლის ყველა პირობას<sup>22</sup>.

მაშასადამე, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალა იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისის ქალაქური ხელოსნობა სრულიად სახეცვლილია. ერთდროულად გვაქვს ხელოსნური წარმოების ორი ფორმა, მაგრამ წამყვანია უკვე კაპიტალისტური ტიპის სარეწები დაქირავებული შრომის ფართო გამოყენებით. თუმცა სულ ბოლო დრომდე განაგრძობს არსებობას ტიპიური ხელოსნური წარმოება. XIX საუკუნის შემსწავლელი ისტორიკოსების აღიარებით, კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემების ისტორიოგრაფიაში აღიარებულია ხელოსნური წარმოების თანაარსებობა კაპიტალისტური მრეწველობის სხვადასხვა ფორმებთან (მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა, მანქანური წარმოება)<sup>23</sup>, სწორედ ამ თანაარსებობის გამო გვაქვს ქარგლის შუა საფეხური, დამახასიათებელი ხელოსნობის კლასიკური ფორმისათვის და ქარგალი-დაქირავებული ხელოსანი — ტიპიური უკვე დაშლილი, კაპიტალისტური ხასიათის სარეწებისათვის. ეთნოგრაფიული მასალა შესანიშნავად ხსნის ამ ორი ეპოქის (ფეოდალურისა და კაპიტალისტურის) ქარგლის ორბუნებოვნებას. ამიტომ არის, რომ XIX ს. II ნახ. შედგენილი ამქრის წესდებაში ქარგალი ყველგან

<sup>21</sup> Положение о ремесленных амкарах и об их управлении; л. ე ძ გ ვ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>23</sup> л. ე ძ გ ვ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

დაქირავებულის აღმნიშვნელია<sup>24</sup>; თვით ქუთაისის მეპურეთა 1871 წ. შედგენილ პირობის წიგნში ის „მოჯამაგირედ“<sup>25</sup> იწოდება, რაც კარგად გადმოგვცემს დაქირავებულის შინაარსს. ხოლო ხელოსნურ წარმოებაში კლასიკური ფორმის თანაარსებობამ ყოფაში შემოგვინახა წყაროებში მოუხსენებელი ქარგლის შუალედური ფორმა. ამიტომ ენიჭება ამ შემთხვევაში ეთნოგრაფიულ მასალას პირველწყაროს მნიშვნელობა. ხელოსნურ წარმოებაში ბურჟუაზიული ევოლუცია შესანიშნავად ჩანს თვით ქარგლის მაგალითზეც. ფეოდალური ამქრის ქარგალი, ხელოსნის დაოსტატების შუა საფეხური, თანდათან გარდაიქმნება დაქირავებულ ხელოსნად.

მაშასადამე, ეთნოგრაფიისათვის ეთნოგრაფიული მასალა ყოველთვის პირველწყაროა, მაგრამ ამ შემთხვევაში გვინდა ხაზი გავუსვათ ეთნოგრაფიული მასალის ისტორიული პირველწყაროობის მნიშვნელობას ქარგლის ინსტიტუტის რაობის დასადგენად, როცა მის შესახებ წერილობით წყაროებში XIX ს.-მდე არაფერი იხსენიება და როდესაც იგი XIX ს.-შიც აღიარებულია, როგორც განუვითარებელი ინსტიტუტი. ამ საკითხის შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიულ ევოლუციაში ქარგლის საკითხს ერთ-ერთი გადაწყვეტილი როლი ენიჭება.

<sup>24</sup> Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959 г., с. 352; С. Г. Елизаров, Городские цехи, Казань, 1891, с. 387.

<sup>25</sup> შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949, გვ. 147-152.

## დასკვნები

ქალაქი ეთნოგრაფიულად ნაკლებად არის შესწავლილი. მას კი გააჩნია კვლევის მრავალი ასპექტი, რომელთა შორის ქალაქის მოსახლეობის (ხელოსნების) ყოფითი მხარეების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ხელოსნები მუშებთან ერთად შეადგენენ ქალაქის ძირითად მწარმოებელ მასას.

ქალაქური ხელოსნობა თავისი სოციალური ბუნებით (ცალკეული ხელოსნური ორგანიზაციის სოციალური სტრუქტურა) და ხელოსანთა ყოფა საერთოდ საქართველოში ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი ქალაქური ხელოსნობის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

მრავალი წლის (1960-61, 1966-72, 1977-82 წწ.) მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ქალაქებში კარგად იყო წარმოდგენილი ხელოსნობის განვითარებული დარგები. ირკვევა, რომ ხარაზობა ქალაქური ხელოსნობის წამყვანი დარგია მთელ საქართველოში. ხელოსნობის დანარჩენ დარგთაგან დაბადობა, დერცინკობა, კერამიკული ჭურჭლის წარმოება, მჭედლობა-ოქრომჭედლობა, ნალბანდობა, დურგლობა, ხარატობა და სხვ. წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ქალაქებში — თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი. იარაღის, სპილენძის ჭურჭლის, ვერცხლის ჭვირული საგნების დამზადებით განთქმული იყო ახალციხე, ხოლო „ტიპიური აზიური ხელობით“ (მეუნაგირეობა, თერძობა, წულა-მესტის, „აზიაცკის“ წარმოებით) დასავლეთი საქართველო.

ველზე მოპოვებული მასალა ტყავის, ხის, ქვის, თიხის, ლითონის, აბრეშუმის ნართის დამუშავებისა და მისგან ნაირი სახის საგნების დამზადების შესახებ ავლენს ხელოსნური წარმოების მდიდარ ხალხურ ხერხებს. განსაკუთრებით მდიდრად არის წარმოდგენილი ნაშრომში ქალაქური ხელსაქმე (ჩაფარიშ-ჩახსაკრავებისა და ბუზმენტების ქსოვის ტექნიკა) და ქართული ეროვნული კოსტიუმის ცალკეული ელემენტების დამზადების ტრადიცია.

საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალის მიხედვით წვრილ წარმოებაში ჩაბმული იყვნენ არამარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც, ოჯახის დიასახლისებიც. ისინი წვრილი ვაჭრებისათვის აწარმოებ-

დნენ ლენჩაქის დაბასმვას და გარეცხვას, აბრეშუმის ძაფით თავხაკ-  
რავების, პერანგის საყელო-გულისპირის ქარგვას, ჩახსაკრავ-ჩიფა-  
რიშ-ბუზმენტების ქსოვას. ქალები ამქარში არ ერთბაშად დგებდნენ  
ისინი, ჩვეულებრივ, მეორეხარისხოვან სამუშაოს ასრულებდნენ შინ  
გარკვეული ანახლაურებით.

ქალთა წრეშიაც ძალიან იყო გავრცელებული როგორც ქალაქში,  
ასევე სოფლად ე.წ. „ოსტატობა“. 13-14 წლის გოგონები — „შეგირ-  
დები“ თავიანთ ოსტატებთან წერა-კითხვასთან ერთად სწავლობდნენ  
ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვასა და წვრილ ხელოსნურ საქმიანობას.  
ოსტატის შრომის ანახლაურება ხდებოდა ძირითადად ქალის გათხოვე-  
ბისას „მოსართავის“ (ნათლია იხდიდა) და „საოსტატოს“ (მშობლები  
ან სასიძო იხდიდა) გადახდის სახით, თუმცა ზოგჯერ შეგირდის გასამ-  
რჯელო გარკვეული დადგენილი თანხა იყო.

საქართველოს ქალაქების ხელოსნური წარმოების შესწავლა გვიჩ-  
ვენებს, რომ ხელოსნური ნაწარმის გასაღება ხდებოდა როგორც ქა-  
ლაქებში, ასევე მის მახლობლად მდებარე დაბებსა და საეკლესიო  
დღეობებზე. მაგ., ქიხიყისათვის სიღნაღი წარმოადგენდა მხოლოდ და  
მხოლოდ ხელოსნური წარმოების ცენტრს, გასაღების ბაზრები იყო ქვე-  
მო მანხანასა და ბოღბისხევში, აგრეთვე დღეობებზე. ქართლისათვის  
გორი თავისი ადგილმდებარეობის გამო წარმოვიდგება როგორც წარ-  
მოების, ასევე გასაღების ცენტრად. ამავე დროს ქართლისათვის ცნო-  
ბილი იყო სამი დიდი დღეობის — უსანეთობის (მეჯვრისხევი), გერის-  
თობის (არბო) და ზღუდრობის (ცხინვალი) გამართვის პრაქტიკა, რომ-  
ლებიც წარმოადგენდნენ თავისთავად მთისა და ბარის ურთიერთშე-  
ხების, მათი ხელოსნური ნაწარმის ურთიერთგაცვლის ცხოველ პუნ-  
ქტებს. ასეთ როლს თამაშობდა თელავი კახეთისათვის. თუმცა კა-  
ხეთიც ცნობილი იყო დიდი მასშტაბის დღეობის — ალავერდობის  
გამართვით. თბილისი და ახალციხე წარმოადგენდნენ როგორც ხელოს-  
ნური წარმოების, ასევე მისი პროდუქციის რეალიზაციის მთავარ  
ცენტრებს. დასავლეთ საქართველოსათვის ასეთი ცენტრის როლს  
ქუთაისი ასრულებდა. თუმცა დასავლეთ საქართველოშიც ცნობილი  
იყო დიდი დღეობა — ბაზრობანი ცაგერში, წალენჯიხასა და ჩხორო-  
წყუში. მაშასადამე, საქართველოს ქალაქებისათვის დასტურდება ხე-  
ლოსნობის როგორც დაკვეთით, ასევე ბაზრისათვისაც წარმოება, ხე-  
ლოსნობის წვრილ წარმოებაში გადასვლა.

საქართველოს ქალაქების ხელოსნობისათვის ტიპური იყო ხელოს-  
ნური წარმოება ერთი ოსტატით, ორი-სამი შეგირდით და ძირითადად  
ერთი ქარგლით. მაგრამ მის გვერდით გვხვდება ისეთი ხელოსნური  
წარმოება, სადაც განსაკუთრებით მომრავლებული ჩანან შეგირდები და  
ქარგლები. მაგ., ს ი დ ნ ა დ ი ს, გ ო რ ი ს, ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს, თ ე ლ ა -

ვ. ი. ს. და განსაკუთრებით თბილისის დაბალების, ხარაზების, თერძების სახელოსნოებში.

ხელოსნურ წარმოებაში ქარგალთა ასეთი დიდი რიცხვის გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ მასში თანდათან ფეხს იკიდებს დაქირავებული შრომა, რაც იწვევს ხელოსნობის რღვევას, მასში კაპიტალისტური ტენდენციების შეჭრას. ასევე იზრდება ხელოსნურ წარმოებაში ოსტატ-„ხაზეინების“ რიცხვი. ისინი უკვე ვაჭრებად არიან ქცეულნი. მათ იმდენი კაპიტალი გააჩნიათ, რომ სხვას ამუშავებენ, თავად თავისუფალი არიან შრომისაგან. ეს კი უკვე ხელოსნური წარმოების სრული მოსპობის მანიშნებელია, როდესაც ადგილი აქვს კაპიტალის არამარტო მარტივ კოოპერაციას, არამედ კაპიტალისტური ტიპის სარეწების გაჩენას, სადაც დიდი რაოდენობით გამოიყენება დაქირავებული შრომა. ასე თანდათან ხდება ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია.

მიუხედავად ამისა, როგორც ყოფის მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოს ქალაქებში მაინც დიდხანს მასთან ერთად თანაარსებობდა ხელოსნობა თავისი კლასიკური გაგებით. დაბალების, ხარაზების, დერციკების, ყაზაზების და სხვა კაპიტალისტური ტიპის სარეწებთან ერთად განაგრძობდა არსებობას ხელოსნური სახელოსნოები, სადაც ერთ ოსტატთან ერთი-ორი შეგირდი და ამდენივე ქარგალი მუშაობდა.

ხელოსნობის შესწავლით ქალაქსა და სოფელში ვლინდება მისი სხვადასხვა ხასიათი. ქალაქში ხელობის ცალკეული წარმომადგენელი: ხარაზი, დაბალი, ოქრომჭედელი, თერძი, ყაზაზი და სხვ. გარკვეულ საქმიანობას (წულის, ტყავის, ლითონის, ტანსაცმლის ცალკეული ნაწილების, აბრეშუმის ძაფისა და სხვადასხვა სახის ზონრების დამზადება) მისდევს. ეს საქმიანობა მისი პროფესიაა. ეს არის ხელოსნის შემოსავლის, მისი არსებობის წყარო. სამუშაო იმდენად მტკიცედ არის რეგლამენტირებული და დადგენილი, რომ ადგილი აქვს შრომის ვიწრო სპეციალიზაციას (ნალბანდი, მჭედელი, მექვაბე, მკალავი, ოქრომჭედელი, დაბალი, ხარაზი, მეწადე, ჭონი და სხვ.).

სოფელში ხელოსნობა მეურნეობის ძირითადი დარგებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად წარმოგვიდგება. ვ. ი. ლენინის დახასიათებით, „ხელოსნობა ქალაქის ყოფა-ცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს“<sup>1</sup>. 86 წ. სარქის მჭედლიშვილის (გორის ახალქალაქი, 1967 წ.) გადმოცემით, კვირაში ის ორ დღეს ვენახში მუშაობდა, დანარჩენ დღეებში — ხელობაზე: „ზაფხულობით ბაღში ვმუშაობდი, დანარჩენ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1948, მეოთხე გამოცემა, გვ. 383.

დროს — ჭურჭელზე“ შაქრო ბაბალაშვილის ცნობით, მჭედელს ვენახი-  
ხიცი ჰქონდა და სხვა სამუშაოც, პურსაც თესავდა. გიგო შანშაშვილის  
(ქვემო მაჩხაანი, 1966 წ.) თქმით, ადგილობრივი ხალხი მარტო ხარა-  
ზობას არ მისდევდა, ის ვენახსაც, მიწასაც ამუშავებდა.

ქალაქისა და სოფლის ხელოსნობის დაპირისპირების დროს გან-  
სხვავება ვლინდება თვით ხელოსნური წარმოების მასშტაბებშიაც.  
მაგ., სოფელში დასტურდება ხელოსნობის თითქმის ყველა ის დარგი,  
რაც ქალაქშია, მაგრამ ქალაქში ხელოსანთა რიცხვი დიდია, ამიტომ  
ქალაქში არსებობს სათანადო ხელოსნური ორგანიზაცია — ამქარიც,  
შრომის სპეციალიზაცია ვიწროა, წარმოების დონე უფრო მაღალი,  
ამდენად, გასაღების რადიუსიც და ბაზარიც უფრო დიდია.

სოფელში ხელოსნობა ჯერ კიდევ ინარჩუნებს მარტო შემკვეთისა-  
თვის მუშაობის ფორმას. მაგ., სოფლის მჭედელი ემსახურება მხოლოდ  
ადგილობრივ მოსახლეობას. ის არ ამზადებს ნაწარმს ბაზარზე გასატა-  
ნად. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სოფლის ხელოსნები ოსტა-  
ტდებიან ქალაქში.

ხოლო ხელოსნური წარმოების ცნობილ ცენტრებში (მაგ., ცხავა-  
ტი — ქსნის ხეობაში, შრომა — იმერეთში, ბოდბისხევი — ქიზიყში),  
სადაც ხელოსნები დაოსტატებული იყვნენ კერამიკული ჭურჭლის წარ-  
მოებით და მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენდა მათი არსე-  
ბობის ძირითად წყაროს, ისინი ხელობასთან ერთად მაინც მისდევდნენ  
სოფლის მეურნეობასაც. „საქონელი გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად  
არსებობის უზრუნველსაყოფად და არა გამდიდრების მიზნით“<sup>2</sup>.

რაც შეეხება დაბას, აქ წარმოებს ვაჭარ-ხელოსანთა მოზიდვა.  
ბაზრის სიახლოვე სულ უფრო ადვილებს ხელოსნობის დაშლას,  
მის წვრილ წარმოებად გადაქცევას, ხელოსნის დაახლოებას ბაზართან.  
ხელოსანი ემსახურება არა ერთ სოფელს, არამედ მთელ რაიონს. ხდება-  
ვაჭრობა-ხელოსნობის კონცენტრაცია მსხვილ სოფლებსა და დაბე-  
ში<sup>3</sup>. ასეთად წარმოგვიდგება ქვემო მაჩხაანი, ახალციხის რაბათი და  
ახალქალაქი (კასპის რ-ნი).

საქართველოს ქალაქებში მოპოვებული მასალებით ხელოსნურ ორ-  
განიზაციაში — ამქარში შესვლა შეეძლო ყველა ხელოსანს ეროვნებისა  
და სარწმუნოების განურჩევლად. თითოეული ხელობის წარმომადგე-  
ნელთ ცალკე ამქარი ჰქონდათ, მაგრამ ხშირად ერთ ამქარში ერთიანდე-  
ბოდნენ მომიჯნავე დარგის ხელოსნებიც. ეს საერთო დამახასიათე-  
ბელი ნიშანი იყო საქართველოს ამქრებისათვის. თუმცა არსებობდა

<sup>2</sup> მ. შ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ქართული ხალხური კერამიკა (ქსნის ხეობა), თბილისი, 1982, გვ. 87.

<sup>3</sup> ე. ზ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 88.

ცალკე ამქარიც ეთნიკური ნიშნის მიხედვითაც. როგორც არაეთხელ  
ითქვა, მკალავები ყველგან ლეკები იყვნენ, ცალცალკე ამქარიც  
სპარსელ მენქემებს და თათარ კალატოზებსაც თბილისში

ამქარს სათავეში ედგა უსტაბაში, რომელსაც ჰყავდა ორი მოად-  
გილე აღსაყალო//ასაყალო და ერთი შიკრივი — იგიობაში. ამქარის  
სტრუქტურა კი წარმოდგენილი იყო შევირდით, ქარგლითა და ოს-  
ტატით.

სათანადო მასალის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერა-  
ტურაში გამოთქმული აზრის საწინააღმდეგოდ  
დადგენილია ქარგლის შუალედური საფეხურის  
არსებობა ამქარში.

ქარგალი წარმოდგენდა ამქარში ხელოსნის დაოსტატების შუა  
და აუცილებელ საფეხურს. იგი უნდა გაეკლო ყველა შევირდს ოსტა-  
ტობამდე. ოსტატად გახდომა გულისხმობდა ხელობის სრული კურსის  
შესწავლას, შევირდობიდან ქარგლად გახდომას, ნახევრად დალოცვას  
და შემდეგ სრულ ოსტატობას, შრომის კვალიფიკაციის სათანადო  
ამაღლებას, ქარგლიდან ოსტატად გახდომას. მაგრამ ქარგალი ამავე  
დროს ნიშნავს დაქირავებულ ხელოსანსაც. დაქირავების ტენდენცია  
ჩნდება იმ მომენტიდან, როდესაც მას გარკვეული გასამრჯელო ენიშ-  
ნება. დაქირავების მომენტი თანდათან ძლიერდება და XIX ს. II ნახე-  
ვარში ქარგალი, როგორც ზემოთ დავინახეთ, უკვე დაქირავებული  
ხელოსნის ცნების გამოხატველია. ამდენად ქვეოსტატ (ნახევრად  
ოსტატ) ქარგალსა და XIX ს. ქარგალს შორის გარდაუვალი ზღვარის  
დადება შეუძლებელია. ეს იგივე ინსტიტუტია, რომელმაც განვითარე-  
ბის გარკვეული გზა გაიარა და XIX ს. დაქირავებული ხელოსნის სახე  
მიიღო. მაშასადამე, ამ ინსტიტუტის თავდაპირველი ბუნების დადგენა  
შესაძლებელი ხდება მისი რეტროსპექტული გზით შესწავლის შედე-  
გად.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების სათანადო  
ორგანიზაციების ერთმანეთთან შედარების შედეგად ცხადი ხდება,  
რომ მეტი არქაულობა შემორჩა თელავის, სიღნაღის, გორისა და  
ახალციხის ამქრებს. ეს არქაულობა შეინიშნება უპირატესად შევირ-  
დისა და ოსტატის ურთიერთობის, ქარგლისა და სამღვთოს ორგანიზა-  
ციის საკითხებში. ამ მხრივ ქუთაისის ხელოსნობის შესაბამის ინსტი-  
ტუტებში უფრო გვიანდელ ფორმებთან გვაქვს საქმე. შეიძლება ეს იმის  
შედეგიც იყოს, რომ მთხრობელთა მეხსიერებაში კარგადაა შემონახული  
იმ დროის ამბები, რაც უკავშირდება ქუთაისში ე.წ. ხელოსანთა გამარ-  
ტივებული გამგებლობის საქმიანობას (1883-1902 წწ.). ასეა თბილისში  
ხელოსანთა სამმართველოს დაარსების დროიდან, რომელიც ფაქ-  
ტიურად ცდილობდა ცალკეულ ამქართა დამოუკიდებლობის მოსპობას.



ქუთაისსა და თბილისში დაარსებულმა სახელოსნო მმართველობის უფრო გამართვა ის ურთიერთობა, რაც შევირდსა და ოსტატების არსებობდა. სწორედ შეიძლება ამის მიზეზი იყოს ისიც, რომ 1871 წ. შედგენილ ქუთაისის „მეპურეთა“ ამქრის წესდებაში არ იხსენიება ოსტატის შუალედური საფეხური ქარგალი (როგორც უკვე არარსებული და არა საერთოდ არარსებული ინსტიტუტი, როგორც ეს შ.მესხიას მიაჩნდა) და მოიხსენიება მისი გვიანდელი ფორმა — მოჯამაგირე. ამ ორგანიზაციის დაარსება ხომ ამქრების ლიკვიდაციას გულისხმობდა. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა სიღნაღი, თელავი, გორი, სადაც ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა, უკეთ შემოინახა ამქრული ორგანიზაციის ტრადიციები, ხელოსნური ურთიერთობა ყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნო მმართველობა ამქრების დამოუკიდებლობის გაუქმებას და ყველა ხელოსნის ერთ საზოგადოებაში გაერთიანებას გულისხმობდა, ამქრები მაინც განაგრძობდნენ თავიანთ ტრადიციულ საქმიანობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას, რასაც კავად გვიჩვენებს ყოფის მონაცემები.

მაშასადამე, ამქრული ორგანიზაცია მაინც საერთო ქართული მოვლენაა. სხვა საკითხია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მისი განვითარების სხვადასხვა დონე.

შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ დიდი იყო გავლენა აღმოსავლეთისა ქართულ ამქარზე, მაგრამ საქართველოს ამქრებს არ ახასიათებდა ის რელიგიური მისტიციზმი, რითაც ასე გამოირჩეოდა აღმოსავლური ხელოსნური ორგანიზაცია. ცნობილია, რომ იქ ხელოსნის დალოცვის დროს შევირდს თავი ჯერ ხელობის ღვთიური წარმომართობის ცოდნით უნდა გამოეჩინა, შემდეგ საკუთარი ხელობის ცოდნით. ქართული ამქარი კი თავისუფალი იყო ყოველგვარი რელიგიური შეზღუდვებისაგან. ერთადერთი, რაც მის რელიგიურობას ამჟღავნებდა, იყო წელიწადში ერთხელ სამღვთოს (ამქრობის) გამართვა, სადაც ხდებოდა შევირდის ოსტატად ხელდასმა. სწორედ ამ დროს იკვლოდა სამსხვერპლო ცხოველი — ცხვარი. ეს იყო და ეს.

ქართულ ამქარს არც დასავლეთ ევროპის კლასიციზმი ახასიათებდა. ის თავისი თვითმყოფადობით გამოირჩეოდა ორივე ფორმისაგან და მთელ საქართველოში ერთნაირი ხელოსნური წყობით ხასიათდებოდა. ამქრებს ქართულწარწერიანი დროშები ჰქონდათ, ასწავლებიც. თავიანთ ფირად ისევე აღიარებდნენ ქრისტიან წმინდანებს, როგორც თბილისში, გორში, სიღნაღსა და ქუთაისში. მაგრამ, ახალციხეში, რასაკვირველია, შეიმჩნეოდა თურქულის დიდი გავლენა, რაც აისახა




ძირითადად ტერმინოლოგიაში (ამქარს აქ ასნაფი, ხოლო ქარგალს ხალფა ეწოდებოდა). ამდენად ამქრების სახით მთელ საქართველოში ერთი ტიპის ხელოსნურ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე და მუშაობდა ბლად მიგვაჩნია ახალციხის ხელოსნურ ამქარში ქარგლის შუალედური საფეხურის არსებობა მივაწეროთ მხოლოდ თურქეთის გავლენას (შ. მესხია, კ. კუცია), ხოლო საქართველოს სხვა ქალაქებისათვის ქარგლის ამ საფეხურის მოუხსენიებლობა შესაბამის დოკუმენტურ მასალაში მივიჩნით იმის ნიშნად, რომ იგი საერთოდ არ იყო დამახასიათებელი ქართული ამქრისათვის.

ამქრის წარმოშობის დასათარიღებლად საქართველოში უდავოდ გასათვალისწინებელია VI ს. ძველის „ვესტათი მცხეთელის მარტვილობის“ მონაცემები, რომლის მიხედვით გარკვეული დარგის ხელოსნები — „მეჯადაგენი“ და „მეხამლენი“ რაღაცა სახის ორგანიზაციულ კავშირში ჩანან გაერთიანებულნი.

ვფიქრობთ, VI ს. მცხეთაში არსებობდა ყველა პირობა ამქრის წარმოშობისათვის, როგორცაა დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე, ქალაქის თავისუფალი ხელოსნის შრომის დაპირისპირება ყმური შრომისადმი. მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს თავისუფალ ხელოსანთა შრომა, რომელსაც უპირისპირდება სამეფო ან ფეოდალის კარზე არსებული მსხვილი სახელოსნოები ხელოსნური შრომის ფართო გამოყენებით. ეს განსაკუთრებით მცხეთური კრამიტის წარმოებაზე ითქმის, რომლის მასიური დამზადება ყალიბს არ იცნობდა. ასეთი დაპირისპირება აიძულებდა ხელოსანს გაერთიანებულიყო სათანადო ორგანიზაციაში კონკურენციის თავიდან ასაცილებლად. მცხეთის მაგალითზე ამის თქმა თავისუფლად შეიძლება. მას მხარს უჭერს „ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ დაცული ცნობა ხელოსნების სოლიდარული მოქმედებისა და მათი საერთო რელიგიური დღესასწაულის არსებობის შესახებ.

კარგად არის წარმოდგენილი წყაროებში X-XII სს. ქართული მონასტრის ხელოსნური წარმოება. დასტურდება ხელობის სხვადასხვა დარგების წარმომადგენელთა არსებობა: კვითხურო//გალატოზი//კალატოზი, მეხამლე//ხარაზი, ოქრომჭედელი, ნავის მოქმედი. მონასტერში გავრცელებული ხელობაა მწიგნობრობასთან დაკავშირებული დარგები: ეტრატის შექმნა, გადაწერა, შემოსვა-შეკაზმვა და სხვ. ცნობილია აგრეთვე ნიადაგმსახური ხელოსნები — ხაბაზნი და მზარეულნი და შეწირულნი — ქუქანკნი და მეწისქვილენი. ნაჩვენებია, როგორ ხდებოდა სასულიერო ძმობის ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენება. ჯერ მარტო ძმები შრომობენ, მერე ჩნდება ხელოვანი ძმების კატეგორია, გამიჯნულია მათი საქმიანობა. ძმები სასულიერო და სამეურნეო საქმიანობას ეწევიან, ხელოვანნი



კი — ხელოსნურს. ამათი შრომა უფრო ძვირი ღირს, ორმაგად ფასობს, როგორც ხელოსნისა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ ვეფხვესა და საც. ისინი ვითარცა „მაშვრალნი“, თავისუფლდებიან ცის სივრცის ფარგლებსა ვისაგან. სანაცვლოდ მათ ევალებათ მისი აღსრულება კვირაობით და ავდარში. შემდეგ ხელოსანთა ეს შრომაც არ არის საკმარისი მონასტრისათვის და ჩნდება ერისკაც დაქირავებულ ხელოსანთა შრომის გამოყენებაც.

შუა საუკუნეების ქართული მონასტერი წარმოადგენს ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის („სავაჭრო ერის კრებაჲ“) და, რაც მთავარია, ხელობის (მწიგნობრობის) შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრსაც, რითაც ის გვიანფეოდალური საქართველოს ამქარს ემსგავსება (შ. მესხია).

წარმოდგენილ მასალებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წარმოების „მორეწვის“ ფორმა. მორეწვა დასტურდება როგორც საშუალო საუკუნეების ქართულ მონასტერში, ასევე ყოფაშიც.


მონასტერი არამარტო ნებას აძლევდა მორეწვის უფლებას ხელოსანს, არამედ დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მისი მეტი მოგებით, რადგან ამ მონაგების მხოლოდ ნაწილი რჩებოდა ხელოსანს, დანარჩენი — მონასტერს. საყოველთაო ხასიათი ჰქონდა მას, როგორც დავინახეთ, აჭარაში ისევე, როგორც საერთოდ მთელ საქართველოში.

მაშასადამე, წყაროთა მონაცემების საფუძველზე, ერთი მხრივ, ივარაუდება ამქრული ხელოსნობის წარმოება საქართველოს ქალაქებში (მცხეთის მაგალითზე), მეორე მხრივ, გვაქვს საშუალო საუკუნეების სამონასტრო ხელოსნური წარმოება და ამავე დროს არსებობს ხელოსნური შრომის მეტად გავრცელებული „მორეწვის“ ფორმაც.

გვიანი შუასაუკუნეების წერილობით წყაროებშიც გვხვდება თითქმის ყველა იმ დარგის წარმომადგენელთა დასახელება, რაც ცნობილია ადრეფეოდალური ხანის წყაროებისა და განსაკუთრებით კი XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალებით.

გვიანი შუასაუკუნეების ამქრული ხელოსნური წარმოება ხასიათდება განვითარებული მრავალდარგობლიობით, შრომის ვიწრო სპეციალიზაციით, დაქირავებული შრომის უფრო ფართო გამოყენებით, ქარგლების მომრავლებით ამქარში, ხელოსნური წარმოებიდან წვრილ სასაქონლო წარმოებაზე გადასვლით, ბაზრისათვის წარმოებით, ყოველგვარი საშუალებების გამოყენებით კონკურენციის წინააღმდეგ, ბაზრის დაპყრობით.

ხელოსნობის სრულყოფა საუკუნეების მანძილზე იწვევდა გარკვეული ტრადიციის შექმნას. ქალაქის ამ ასპექტში შესწავლა გვიჩვენებს, რომ ტრადიციაში უწყვეტელობა ხელოსნური წარმოებიდან ყველაზე მკაფიოდ კერამიკაში შეინიშნება. ეს ხელოსნობის ის დარგია,



რომელიც საუკუნეების მანძილზე ცოცხლობს. კრიტიკიუმი კი საერთოდ ამ ტრადიციის გამოსავლენად სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა. თელავის მიმართ ამგვარ როლს კერამიკა და მინერალიზაცია ხელოსნობის სხვადასხვა დარგის დაწინაურება ავლენს როგორც ყოფაში, ასევე განათხარ მასალაში, წვრილი ჭურჭლის დამზადების ტრადიცია — ამ დარგის თითქმის ყველა სახეობის განვითარების უწყვეტი ზოლი დღევანდელობამდე მოიტანა ქართულმა ხალხურმა კერამიკულმა წარმოებამ. შიდა კახეთის კერამიკული ცენტრები სწორედ თელავ-იყალთოს, რუისპირისა და ვარდისუბნის მიკრორაიონშია გაბნეული. დღესაც დასტურდება ამ პუნქტებში კერამიკული წარმოება.

უჯარმისა და რუსთავის მაგალითზე ამ განმსახვდრელ როლს მესაქონლეობა (მეცხვარეობა) და მასთან დაკავშირებული საძოვრების დაუფლების საკითხი თამაშობს. რუსთავში კარგად არის წარმოდგენილი ხელოსნობის მასალები როგორც კერამიკის, ისე საფეიქრო დარგში, მაგრამ იქ ერთიანი მასალის მოპოვება შეუძლებელია ქალაქის მოსახლეობის განადგურების გამო. ამიტომ მისი საქალაქო მეურნეობის საკითხები უჯარმასთან ერთ კომპლექსში განიხილება მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის სიახლოვის გამოც. მეცხვარეობა და მასზე დამყარებული ხელოსნობა და ვაჭრობა უნდა ყოფილიყო ქალაქის წარმოშობა-დაწინაურების მიზეზი<sup>4</sup>.

კერამიკული წარმოების ტრადიციულობა არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება მცხეთაში. კერამიკა მოჩანს მცხეთის ისტორიის მთელ მანძილზე. ეს ერთიანი უწყვეტი კულტურული ტრადიცია, როგორც მოპოვებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, ყველაზე მკაფიოდ მქდავანდება კერამიკული წარმოების ისეთ დარგში, როგორც მეკრამიტეობაა. ის კი საშუალებლო კერამიკის ის დარგია, რომელიც თავისი დანიშნულებით ყველაზე ახლოსაა ქალაქურ ხელოსნობასთან. დიდია მცხეთაში აღმოჩენილი ანტიკური კრამიტის მნიშვნელობა საქალაქო მშენებლობის ისტორიისათვის საქართველოში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „მცხეთურად“ იწოდებოდა ის კრამიტი, რომელიც სულ ბოლო ხანებამდე იჭრებოდა მცხეთაში. მცხეთა-ქსანი და საერთოდ ქართლი კრამიტის დამზადების ცენტრად ისახება ეთნოგრაფიული მასალებით. განსხვავებული ანტიკური კრამიტიც ხომ მცხეთაში იჭრებოდა. ეს უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს. მართალია, თვით კრამიტიც და მისი დამზადების წესიც იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ კრამიტის წარმოების ტრადიცია დღემდე ცოცხლობს მცხეთის ეთნოგრა-

დ. მუსხელიშვილი, დაახ. ნაშრ., გვ. 57.



ფიულ სინამდვილეში, რასაც ხელს უწყობს მცხეთის უბანში არსებული თიხის საბადოები.

ამგვარად, ქალაქების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კრიტიკის განხილვისას შესაძლებელი ხდება ხელოსნობის გარკვეულ დარგში (კერამიკული ჭურჭლის წარმოება, სამშენებლო კერამიკა) ერთიანი კულტურული ტრადიციების დადგენა, განსაკუთრებით ცრცხალ ქალაქებში (თელავი, მცხეთა). მიტოვებული ქალაქები (რუსთავი, უჯარმა), როგორც დავინახეთ, ამის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან მათ საქალაქო ცხოვრებაში წყვეტილი აღინიშნება.

## РЕМЕСЛЕННОЕ ПРОИЗВОДСТВО И БЫТ РЕМЕСЛЕННИКОВ В ГОРОДАХ ГРУЗИИ

(II пол. XIX в. — нач. XX в.).

### РЕЗЮМЕ

Города Грузии этнографически изучены мало. Среди многих аспектов исследования изучение бытовых сторон горожан (ремесленников) привлекает особое внимание, так как ремесленники наравне с рабочими составляли основную производительную массу города.

В Грузии социальная природа городского ремесленного производства (социальная структура отдельных ремесленных организаций) и быт ремесленников почти не изучены.

Предлагаемый труд является первой попыткой монографического изучения городского ремесленного производства.

Многолетние (1960-61; 1966-72; 1977-82 гг.) полевые исследования свидетельствуют, что в городах Грузии весьма хорошо были представлены высокоразвитые отрасли ремесленного производства. Считаем, что обработка кожи и изготовление из нее разных предметов являлись ведущей отраслью ремесленного производства почти всех городов Грузии. В городах Восточной Грузии — Тбилиси, Гори, Телави, Сигнахи — были представлены такие различные отрасли ремесел, как обработка металла, дерева, керамическое производство, изготовление многочисленных элементов национального костюма и др. Производством оружия, изготовлением медной посуды и особенно серебряных ажурных изделий славился город Ахалцихе, а «типичным азиатским» ремеслом (изготовлением и шитьем комплектов национального костюма, седельничеством и др.) — города Западной Грузии.

Добытый полевой материал об обработке кожи, дерева, камня, глины, металла, шелковой пряжи и изготовлении из них разных предметов выявляет богатые народные приемы ремесленного производства.

По полевым материалам, собранным в городах Грузии, выясняется, что в мелком ремесленном производстве были заняты не только мужчины, но и женщины-домохозяйки. Они не были объединены в ремесленные цехи и, являясь дешевой рабочей силой, на дому занимались мелким ремеслом: ткали разнообразные шкурки



и тесемки, занимались рукоделием, шитьем и даже обработкой кожи.

Изучение ремесленного производства городов Грузии показывает, что сбыт ремесленных продуктов производился как в городах, так и в близлежащих селах и на ярмарочных праздниках. Для Кизики город Сигнахи являлся лишь центром ремесленного производства, а сбыт продуктов производился в Квемо Мачхаани и Бодбисхеви, а также на ярмарочных праздниках. Для Картли город Гори, благодаря местоположению, являлся и центром производства, и местом сбыта. Кроме того в Картли проводились большие церковные праздники («Усанетоба» в Меджврисхеви, «Геристоба» в Арбо и «Згудроба» в Цхинвали), являвшиеся местом обмена ремесленных продуктов горной части и равнины. Такую роль играл Телави для Кахети, однако и в Кахети тоже проводился большой церковный праздник «Алавердоба». Тбилиси и Ахалцихе являлись главными центрами производства и сбыта ремесленных продуктов. Для Западной Грузии в этой роли выступал город Кутаиси. Однако и здесь были известны большие ярмарочные праздники в Цагери, Цаленджиха и Чхороцку, где был представлен широкий ассортимент ремесленных изделий — одежда, обувь, домашняя утварь, сельскохозяйственные орудия и др. На ярмарочных праздниках производился обмен ремесленных изделий на продукты сельского хозяйства. Таким образом, в городах Грузии были известны формы ремесленного производства: производство на заказ и рынок, т.е. намечался переход ремесла в мелкое производство.

Для ремесленного производства городов Грузии типичным являлось ремесло одного мастера, с двумя-тремя учениками и, чаще всего, с одним подмастерьем. Но наряду с этим встречаются ремесленные мастерские с особо многочисленными учениками и подмастерьями. Таковы были мастерские кожевников, чувячников, башмачников, подковщиков, швейных и ажурных серебряных изделий городов Тбилиси, Гори, Телави, Сигнахи, Ахалцихе и Кутаиси.

Широкое применение наемного труда подмастерьев в ремесленном производстве свидетельствует о распаде уже самого ремесла, о проникновении капиталистических тенденций в ремесленное производство. Растет также число хозяев — мастеров, превратившихся в купцов. Они уже владеют достаточным капиталом для того, чтоб самим не работать. Это указывает на полное разложение ремесла: налицо не только простая кооперация капитала, но и промыслы капиталистического типа, где в большом количестве применялся наемный труд. Так постепенно происходит буржуазная эволюция ремесленного производства. Несмотря на это, в городах Грузии все еще долго сохраняется ремесленное производство классического типа. Наряду с промыслами кожевников, чувячников, ювелиров, казаков и др. продолжали существовать ремесленные

мастерские с одним мастером, двумя учениками и таким же числом подмастерьев.

Путем сопоставления ремесленного производства в городах и села выясняется их разный характер. В городах (Тбилиси, Гори, Телави, Сигнахи, Ахалцихе, Кутаиси) ремесло — отдельная отрасль, основной источник существования ремесленника. Работа настолько регламентирована, что налицо узкая специализация труда (подковщик, кузнец, ювелир, кожевник, чувячник, башмачник, сапожник и др.).

В селах (Меджврисхеви, Ахалкалаки, Квемо Мачхаани) ремесло является добавочным средством существования производителей, главным — доходы от сельского хозяйства. По определению В.И.Ленина «Ремесло будучи необходимой составной частью городского быта, распространено в значительной степени и в деревнях, служа дополнением крестьянского хозяйства».

При сопоставлении ремесел города и села различие между ними проявляется также и в масштабах ремесленного производства. Напр., в селах действуют все те отрасли, что и в городе. Но число ремесленников здесь гораздо больше, поэтому там существует и соответственная ремесленная организация. В городе специализация труда узкая, уровень производства выше и поэтому радиус сбыта и рынка шире.

Ремесло в селе все еще сохраняет форму работы на заказ. Сельский кузнец удовлетворяет лишь спросы местного населения. Он не производит товары для продажи. Характерным является то обстоятельство, что сельские ремесленники совершенствуют свое мастерство в городах.

Что касается знаменитых ремесленных центров (напр. Цхавати в Ксанском ущелье, Шроша в Имерети, Бодбисхеви в Кизики), славившихся изготовлением керамической посуды, где производство этой посуды составляло основной источник существования производителей, они наряду с этим все же занимались сельским хозяйством. Керамическую посуду производили для существования, но не для прибыли.

В крупных селах происходит притяжение торговцев-ремесленников. Близость рынков способствует распаду ремесла, его превращению в мелкое производство, сближению ремесленника с рынком. Ремесленник работает уже не для одного села, а целого района. Происходит концентрация торговли и ремесла в крупных селах, каковыми являлись, например, Квемо Мачхаани, Рабат ахалцихского и Ахалкалаки Каспского района.

По добытым материалам в городах Грузии в ремесленные организации-цехи объединялись ремесленники всех национальностей и религий. Ремесленники одной отрасли составляли отдельный цех, но часто в одном цехе объединялись ремесленники смежных отраслей, что являлось характерной чертой грузинских цехов. Но были цехи и по этническому признаку. Напр., в Тбилиси цех был у персидских сапожников и у татарских

каменщиков. Лудильщиками во всех городах Грузии были дагестанцы.

Во главе цеха стоял устабаш, имевший двух помощников — аксакалов и одного рассыльного — игитбаша. Структура цеха была такова: ученик, подмастерье и мастер.

На основе анализа соответствующего материала впервые в научной литературе обосновано наличие института подмастерья в цехе.

Подмастерье представлял в цехе среднюю и необходимую ступень мастерства ремесленника. Эту ступень проходили все ученики до становления мастером. Стать мастером значило: пройти весь курс обучения и перейти из ученика в подмастерье. Это было т.н. неполное посвящение. Затем следовало полное посвящение в мастера, повышение соответствующей квалификации, переход подмастерья в мастера. Но подмастерье в то же время обозначал и наемного ремесленника. Тенденция наемности появляется с того момента, когда подмастерью назначается определенное жалованье. Такое явление постепенно учащается и во второй половине XIX в. подмастерье приобретает значение наемного ремесленника. Поэтому между подмастерьем и наемным ремесленником XIX в. нет большой разницы. Это тот же институт, прошедший определенный путь развития и превративший подмастерье в наемного ремесленника. Значит первоначальная природа этого института определяется путем ретроспективного его изучения.

При сопоставлении соответствующих организаций городов Восточной и Западной Грузии выясняется, что больше архаизма замечается в цехах городов Восточной Грузии. Этот архаизм проявляется, в основном, в вопросах взаимоотношения между учеником, подмастерьем и мастером, а также в организации религиозного праздника «самгвто». В соответствующих институтах городов Западной Грузии наблюдаются позднейшие формы. Это обстоятельство объясняется деятельностью Ремесленного управления (1883-1901 гг.) г. Кутаиси, способствовавший ликвидации независимости цехов. Так было и в Тбилиси. Несмотря на действия управления, ремесленные цехи все же продолжали свою деятельность, свою независимую жизнь, на что указывают данные быта.

Таким образом, ремесленная организация является всеобщим грузинским явлением. Другой вопрос — разный уровень её развития в Восточной и Западной Грузии.

Нельзя отрицать влияния Востока на грузинский цех. Но грузинские цехи не отличались тем религиозным мистицизмом, каким характеризовались они в восточных соответствующих организациях. Известно, что на Востоке при посвящении ученика в мастера тот в первую очередь должен был отличиться в знании о божественном происхождении своего ремесла и далее в знании собственного дела. Грузинский цех был свободен

от любых религиозных запретов. О его религиозности говорил обычай организации религиозного праздника «самство», где происходило посвящение ученика в мастера.

Грузинскому цеху чужд был и классицизм ремесленных организаций городов Западной Европы. Он отличался от этих форм своей самобытностью и по всей Грузии функционировал общим ремесленным укладом. Нельзя конечно, отрицать в Ахалцхском тюркского большого влияния, что отразилось, прежде всего, в терминологии (здесь цех именовался аснафом, а подмастерье — халфой), но ахалцхскому цеху свойственны были одинаковые структура и цеховые знамена с грузинскими надписями, а ремесленники также считали своими покровителями христианских святых, как в Тбилиси, Гори, Сигнахи и Кутаиси. Значит, в виде цеха по всей Грузии действовал один тип ремесленной организации, и невозможно наличие подмастерья в ахалцхском цехе приписать влиянию тюрков, а в других городах Грузии отсутствие упоминания подмастерья в письменных источниках объяснить его несуществованием.

Для датировки возникновения ремесленного цеха в Грузии важны данные письменного источника VI в. «Мученичество святого Евстафия мцхетского», повествовавшего о ремесленниках определенных отраслей (чувячники и сапожники), объединенных в какие-то корпорации.

Думается, что в городе Мцхета в VI в. существовали все условия образования ремесленной организации: развитая городская жизнь, высокий уровень ремесленного производства, сопоставление городского свободного ремесленного труда с трудом крепостного ремесленника. Значит, имеется свободный ремесленный труд, которому противопоставляются крупные мастерские царя или феодалов с широким применением ремесленного труда. Это свободно можно сказать относительно производства мцхетской кровельной черепицы, массовое производство которой не знало литейной формы. Такие сопоставления вынуждали ремесленников объединяться в цехи из-за конкуренции. На примере Мцхета это вполне возможно. Об этом говорят и данные «Мученичества святого Евстафия мцхетского» — о солидарном выступлении ремесленников и о наличии их общего религиозного праздника.

Хорошо представлено в письменных источниках ремесленное производство грузинского монастыря X-XII веков. Утверждается наличие представителей разных отраслей ремесла (каменщик, чувячник, ювелир, лодочник). В монастыре распространенным ремеслом является переписка книг. Известен был также труд служилых и пожертвованных монастырю ремесленников. Показано, как происходило проникновение наемного труда в монастырскую братию. Вначале работали только члены братии, потом появляется категория ремесленных братьев. Члены монастырской братии занимались хозяйственными и духовными делами,



а члены ремесленных братьев — только ремеслом. Их труд ценился вдвое дороже, как ремесленника. Особенное внимание уделялось их питанию. Корпоративный устав иногда освобождал их от «богослужения», представлял им право приобретать запрещенные в монастыре предметы и давал возможность «промышлять». Впоследствии этот труд ремесленников уже не удовлетворял монастырь и появляется труд состоявших вне братии — мирских людей.

Грузинский монастырь средних веков являлся главным центром ремесленного производства и торговли и, что особо важно, центром изучения ремесла, чем он напоминает средневековые цехи (Ш.Месхия).

Монастырь давал право ремесленнику не только на «промышление», но был заинтересован материальной прибылью, так как лишь часть этой прибыли монастырь выделял ремесленнику, остальное принадлежало ему. Повсеместный характер это приобрело как в Аджарии, так и во всей Грузии.

Таким образом, на основе данных письменных источников, в городах Грузии подразумевается наличие, с одной стороны, цехового ремесленного производства, а с другой — средневекового монастырского ремесленного производства. Бытует также распространенная форма ремесленного труда — отхожий промысел.

В источниках позднефеодальной Грузии упоминаются представители разных ремесел, известных как в раннефеодальной Грузии, так и по этнографическим материалам во второй половине XIX в. и начале XX в.

Позднефеодальное цеховое ремесленное производство характеризуется развитой многоотраслевостью, узкой специализацией, широким применением наемного труда, большим числом подмастерьев в цехе, переходом ремесла в мелкое производство, производством для рынка, применением всех возможных мер против конкуренции, завоеванием рынка.

Совершенствование ремесла из поколения в поколение вело к созданию высокой традиционности производства. Изучение города в этом аспекте показывает, что единая ремесленная традиция ярче всего представлена в керамическом производстве. Эта та отрасль ремесла, которая прослеживается на протяжении веков. Для выявления этой единой традиции критерий в различных случаях разный. Для города Телави эту роль играет керамика и развитые ремесленные отрасли, представленные как в быту, так и археологическом материале. Традиция изготовления мелкой керамической посуды до сих пор жива в грузинском народном керамическом производстве. Керамические центры Шида Кахети — Телави, Икалто, Руиспири и Вардисубани и по сей день являются главным центром этого ремесла.

На примере городов Уджарма и Рустави видно, что в этой роли выступает в данном районе скотоводство (овцеводство)

и основанное на нем ремесло и торговля, ибо они являлись главными причинами возникновения и расцвета города.

Наличие традиционности керамического производства города Мцхета подтверждается и археологическими материалами, так как керамика обнаруживается на всех этапах истории этого города. Единая культурная традиция ярко прослеживается в производстве кровельной черепицы города Мцхета, так как здесь производилась известная античная черепица и «мцхетской» именовалась также черепица, изготавливаемая и бытующая до последних времен в этнографической действительности города.

Таким образом, при изучении городов в историко-этнографическом плане, возможно говорить о традиционности отдельных отраслей (семейная и строительная керамика) ремесленного производства в существующих городах (Телави, Мцхета). Что же касается городов Рустави и Уджарма, здесь мы лишены этой возможности, так как в их городской жизни имеются значительные перерывы.

### შემოკლავათა ახსნა

ЗКОИРГО — Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества

СМОМПК — Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа  
С.Э. — Советская этнография

მსომპო — ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

მსმ — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

შ. მ. — შინამრეწველობის მასალები (მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის).

## DIE HANDWERKLICHE PRODUKTION UND DAS HANDWERKERDASEIN IN DEN STÄDTEN GEORGIENS (II Hälfte XIX-Anfang XX Jh.Jh.)

Die Stadt ist ethnographisch wenig untersucht. Sie hat aber viele Forschungsaspekte, unter denen der Untersuchung von Daseinsaspekten der Handwerker eine besondere Bedeutung beigemessen wird, da die Handwerker mit den Arbeitern zusammen die grundsätzliche produzierende Masse darstellen.

Das städtische Handwerkertum nach seinem Sozialwesen (die soziale Struktur der einzelnen handwerklichen Organisation — der Zunft) und das Handwerkerdasein überhaupt ist in Georgien nicht genügend erforscht worden. Die vorliegende Arbeit stellt den ersten Versuch einer monographischen Untersuchung des städtischen Handwerkertums dar.

Nach der im Laufe von vielen Jahren (1960-61, 1966-72, 1977-82) durchgeführten Untersuchung wird festgestellt, dass in georgischen Städten die entwickelten Gewerbebezüge gut vertreten sind.

Das auf dem Felde gefundene Material, die von der Leder-, Holz-, Stein-, Lehm-, Metall-, Seidegarnbearbeitung und von der Herstellung von verschiedenen Gegenständen aus diesem Material Zeugnis ablegt, offenbart das Vorhandensein reicher volkstümlichen Verfahren der handwerklichen Produktion. Besonders reich ist in der vorliegenden Arbeit die städtische Handarbeit und die Tradition der Herstellung von einzelnen Elementen der georgischen Nationaltracht dargestellt.

Wie die in den Städten gesammelten Materialien zeigen, waren zur Kleinproduktion nicht nur Männer, sondern auch Frauen, Hausfrauen herangezogen. Sie gehörten aber nicht einer Zunft an. Als billige Arbeitskraft führten sie ihre Arbeit gegen eine gewisse Entlohnung zu Hause aus.

Die Untersuchung der handwerklichen Produktion der georgischen Städte zeigt, dass die handwerkliche Produktion ihren Absatz sowohl in Städten, als auch in nahegelegenen Siedlungen und auf Jahrmaktfesten fand. Für das Handwerkertum der georgischen Städte war die handwerkliche Produktion mit einem Meister, zwei oder drei Lehrlingen und einem Handwerksgehilfen typisch. Aber daneben kommt auch solche handwerkliche Produktion vor, in der die Zahl der Lehrlinge und der Handwerksgehilfen stark angewachsen zu sein scheint. Beispiele dafür sind die Gerbereien,

Schneider — und Schusterwerkstätte von Gori, Achalziche, Telawi und besonders von Tbilissi.

Die Benutzung einer solch grossen Zahl von Handwerksgesellen in der handwerklichen Produktion weist darauf hin, dass darin allmählich die Lohnarbeit begründet wird, was die Auflösung des Handwerkertums und darin das Eindringen der kapitalistischen Tendenzen bewirkt. Genauso wächst die Zahl der Meister in der handwerklichen Produktion. Oft verwandeln sie sich in Händler. Sie besitzen soviel Kapital, dass sie die anderen arbeiten lassen, sie selbst aber frei von der Arbeit sind. Das aber ist schon ein Zeichen der völligen Vernichtung der handwerklichen Produktion, wenn nicht nur eine einfache Kooperation des Kapitals geschieht, sondern auch Gewerbe Kapitalistischer Art auftreten, in denen im hohen Masse die Lohnarbeit angewendet wird. So geschieht allmählich die bürgerliche Evolution der handwerklichen Produktion.

Trotz alledem existierte daneben in den Städten Georgiens, wie es die Lebensangaben zeigen, noch lange Zeit das Handwerkertum im klassischen Sinne. Neben Gerbereien, Schuster- und Schneiderwerkstätten und anderen Gewerben kapitalistischer Art existierten handwerkliche Werkstätte weiter, in denen bei einem Meister ein oder zwei Lehrlinge und ebensoviele Handwerksgesellen tätig waren.

Die Untersuchung des Handwerkertums in der Stadt und auf dem Lande offenbart seinen unterschiedlichen Charakter. In der Stadt betreibt jeder Handwerker ein bestimmtes Gewerbe. Das ist sein Beruf und gleichzeitig seine Existenzquelle. Die Arbeit ist dermassen fest reglamentiert und bestimmt, dass eine enge Spezialisierung der Arbeit erfolgt.

Auf dem Lande ist das Handwerkertum eine den grundlegenden Wirtschaftszweigen untergeordnete Tätigkeit.

Bei der Gegenüberstellung des städtischen und ländlichen Handwerkertums offenbart sich der Unterschied auch in Massstäben. So sind auf dem Lande fast alle Gewerbszweige, die in der Stadt vorkommen, nachweisbar, aber in der Stadt ist die Zahl der Handwerker grösser, deswegen gibt es in der Stadt eine handwerkliche Organisation — die Zunft. Die Arbeitsspezialisierung ist enger, das Produktionsniveau aber höher. Entsprechend grösser sind auch der Absatzmarkt und der Radius des Warenabsatzes.

Auf dem Lande behält das Handwerkertum die form des Kundendienstes, so bedient ein Schmied nur die Ortsansässigen. Er produziert keine Ware für den Markt. Kennzeichnend ist der Umstand, dass die ländlichen Meister in der Stadt ihre Kunstfertigkeiten erwerben.

Was die Siedlungen betrifft, so werden hier Händler und Handwerker geworben. Die Nähe des Marktes beschleunigt den Zerfall des Handwerkertums, seine Umwandlung in die Kleinproduktion, die Annäherung des Handwerkers an den Markt.

Nach den in den Städten Georgiens aufgefundenen Materialien konnte jeder Handwerker ungeachtet seiner Nationalität und Religion



einer Zunft beitreten. Vertreter jedes Gewerbes hatten eine eigene Zunft, aber oft vereinigten sich in einer Zunft Handwerker, benachbarter Gewerbe. Das war ein charakteristisches Kennzeichen der Zünfte Georgiens. Immerhin gab es auch nach ethnischem Merkmal abgesonderte Zünfte. Solche Sonderzünfte hatten persische Schuster und tatarische Maurer in Tbilissi. An der Spitze einer Zunft stand ustabaz (Leiter der Zunft), der zwei Stellvertreter und einen Boten hatte. Die Zunftstruktur war mit einem Lehrling, einem Handwerksgelegen und einem Meister vorgestellt.

Auf Grund einer Analyse des entsprechenden Materials wurde gegen die in der wissenschaftlichen Literatur geäußerte Meinung das Vorhandensein einer mittleren Stufe des Handwerksgelegen in der Zunft festgestellt.

Der Handwerksgelegen stellte in der Zunft eine mittlere und obligatorische Stufe beim Erwerben der Kunstfertigkeiten eines Meisters dar. Diese Stufe musste jeder Lehrling durchmachen, um ein Meister zu werden. Meister werden bedeutete, dass man folgende Etappen durchmachen musste: das gesamte Gewerbe erlernen, vom Lehrling Handwerksgelegen werden, halb eingeweiht werden und dann die vollständige Meisterschaft erlangen — erforderliche Steigerung der Arbeitsqualifizierung vollziehen, vom Handwerksgelegen Meister werden. Aber Handwerksgelegen bedeutete gleichzeitig auch einen Lohnarbeiter. Die Tendenz der Anwendung der Lohnarbeit taucht dann auf, als dem Handwerker ein fester Lohn festgesetzt wird. Diese Tendenz nimmt allmählich zu und in der II Hälfte des XIX jh. ist der Handwerksgelegen schon ein Ausdruck des Begriffes des Lohnhandwerkers. Demzufolge ist es unmöglich, eine feste Grenze zwischen dem Handwerksgelegen der älteren Zeit und dem des XIX jh. zu setzen, das ist die gleiche Institution, die einen Entwicklungsweg gemacht und im XIX Jh. die Form des Lohnhandwerkers bekommen hat. Dementsprechend wird die Feststellung des anfänglichen Wesens dieser Institution durch ihre retrospektive Untersuchung möglich.

Die Untersuchung der Zünfte in Georgien zeigt, dass sie eine gesamtgeorgische Erscheinung sind, die selbstverständlich vom Orient stark beeinflusst wurden, was sich auch in der grundlegenden Terminologie widerspiegelt.

Was das Entstehungsdatum der Zünfte betrifft, so gab es nach unserer Ansicht im VI Jh. in Mzcheta schon die Voraussetzung für ihre Entstehung. Das ist entwickeltes Stadtleben, das hohe Entwicklungsniveau des Handwerkertums, die Gegenüberstellung der Arbeit eines freien Handwerkers aus der Stadt der der Leibeigenen, was durch die in historischen Quellen des VI jh. erhaltene gebliebenen Zeugnissen über die solidarische Tätigkeit der Handwerker und über das Vorhandensein ihres gemeinsamen Religionsfestes belegt ist.

Gut belegt ist in den Quellen die handwerkliche Produktion des georgischen Klosters in X-XII Jh. Das mittelalterliche geor-



gische Kloster stellte ein Zentrum der handwerklichen Produktion und des Handels dar und was die Hauptsache ist, wurde das Handwerk erlernt, womit es der Zunft des spätfеudalen Georgiens ähnelt (Sch. Meschia /Mesxia/).

Die handwerkliche Produktion des spätfеudalen Georgiens wird durch viele Wirtschaftszweige, enge Arbeitsspezialisierung, stärkere Anwendung der Lohnarbeit, den Übergang von der handwerklichen Produktion zur Kleinwarenproduktion und die Warenherstellung für den Markt charakterisiert.

Die Vervollkommnung des Handwerkertums im Laufe von Jahrhunderten bewirkte die Herausbildung einer bestimmten Tradition. Die Untersuchung der Stadt unter diesem Aspekt zeigt, dass die Kontinuität in der Tradition von allen handwerklichen Erzeugnissen in der Keramik am anschaulichsten zu verfolgen ist. Das ist jener Zweig des Handwerkertums, der im Laufe von Jahrhunderten am Leben bleibt. Das Kriterium für seine Offenbarung ist aber in unterschiedlichen Fällen unterschiedlich. Für die Stadt Telawi spielt diese Rolle die Keramik und überhaupt die Aufrückung von verschiedenen Gewerbszweigen sowohl in ihrer Lebensweise, als auch im ausgegrabenen Material. Am Beispiel von Rustawi und Udsharma spielt diese bestimmende Rolle die Schafzucht, das darauf beruhende Handwerkertum und der Handel. Für Mzcheta wird in dieser Hinsicht die hauptsächlichliche Bedeutung der Baukeramik beigemessen. Die Dachziegelherstellung ist aber jener Zweig, der nach seiner Bestimmung dem städtischen Handwerkertum am nächsten steht. Diese Tradition ist bis heute in der ethnographischen Wirklichkeit von Mzcheta erhalten geblieben.

Auf diese Weise zeigt die historisch-ethnographische Untersuchung der Städte, dass es möglich wird, in bestimmten Gewerbszweigen eine einheitliche kulturelle Tradition festzustellen.

ტერმინთა საძიებელი

- აბანო 32  
 აბელი 24  
 აბზინდა 20, 36  
 აბუნდი 19  
 აბრა 43  
 აბრეშუმი 52, 56, 62, 65, 70, 93; 102, 123, 125, 132, 168, 183, 191, 192, 193  
 ავღანა 15  
 აგური 43, 74, 171, 176  
 აგურხანა 176  
 ადილა 36  
 ადლი 53, 59  
 ავგარდანი 102  
 ავეჯი 39, 41  
 ავკური 95  
 აზარფეშა 37  
 „აზიადკი“ 19, 21, 81, 183, 191  
 აკაზმულობა 34  
 აკვანი 41, 42  
 ალავერდობა 74, 82, 192  
 ალაფი 73  
 ამადლეა 74, 76  
 „ამერიკა“ 44  
 ატესტატი 99  
 ამქარი 17, 39, 43, 44, 48, 49, 50, 52, 53, 73, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 97, 98, 99, 100, 102, 103, 106, 108, 108, 111, 112, 116, 117, 118, 119, 121, 123, 126, 127, 128, 129, 130, 134, 135, 136, 137, 138, 140, 153, 158, 159, 160, 161, 163, 165, 179, 180, 184, 185, 186, 187, 188, 189, 192, 194, 195, 196, 197, 198  
 ანდაზი 27, 28  
 აური//ფილიგრანი 183  
 ახაყალო//აღსაყალო 89, 90, 160, 195  
 ასნაფი 79, 107, 108, 117, 122, 130, 141, 196, 197.  
 ამხანაგი 29, 40, 94, 101, 111, 142  
 ამხანაგობა 146, 149  
 ანგელოზი 45  
 არუ 15  
 არშია 46, 69  
 არშინი 28, 44, 45, 60, 65, 66  
 ალაპი 144  
 აღვირი 20  
 აჩაჩა 169  
 ახალუხი 24, 25, 26, 94, 56, 60  
 ზაბთა 54, 60, 70, 183  
 ბაღია 32, 33, 46, 99  
 ბაღურა//ხვანჯარი 69, 70  
 ბაზაზი 44, 52, 73, 85, 86, 96, 102  
 ბაზანა//ბარდანა 57  
 ბაზარი 44, 56, 74, 79, 82, 86, 87, 98, 139, 194, 198  
 ბაზრობა 73, 80, 81  
 ბაირადი 16, 79, 98, 99, 122, 125, 126  
 ბალანი 52  
 ბალთა 34, 37, 83  
 ბარი 28, 29, 76, 77  
 ბაღდადი 102  
 ბაღი 64, 69, 70, 96, 99, 126  
 ბაყალი 73, 78, 79, 86, 155, 156  
 ბაწარი 43, 44  
 ბაჭაჭყი 20  
 ბელელი 40, 41  
 ბეჭელი 37, 91, 108  
 ბზა 50  
 ბიზი 19  
 ბითუმი 34  
 ბოკონი 41  
 ბორა 32, 35, 39  
 ბორბალი 28, 184  
 ბოხოხი 23  
 ბოხჩა 102  
 ბრილიანტნიკი 34, 37  
 ბულნა 19, 20

ბუზმენტი 19, 53, 55, 60, 62, 67, 72.

183, 191, 192

ბუთა 35, 36

„გაგოზგრა“ 67

გადაშერი 131, 144

გალატოზი 143, 144

გალიბანდი 23

გამგებელი 148

გამხდელი 52

გარიგარია 60

გარსაჭერი 83

გელაზი 44

გერისთობა 76, 82, 192

გვირილა 54

გვირისტი 49

გილანი 66

გიმი 69

გიორგობა 73, 74

გირვანქა 35, 44, 57, 78, 98

გობი 50

გოზაური 47

გომარეთობა 73

გონიო 102

გორიჯვრობა 76

გოჯი 66

გრდემლი 31, 97, 121

გრე 27

გრეხილი 25, 27, 35

გოგირდი 35

გუგუმი 31

გულა 59

გუთანი 29, 30, 77

„გული“ 60, 66

გულისპირი 192

გუნდა 50

დაბა 86, 88

დაბასმვა 52, 53

დაბადი 14, 15, 16, 17, 18, 73, 83, 84, 86,  
93, 104, 113, 121, 122, 127, 134, 135,  
165, 181, 182, 188, 191

დაბახანა 14, 17, 157, 181, 188

დაბოხჩავება 16

დაზგა 17, 18, 41, 42, 57, 61, 173

დალალი 53

დალაქი 53, 87, 154, 156

დალოცვა 94, 101, 111

დამკვეთი 35

დანა 17, 31, 66, 173

დარაბა 39, 81

დაპრესვა 28

დარაია 27

დარეჯა//ყალიბი 36

დასამეხი 32

დასტა 16, 21

დგიმი 68

დემური 14, 15

დერგი 171

დერციკი 23, 24, 27, 73, 76, 92, 96, 97, 102,  
104, 113, 121, 122, 165, 188, 191, 193

დიშლა 45

დროშა 99, 121, 122, 124, 126, 127, 129,  
130, 196

დონიჯი 67

დოქი 35, 171, 172

დოდანაკი 22, 23

დუგმა 26

დუგურო 61

დურგალი 28, 39, 40, 42, 46, 78, 81, 85, 86,  
94, 97, 102, 104, 105, 111, 121, 122, 123,  
154, 155, 156, 157, 165, 171, 172, 191,

დუქანი 16, 21, 32, 38, 43, 44, 79, 92, 94,  
98, 106, 157, 159, 160, 183, 184

დუღაბი 151

დღეობა 49, 192

დღიური 43

ელია 37, 74, 121, 122, 123, 124, 125

ემბაზი 169

ემბლემა 121

ენდრო 43

ესტატობა 76

ეპიტირიტი 147, 149

ეტლი 131

ეტრავტი 131, 144, 152, 197

„ვაზი“ 67

ვალცი 35, 36, 37, 38

ვარაჩო 14, 15

ვარდი 53, 54, 67

ვარშავა 19, 37

ვაჭარი 86, 87, 88, 96, 97, 119, 141,  
142, 159, 170, 193, 194, 198

ვერცხლი 33, 34, 35, 36, 37, 39, 50, 51,  
60, 70, 83, 99, 121, 122, 183, 191

- ზარი 51, 52, 69  
 ზელადგარი 44, 77  
 ზეია 24, 55, 59  
 ზინდანი 31, 32, 97, 121  
 ზოლი 31, 32  
 ზონარი 55, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 193  
 ზურმუხტი 37, 78  
 ზურნა 42, 98, 102, 121  
 ზღუდრობა 74, 76, 82, 192
- თაბახი 76  
 თაბუნი 141  
 თავსაკრავი 52, 192  
 თავყვითულა 43  
 თანგირა 32  
 თანუქარი 35  
 თარაზო 102  
 თარგი 18, 26, 52  
 თასმა 17, 21, 31  
 თასი 39  
 თალარი 14, 15, 44  
 თენგი 45  
 თერძი 27, 28, 79, 81, 84, 86, 121, 129, 183, 191, 193  
 თეფში 171  
 თითბერი 31, 32, 33, 35, 37, 60  
 თითისტარი 42  
 თილოვი 15  
 თინგი 32  
 თიხა 38, 44, 47, 48, 74, 165, 166, 171, 172, 173, 176, 184, 191, 200  
 თოკი 42, 49, 87  
 თონე 47, 49, 58  
 თორი 64, 70  
 თოფჩი 154, 156  
 თოქმანი 31  
 ფოხი 29, 77  
 ირიმლი 15, 16, 43, 83  
 თუბალი 126  
 თუნგი 31, 32  
 თუნუქი 33, 39, 50, 51  
 თულუხი 31, 52  
 თუქლაძიში 15  
 თუმფალანგი 33  
 თუჯი 51  
 თხუზა 19
- იაგუნდი 37  
 იარადი 34, 37, 38, 45, 191  
 „იარმუკა“ 79  
 იბტაკი 39, 40  
 იბრიყი 31  
 იგიტბაში 89, 90, 97, 159, 195  
 იხმირი 42  
 იკონომოსი 147, 148  
 ილი 51  
 იობი 100, 121, 195  
 იოლი 92  
 ისარი 123  
 „იუკელირი“ 33
- კაბა 55, 56  
 კავი 53, 65  
 კავთობა 74, 76  
 კაეშირი 32, 35, 36, 157  
 კახხა 50  
 კაკი 25  
 კალა 32, 39  
 კალამი 34, 48  
 კალაპოტი 17, 18, 19, 20, 21, 36, 38  
 კალატოზი 39, 40, 43, 46, 85, 86, 89, 91, 121, 122, 148, 151, 152, 153, 154, 155, 156, 172, 175, 187, 195, 197  
 კალთა 25  
 კალიბტერი 173  
 კამარა 41  
 კალთა 25, 55, 126  
 კამეჩი 52  
 კარაღა 39, 40, 41  
 კარანიჩი 18  
 კარაული 150  
 კარეტნიკი 184  
 კარნიზი 46  
 კარფანჯარა 39  
 კასრი 16, 42, 49, 184  
 კარავი 77, 82  
 კარი 41, 51  
 კერამიკა 46, 85, 163, 165, 166, 168, 170, 171, 172, 173, 174, 177, 198, 199, 200  
 კეხი 20  
 კეტი 16  
 კვერი 32  
 კვირაცხოველობა 74  
 კვირიკობა 74

- კვირისთავი 19  
 კვირტი 72  
 კიდობანი 121  
 კინტო 55  
 კირი 43, 151  
 კლაპიტონი 72  
 კლიტე 92  
 კრაველი 26  
 კრამიტი 39, 47, 74, 139, 152, 171, 173  
 174, 175, 176, 197, 199  
 კრასაული 148  
 კოვზი 32, 36  
 კოკა 47, 48  
 კორპორაცია 137, 138, 140, 141, 142, 152  
 კოსტუმი 127, 183, 191  
 კოფო 60  
 კოჭა 41, 59  
 კოჭიკი 49  
 კუბო 39, 41, 46  
 კურთალარი 69  
 კუპრი 51, 154
- ლა**  
 ლავაში 20  
 ლავაში 49  
 ლალი 37, 78  
 ლამუა-იატაკი 39  
 ლანჩა 22  
 ლარი 69  
 ლაშონი 60  
 ლატანი 15, 16  
 ლეკვერთხი 20, 62, 63, 64, 65  
 ლეკი 16  
 ლეკური 35  
 ლეჩაქი 52, 53, 73, 192  
 ლვილა 60  
 ლითონი 191, 193  
 ლილა 43, 44, 58  
 ლიტრა 33, 47, 48, 49, 50, 51, 77  
 ლოდი 45  
 ლურსმანი 19, 22, 29, 30, 31, 83, 183
- მა**  
 მაგიდა 39, 41  
 მავთული 35, 38, 39  
 მაზმანი 154, 155  
 მათრახი 21  
 მათხაფი 42  
 მაკრატელი 29, 30, 38, 46, 102, 121  
 მამასახლისი 90, 103, 137
- მარზმანი 133  
 მარიამობა 74, 76  
 მარმარილო 46  
 მარწუხი 29, 121, 126  
 მარხილი 151  
 მასრა 24, 45, 51  
 მასხალი 35  
 მატული 43, 52, 74, 168  
 მაღზია 43  
 მაშა 38, 77  
 მაშენებელი 131  
 მაცხოვრობა 76  
 მახათი 18  
 მახნი 31, 183  
 მგრეზავი 52  
 მეაბანოე 154, 155  
 მეაბრეშუმე 122, 125  
 მეაგურე 48, 121  
 მეავეჯე 40, 86, 172  
 მეაკენე 39, 41  
 მებაირაღე 98, 99, 126, 127  
 მედანე 86  
 მედროშე 127  
 მეეტლე 122  
 მეგოდრე 155  
 მეთამბაქოე 121  
 მეთრიმლე 52  
 მეთუნე 139, 165  
 მეთუნუქე 28, 33, 85, 86, 104, 106, 121,  
 171  
 მეკალაპოტე 18  
 მეკასრე 42, 86, 111, 184  
 მეკეცე 191  
 მეკრამიტე 48, 173, 199  
 მეკოღე 156  
 მეკონდახე 155  
 მეკონდიტრე 48  
 მეკრამიტე 85  
 მეკუბოე 39  
 მეკურტნე 155  
 მელაგაშე 155  
 მელამფე 192  
 მელურსმნე 83  
 მენაბლე 155  
 მენახშირე 51, 154  
 მეპარტიე 80  
 მეპურე 48, 49, 115, 117, 128, 129, 144, 158,  
 160, 161, 190, 196



მერიქიფე 100  
 მესაათე 52  
 მესანთლე 49, 154, 158, 159  
 მესპილენძე 31, 122, 126, 165  
 მესტი 22, 191  
 მესტ-ბაბუნი 52  
 მესტვირე 154  
 მეტივე 122  
 მეტყავე 158  
 მეფაიტონე 52, 184  
 მეფეხსაცმელე 133, 134, 135  
 მეფურგონე 52  
 მეუნავირე 20, 21, 81, 85, 123, 129, 154, 183, 191  
 მეურმე 154, 155  
 მეუროე 31  
 მეფაიტონე 28  
 მეფუნთუშე 34  
 მექალამნე 16, 17, 76, 85, 86, 104, 106  
 მექვაბე 28, 31, 84, 86, 94, 154, 155, 193  
 მექილე 50, 94  
 მექულე 86, 87, 104, 106, 113  
 მეჯანწე 50  
 მეში 14, 23, 63, 122  
 მეჩახახე 154, 155  
 მეჩექმე 89, 122, 195  
 მეცანდალე 133, 134, 135  
 მეცომე 50  
 მეძეხვე 122  
 მეწაღე 21, 22, 73, 84, 86, 102, 121, 134, 165, 171, 172, 193  
 მეწვრილმანე 49, 52, 73, 96, 97, 115, 156, 158, 159  
 მეწისქვილე 131, 145, 149, 152, 156, 197  
 მეწულე 154  
 მეჭურჭლე 46, 47, 48, 77, 85, 121, 155, 157  
 მეხარჯე 103  
 მეხამლე 131, 132, 133, 134, 136, 137, 141, 144, 152, 197  
 მეხაშე 43  
 მეჯაღაგე 132, 133, 134, 135, 136, 137, 141, 197  
 მეჯორე 148  
 მეჯღანე 134, 135  
 მზარეული 100, 131, 144, 152, 197  
 მთავარანგელოზობა 74, 121, 123  
 მეჩუსტე 192  
 მზითვეი 93

მიზანი 15  
 მიკიტანი 73, 86, 96, 97, 98, 160  
 მილი 173  
 მინდი 149  
 მისხალი 34, 35, 36, 37, 58  
 მიტკალი 44, 52  
 მიხაკდარიჩინი 51, 90, 91  
 მკაზმვი 131, 144, 145  
 მკალავი 31, 32, 78, 89, 122, 155, 165, 172, 193, 195  
 მკეთებელი 131  
 მკერავი 52, 131, 157  
 მკუპრავი 51, 86  
 მოდგამი 48, 184  
 მორგვი 170, 176  
 მორეწვა 144, 145, 150, 151, 153, 198  
 მოსართავი 19, 20, 53, 192  
 მოჯამავირე 107, 111, 117, 121, 128, 160, 161, 185, 190, 196  
 მოქმედი 131, 132  
 მოხელე 131  
 მტევანი 67, 126  
 მუთიფი 52  
 მურდახილი 54  
 მურყანი 48, 69  
 მუშა 22, 43, 83, 109, 110, 115, 119, 154, 180, 182, 186, 188, 189, 191  
 მუშტა 17, 18, 46, 102  
 მუწლსაკრავი 63, 65  
 მქსოველი 61, 65, 68, 86, 131, 132  
 მღებავი 43, 44, 85, 102, 111, 156  
 მწარხავი 42  
 მჩითავი 86, 154, 155  
 მცხობელი 122  
 მწიგნობრობა 144, 145, 146, 147, 153, 196  
 მჭედელი 19, 28, 29, 30, 31, 45, 46, 77, 84, 85, 86, 87, 92, 97, 99, 104, 107, 110, 121, 122, 125, 126, 131, 139, 144, 148, 150, 154, 155, 156, 165, 172, 191, 193, 194  
 მხატვარი 43, 122, 131, 138, 139  
 მხვერტელი 42  
 მხერხავი 122, 155

ნაბადი 21, 24, 26, 27, 52, 74, 183  
 ნავი 131, 144, 148, 152, 197  
 ნათლისმცემლობა 74, 121  
 ნაინი 32



ნაღობანი 28, 31, 78, 83, 85, 86, 122, 154, 155, 157, 165, 172, 183, 191, 193  
 ნალი 19, 30, 83, 183  
 ნალჯი 31  
 ნამაქო/ნამაქუ 15  
 ნამგალი 28, 29, 76, 77, 85  
 ნამეკი 32  
 \*ნარგილა 52  
 ენარდი 40, 43, 50  
 ნარმა 96, 187  
 ნაქსოვი 34  
 ნახევარადლიანი 27, 46, 52, 102, 121  
 ნახევაროსტატი 104, 111, 117  
 ნახშირი 37, 39, 51, 52  
 ნაჯახი 29, 77  
 ნემსი 46, 121  
 ნიადაგმსახური 144, 197  
 ნიგოზი 41  
 ნინობა 74  
 ნიფხავი 55, 56  
 ნოქარი 86  
 ოთახი 39, 40, 43  
 ორნამენტი 52, 54, 68  
 ორტბლი 141, 142  
 ორხელა 29  
 ოსტატი 17, 22, 29, 33, 34, 37, 38, 39, 40, 41, 42, 46, 48, 53, 56, 57, 59, 66, 82, 83, 86, 89, 91, 94, 95, 96, 98, 99, 100, 102, 103, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 119, 121, 128, 130, 132, 162, 173, 176, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 189, 192, 193, 195, 196  
 ოფელ-თოფელი 126  
 ოქრო 33, 34, 36, 37, 60, 70, 94, 121, 122  
 ოქრომკედი 55, 59, 60, 62, 72, 93, 132, 183  
 ოქრომჭედელი 19, 28, 33, 34, 35, 36, 37, 50, 51, 73, 80, 83, 84, 85, 93, 94, 108, 111, 115, 118, 120, 122, 131, 139, 143, 152, 154, 155, 156, 157, 158, 165, 191, 197  
 პაიჭი 27, 55, 62, 63, 64, 65, 183  
 პატაში 35  
 პატენტი 120  
 პაჭანიკი//ლექვერთხი 27, 183  
 პერანგი 27, 52, 192  
 პირობის წიგნი 48, 49, 117, 129, 157, 158, 159, 190

პრესი 44, 62  
 პური 49, 160  
 რაბატი 139  
 რანდა 35  
 რანტი 22  
 რგოლი 42  
 რვალი 126  
 რკალი 41, 42  
 რკინა 29, 31, 36, 38, 42, 121, 126, 150, 176  
 როშანაკი 58  
 რუმბი 51  
 „რჩული“ 136, 137  
 რქა 50, 51  
 შადაპო 145  
 საბანი 27  
 საბერველი/საბურველი 31, 33, 39  
 საგოგავი 41, 42  
 სადგისი 17, 46, 121  
 სადღეველი 76, 172  
 სადულარი 47  
 საგარცხელი 60, 61  
 საეაჭრო 145, 153, 198  
 სახელაო 68  
 სათვალავი 67  
 სათლელი 46  
 სათლი 14, 15, 16, 33, 42, 44, 47, 51  
 საკვეთელი 28  
 სალამური 42  
 სამასრე 24, 25, 26  
 სამაჯური 37  
 სამებობა 74, 76  
 სამთავა 32  
 სამიკიტნო 85, 86, 92  
 სამაკული 34, 37, 84  
 სამკედი 19, 20  
 სამოგევი 14  
 სამოვარი 33  
 სამღებრო 43, 44, 58  
 სამღვთო 16, 49, 85, 91, 96, 97, 98, 100, 102, 121, 126, 127, 128, 130, 195, 196  
 სამჭედლო 30, 144  
 სანათი 33  
 სანდალი 134  
 საოსტატო 53, 91, 95, 102, 108, 192  
 საპალნე 47  
 საპირე 14, 15, 16, 21



საპურე 47  
 სარაჯი 21, 134, 154, 157  
 სარბანდი 69  
 სარეწი 84, 119, 182, 186, 188, 189, 193  
 სარკინე 139  
 სარტყელი 19, 25, 63, 64, 102, 133  
 სარჩული 18  
 სასანთლე 31  
 სასწორი 79  
 სასხლავი 29  
 საფარდავე 44  
 საფუარი 49  
 საფხეკი 123  
 საქაჯავი 45  
 საქილე 25, 36  
 საქონე 36  
 საღებავი 43,44  
 საღვინე 47, 171  
 საღრაულობა 74  
 საყლო 25, 192  
 საყურე 37  
 საჩოხე 44  
 საცალო 168  
 საცერი 78  
 საცვეთი 18, 19, 63  
 საძირე 14  
 საწანგრო 144., 147  
 საწველელი 46, 47  
 საწვივე 64  
 საწოლი 41  
 საწყაო 98  
 „სახალათე“ 102  
 სახარაზო 144  
 სახაშე 47  
 სახელოსნო 20, 22, 24, 41, 43, 56, 81, 94,  
 98, 99, 102, 103, 111, 126, 128, 147, 159,  
 180, 187  
 სახერხი 41  
 სახლი 92, 93  
 სახნისი 28  
 სახურავი 33, 39  
 სახურავნო 147  
 სევადა 20, 35, 36  
 სელი 132  
 სინი 31, 33  
 სირაჯი 19, 73, 97  
 სირმა 25, 27, 36, 67  
 სკამი 39

სნორაკი 26  
 სოფდაგარი 142, 159  
 სპილენძი 31, 33, 35, 37, 38, 39, 40, 60, 61  
 სტეფნობა 74  
 სუა 19  
 სულადი 48  
 სურა 48  
 სულრაბელი 32  
 ტანსაცმელი 23, 44, 55, 117, 126, 193  
 ტარალი 45  
 ტარი 21, 99, 122, 126  
 ტაშტი 31, 32  
 ტივი 40  
 ტიკი 51  
 ტილო 87, 132  
 ტპაცუნა 19  
 ტოზიკი 132, 137  
 ტოლწა 32, 46, 47  
 ტომარა 48, 51  
 ტრაპეზი 148  
 „ტრიჩეტკა“ 31  
 ტყავი 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21,  
 22, 23, 35, 43, 51, 60, 65, 73, 77, 78,  
 83, 84, 134, 182, 191, 193  
 უხალთუნი 19  
 უხანგი 20  
 უზგარა 18  
 უზონიკი 36  
 ულორთა 18  
 უნაგირი 19, 20, 21, 34, 36, 183  
 ურემი 30, 45, 77  
 ურო 29, 44  
 ურჩხული 123  
 უსანეთობა 74, 76, 82, 192  
 უსტა 31  
 უსტაბაში 89, 90, 92, 97, 98, 99, 100,  
 101, 102, 103, 104, 105, 120, 123, 126,  
 129, 159, 160, 162, 186, 187, 195  
 უსტალარ-უსტატი 117  
 უღლეული 150  
 უძირო 18, 20  
 ფაბრიკა 95, 96, 187  
 ფათოთი 72  
 ფაიანსი 166  
 ფაიტონი 184

ფანჯარა 40, 41  
 ფანქარი 45  
 ფარდაგი 74, 76  
 ფარდახტი 23  
 ფარგალი 102  
 ფარშავანი 54, 67  
 ფარჩა 56  
 ფაფანავი 24, 27, 183  
 ფეიქარი 154, 155, 156  
 ფელა 69  
 ფერიცვალება 82  
 ფესო 41  
 ფეშტემალი 125  
 ფეხი 42  
 ფეხსამოსი 79  
 ფეხსაცმელი 18, 22, 105, 123, 133, 134  
 ფიალა 47, 172  
 ფილა 171  
 ფიძალი 16  
 ფირი 91, 97, 100, 121, 124, 126, 130, 196  
 ფირუხი 37, 78  
 ფირფიტა 60, 61, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 92  
 ფიცარი 41  
 ფიჭვი 39  
 ფოლადი 29, 35, 45  
 ფონი 64  
 ფსონი 91, 92, 98  
 ფუთი 45  
 ფუთურა 78  
 ფუნჯი 26, 58, 123  
 ფურნე 50  
 ფურჩი 36  
 ფშალა 49

ქალამანი 17, 63  
 ქამანა 42  
 ქამარი 19, 21, 25, 34, 35, 36, 58, 62, 65, 99, 71, 102, 183  
 ქანქანი 154  
 ქანჩი 99  
 ქარგა 52  
 ქარგალი 17, 18, 32, 38, 40, 49, 82, 83, 84, 89, 98, 103, 104, 105, 107, 108, 109, 111, 113, 114, 115, 116, 117, 119, 121, 128, 160, 161, 172, 178, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 188, 189, 190, 192, 193, 195, 196, 197, 198  
 ქარვასლა 56

ქარხანა 15, 41, 56, 106  
 ქაფქირი 31, 32  
 ქაფხა 46  
 ქაშვეთობა 71  
 ქენო 48  
 ქვა 41, 45, 46, 48, 50, 58, 80, 151, 191, 195  
 ქვაბი 31, 32, 38, 44, 46, 47, 51  
 ქვევრი 44, 171  
 ქვეოსტატი 113, 115, 116, 117, 161, 195  
 ქვითსურო 86, 139, 150, 152, 197  
 ქვისმთლელი 44, 45, 85, 93, 117, 154, 165, 172  
 ქვისქმნელი 151  
 ქვისმჭრელი 154, 155  
 ქვისსათლელი 150  
 ქილა 25, 36, 46, 47, 48, 172  
 ქიმი 174  
 ქლიბი 35, 42, 51  
 ქოთანნი 35, 47, 172  
 ქოსალა 14  
 ქოცო 171  
 ქსელი 41, 53, 59, 60, 61, 65, 68, 69, 70  
 ქსოვა 53, 66, 67, 68, 69, 71, 87  
 ქსოვილი 24, 43, 44, 166  
 ქუდი 23, 52, 127, 183  
 ქულაჯა 23, 24, 26  
 ქურა 29, 30, 31, 47, 48, 165, 171  
 ქურქნი 154  
 ქუსლი 19, 22  
 ქუსტარა 46  
 ქუქანკი 131, 145, 149, 152, 197

ღარი 174  
 ღვედი 20  
 ღვთისმშობელი 121, 124  
 ღერძი 121  
 ღილი 24, 26  
 ღუმელი 33, 47, 50

ყაბალახი 24, 25, 26, 58, 183  
 ყაზახი 27, 51, 53, 56, 57, 58, 59, 72, 78, 84, 90, 91, 92, 93, 100, 113, 119, 121, 125, 154, 156, 181, 182, 186, 193  
 ყაითანი 19, 24, 25, 26, 27, 56, 57, 59, 72, 76, 183  
 ყალამი 35, 45  
 ყალიბი 34, 36, 174, 197  
 ყანწი 35, 36, 51  
 ყარაჩოღელი 21, 25, 93, 127

ყისაბხანა 157  
ყაფალი 19  
ყავლი 95, 104  
ყაჭი 65, 79  
ყდა 64, 69, 70  
ყვაილი 51, 52, 66, 72  
ყვინი 37  
ყოველწმინდობა 74  
ყულაბა//ღულაბა 16  
ყუნწი 34  
ყური 25, 26  
„შაბაქა“ 40  
შაბპარილი 16  
შაბი 51, 58  
შაბიამანი 39  
შალაშინი 41, 42, 102  
შალვარი 24, 26, 27, 55, 63, 183  
შალი 23, 24, 26, 44, 52, 55, 76, 82  
შამხე 64  
შაქარდანა 99  
„შაშვაი“ 97  
შებილი//შიბილი 21, 27, 46  
შეგირდი 17, 22, 29, 31, 38, 40, 43, 44, 46, 49, 50, 53, 57, 82, 83, 89, 90, 91, 93, 95, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 120, 121, 125, 127, 128, 130, 172, 154, 160, 161, 180, 181, 182, 183, 185, 186, 187, 188, 189, 192, 193, 195, 196  
შეიდიში 55, 56  
შეიხ-სუაბი 117  
შიბაქი 42  
შოთი 49, 98  
შოლტი 16, 21, 27, 52  
შორი 15  
შუბა 26  
შუბი 123  
შულო 57, 58  
შუფრი 16  
ჩადრი 72  
ჩაიდანი 33  
ჩაიხანა 61  
ჩალვადარი 83  
ჩანახი 172  
ჩანგალი 65  
ჩარეკა 31, 45, 47, 60, 159, 172  
ჩარჩო 39  
ჩარჩუბალი 54, 61



ჩარხი 29, 38, 39, 41, 45, 48, 50, 52, 57, 173, 176  
ჩაფარი 54, 60, 61, 69, 70  
ჩაფარიში 24, 53, 54, 55, 56, 60, 61, 62, 67, 68, 70, 72, 183, 191, 192  
ჩაქი 23, 24, 26  
ჩაქუჩი 32, 42, 45, 46, 121, 122  
ჩახსაკრავი 53, 54, 55, 63, 64, 65, 66, 67, 68, 70, 71, 76, 182, 191, 192  
ჩერქესკა 23, 34  
ჩექმა 19, 21, 22, 58, 122  
ჩიბუხი 52  
ჩივინი 66  
ჩიფთიში 37, 38  
ჩოხა 24, 25, 34, 36, 45, 55, 59, 126, 127, 183  
ჩუსტი 18, 19, 184  
ჩუქურთმა 34  
ჭელი 23  
ცომი 49, 50  
ცული 28, 29, 76, 77  
ცხრამუხობა 76  
ცხრილი 66  
ძაფი 19, 34, 35, 36, 38, 43, 44, 52, 53, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 65, 66, 70, 72, 84, 103, 182, 192, 193  
ძაღა 16, 44  
ძვალი 50, 93, 71, 123  
ძეგლი 45, 46  
ძელიცხოვლობა 73  
ბუა 52  
წალდი 29, 45  
წალკატი 45  
წალა 21  
წერნაქი 48  
წესდება 47, 120, 128, 149, 157, 160, 185, 196  
წვივსაკრავი 63, 64, 65  
წილა 44  
წინდა 52, 63  
წინსაფარი 125  
წისქელი 45, 145  
წულა 18, 19, 20, 22, 78, 84, 124, 134, 183, 191, 193  
წვალკურთხევა 103, 126

ტაპანი 52  
 ტვირული 38, 131  
 ტიკტიკა 60, 66, 67  
 ტილობი 15, 16  
 ტიქა 52  
 ტიტილა 47  
 ტიჭნაუხტი 132  
 ტოგოშანი 45  
 ტონი 22, 84, 85, 122, 134, 154, 155, 165, 183, 193  
 ტონხანა 23, 43  
 ტრაქი 33, 39  
 ტრელი 66, 67  
 ტურჭელი 32, 35, 47, 48, 74, 77, 78, 82, 86, 87, 88, 165, 166, 170, 171, 172, 173, 176, 177, 184, 191, 194, 199  
 ხაბაზი 47, 98, 152, 154, 157, 197  
 ხაბსვალი 18  
 ხაზეინი 17, 56, 57, 83, 84, 95, 98, 104, 105, 119, 125, 181, 184, 188, 193  
 ხაზინადარი 91  
 ხალათი 99  
 ხალფა 31, 98, 107, 114, 116, 117, 121, 130, 197  
 ხამი 87  
 ხამლი 133, 134  
 ხანჯალი 34, 35, 36  
 ხაბირი 31  
 ხარაზი 16, 17, 18, 19, 21, 22, 23, 79, 80, 81, 83, 84, 85, 86, 87, 90, 91, 92, 93, 96, 97, 102, 104, 106, 107, 111, 118, 121, 123, 124, 131, 132, 134, 135, 144, 152, 154, 156, 157, 158, 165, 172, 183, 188, 191, 193, 194, 197  
 ხარატი 39, 42, 50, 101, 121, 191  
 ხარატოლი 51  
 ხარაზხანა 157  
 ხარხალი 37  
 ხაში 49  
 ხე 39, 40, 41, 42, 68, 122, 191  
 ხელადა 31, 47, 48, 172  
 ხელეჩო 29, 50  
 ხელთსაქმარი 132  
 ხელი 132  
 ხელობა 144  
 ხელოანი 145, 148  
 ხელოვანი 131, 143, 146, 147



ხელოსანი 18, 20, 21, 22, 23, 26, 32, 33, 35, 40, 43, 45, 46, 47, 48, 51, 52, 54, 56, 59, 60, 62, 73, 77, 78, 79, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 92, 93, 96, 97, 98, 99, 100, 102, 104, 106, 107, 108, 110, 111, 113, 114, 117, 119, 121, 122, 123, 126, 127, 128, 129, 131, 137, 138, 139, 140, 141, 142, 144, 145, 146, 148, 149, 150, 151, 153, 160, 161, 166, 169, 172, 182, 183, 184, 186, 187, 189, 191, 193, 198  
 ხელსაქმე 132  
 ხელსაფუქვაი 44  
 ხელფასი 96, 107, 110, 154, 187  
 ხელფიცარი 48  
 ხელჩაფა 31  
 ხელწერილი 158, 160, 161  
 ხეჩხვამი 97  
 ხეხუნჯობა 97  
 ხვალი 17  
 ხვანჯარი//ხონჯარი 26, 61, 69, 70, 183  
 ხვედა 17  
 ხმალი 34  
 ხრახნილი 67  
 ხრილი 149  
 ხურო 39, 52, 85, 110, 121, 122, 131, 143, 144, 148, 153, 155, 156  
 ხუროთმოძღვარი 138, 139, 148, 151  
 ხურჯინი 43, 168  
 ჯაგარი 52  
 ჯაგარისი 36, 172  
 ჯაღაგი 134  
 ჯამაგირი 103, 104, 105, 106, 108, 111, 113, 117, 120, 180  
 ჯამი 35, 36, 46, 47, 171, 172  
 ჯაფი 22  
 ჯაჭვი 64  
 ჯეკინი 17, 18  
 ჯვარი 31, 37, 45, 46,, 72, 121, 123, 127, 143, 144  
 ჯობი 19, 49, 58  
 ჯუში 36  
 ჯღანი 135  
 ჰანეხი 38  
 პარი 15  
 პინაწი 54, 61, 70

ტაბულების ახსნა

- I — ტყავის დასამუშავებელი იარაღი
- II, III, IV — ფირფიტებით ქსოვა და ნაქსოვის ნიმუშები
- V — ხონჯურის საქსოვი ყდა
- VI — მჭედელი
- VII — სარაჯი
- VIII — შეკვამბე
- IX — ხარაზი
- X — მეჭურჭლე
- XI — დერცვი
- XII — ჭონი
- XIII — ნალბანდი
- XIV — ხარატი
- XV — თქრომჭედელი, მკალავი
- XVI — ხელოსანთა სამღეთი.




11







ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՐԴԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ









VI

საქართველოს  
საქართველოს







VIII

საქართველო  
სინოკლიტიკა







ქართული  
საქონლის




XI


საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მუზეუმი



XII









ქართული  
წიგნიერება



ი 54/12



შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . . 3

**თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი**

ხელოსნური წარმოების ხალხური ხერხები . . . . .	14
§ 1. ხელოსნური ნაწარმის გასაღების ბაზრები . . . . .	73
§ 2. ხელოსნური წარმოების ბუნებისათვის . . . . .	82
§ 3. ქალაქის, დაბის და სოფლის ხელოსნობის ურთიერთმიმართება . . . . .	84

**თ ა ვ ი მ ე ო რ ე**

ხელოსნური ორგანიზაცია — ამქარი . . . . .	89
§ 1. ამქარის სტრუქტურა . . . . .	89
§ 2. ამქარის დროშა და ფირი . . . . .	121

**თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე**

ხელოსნური წარმოების საკითხები წერილობით წყაროებში . . . . .	131
---	-----

**თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე**

ქალაქში ხელოსნური წარმოების ტრადიციულობის საკითხისათვის . . . . .	163
---	-----

**თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე**

ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია . . . . .	178
დასკვნები . . . . .	191
Ремесленное производство и быт ремесленников в городах Грузии /II пол. XIX в. — нач XX в./ /Резюме/ . . . . .	201
Резюме на немецком языке . . . . .	208
შემოკლებათა ახსნა . . . . .	212
ტერმინთა საძიებელი . . . . .	213

АБЕСАДЗЕ НАНУЛИ НИКОЛАЕВНА

РЕМЕСЛЕННОЕ ПРОИЗВОДСТВО И  
БЫТ РЕМЕСЛЕННИКОВ В ГОРОДАХ ГРУЗИИ  
(II ПОЛ. XIX В. — НАЧ. XX В.)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ლ. მოლოდინი,  
გ. გასიტაშვილი

სბ 2806

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი  
მხატვარი გ. ლომიძე  
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე  
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 22.4.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.6.1986;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ბეჭდვა ოფსეტური;  
გარნიტურა ლიტერატურული; პირობითი საბეჭდო თაბახი 14,0;  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.1;  
პირობითი საღებავ გატარება 14.0;

უე 01172;

ტირაჟი 1200;

შეკვეთა № 1317;

ფასი 2 მან. 20 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის  
სამეცნიერო განყოფილება

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის

სამეცნიერო განყოფილება

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის

